# საქართველოს განათლების მეცნიერებათა
# ა კ ა დ ე მ ი ა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“

**კონფერენცია ეძღვნება აკადემიკოს**

**ნათელა ვასაძის 90 წლის იუბილეს**

26 დეკემბერი, 2020, საქართველო, თბილისი

## ACADEMY OF EDUCATION SCIENCES OF GEORGIA
## INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**“MODERN PROBLEMS OF HIGH SCHOOL PEDAGOGY AND WAYS TO SOLVE THEM” THE CONFERENCE IS DEDICATED TO THE 90TH ANNIVERSARY OF**

**ACADEMICIAN NATELA VASADZE**

**26 DECEMBER, 2020, GEORGIA , TBILISI**

# საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“
**კონფერენცია ეძღვნება აკადემიკოს**

**ნათელა ვასაძის 90 წლის იუბილეს**

26 დეკემბერი, 2020, საქართველო, თბილისი

**ACADEMY OF EDUCATION SCIENCES OF GEORGIA**
**INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE**

**"MODERN PROBLEMS OF HIGH SCHOOL PEDAGOGY AND WAYS TO SOLVE THEM" THE CONFERENCE IS DEDICATED TO THE 90TH ANNIVERSARY OF**

**ACADEMICIAN NATELA VASADZE**

**26 DECEMBER, 2020, GEORGIA , TBILISI**

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

**ზურაბ ხონელიძე**-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**ავთანდილ ასათიანი-**პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანა-პრეზიდენტი

**ლია მენთეშაშვილი-**პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ლუბა ბიბილეიშვილი**-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადე-მიკოს-მდივანი

**ინდირა ძაგანია**-პროფესორი,საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

## სარედაქციო საბჭო

**ზურაბ ხონელიძე**-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდენტი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**ავთანდილ ასათიანი-**პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანა-პრეზიდენტი

**ლუბა ბიბილეიშვილი**-პროფესორი,საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადე-მიკოს-მდივანი

**ლია მენთეშაშვილი-** პროფესორი,საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ინდირა ძაგანია**-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ლევან ჯინჯიხაძე-**ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ნათელა მოსიაშვილი-**პროფესორი,საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ვაჟა გიგაური**-პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ლიუდმილა ბეჟენარუ - რუმინეთი** იასის უნივერსიტეტის პროფესორი

**ჟანა ტოლისბაევა - ყაზახეთის** ნაციონალური აკადემიის რექტორი

**ირინა კუდლინსკა** - **პოლონეთი**, ბიდგოშის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი

**მარია ხუანკალი** - **ესპანეთი**, ბასკეთის უნივერსიტეტის პროფესორი

**რობერტო რიჩი** - **იტალია**, ბოლონიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი

ISBN 978-9941-490-44-6

## CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE

**Zurab Khonelidze** - Professor, President of the Academy of Education Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University

**Avtandil Asatiani** – Professor, Copresident of the Academy of Education Sciences of Georgia

**Lia Menteshashvili-** Professor, Vice President of the Academy of Education Sciences of Georgia

**Luba Bibileishvili -** Professor, Academician-Secretary of the Academy of Education Sciences of Georgia

**Indira Dzagania -** Professor, Vice President of the Academy of Education Sciences of Georgia

## SCIENTIFIC – EDITORIAL BOARD

**Zurab Khonelidze** - Professor, President of the Academy of Education Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University

**Avtandil Asatiani** – Professor, Copresident of the Academy of Education Sciences of Georgia

**Luba Bibileishvili -** Professor, Academician-Secretary of the Academy of Education Sciences of Georgia

**Lia Menteshashvili**- Professor, Vice President of the Academy of Education Sciences of Georgia

**Indira Dzagania -** Professor, Vice President of the Academy of Education Sciences of Georgia

**Levan Jinjikhadze –** Associate Professor, Member of the Academy of Education Sciences of Georgia

**Natela Mosiashvili** - Professor, Member of the Academy of Education Sciences of Georgia

**Washa Gigauri**- Professor, Member of the Academy of Education Sciences of Georgia

**Ludmila Bejanaru** – Professor, Yass University

**Jana Tolisbaeva** – Rector of Kazakhstan National Academy

**Irina Kudlinska** – Poland, Professor, Bidgosh Economics University

**Maria Khuankali** – Spain, Professor, Basque country University

**Roberto Richie** – Head of the Department of Sociology,Universityof Bologna

# შინაარსი

**ზურაბ ხონელიძე** - გულისხმიერი, პრინციპული, მაღალი ზნეობის მოღვაწე.............. 8

ნათელა ვასაძე - საუკუნისკენ

**ნათელა ვასაძე** - მადლიერებითა ვარ აღვსილი ............................................................ 21

## I სექცია

### უმაღლესი განათლების ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

1. **პაატა ქურდაძე**, **თამარ რემიშვილი-**ქართული უმაღლესი განათლების მემკვიდრეობა და თანამედროვეობა ........................................................................................24
2. **გელა ცაავა** - ოკუპირებულ აფხაზეთში განათლების სისტემის მოდერნიზაციის ასპექტები .........................................................................................................................33
3. **ნატო ყრუაშვილი** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის შესწავლისათვის................................................................................................................40
4. **დავით ხუფენია-**ქრისტიანული პარადიგმის გავლენა ევროპის საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებაში.რომისა და ქართული ეკლესიის შედარებითი ანალიზი ..............46

## II სექცია

### უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა

1. **იმერი ბასილაძე, თამარ ღვინიანიძე-**პედაგოგიკური დისციპლინების სწავლების საკითხისთვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასწავლებლის მომზადების პრობლემები..........................................................................54
2. **მამული ბუჭუხიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე** ლექცია -დისკუსიის წარმართვა და ეფექტური რეაგირება დისკუსიისას .........................................................................61
3. **იაგორ ბალანჩივაძე -** გამოწვევები უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში.............................65
4. **დავით გურგენიძე, გელა ყიფიანი, გოჩა ბაძგარაძე ეთერ სურამელაშვილი -** საინჟინრო განათლება საქართველოში და მისი ძირითადი ამოცანები მექანიკის დარგში ................71
5. **ლალი ბოჭორიშვილი, მანანა თოფურია, მაკა ჯიშკარიანი-**უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ეკონომიკურ დისციპლინებში სტუდენტთა მომზადების თავისებურებანი.....78
6. **ყარამან ფაღავა, ირმა გ.კორინთელი -** Covid 19 პანდემია და უმაღლესი სამედიცინო განათლება..............................................................................................................................85
7. **მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე, ნინო ორჯონიკიძე-** თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის ურუნველსაყოფად ...........................................91
8. **ლევან ჯინჯიხაძე-** სტუდენტთა შემოქმედებითი აქტივიზაცია კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგიის საფუძველზე ....................................................................96
9. **აკაკი ზოიძე -** მომავალ პედაგოგთა მომზადება თხზულების სწავლებისათვის............103
10. **ლილი პეტრიაშვილი, ნანა ნოზაძე-** სწავლების და სწავლის ინოვაციური მეთოდები .........111

## III სექცია

### უმაღლესი განათლების თეორია

1. **ზურაბ ცუცქირიძე,ომარ ცხადაძე-**უმაღლესი განათლების თეორიის კონცეპტუალური პრობლემების ზოგიერთი აქტუალური საკითხი ..... 116
2. **მაკა ბერიძე, მერაბ ბერიძე -** მულტიკულტურული უმაღლესი განათლება და სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ..... 123
3. **ნანა გოგიჩაშვილი** - პირველკურსელების სასწავლო პროცესთან ადაპტაციის სოციალურ- ფსიქოლოგიური მახასიათებლები ..... 131
4. **ინეზა იამანიძე** - უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების მემკვიდრეობა და თანამედროვეობა..... 140
5. **ნოდარ ბარამიძე-** სუბიექტივაცია, მოტივი და ნებელობითი ქცევა ..... 147
6. **ნათელა მაისურაძე-**განათლების ფილოსოფია-ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი ..... 155
7. **ვაჟა დანელია-**უმაღლესი სკოლის ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პრობლემები და სპორტის ჟურნალისტიკა..... 160
8. **ლუდმილა ბეჟენარუ -** მასწავლებლის პიროვნება და საქმიანობა XXI საუკუნის უნარების დაუფლების კონტექსტში..... 166
9. **პჟემისლავ ზიულკოვსკი -** საოჯახო პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემები ..... 172
10. **მარინე აროშიძე, ინდირა ძაგანია -** უმაღლესი სკოლის ლინგვოდიდაქტიკა კულტურათაშორისი კომუნიკაციის ჭრილში..... 181
11. **ზურაბ ხონელიძე** - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისია. „ვისწავლოთ მშვიდობა“ ..... 187

C O N T E N T

**Zurab Khonelidze** - Natela Vasadze - An Empathetic, Principled Public Figure wiht High Morals Towards a New Centure ........ 15

**Natela Vasadze** – Grace of Mine ........ 22

## SECTION I

## Historical heritage of Georgian High Education and modernity

1. **PaataQurdadze, Tamar Remishvili** - Historical heritage of Georgian High Education and modernity ........ 24
2. **Gela Tsaava** - Aspects of Education System Modernization in Occupied Abkhazia ........ 33
3. **Nato Kruashvili** - To Study the History of Samtskhe-Javakheti State University ........ 40
4. **Daviti Khupenia** - The influence of the Christian paradigm in the formation of the Europeaneducational system. Comparative analysis of Roman and Georgian Church ........ 46

## SECTION II

## High School Didactics

1. **Imeri Basiladze, Tamar Gvinianidze**- Issues of Teaching Pedagogical Disciplines at Kutaisi Akaki Tsereteli State University and Teacher Training Problems ........ 54
2. **Mamuli Buchukhishvili, Teimuraz Giorgadze** - Conducting a lecture-discussion and respond effectively during the discussion ........ 61
3. **Iagor Balanchivadze** - Challenges in High School Didactics ........ 65
4. **Lali Bochorishvili, Manana Topuria, Maka Jishkariani** - Features of Preparing Students in Economic Disciplines in Higher Technical Schools ........ 71
5. **David Gurgenidze, Gela Kipiani, Gocha Badzgaradze, Eter Suramelashvili** - Engineering education in Georgia and its main tasks in the field of mechanics ........ 78
6. **Karaman Pagava, Irma G. Korinteli** - COVID 19 pandemic and high medical education ........ 85
7. **Maia Akhvlediani, Lali Abdaladze, Nino Orjonikidze** - To ensure the quality of teaching in modern higher education institutions ........ 91
8. **Levan Jinjikhadze** - Creative Activation of Students Based on the Technology of Specific Situations ........ 96
9. **Akaki Zoidze** - Future Teachers' Training for Teaching Essays ........ 103
10. **Lily Petriashvili, Nana Nozadze** - Innovative methods of teaching and learning ........ 111

SECTION III

## Theory of Higher Education

1. **Zurab Tsutskiridze, Omar Tskhadadze**- Some of the conceptual problems of higher education theory current issue ........ 116
2. **Maka Beridze, Merab Beridze** - Multicultural Higher Education and Samtskhe-Javakheti State University........ 123
3. **Nana Gogichashvili** - Adaptation of freshmen to the learning process. Socio-psychological characteristics ........ 131
4. **Ineza Iamanidze** - Heritage and Modernity of High Schools and Secondary Schools .... 140
5. **Nodar Baramidze** - Subjectivity, motive and volitional behavior ........ 147
6. **Natela Maisuradze** - Education Philosophy - Maximum of human abilities........ 155
7. **Vaja Danelia** - High School Physical Education Modern Problems and Sports Journalism........ 160
8. **Bejenaru Ludmila** - The personality and activities of the teacher in the context of mastering the skills of the 21st century........ 166
9. **Przemislav Siolkovsky** - Challenges of contemporary family pedagogy........ 172
10. **Marine Aroshidze, Indira Dzagania** - Linguodidactigs of higher scool in the light of intercultural communication ........ 181
11. **Zurab Khonelidze** - University Educational Misson “Learn Peace”........187

# გულისხმიერი, პრინციპული, მაღალი ზნეობის მოღვაწე ნათელა ვასაძე-საუკუნისკენ

ქალბატონს, რომლის ნამოღვაწარს ბევრ ვაჟკაცთან შერკინება შეუძლია; ქალბატონი, რომელიც როგორც შვილი, მეუღლე, ოჯახის დედაბოძი, ტკბილი ბებია, მოღვაწე და მეცნიერი ქართველ ქალთა ეტალონად მიგვაჩნია.

მადლიერნი და ამაყნი ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ორი შვილის დედას, 5 შვილიშვილის ბებიას, 7 შვილთაშვილის დიდ ბებოს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს განათლების აკადემიის საპატიო პრეზიდენტს აკადემიკოს ნათელა ვასაძეს დღეს - 1 აგვისტოს 90 წელი უსრულდება.

ნათელა ვასაძე 1930 წლის 1 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. იგი ულამაზეს სოფელ ფარცხანაყანევში იზრდებოდა და მშრომელი ხალხის გარემოცვაში გატარებულმა ბავშვობამ, ხალასმა გარემომ ჩაუნერგა მას ისეთი თვისებები, როგორებიცაა შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, კაცთმოყვარეობა და პასუხისმგებლობა.

სამხედრო ოფიცრის ოჯახის შვილის ცხოვრებას ყოველთვის ახლდა სირთულეები - საცხოვრებელი ქალაქებისა და სკოლების ხშირი ცვლა. ჩვენმა იუბილარმა სწავლა ქუთაისში დაიწყო, თბილისში განაგრძო და ბათუმში დაასრულა. მან 1949 წელს მე-8 ქართულ-რუსული საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით მისაღებ გამოცდებზე მომხდარ ერთ ცნობილ ინციდენტს, რომელმაც ბევრად განაპირობა ნათელა ვასაძის მომავალი როგორც სწავლის, ისე ცხოვრების თვალსაზრისით.

პირველსავე გამოცდაზე ის მოსწავლის ფორმითა და დიდი ბაბთით გამოცხადდა. შენიშვნა არავის მიუცია. წერას რომ ამთავრებდა, ამ დროს აუდიტორიაში სამი პიროვნება შემოვიდა. ერთმა მათგანმა - მაღალმა მამაკაცმა გადახედა აბიტურიენტებს და მზერა გამიზნულად ნათელა ვასაძეზე შეაჩერა. მერე მის ზურგს უკან დადგა. გოგონა მიხვდა, რომ ის კაცი მის ნაწერს კითხულობდა. უეცრად უცნობმა საკმაოდ ხისტად ჰკითხა - შენ ხომ სკოლა დაამთავრე, ფორმით რატომ ხარ, არ შეიძლებაო. გაოცებულმა აბიტურიენტმა იმავე ტონალობით უპასუხა - სად წერია, რომ არ შეიძლება?! საუბარიც ამით დასრულდა. თურმე ეს კაცი დიდი ნიკო კეცხოველი ყოფილა.

ნათელა ვასაძემ ყველა გამოცდაზე მაღალი შეფასებები დაიმსახურა და პირველ კურსზე ჩაირიცხა. სწავლის დაწყების მესამე დღეს იგი ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თინა მრევლიშვილმა დაიბარა - რექტორთან უნდა შევიდეთო. გამოცდაზე მომხდარი ინციდენტის გარდა, სტუდენტმა ვერაფერი გაიხსენა შეხვედრის მიზეზად.

კაბინეტში რომ შევიდნენ, ნიკო კეცხოველმა სტუდენტობა მიულოცა, დაწვრილებით გამოჰკითხა ბიოგრაფია და შემდეგ დასძინა - იცი, შენ მართალი იყავი, მართლაც, არსად წერია, რომ სკოლის ფორმით უმაღლესი სკოლის გამოცდაზე მოსვლა არ შეიძლება. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდების გარეგნულ იერზე.

მალე უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართა. კომიტეტის 17 წევრს შორის პირველკურსელი ნათელა ვასაძეც აღმოჩნდა. მდივნად ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი თემო ბადურაშვილი აირჩიეს, პირველ მოადგილედ - ნათელა ვასაძე. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს თვით რექტორის ინიციატივით მომხდარა. და ეს არ ყოფილა ამ ღირსეული მამულიშვილის ნიჭიერ ახალგაზრდებზე ზრუნვის პირველი მაგალითი. ვინ იცის, ბატონ ნიკოს რამდენი სტუდენტის ცხოვრება წარუმართავს სწორი გზით, რამდენი ადამიანის ნათლია გამხდარა...

ნათელა ვასაძემ 1954 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა. ამ დროს იგი უკვე გახლდათ არჩეული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად სკოლების დარგში. ყოველდღიური დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, უშრეტი ენერგიის წყალობით ბევრს ასწრებდა, უამრავ სირთულეს უმკლავდებოდა, თანაც 1953 წელს ოჯახი შექმნა - ცოლად გაჰყვა გუგული დანელიას, „მეგრელების საქმის" გამო დასაჭერად გამზადებულს, მომავალში ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს.

იქნებ დღევანდელი გადასახედიდან ვინმემ მიუღებლად მიიჩნიოს იუბილარის ქება მისი კომკავშირული საქმიანობის გამო, რაც არ იქნება მართებული, რადგან ეს ის წლებია, როცა ქალბატონმა ნათელამ თავის ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, თავდადებული შრომით, ნიჭით, კაცთმოყვარეობით მრავალი სიკეთე შემატა სამშობლოსა და ქვეყნის ავტორიტეტს. საგულისხმოა, რომ 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენებისას ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერები მომიტინგე ახალგაზრდობას გვერდში ედგნენ . შემდეგ იყო , ქართველი ახალგაზრდების უდიდესი გამარჯვებების წლები ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც „ქართული ქორწილის" დაუვიწყარი დიასახლისი ნათელა ვასაძე გახლდათ.

1958 წლის დასაწყისში საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს, მეორე მდივნად - ნათელა ვასაძე. რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივნად აირჩიეს და სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს. ამიერკავკასიიდან ასეთი პატივი მხოლოდ ქართველ ქალს ერგო და მას სტუდენტი ახალგაზრდობის საქმიანობის წარმართვა დაევალა. ქალბატონი ნათელაც მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმით, ენერგიითა და ერუდიციით შეუდგა საინტერესო, მაგრამ ურთულეს საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად ედო კოლეგიალობა, ურთიერთპატივისცემა და სამშობლოს , მშობლიური მიწის-საქართველოს ერთგულება . ყველაფერი ეს მალე მეგობრობაში გადაიზარდა და ნათელა ვასაძისა და გუგული დანელიას ბინის ხშირი სტუმრები იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ქართული სტუმარმასპინძლობით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და აქ,ამ ჭერქვეშ აღმოაჩინეს საქართველო.

1959 წელს პეკინში სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი ტარდებოდა. ნათელა ვასაძე 5-კაციანი საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელად დაამტკიცეს, მაგრამ მოულოდნელად საავადმყოფოში აღმოჩნდა. დელეგაცია უმისოდ გაემგზავრა. კონგრესმა გამონაკლისი დაუშვა და არსებობის მრავალწლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად ნ. ვასაძე კავშირის ვიცე პრეზიდენტად დაუსწრებლად აირჩია. ეს პატივი და სიამაყე, სამწუხაროდ, დიდმა ტრაგედიამ დაჩრდილა. პეკინიდან დაბრუნებული „ტუ 104" უამინდობის გამო მოსკოვმა ვერ მიიღო და თვითმფრინავმა გეზი სვერდლოვსკისკენ აიღო. აეროპორტში დაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე ის ჰაერში აფეთქდა და ყველა მგზავრი დაიღუპა. მათ შორის - კონგრესის დელეგაციის წევრები, რომელთა სიაშიც ნათელა ვასაძეც ეწერა.

1962 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქალბატონი ნათელასათვის. იგი მოულოდნელად ავად გახდა და გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. თბილისში დაბრუნებული ნ. ვასაძე მატარებლიდან საავადმყოფოში აღმოჩნდა. მკურნალობაც შედეგიანი გამოდგა. საინტერესო ფაქტია, რომ ავადმყოფი მოინახულა თსუ-ს პედაგოგიკის კათედრის გამგემ აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ და სრულიად მოულოდნელად სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა შესთავაზა. ბატონი დავითის არნახულმა გულისხმიერებამ და მონდომებამ ლოგინს მიჯაჭვულ ადამიანს სიცოცხლის სურვილი გაუჩინა.

მისი ხელმძღვანელობით დაამუშავა სადისერტაციო თემა - „აღმზრდელობითი მუშაობა ინტერნატში". ეს იყო სრულიად ახალი ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება ყოფილ საბჭოთა კავშირში, ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი მიზნებითა და ამოცანებით.

ეს საინტერესო ნაშრომი 1964 წელს დისერტაციად დაიცვა და წიგნად დაიბეჭდა. ეს იყო ნათელა ვასაძის პირველი მონოგრაფია, რომელშიც მან თსუ-ის პედაგოგიკის კათედრის ახალმა თანამშრომელმა სათანადო პასუხი გასცა იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ოჯახში აღზრდას ინტერნატში აღზრდა ჯობსო. ფაქტობრივად, ამგვარი „სიახლეებით“ დაიწყო ნგრევა იმ ფუძისა, რასაც ოჯახი, მისი სითბო და სიყვარული ჰქვია. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართველოს რეალობაში ინტერნატები საჭირო იყო მთიან რეგიონებში მოსახლეობის დასამაგრებლად. ეს განსაკუთრებულად არის დასაბუთებული ნაშრომში, თუმცა სწორედ ამის გაუთვალისწინებლობამ მოგვიტანა ასობით სოფლის სკოლის გაუქმება, თვით სოფლების დაცლა.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ წლებმა სწრაფად გაირბინა. ეს პერიოდი ქალბატონ ნათელასთვის არა მხოლოდ ავადმყოფობის დამარცხების, არამედ იმის დასტურიც იყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანზე ზრუნვა, ყურადღება, სიყვარული და მთავარი - ნებისყოფა, შინ თუ გარეთ. სწორედ ამით იყო განპირობებული ისიც, რომ ის 1969 წელს საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად აირჩიეს. 3 წელიწადი იმუშავა მან ამ ურთულეს და პასუხსაგებ ორგანოში, რომელსაც ერუდირებული, მაღალი ადამიანური თვისებებით გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე შალვა კიკნაძე ედგა სათავეში. სწორედ მისგან შეითვისა ის სამეურნეო და საფინანსო უნარები, რომლებიც მომავალ რთულ და დამოუკიდებელ საქმიანობაში დასჭირდა.

1972 წლიდან ნათელა ვასაძე თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. ეს იყო საქართველოს უმაღლესი სკოლის ისტორიაში პირველი ფაქტი - ქალი რექტორად. მან ამ თანამდებობაზე თითქმის 14 წელიწადი იმოღვაწა.

ქალბატონ ნათელას ცხოვრებაში დაიწყო არა მხოლოდ რთული შრომა, არამედ - ბრძოლა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და იმარჯვებს მისი ინტუიცია, შავის თეთრისგან გარჩევის უნარი. რამდენი ძალისხმევა და თეთრად გათენებული ღამეები დასჭირდა კოლექტივში კეთილი, მცოდნე და წმინდა ძალების ერთ მუშტად შესაკრავად. ასეთები კი უმრავლესობა იყო. სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობამ განაპირობა მასწავლებლის მომზადების ურთულეს საქმეში სისტემურობის მიღწევა, არა რომელიმე საგნის, მასწავლებლის, არამედ პიროვნების ფორმირება, აღდგენა იმ ტრადიციისა, როდესაც პედაგოგს მოძღვარს უწოდებდნენ, როდესაც მისი ავტორიტეტის საზომი იყო მაღალი პიროვნული თვისებები - მომთხოვნელობა და სიმკაცრე ეფუძნებოდა მის ცოდნას, მის მაღალ ადამიანობას. ასეთი მასწავლებლის მომზადებისთვის უამრავი სიახლე, სწავლების ფორმები თუ მეთოდები დაინერგა, მაგრამ მთავარ პრობლემად თავად საინსტიტუტო გარემო, ჩაცმის თუ ქცევის კულტურა, ინტერიერი, თვითშემოქმედება იყო. უტყუარ საშუალებად აღმოჩნდა საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, სადაც სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებოდნენ. ორპროფილიანი მასწავლებლის დიპლომს ემატებოდა ექთნის დიპლომი გოგონებისთვის, ხოლო ფიზმომზადებისა - ვაჟებისთვის.

განუმეორებელი სითბოთი და აღტაცებით იგონებდნენ კურსდამთავრებულები, როგორ აჰყავდათ პირველკურსელები ღამით მთაწმინდაზე ჩირაღდნებით და იაკობ გოგებაშვილის საფლავზე ფიცს დებდნენ, როგორი დაუვიწყარი იყო „შვილიშვილების დღე“ ინსტიტუტში, როცა შვილიანი სტუდენტები ბავშვებით, ოჯახით მოდიოდნენ სასწავლებელში და იქ საჩუქარი ხვდებოდათ. რა კარგი შრომითი სემესტრები ტარდებოდა საგარეჯოში და უამრავი სხვა ღონისძიება. რექტორს არწმუნებდნენ, რომ სასწავლებლის ეზოში, დერეფნებსა და აუდიტორიებში ვერ შეინარჩუნებდნენ ნარგავებს, მცენარეებსა თუ ყვავილებს. მაგრამ ქალბატონი ნათელა მართალი აღმოჩნდა - სტუდენტები და თანამშრომლები თავად უვლიდნენ ყველაფერს.

განსაკუთრებული იყო ინსტიტუტი 1985 წელს, დაარსების 50 წლისთავისთვის. რამდენი სასწავლო და სამეცნიერო კონკურსი, კონფერენცია, სპარტაკიადა თუ ოლიმპიადა მიეძღვნა ამ თარიღს. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამოზე ინსტიტუტის დროშა-

ზე „ხალხთა მეგობრობის ორდენი“ დააბნიეს. ეს ნამდვილად ღირსეული ჯილდო იყო, რადგან ინსტიტუტში ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ფაკულტეტებზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ამზადებდნენ.

ნათელა ვასაძის გულისხმიერებისა და ადამიანებთან დამოკიდებულების აღსანიშნავად ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: მისაღები გამოცდებისას აბიტურიენტი გოგონა, რომელსაც სამ საგანში მაღალი ნიშნები ჰქონდა მიღებული, მე-4 გამოცდაზე არ გამოცხადდა. დეკანი მისი სიიდან ამოღებას ითხოვდა, მაგრამ რექტორმა საქმის არსში გარკვევამდე ნება არ დართო. სპეცალური კომისიის წევრებმა გოგონას შინ მიაკითხეს. აბიტურიენტს მოულოდნელად დედა გარდაცვლია და წინა დღით დაუსაფლავებიათ. ქალბატონმა ნათელამ იმ გოგონას მშობლიური სითბო აგრძნობინა, გამოცდაზე დაუშვა და მერე სტუდენტობის წლებშიც არ აკლებდა ყურადღებას.

ასე ახალგაზრდებსა და თანამშრომლებზე ზრუნვასა და დიდ შრომაში გაილია წლები, თუმცა ჯერ კიდევ რამდენი რამ იყო გასაკეთებელი. თითქმის გადაწყდა ინსტიტუტის გვერდით მდებარე სახანძროს შენობის სასწავლებლისთვის გადმოცემის საკითხი, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მისი გაუქმება ფილარმონიის ახლომდებარეობის გამო თურმე არ შეიძლებოდა - წუთებით ყოფილა ყველაფერი გაანგარიშებული. არადა, დღეს ფილარმონია ისევ იქ არის, სახანძროს ადგილას კი დიდი სავაჭრო ცენტრი აშენდა.

ქალბატონ ნათელას გულისტკივილს მხოლოდ ეს ფაქტი როდი იწვევს: ინსტიტუტის საიუბილეოდ სხდომათა დარბაზის ერთ კედელს ხატვის კათედრის გამგის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ თემო თურმანიძის პანო - „გოგებაშვილი და დედა ენა“ ამშვენებდა. ავტორს, რომელიც შემდეგ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი გახდა, რამდენი უძილო ღამე დასჭირდა, რომ პანო საიუბილეოდ მოესწრო. „ახალ ეპოქაში“ ეს ნამუშევარი ნაკუწებად აქციეს და წყლიან სარდაფში ჩააგდეს, ინსტიტუტის შემოსასვლელში პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული საბჭოთა კავშირის 4 გმირის თეთრ მარმარილოში შესრულებული მემორიალი და მუზეუმი გაანადგურეს. დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ცივილიზებულ სამყაროში, სადაც უმაღლესი პედაგოგიური სკოლა აღარ არსებობს.

1975 წელს ნათელა ვასაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოთხი წლის შემდეგ პროფესორის წოდება მიენიჭა. 1979 წელს საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1989 წელს კი ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად, ხოლო 1999 წელს რუსეთის განათლების აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს.

რუსეთის განათლების აკადემიამ ქალბატონი ნათელა დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოს ს.ი. ბატიშჩევის მედლით დააჯილდოვა

1986 წლის 10 იანვარს ნათელა ვასაძე განათლების მინისტრად დაინიშნა. ეს უდიდესი პატივი და ნდობა იყო. მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, აღსავსე ძიებით, გარდაქმნათა სირთულეებით, წარმატებებითა და უდიდესი სურვილით - ქართულ ეროვნულ სკოლას ღირსეული ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემაში. წარმოუდგენლად რთული და მრავლისმომცველი იყო პრობლემები. თუ 1985 წელს სკოლადამთავრებულებზე 1000-ზე მეტი მედალი გაიცა, ვასაძის მინისტრობის პირველ წელს კი - მხოლოდ 36. „ნახევარი საქართველო მისაღებ გამოცდებზე გავანაწყენე, ნახევარი კი - მედლებზე“, - ამბობს ქალბატონი ნათელა. პრობლემების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით სამი საგანმანათლებლო უწყება - განათლების, უმაღლესი განათლებისა და პროფტექნიკური განათლების კომიტეტი ერთ სამინისტროდ გაერთიანდა. ვასაძე მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

1990 წლიდან, როდესაც ეროვნულმა ძალებმა საქართველოში ახალი ეპოქა დაამკვიდრეს, ქალბატონი ნათელა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების თავმ-

ჯდომარედ მუშაობდა, სადაც მანამდე საზოგადოებრივ საწყისებზე იყო არჩეული. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ისტორიაში მოხდა უმძიმესი ტრაგედია - ომი აფხაზეთში.

ერთ დღეს პედაგოგიურ საზოგადოებას მოაკითხეს აფხაზეთიდან დევნილმა მასწავლებლებმა, რადგან ყოფილი მინისტრის მხარდაჭერა არც ეეჭვებოდათ. საზოგადოებასთან შეიქმნა დევნილთა დახმარების შტაბი, ხელმძღვანელად გაგრის განათლების განყოფილების გამგე ბიჭიკო ჩაკაბერია დაინიშნა. დევნილთა მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს თბილისელმა განათლების მუშაკებმა, თავად მასწავლებლებმა, რომლებმაც ოტებულ კოლეგებს თავიანთი დატვირთვის ნაწილი დაუთმეს.

პედაგოგიურ საზოგადოებაში მუშაობის პარალელურად ნ. ვასაძე განაგრძობს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

აკადემიკოს ნათელა ვასაძის სამეცნიერო-პედაგოგიური ნამოღვაწარი და მაღალი პიროვნული თვისებები იმის საფუძველი გახდა, რომ იგი 1995 წელს დაფუძნებულ პედაგოგიურ (შემდეგ - განათლების) მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი, როგორც მეცნიერისა და ორგანიზატორის, თვალსაჩინო თვისებები. ნ. ვასაძის ხელმძღვანელობით ეს აკადემია ცოცხალი პედაგოგიური აზრის ნამდვილი გამაერთიანებელი გახდა. მის მიერ ჩატარებული საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე განიხილება განათლების აქტუალური საკითხები; მჭიდრო კონტაქტებია დამყარებული უცხოელ კოლეგებთან.

ეს ის წლებია, როდესაც ქვეყანაში ახალი წესწყობილება იკიდებს ფეხს და გაჩნდა ახალი მიდგომები, ნასესხები ტერმინოლოგია. ყოველივე ეს განსაკუთრებით შეეხო განათლებას და მიზნად დაისახეს მისი დეპოლიტიზაცია. ეს ტერმინი იქცა თვითმიზნად, ყოვლად გაუმართლებელ მოვლენად. ლაპარაკია იმაზე, რომ ამგვარი მიზანი აერიათ დეპარტიზაციაში, რადგან ქვეყნის განვითარების ისტორიულ ხედვაში ელემენტარულად განათლებულმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ თუ არ არსებობს მომავლის პოლიტიკა და იდეოლოგია, არ არის ჩამოყალიბებული მიზანი - ვის, როგორ და რისთვის ზრდიან, ის არშემდგარი სახელმწიფოა. საქართველოში დაწყებული განათლების რეფორმა თავიდანვე იყო განწირული, რადგან მისი სადავეები ხელთ ეპყრათ დარგის უცოდინარ პიროვნებებს. უფრო მეტი - განათლება აღარ განიხილებოდა როგორც დარგი, განსაკუთრებული სფერო; მისთვის კადრსაც აღარ ამზადებენ. თურმე ყველას შეუძლია მასწავლებლად მუშაობა, თუ ორ საგანმანათლებლო საგანს ჩააბარებს. განა არსებობს არასაგანმანათლებლო საგანი? როდესაც სკოლას „საჯარო" ჰქვია, ეს არა მხოლოდ უვიცობაა. განათლება საუკუნეებია არსებობს როგორც საერო და სასულიერო. სკოლა კი სახელმწიფო და კერძო (ისიც სახელმწიფო კონტროლით). როცა ლამაზი ქართული სიტყვა „საცდელი" შეცვალეს „საპილოტეთი", აკადემიის აღშფოთებით არავინ შეწუხებულა. როდესაც უკვდავ „დედა ენას" მოაცილეს „აი ია"და წიგნი დაიწყეს „აი მე-თი", ამგვარ დედა ენას სახელმწიფო პრემია მიანიჭეს, ხოლო მსოფლიოში წიგნისადმი მიძღვნილ პირველ ძეგლს მისი ავტორის მიერ შექმნილი ბრინჯაოს იის ბუჩქი საერთოდ გაუქრეს.

ვინ ან რატომ დამალა სახელწოდებები - პედაგოგიკა, ფსიქოლოგია?! ვფიქრობთ, უკვე გადაწყვეტილი იყო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების გაუქმება.

ასევე გაუმართლებელია საგანმანათლებლო სივრციდან არა მხოლოდ ტერმინ „აღზრდის" უგულებელყოფა თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და დღევანდელი განსაკუთრებული დანიშნულებით, არამედ თავად საქმისადმი დამოკიდებულება. განათლების აკადემიას და მის ხელმძღვანელობას ასევე მიუღებლად მიაჩნიათ ერთი ხელის მოსმით მეცნიერებათა ყველა კანდი-

დატის დოქტორის ხარისხთან გათანაბრება, ისევე როგორც საზოგადოებრივი აკადემიების წევრთა აკადემიკოსად გამოცხადება. ეს ხომ უცოდინრობაა, თუ უფრო მეტი არა.

აკადემიკოსი ნათელა ვასაძე 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია; საგაზეთო პუბლიკაციებსა და ინტერვიუებს ხომ თვლა არა აქვს. წლების განმავლობაში იგი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გახლდათ. მისი ნაშრომების უმრავლესობა ახალგაზრდობის აღზრდას და განათლებას ეხება. თუმცა მათ შორის მრავლად არის განათლების ერთიანი პრობლემების ამსახველი შრომები. მაგალითად, „პედაგოგიკის ისტორია“, რომელიც მხოლოდ რუსულიდან თარგმნილი არსებობდა, ვასაძის ინიციატივით, რედაქტორობითა და გარკვეული თავების ავტორობით 1986 წელს პირველად გამოიცა არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ასევე ვასაძის რედაქტორობითა და განსაკუთრებული ძალისხმევით 1987 წელს მოსკოვში რუსულად დაიბეჭდა „საქართველოს პედაგოგიური აზროვნების ანთოლოგია“.

ქალბატონ ნათელას ინიციატივით, დასაბუთებითა და კატეგორიული მოთხოვნით სამინისტრომ გადაწყვიტა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში იკითხებოდეს ახალი საგანი - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საფუძვლები“. მანვე შეადგინა საგნის პირველი პროგრამა და ლიტერატურის სია. ასეთი საგნის აუცილებლობას საფუძვლად დაედო განათლების აკადემიის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელმაც შემაშფოთებელი ვითარება გამოავლინა - არათუ სტუდენტებმა, არამედ მაგისტრანტებმა, მაძიებლებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ლექტორმაც არ იცოდნენ ზოგადადაც როგორც უმაღლესი განათლების, ასევე, საკუთარი უმაღლესი სასწავლებლის ისტორია, ვერ ერკვეოდნენ უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში.

აკადემიკოს ნ. ვასაძის პედაგოგიური შეხედულებები სრულად არის გადმოცემული სტუდენტებისთვის განკუთვნილ მის სახელმძღვანელოში „პედაგოგიკა“, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა და დღემდე დიდი პოპულარობითა და მოთხოვნით სარგებლობს.

განსაკუთრებული პატივი ერგო „საქართველოს განათლების მატიანეს“. იდეის ავტორი, მთავარი რედაქტორი და რამდენიმე თავის ავტორი გახლავთ ქალბატონი ნათელა ვასაძე. წიგნი ქართულ-ინგლისურ ენებზეა და თან უნიკალური ფოტოალბომი ახლავს. პედაგოგიკის დარგის მეცნიერთა არაერთი თაობის ოცნების წიგნის მეცნიერ-კონსულტანტია ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი. წიგნი აკადემიის ეგიდით გამოიცა. თუმცა მას ხელნაწერად დარჩენა ემუქრებოდა, რომ არა ისეთი მამულიშვილი, როგორიც არის „მაგთის“ ხელმძღვანელი გია ჯოხთაბერიძე, რომელმაც ეს ნაშრომი უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა და საჩუქრად გადასცა აკადემიას.

აკადემიკოს ნ. ვასაძის დაუღალავი გარჯა არაერთი საერთაშორისო, საკავშირო თუ საქართველოს ჯილდოებით აღინიშნა: 5 ორდენით, მრავალი მედლითა და სიგელით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიებით არის შეფასებული მისი ნაღვაწი; აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატად იყო არჩეული.

მოგეხსენებათ, თითოეულ ადამიანს აქვს ახლის, სიკეთის, უჩვეულო და ბევრი ფიქრის მისთვის განსაკუთრებული საოცარი შინაგანი შეგრძნება. ყოველივეს ამას თან ახლავს ღელვა, განცდა და შიშიც. ქალბატონ ნათელასთვის ამგვარ შეგრძნებებს კონკრეტული სახელიც აღმოაჩნდა - ღმერთთან მისვლა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. თანაც უკვე ასაკოვანი პიროვნებისთვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ცხოვრების მაღალზნეობრივი წეს-ჩვეულებები, შინაგანი სამყარო და არ გაგვიკვირდება, რომ ეს ყველაფერი ამგვარი ფაქტორების უცილობელი შედეგი იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი იუბილარისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი, როდესაც იგი, როგორც სამთავრობო დელეგაციის წევრი, პატრიარქის ინტრონიზაციას ესწრებოდა. სვეტიცხოვლის ტაძარი, ეზო და მიმდებარე ტერიტორიაც ხალხით იყო სავსე. მან, როგორც თავად

იხსენებს, პირველად ნახა ამდენი ბედნიერი და მოლოდინით აღტკინებული ერი და ბერი, გაახსენდა უსაყვარლესი მეგობრის - ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „მე ღმერთს ცაში არ ვეძებ, იგი ჩვენთან არის“.

წლების შემდეგ ახლად დაფუძნებულმა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ პირველი კონფერენცია - ახალგაზრდობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის პრობლემები საქართველოში - საპატრიარქოსთან ერთად მის ულამაზეს დიდ დარბაზში ჩაატარა. სწორედ აქ მოხდა იმ დროისთვის ერთობ უცნაური ფაქტი: მთავარმა მომხსენებელმა, აკადემიის პრეზიდენტმა ნათელა ვასაძემ სავსე დარბაზის თანდასწრებით აღსარება ჩააბარა მოძღვართა შორის უპირველესს - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და უღმერთობა მოინანია. გაოცებული დარბაზის თვალწინ უწმინდესი და უნეტარესი მომხსენებელთან მივიდა და დალოცა. ფეხზე მდგარ დამსწრეთა ოვაცია დიდხანს არ შეწყვეტილა.

განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს ნათელა ვასაძის მოღვაწეობა წლების განმავლობაში ქალთა საბჭოებში, გამორჩეულად - საერთაშორისო მასშტაბით.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ნათელა ვასაძის პიროვნებაში ბუნებრივად არის შერწყმული, ერთი მხრივ, ხელმძღვანელის პრინციპულობა და, მეორე მხრივ, კოლეგიალური გულისხმიერება, სითბო და თანადგომა. ქალბატონი ნათელა თავისი იერით, კდემამოსილებით, მაღალი ზნეობით, გონიერებით, განსაკუთრებული ორატორული ნიჭით ჭეშმარიტად ამშვენებს თანამედროვე საქართველოს. ერთხელ სიყრმის მეგობრის - საქვეყნოდ ცნობილი პოეტის შენიშვნაზე - ჭაღარას რატომ არ იღებავო, ქალბატონმა ნათელამ უპასუხა - ნახონ, რომ ჩვენი თაობის თავზე წისქვილის ქვამაც იტრიალა.

ამბობენ, კაცმა წინ უნდა გაიხედოს, მომავალზე იფიქროსო, მაგრამ უკან მიხედვაც აუცილებელი და საჭიროა. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც, თავის უკან მიბრუნების არ ეშინია. ამაყები ვართ, ასეთ პიროვნებათა თანავარსკვლავედში აკადემიკოს ნათელა ვასაძის სახელიც რომ ბრწყინავს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ვასაძისეული ღვაწლს ყოველთვის ჰქონდა მყარი საფუძველი - მშობლები და საკუთარი დიდი ოჯახი.

უფროსმა თაობამ - მარგალიტა და შალვა ვასაძეებმა ქვეყანას სამი შვილი აღუზარდეს - სამივე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და შემდეგ - აკადემიკოსი.

ქალბატონი ნათელას უფროსი ქალიშვილი მარიკა ცნობილი მხატვარი-ფლორისტია, მისი მეუღლე ზურაბ შხვაცაბაია საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსია; უმცროსი ქალიშვილი ირინე ბიოლოგია, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მისი მეუღლე გიორგი კარტოზია ნიჭიერი არქიტექტორია. ქალიშვილები დედას დიასახლისობაში ეჯიბრებიან მაგრამ, დედა ჯერჯერობით სჯობნით. მათი მაგალითით ცხოვრობენ და შრომობენ შვილიშვილებიც.

დარწმუნებული ვართ, წლების სიმრავლე მებრძოლ ქალბატონს ვერ შეაშინებს, უკან ვერ დაახევინებს და კვლავაც ჩვეული ენერგიით და ერთგულებით ემსახურებით საყვარელ საქმესა და თქვენს დიდ ოჯახს.

ჯანმრთელობას, სულიერ სიმხნევეს და ბედნიერებას ვუსურვებთ საამაყო იუბილარს.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სახელით -**
**პროფესორი ზურაბ ხონელიძე,**
**აკადემიის პრეზიდენტი**
**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**
**2020წ., №95(9021), 1-3 აგვისტო**

## NATELA VASADZE -
## AN EMPATHETIC, PRINCIPLED PUBLIC FIGURE WITH HIGH MORALS.
## TOWARDS A NEW CENTURY!

A woman, whose work can go up against the work of many men; a woman, who, as a child, a wife, a pillar of the family, a sweet grandmother, a public figure and a scientist, is considered a role model for Georgian women.

We are grateful and proud to announce to the society that the mother of two children, the grandmother of five grandchildren, the great-grandmother of seven great-grandchildren, Doctor of Science, Professor, Honored Scientist, Honorary President of the Georgian Academy of Education, Academician, Natela Vasadze turns 90 today.

Natela Vasadze was born on August 1, 1930 in the city of Kutaisi to the family of a military serviceman. She grew up in the beautiful village of Partskhanakanevi and spent her childhood surrounded by working people. The unalloyed environment instilled in her such qualities as diligence, honesty, philanthropy, and responsibility.

As a child of a military officer, her life has always been fraught with difficulties - frequent changes of cities and schools. Our Jubilee started school in Kutaisi, continued her studies in Tbilisi and graduated from school in Batumi. She graduated from the 8th Georgian-Russian High School in 1949. A few years later, she graduated from the Faculty of Philology of Tbilisi State University.

Probably, we can not ignore a memorable incident that took place during the entrance exams, which greatly conditioned Natela Vasadze's future both in terms of education and life.

She turned up to the first exam wearing the school uniform and a large ribbon. Noone gave a note. When she was finishing her writing, three people entered the auditorium. One of them - a tall man – cast an eye over the entrants and fixed his eyes on Natela Vasadze. He approached and stood behind her. The girl realized that the man was reading her writing. Unexpectedly, the stranger, with a harsh note in his voice, asked her: “You have already graduated from school. Why are you wearing the school uniform? It is not allowed.” The surprised entrant answered in the same tone: “Where does it say that it is not allowed?!” The conversation ended on this note. The stranger happened to be the great Niko Ketskhoveli.

Natela Vasadze obtained high grades in all exams and enrolled at the university. On the third day of her studies, she was called by the Dean of the Faculty, Professor Tina Mrevlishvili: “We need to see the Rector”. Other than the incident at the exam, the student could not recall anything as a reason for the meeting.

When they entered the office, Niko Ketskhoveli congratulated her on her becoming a university student, inquired about her biography and then added: “You know, you were right, indeed, nowhere is it written that one is not allowed to take university entrance exams wearing a school uniform. We need to think about the appearance of young people.

Soon the University Communist League Conference was held. Natela Vasadze, a freshman, was among the 17 members of the committee. Temo Badurashvili, a third-year student at the Faculty of Philosophy, was elected Secretary, and Natela Vasadze was elected First Deputy. As it turned out later, they were elected at the initiative of the rector herimself. And it was not the first example of his caring for the talented young people of the worthy homeland. Who knows, how many students’ lives Mr. Niko Ketskhoveli guided, how many people he has become a godfather to…

Natela Vasadze graduated from the university in 1954. By that time she had already been elected Secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia (Department of Schools). Despite

her busy schedule, she was able to cope with many hardships. In 1953, she started a family: she married Guguli Danelia, a future party and state figure, who was initially to be arrested in connection with the "Megrelians' case".

Maybe from today's point of view, it would be considered unacceptable to praise the Jubilee for her Communist activities, which would not be right, because these were the years when Ms. Natela Vasadze and her young friends, with their dedicated work, talent and philanthropy, had done many good deeds for the country and the country. It should be noted that during the tragic events of March 9, 1956 the leaders of the youth organization stood next to the young protesters. Then Thee were the years of the greatest victories of the Georgian youth at the International Youth Festival, where Natela Vasadze was the unforgettable hostess of the "Georgian Wedding ".

At the beginning of 1958, Eduard Shevardnadze was elected the First Secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia, and Natela Vasadze was elected the Second Secretary. A few months later, she was elected Secretary of the CEC of the Union Communist Party and transferred to Moscow to work. Only a Georgian woman from the Caucasus was given such an honor and she was instructed to lead the activities of student youth. Natela Vasadze, with her usual responsibility, enthusiasm, energy and erudition, embarked on an interesting but challenging activity based on collegiality, mutual respect and devotion to her homeland, her native land of Georgia. All this soon led to new friendships: representatives of different countries were frequent guests of Natela Vasadze and Guguli Danelia; the guests could not hide their admiration for the Georgian hospitality.

In 1959, the International Student Union Congress was held in Beijing. Natela Vasadze was approved as the head of the 5-member Soviet delegation, but she was unexpectedly hospitalized. The delegation had to leave for the Congress without her. The Congress made an exception, and for the first time in its many years of existence, the committee elected the Vice President of the Union, Natela Vasadze, in her absence. The honor and pride was, unfortunately, overshadowed by the great tragedy. Due to bad weaThe, Moscow could not accept the TU-104 returning from Beijing and the plane headed to Sverdlovsk. Minutes before landing at the airport, it exploded in the air, killing all the passengers on the board. Among them - members of the congress delegation, with Natela Vasadze included in the list of the passengers.

1962 turned out to be a particularly difficult year for Ms. Vsadze. She suddenly became ill and decided to return to her homeland. Upon her return to Tbilisi, Natela Vasadze was hospitalized from the train. The treatment was successful. It is an interesting fact that during her days in the hospital the Academician, Davit Lortkipanidze, the Head of the Department of Pedagogy at TSU, paid her a visit and offered her to partake in academic activities. Mr. David's unprecedented generosity and diligence recalled Natela Vasadze to life.

Under his supervision, she developed a dissertation topic - "Educational work in boarding schools". A boarding school was a completely new type of educational institution in the former Soviet Union, with yet fully unclear goals and objectives.

This interesting work was transformed into a dissertation, which was defended in 1964 and published as a monograph, which was Natela Vasadze's first of its kind. In her monograph, she, a new employee of the TSU Department of Pedagogy, gave an appropriate response to people who argued that being raised in a boarding school had more benefits than being raised in a family. In fact, such "news" began to destroy the very foundation of the family, its warmth and love. No less important was the fact that in the reality of Georgia boarding schools were needed to strengthen the population in the mountainous regions. This idea is particularly well-founded in the paper, although disregarding this idea led to the abolition of hundreds of rural schools and the evacuation of the villages.

Years passed quickly after her return from Moscow. The period was eventful for Natela Vasadze not only as the period of her winning the battle with her illness, but also a testament to the importance of caring for a person, attention, love and, most importantly, willpower, at home or abroad. This is why she became the secretary of the Georgian Trade Union in 1969. She spent three years working in the difficult and demanding agency, which was headed by an erudite, high-ranking figure Shalva Kiknadze. It was from him that she acquired the economic and financial skills she needed in her future difficult and independent activities.

In 1972  Natella Vasadze was elected the Rector of the Pushkin State Pedagogical Institute in Tbilisi. It was the first time in the history of the Georgian high school for a female to be elected a Rector. Natela Vasadze held this position for almost 14 years.

Ms. Natela Vasadze's life filled not only with hard work, but with struggle, in the literal sense of the word, and her intuition, the ability to distinguish black from white, won. How many efforts and nights it took for the team to gather the kind, knowledgeable and holy forces into one team. Such were the majority. Relying on these forces led to the achievement of systematicity in the most difficult task of teacher training, not just in the formation of a subject teacher, but a person, restoring the tradition when a teacher was called a teacher, when teacher's authority was measured by their high personal qualities - demand and rigor were based on their knowledge. Lots of innovations, forms or methods of teaching were introduced to prepare such a teacher, but the main problem was the institutional environment itself, proper attire and culture of behavior, the interior, and self-creation. The Faculty of Social Professions turned out to be an unmistakable tool, where students mastered various specialties. In addition to the two-profile teacher diploma, a nursing diploma was issued for girls and a physical education diploma - for boys.

With unparalleled warmth and admiration, the graduates recalled how they took the freshmen to Mtatsminda at night and swore at Iakob Gogebashvili's grave, how unforgettable the "Grandchildren's Day" was, when students came to the institute with children and families and discovered gifts waiting for them. What good labor semesters were held in Sagarejo and lots of other events. The rector was assured that plants and flowers could not be kept in the school yard, corridors and auditoriums. But Ms. Natela Vasadze was right: the students and staff looked after every plant and flower themselves.

The Institute's 50th anniversary, celebrated in 1985, was a special day in its history.  Numerous educational and scientific competitions, conferences, School Olympics and academic competitions were dedicated to this day. The Order of the Peoples' Friendship was hoisted on the flag of the institute on the anniversary evening at the Philharmonic Hall. It was a remarkable award, because the institute trained Georgian language and literature teachers at Georgian, Russian, Armenian and Azerbaijani faculties.

Natela Vasadze's generosity and attitude towards people can be vividly depicted in the following occurrence: during the entrance exams, an enrollee, who obtained high grades in three exams, did not make it to the last fourth exam. The dean demanded her removal from the list, but the rector did not allow it until the reason for her absence was identified. Members of the special commission visited the girl at home. It appeared that the enrollee's mother unexpectedly passed away and was buried the day before. Ms. Natela Vasadze treated the girl with warmth, let her take the exam, and then took care of her during her student years.

Many years of hard work and caring for young people and employees passed by, though there was still a lot to be done. It was almost decided to transfer the building of the fire emergency to the institute, but then it turned out that the location of the fire emergency building could not be changed to the proximity of the Philharmonic – in case of emergency the fire brigade had to get to location in minutes. However, today the location of the Philharmonic is unchanged, while a large shopping center is located on the site of the fire emergency building.

But Natela Vasadze's heartache was caused not by the abovementioned fact: one of the walls of the conference hall of the institute was decorated with a panel by Temo Turmanidze, the Head of the Department of Painting, the State Prize Laureate - "Gogebashvili and Mother Tongue". The author, who later became the laureate of the Gogebashvili Prize, took several sleepless nights to get the panel to celebrate the institute's anniversary. In the "New Era", the work was torn to pieces and thrown into a basement, destroying a white marble of four Soviet heroes at the entrance to the institute memorial and the museum. Today, Georgia is the only country in the civilized world where the higher pedagogical school no longer exists.

In 1975, Natela Vasadze successfully defended her dissertation for the degree of Doctor of Pedagogy. Four years later she was awarded the title of professor. In 1979, she was elected a Corresponding Member of the Academy of Pedagogical Sciences of the Soviet Union; in 1989, she was elected a full member – Academician of the Academy of Pedagogical Sciences of the Soviet Union, followed by a title of a foreign member of the Russian Academy of Education in 1999.

On the occasion of Ms. Natela Vasadze's the 90th anniversary, the Russian Academy of Education awarded her with the Academician Batishchev Medal.

On January 10, 1986, Natela Vasadze was appointed Minister of Education. It was a great honor and trust. A new stage in her life began, full of search, transformation difficulties, successes and a great desire for the Georgian National School to occupy a worthy place in the world education system. The problems were incredibly complex and multifaceted. If in 1985 more than 1000 golden medals were awarded to school graduates, and in the first year of Vasadze's ministry this number went to 36. "I annoyed half of Georgia on the entrance exams, and half - on the golden medals," said Ms. Natela Vasadze. The number of problems has increased significantly since the government decided to merge the three education agencies - the Committee on Education, Higher Education and Vocational Education - into one ministry. Vasadze has been appointed First Deputy Minister.

Since 1990, when the national forces ushered in a new era in Georgia, Ms. Natela Vasadze has served as chair of the Iakob Gogebashvili Pedagogical Society of Georgia, where she had previously been elected on a public basis. This is the period when the worst tragedy in the history of Georgia took place - the war in Abkhazia.

One day, IDP teachers from Abkhazia visited the pedagogical community because they did not doubt the support of the former minister. The IDP Assistance Headquarters was set up with the public, and Bichiko Chakaberia, Head of the Gagra Education Department, was appointed the Head. Education workers of Tbilisi, the teachers themselves, paid great attention to the IDPs, devoting part of their workload to their colleagues.

In parallel with working in the pedagogical community, N. Vasadze continues her scientific-pedagogical activity at Tbilisi State University and Iakob Gogebashvili Pedagogical Scientific Research Institute.

Academician Natela Vasadze's scientific and pedagogical achievements and high personal qualities became the basis for her being elected President of the Academy of Pedagogical (then - Education) Sciences, founded in 1995. The position once again revealed her remarkable qualities as a scientist and organizer. Under Ms. Natela Vasadze, the Academy has become a true unifier of living pedagogical thought. Topical issues of education are discussed at the international and republican scientific-methodological conferences held by her; close contacts are established with foreign colleagues.

These are the years when a new institution in the country is gaining ground and new approaches, borrowing terminology have emerged. Special attention was paid to education and its depoliticization. The term has become an end in itself, a completely unjustified event. It is said that the aim of depoliticization was mixed with deportation, because a leader with an elementary historical vision of the country's development should know that if there is no future policy and ideology, there is no set goal about whom, how and for what is to be raised - it is a failed state. The education reform that started in Georgia was doomed

from the very beginning, because its reins were in the hands of ignorant people in the field. Moreover, education was no longer considered a field, a special field; no personnel were prepared for the inexistent field. It turns out that anyone can work as a teacher if they pass two educational subjects. Is there a non-educational subject? When a school is called "public", it is not just an indicator of ignorance. Education has existed for centuries both secular and theological, whereas school has always been state and private (also under state control). When the beautiful Georgian word "trial" was changed to "pilot", no one was bothered by the anger of the Academy. When the words "ია ია" (Eng. *"This is a violet"*) were removed from the immortal "დედა ენა"(*"Deda Ena"*) and substituted with "ია მე" (Eng. *"This is me"*). This version of "Deda Ena" was awarded the state prize and the bronze violet bouquet was erased from the first book-dedicated monument in the world.

Who or why hid such titles as Pedagogy or Psychology? We think, it had been already decided to abolish the Dimitri Uznadze Psychology Scientific Research Institute and Iakob Gogebashvili Pedagogical Scientific Research Institute.

It is also unjustified not to neglect the term "upbringing" from the educational field, not only because of its historical significance and its current special purpose, but also because of its attitude towards work. The Academy of Education and its leadership also consider it unacceptable to equate all candidates of science with doctoral degree holders, as well as to declare members of public academies academicians. This is ignorance, if not more.

Academician Natela Vasadze is the author of more than 130 scientific papers, as well as uncountable newspaper publications and interviews. Over the years she has been the organizer and leader of scientific conferences. Most of her works are related to the upbringing and education of the youth. Many of these works address the common problems of education. For example, "History of Pedagogy", at the initiative of Natela Vasadze was first translated into Georgian and published in 1986. In 1987, as a result of Natela Vasadze's immense efforts, "Anthology of Georgian Pedagogic Thinking" was edited and published in Russian in Moscow.

At the initiative, justification and categorical request of Natela Vasadze, the Ministry of Education decided to introduce a new subject "Fundamentals of High School Pedagogy" in all higher education institutions of Georgia. Natela Vasadze personally compiled the first program of the subject and a list of literature. The need for such a subject was based on a survey conducted by the Academy of Education, which revealed a disturbing situation - not only students, but also graduate students, researchers and, unfortunately, some lecturers did not know the history of higher education and their own higher education institution, did not understand higher education didactics.

Academician N. Vasadze's pedagogical views are fully conveyed in her textbook "Pedagogy" for students, which was published in 2000 and is still very popular and in demand.

Special honor was paid to the "Georgian Education Chronicle". The author of the idea, the editor-in-chief and the author of several chapters is Natela Vasadze. The book is published in Georgian-English languages and is accompanied by a unique photo album. The Vice-President of the National Academy, Academician Roin Metreveli, is a scientific consultant to the dream book of several generations of pedagogical scientists. The book was published under the auspices of the Academy. However, there was a threat for the work to remain a manuscript, if not for such a patriot as Gia Jokhtaberidze, the head of Magti, who published the work at the highest polygraphic level and donated it to the Academy.

Academician N. Vasadze's tireless work has been celebrated with numerous international, Union and Georgian awards: five orders, numerous medals and diplomas, Akaki Tsereteli and Iakob Gogebashvili awards among them prove her long-time merits. It is noteworthy that she was elected as a member of the Supreme Council of Georgia in four convocations.

Every person possesses an amazing feeling of newness, kindness, unusual and deep thinking that is specific to them only. All this is accompanied by anxiety, feeling and fear. For Ms. Natela Vasadze, such feelings also had a specific name - coming to God. It was not an accident, especially, for an elderly person. We must take into account the high moral customs of her life, the inner world, and we should not be surprised that all this was an inevitable result of these factors.

Not of less importance is December 25, 1977, when Natela Vasadze, as a member of a government delegation, attended the enthronement of the Patriarch. The Svetitskhoveli temple, the yard and the surrounding area were also full of people. As she recalls, it was the first time she witnessed such a happy and excited nation and monks; she remembered the words of her beloved friend, Nodar Dumbadze: "I do not seek God in heaven, he is with us."

Years later, the newly established Academy of Pedagogical Sciences held its first conference “Problems of Spiritual and Moral Education of Youth in Georgia” together with the Patriarchate in its beautiful Great Hall. This is where a peculiar fact took place: the main speaker, the President of the Academy, Natela Vasadze, in the presence of all the attendees, made confession to the first among the priests - the Catholicos-Patriarch of Georgia and repented of her atheism. In front of the astonished hall, His Holiness and Beatitude approached the speaker and blessed her. The standing ovation lasted not a few minutes.

Natela Vasadze's years-long work in women's councils, especially international ones, deserves special appreciation.

It is impossible not to mention that Natela Vasadze's personality is naturally combined, on the one hand, with the principle of leadership and, on the other hand, with collegial kindness, warmth and support. Ms. Natela Vasadze truly glorifies modern Georgia with her looks, beauty, high morals, wisdom, special oratorical talent. Once, on the remark of her childhood friend - a well-known poet - why she does not dye her grey hair, Ms. Natela Vasadze answered: “Let them see that the millstone has hovered over the heads of our generation.”

It is said that a man should look ahead and think about the future, but looking back is also necessary and important. Happy is the man who is not afraid to look back at his past. We are proud that the name of Academician Natela Vasadze shines in the constellation of such persons.

The presented merits of Vasadze have always had a solid foundation - parents and a large family.

The older generation - Margalita and Shalva Vasadze - raised three children for their country - all three of them earned doctor’s degrees, became professors and then academicians.

Ms. Natela Vasadze’s eldest daughter, Marika is a famous artist-florist, her spouse Zurab Shkhvatsabaia is an academician at the Engineering Academy. Ms Natela Vasadze’s youngest daughter, Irine is a biologist and holds a position of a Professor at the Georgian Technical University. Her spouse, George Kartozia is a talented architect. The daughters compete with the mother in housekeeping but, the mother still outclasses them. Her grandchildren also live and work by her example.

We are sure that the multitude years will not frighten a woman with a fighting spirit and will not be able to give in. We are sure you will continue to serve your beloved work and your big family with your usual energy and devotion.

We wish you health, spiritual courage and happiness on your proud jubilee.

**On behalf of the Georgian Academy of Educational Sciences**<br>
**Professor Zurab Khonelidze,**<br>
**President of the Academy**<br>
**newspaper “SAKARTVELOS RESPUBLIKA” 2020, №95(9021) August 1-3**

# მადლიერებითა ვარ აღვსილი

უპირველესად, თავს ვალდებულად ვთვლი და უდიდეს პატივად მივიჩნევ, კონფერენციის მონაწილეებს, მის ორგანიზატორებს გულწრფელი და უდიდესი მადლიერებით მოგმართოთ; ამავდროულად თითოეულ თქვენგანს, ყველას ერთად გაგიმხილოთ ჩემი მღელვარება, განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც ამგვარი დაფასებისთვის. ეს ხომ იმის მაუწყებელიც არის, რომ საზოგადოებას უბრუნდება მისთვის ჩვეული და აუცილებელიც - ერთმანეთზე ზრუნვის, ერთმანეთის მოფერების, უფროსი თაობის ნამოღვაწარის დაფასების მოთხოვნილება. ეს იმის საწინდარიცაა, რომ სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს. აბა, სხვა როგორ უნდა ავხსნა ის პატივი, რომ უმძიმესი პანდემიისას ჩემივე აღზრდილებმა და თანამოაზრეებმა ჩემი 90 წლის იუბილეს სამეცნიერო კონფერენცია უძღვნეს.

მერწმუნეთ, 90 წელი გასავლელად ძალიან გრძელია და ძნელიც, თანაც მაშინ, როცა საკმაოდ მძიმე ბავშვობა და ყრმობაც ძნელბედობისას გამოვიარე. ჩემი თაობისანი ხომ „ომის შვილები" ვართ. ჟამის შესაფერისად ჩემი 90-წლიანი ბიოგრაფიაც მრავლისმომცველი და მრავალფეროვანია. თუმცა მთავარი ის არის, რომ მინდა იცოდეთ, დღეს თქვენ მადლიერებით გესალმებათ და გლოცავთ ჭაღარა ქართველი ქალი, 7 შვილთაშვილის დიდი ბებო, რომელიც ვერცხლისფერი თმითაც ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მისი თაობის თავზე „წისქვილის ქვამაც იტრიალა".

მსურს, ისიც იცოდეთ, რომ თვით კონფერენციის თემა - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის პრობლემები" - შეირჩა ჩემი, როგორც იუბილარის, მოსაფერებლად, რადგან ჩემი მეცნიერული კვლევის განსაკუთრებული სფერო ყოველთვის იყო უმაღლესი სკოლა. მიზეზიც ასევე კონკრეტულია - 1972 წელს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნა. პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი დაუყოვნებლივ შევუდექი ჩემთვის ახალი საქმიანობის - უმაღლესი სკოლის წარსულისა და აწმყოს კვლევა-ძიებას, რათა სიღრმისეულად გამერკვია და უკეთ წარმემართა დიდი კოლექტივის ურთულესი გზა. სადოქტორო დისერტაციის თემად ავირჩიე „პედაგოგიური განათლება საქართველოში და მისი განვითარების თანამედროვე პრობლემები". სწორედ დიდმა გარჯამ და ძიებამ ღრმად დამარწმუნა იმაში, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული უმაღლესი სკოლა არა მხოლოდ თავის ისტორიულ ფესვებს ასცდა, არამედ მაშინდელი საბჭოთა კავშირისა თუ უკვე ხელმისაწვდომ საერთაშორისო გამოცდილებასაც ხშირად არასწორად ან საერთოდ არ იყენებდა. ეს ის წლებია, როდესაც ყოფილ საბჭოეთში, მათ შორის - საქართველოშიც, უმაღლესი სკოლის ავტორიტეტს ბევრი რამ უჭირდა არა მხოლოდ სპეციალისტის მომზადების, არამედ - განსაკუთრებით ზნეობრივი თუ მორალური თვალსაზრისით.

რამდენი ფიქრი, დაუღალავი შრომა, უძილო ღამეები და სიახლეთა მიგნება იყო საჭირო დროისთვის თვალის გასასწორებლად. მართებული აღმოჩნდა პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადის) პედაგოგიური ინსტიტუტის უმაღლესი განათლების პედაგოგიკის კათედრის ხელმძღვანელთან, პროფესორ ნიკოლაი ნიკანდროვთან დაკავშირება. იგი თბილისში მოვიწვიეთ და პირველს მას გავაცანით ჩვენი გადაწყვეტილება - საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროსთვის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ახალი სასწავლო საგნის - „უმაღლესი განათლების პედაგოგიკის საფუძვლების" შემოღება გვეთხოვა.

მზად გვქონდა საგნის სასწავლო პროგრამა სათანადო დანართებით, გაანგარიშებითა და, რაც მთავარია, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორთა თანხმობა. ცდას უკვალოდ არ ჩაუვლია - მართლაც, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოიღეს საგანი - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საფუძვლები", რომელიც თვით პედაგოგიკის სისტემურობაზე, მეთოდებსა და პრინციპებზეა დაფუძნებული. დიდი შრომით, ბრძოლითა და რუდუნებით მიღწეული ეს

დიდი და საჭირო საქმე დღეს, თუმც სამწუხაროდ, ზოგს აღარც კი ახსოვს - უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ეს არ არის მხოლოდ ერთ საგნთან დაკავშირებული პრობლემა. განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა დიდად გულსატკენი ვითარება - არათუ სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, არამედ მასწავლებელთა საკმაო რაოდენობას წარმოდგენა არ ჰქონდა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის პრობლემებზე, არ იცოდნენ საკუთარი სასწავლებლის ისტორიაც კი. ასეთი რამ დაუშვებელია, ეს არ უნდა ვაკადროთ ქვეყანას, რომელიც თავისი განათლებით, IV-XII საუკუნეების ფაზისის, გელათის, გრემისა და იყალთოს აკადემიებით, უმაღლესი რანგის მეცნიერთა მოღვაწეობით, მათი უკვდავი მემკვიდრეობით საუკუნეების მატიანეს ამდიდრებს. განა დასაშვებია, რომ არაფერი ვთქვათ წარსულზე, ჩვენი თანამედროვეების - ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, გიორგი თავზიშვილის, გიორგი ჯიბლაძის, რევაზ ნათაძის, დავით ლორთქიფანიძის, სერგო ჯორბენაძის, გურამ ჭილაშვილის, ლეგენდად შემორჩენილი რექტორების - პეტრე მელიქიშვილის, ნიკო კეცხოველის, ილია ვეკუას, ვანო სარიშვილის, იოსებ ბუაჩიძის ნამოღვაწარზე, ცოცხალ გზამკვლევად ქცეული აკადემიკოსების - როინ მეტრეველის და რისმაგ გორდეზიანის მემკვიდრეობას ვფლობდეთ და უმაღლეს სასწავლებლებში ბრმად გადმოგვქონდეს უცხოური გამოცდილება?!

დარწმუნებული ვარ, ჩვენი კონფერენცია გააზრებული და გაბედული პირველი ნაბიჯია ვითარების გამოსასწორებლად, ჩემთვის კი - უძვირფასესი საიუბილეო საჩუქარი.

უღრმესი მადლობა თითოეულ თქვენგანს, ყველას ერთად, ვისაც სწამს და სჯერა, რომ პედაგოგიკას, როგორც სიბრძნის წყაროს და მრავალსაუკუნოვან მეცნიერებას, ყველა შემადგენელი ნაწილით, მათ შორის - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკით, გაფრთხილება, გამდიდრება, სითბო და სიყვარული გააძლიერებს.

უსაზღვრო მადლიერებითა და დედაშვილური ლოცვით - იცოცხლეთ ჩემზე მეტი, იცხოვრეთ ჩემზე უკეთ.

**თქვენი 90 წლის ნათელა ვასაძე**

## I AM FILLED WITH GRATITUDE

First of all, I consider myself obliged and with the greatest honor to address you sincerely and with great gratitude to the participants of the conference and its organizers; At the same time, to each of you, I want to share all my excitement, a special responsibility for such appreciation. It is also a broadcaster that the society returns to its usual and necessary life - the need to care of each other, to appreciate the work of the older generation. It is also a worth to mention that kindness always wins. Well, how else can I explain the honor that during the worst pandemic time, my own educators and associates dedicated a scientific conference to my 90th anniversary.

Believe me, 90 years is very long and difficult to go through, even when you had a very difficult childhood and adolescence. After all, we are "children of war" of my generation. At the right time, my 90-year biography is also comprehensive and varied. However, the main thing is that I want you to know that today you are greeted with gratitude and congratulations by a retired Georgian woman, a great grandmother of 7 grandchildren, who with her silver hair confirms the truth that "a millstone was rolled" on her generation.

I would also like you to know that the theme of the conference itself - "Problems of High School Pedagogy" - was chosen to suit me on a jubilee, because a special field of my scientific research has always been high school. The reason is also specific - in 1972 Tbilisi I was Appointment as rector of the Pushkin State Pedagogical Institute. As a PhD and Associate Professor, I was immediately introduced to a new activity - researching the past and present of high school - to explore in depth the hard way of a great team. I have chosen "Pedagogical education in Georgia and modern problems of its development" as the topic of my doctoral dissertation. It was the great work and the search that deeply convinced me that the centuries-old Georgian high school not only had its historical roots, but also often raised professional future generation,. These are the years when in the former Soviet Union, including in Georgia, the authority of the high school had in many difficulties not only in the training of specialists, but also - especially in moral and ethical terms.

How many thoughts, hard work, sleepless nights, and finding the news was needed to correct the eye for current time being. It turned out to be appropriate to contact Professor Nikolai Nikandrov, the head of the Department of Higher Education Pedagogy at the St. Petersburg (then Leningrad) Pedagogical Institute. We invited him in Tbilisi and we were the first to inform him of our decision - we asked the Ministry of Higher Education in Georgia to introduce a new subject - "Fundamentals basics of Higher Education Pedagogy" in all higher education institutions.

We had prepared the subject curriculum with proper attachments, calculations and, most importantly, the consent of the rectors of almost all higher education institutions. The experiment did not go unnoticed - indeed, in almost all higher education institutions the subject - "Fundamentals basis of High School Pedagogy" was introduced, which iwas based on the systematics, methods and principles of pedagogy itself. This great and necessary work, achieved with great labor, struggle and rudeness, Today, many of these qualities are neglected.

This is not just a matter of one subject. A survey conducted by the Academy of Educational Sciences revealed a very difficult situation - not only students, masters and doctoral students, but also a large number of teachers had no idea about the problems of high school pedagogy, did not even know the history of their own school. That was unbelievable , it should not occured in a country where there was, the ancient academies of Phasis, Gelati, Gremi and Ikalto of the IV-XII centuries, the work of high-ranking scientists, their immortal heritage enriches the chronicle of the centuries. Is it unacceptable not to say anything about the past? And to blindly transfer foreign experience in our higher education ?!

I am sure that our conference is a thoughtful and courageous first step to clarify the situation an ongoing processes in educational system, and for me – it is precious anniversary gift.

Deepest thanks to each and everyone , all of you who believe that pedagogy is a source of wisdom and who believes that old science, high school pedagogy, will be strengthened by warm feelings and love.

With countless of gratitudes and motherly prayer - live more than me, live better than me

**Your's 90-year's -old Natela Vasadze**

# I სექცია

# უმაღლესი განათლების ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა


**პაატა ქურდაძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**თამარ რემიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი
საქართველო, გორი


## ქართული უმაღლესი განათლების ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენი ქვეყნის, როგორც პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, ისტორიულ მემკვიდრეობად უახლოეს პერიოდში უნდა ჩაითვალოს ყოფილი საბჭოთა უმაღლესი განათლების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა. მისი განხილვისას, რადგან უმაღლესი განათლება მჭიდრო კავშირშია საბაზო-საშუალო განათლებასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაწილობრივ მასაც შევეხოთ. საკითხის მოკლედ წარმოდგენისათვის განვიხილოთ საბჭოთა განათლების პლიუსები და მინუსები.

როგორც ყველა ისტორიულ ეპოქაში, კონკრეტული ესა თუ ის ქვეყანა თავის განათლების სისტემას აგებდა ქვეყნის მთავარი იდეოლოგიური მიზნების მიხედვით. მოგეხსენებათ ასეთ მთავარ იდეას საბჭოთა კავშირისათვის წარმოადგენდა ნათელი მომავალი – კომუნიზმი. ეს იდეა იყო განმსაზღვრელი პიროვნების აღზრდისა და ფორმირების სფეროში. ამ იდეას ექვემდებარებოდა სწავლება, როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული დისციპლინებისა, ასევე პატრიოტული, ინტერნაციონალური და მორალური აღზრდა. ექსპერტთა აზრით საბჭოთა სკოლის განათლების პლიუსებად შეიძლება შეფასდეს შემდეგი: { 4 }

- სწავლის მასიურობა, რომელიც მიახლოებული იყო 100% - თან;
- უფასო სწავლება ყველა საფეხურზე. სტიპენდიები უმაღლეს სკოლაში, რომელიც მიახლოებული იყო სპეციალისტის ხელფასის 30% თან;
- სწავლის მაღალი მოტივაცია;
- საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა, მომავალში აბიტურიენტთა ცოდნის მაღალი დონე;
- უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად მომავალი სტუდენტები აბარებდნენ წერით და ზეპირ გამოცდებს არჩეული სპეციალობის მაპროფილებელ საგნებში, რაც განაპირობებდა კონკრეტულ სპეციალობებზე მოტივირებულ და ნიჭიერ, სათანადო საბაზო ცოდნის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვას;
- უმაღლეს სკოლაში ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ფუნდამენტურ და თანამედროვე ცოდნის მიღებაზე. საკურსო გამოცდების ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტებს აკადემიური დავალიანების გამო უწყდებოდათ სტატუსი;

- მაღალი დონის საშუალო სპეციალური და ტექნიკური მომზადების დონე;
- მაღალი დონის, მსოფლიო სტანდარტებით ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის, მსოფლიოს მოწინავე სტანდარტების შესაბამისი მაღალკონკურენტუნარიანი უმაღლესი ტექნიკური განათლება;
- უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონე მიახლოებული 100%;
- უფასო არასასკოლო განათლება- პიონერთა სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, ახალგაზრდა ტურისტთა, ახალგაზრდა ნატურალისტთა და სხვა სკოლისგარეშე სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებანი;
- მსოფლიოში საუკეთესო სისტემა სპორტული აღზრდისა და განათლებისათვის;
- მოსწავლეთა შრომითი და სამხედრო პატრიოტული აღზრდა;

ეს ყველაფერი ხორციელდებოდა შემდეგი სასწავლო ორგანიზაციული ფორმით:

- ლექციების ჩატარება პროფესორებისა და დოცენტების მიერ;
- პრაქტიკული მუშაობის ჩატარება ლაბორატორიებში, კაბინეტებში, სახელოსნოებში, კლინიკებში, სკოლაში და ა. შ. კათედრების მიერ გამოყოფილი პროფესორებისა და დოცენტების ხელმძღვანელობით.
- სტუდენტთა საწარმოო და სასწავლო პრაქტიკა კათედრების მიერ გამოყოფილი პროფესორების ხელმძღვანელობით;
- სტუდენთტა დამოუკიდებელი მუშაობა;
- კონსულტაციები.

ამასთანავე მთელი უმაღლესი სკოლის მუშაობას საფუძვლად ედო საკურსო სწავლების სისტემა. ყველა ტიპის მეცადინეობაზე: ლექციებზე, სემინარებზე, ლაბორატორიულ სამუშაოებზე დასწრების აუცილებლობა. ყველა ამ სასწავლო ფორმებზე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას. შეფასების ძირითადი ფორმები იყო: სალექციო კურსისათვის გამოცდა, პრაქტიკულ მუშაობაში ჩათვლა. საგნობრივი კათედრა წარმოადგენდა უმაღლესი სკოლის ძირითად სასწავლო სამეცნიერო უჯრედს.

პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო მუშაობა აღიწერებოდა ეგრეთწოდებული კალენდარული გეგმით, ხოლო სამეცნიერო და ინდივიდუალური მუშაობა როგორც სტუდენტებთან, ასევე პროფესიული სრულყოფისათვის მიმდინარეობდა ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. პროფესორები და დოცენტები ანაზღაურების 60% -ს იღებდნენ სასწავლო-მეთოდური მუშაობისათვის, ხოლო ანაზღაურების 40% -ს სამეცნიერო და კვლევითი მუშაობისათვის. პრაქტიკაში იყო ასევე გარე დაფინანსებადი კვლევითი პროექტების შესრულება.

სტუდენტთა ოდენობა უმაღლეს სკოლაში განსაზღვრული იყო გეგმიურად განათლების სამინისტროს მიერ ქვეყნის, რეგიონის სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის მოთხოვნებთან შეთანხმებით და მასთან შესაბამისობაში. ეს უკანასკნელი თავიდანვე განაპირობებდა კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობას, რომელიც სწავლების ბოლო კურსის მეორე სემესტრში სრულდებოდა კურსდამთავრებულთა შრომითი განაწილებით.

უარყოფით მომენტებად საბჭოთა უმაღლესი განათლების სფეროში შეიძლება მოვიაზროთ შემდეგი:

- ჰუმანიტარული განათლების დაბალი დონე. საწავლო პროცესის პოლიტიზირება, თითქმის ყველა ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი სასწავლო საგნები გაჯერებული იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიებით;
- საბჭოთა პერიოდამდელი ისტორიის მუქ ფერებში წარმოდგენა და მორალური ორიენტირების გამრუდება;

- ისტორიული დოკუმენტების და საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა;
- მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის შეზღუდულობა;
- იდეოლოგიური ცენზურა;
- ლოგიკის სწავლების გარკვეული შეზღუდვა;
- რეპეტიტორთნ და სახლში სწავლების აკრძალვა;
- პროფესორ-მასწავლებელთა და უმაღლეს კურსდამთავრებულთა დაბალი ხელფასები პოსტსტალინურ საბჭოთა პერიოდში;
- ზედმეტად უნიფიცირებული და ცენტრალიზებული სასწავლო პროცესი;
- კრიტიკული აზროვნების არასაკმარისობა, რამაც გამოიწვია საზოგადოების ერთგვარი უსუსურობა ეფექტური წინააღმდეგობისა საინფორმაციო „ომში" ცხოვრების შემდგომი მოწყობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოკლედ გაგვეანალიზებინა პოსტსაბჭოთა ბოლონიის პრინციპამდელი ქართული უმაღლესი სკოლის პრობლემები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ძალიან დიდი რაოდენობის უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნა. მათი დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა უმაღლესი სკოლის მინიმალურ მოთხოვნებს. ეს პერიოდი გრძელდებოდა 2005 წლამდე, მანამდე სანამ საქართველო არ შეუერთდა ევროპის ბოლონიის პრინციპის უმაღლესი სკოლის ევროპული სივრცის ბოლონიის დეკლარაციის  ქვეყანათა რიგს, რის შემდეგაც უამრავ სოკოებივით ამოსულ უნივერსიტეტებს არ ჩაუტარდათ ატესტაცია და ავტორიზაცია, ხსენებული პრინციპიდან გამომდინარე უმაღლესი სკოლის მოთხოვნების მიხედვით. შედეგად ბევრი უნივერსიტეტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ასეთ მოთხოვნებს დაიხურა. დარჩენილმა უმაღლესმა სასწავლებლებმა 2005 წლიდან ხსენებული ბოლონიის პრინციპიდან გამომდინარე დაიწყეს უმაღლესი სკოლის პროგრამული მოდერნიზაცია.

ამასთანავე დაიწყო საშუალო სკოლის რეფორმა. რეფორმას წინ უძღოდა საქართველოს რესპუბლიკის „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცება, სადაც განსაზღვრული იქნა, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღვზარდოთ{ 1}. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნები, რა თქმა უნდა, ზოგადად მისაღებია, მაგრამ ჩვენი აზრით, დღევანდელი გადასახედიდან ეს მიზნები მოითხოვს გარკვეულ დამატებას და დაზუსტებას. კერძოდ, აქცენტი უნდა გაკეთდეს აღზრდის მიზნებზე ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა ქართველ განმანათლებელთა შეხედულებებზე ახალი ტიპის ქართველის აღზრდის შესახებ თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ეს საჭიროება არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს კონკრეტულად ჩამოყალიბებული ეროვნული იდეოლოგია, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს აღნიშნული მიზნები. რეფორმის შედეგად საშუალო სკოლებმა შეიცვალა სახელწოდება და გადაკეთდა სსიპ საჯარო სკოლებად, რაც არ შემოიფარგლა მარტო სახელის შეცვლით. სკოლის კურსიდან ამოღებულ იქნა ფიზიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა, სამხედრო პატრიოტული აღზრდა. ასევე შეიზღუდა ქართული ენის გრამატიკის სწავლება. ერთი პერიოდი არსებობდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები. ბოლო ორი წლის გამავლობაში ისიც გაუქმდა. შემოღებული იქნა თორმეტწლიანი სწავლება. სამწუხაროდ VII-კლასში მოსწავლეები თითქმის აღარ დადიან სკოლაში, მათ ამის დრო აღარ აქვთ. მათი დიდი უმრავლესობა, ანუ ის, ვინც აპირებს გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სკოლაში რეპეტიტორებთან დადიან იმ ცოდნის მისაღებად, რაც ვერ მიიღეს სკოლაში. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ აბიტურიენტთა 100% ემზადება რეპეტიტორებთან. ამასთანავე ყველაზე დიდ პრობლემად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ბოლო 17 წლის მანძილზე ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში აღარ მზადდება პედაგოგები, მასწავლებლები. გამონაკლისია მარტო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადება.

თუმცა, რეფორმას დადებითი მომენტებიც ახლავს. შეიცვალა შეფასების სისტემა. შემოღებულ იქნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელშიც უფრო გააქტიურდა მოსწავლე, ან შეიძლება ასე წარმოვადგინოთ ეს მომენტი. გაკვეთილზე გაიზარდა მოსწავლეთა აქტივობის დრო. აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ტრადიციული მასწავლებელი გადავიდა ფასილიტატორის როლში.

ზემოთ ხსენებული უმაღლესი სკოლის მოდერნიზაცია ბოლონიის პრინციპების შესაბამისად ცალსახად წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ისმის საკითხი, რამდენად იყო მზად ამისათვის ჯერ კიდევ განვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყანა იმ ეკონომიკურ და სოციალურ მოცემულობაში, რომელიც რეალობაში იყო? წარმატებით განეხორციელებინა ცვლილებები უმაღლესი სკოლის ფუნქციონირებაში ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ამ ასპექტის თვალსჩინოდ წარმოდგენისათვის მოკლედ მოვიხსენიოთ ის პრობლემები, რაც დღევანდელი ქართული უმაღლესი სკოლის სივრცეში შეინიშნება:

- უმაღლესი სკოლის კომერციალიზაციის შეუთავსებლობა ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ სოციალურ დონესთან (ფასიანი სწავლება);
- მიუხედავად 2005 წლიდან ჩატარებული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შედეგების, უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის მკვეთრი ზრდა, რასაც ვერ მიჰყვა უმაღლესი სკოლის პედაგოგთა, დოქტორანტთა მომზადების ხარისხობრივი მაჩვენებელი;
- სტუდენტთა ჰეტეროგენული მოტივაცია, ანუ თვისობრივად სხვადასხვა მოტივაციის სტუდენტების გაჩენა, რასაც მოჰყვა ისეთი უარყოფითი მოვლენა როგორიც არის „უსწავლელი სტუდენტი“;
- ფასიანი სწავლების რეჟიმში (ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა სახის მცირე სახელმწიფო დაფინანსებით) უმაღლეს სკოლაში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ უნივერსიტეტები იძულებულნი არინ შეინარჩუნონ ეგრეთწოდებული „გაუნათლებელი სტუდენტი“. ასეთი სიტუაცია სოციუმში, ქვეყანაში საფრთხეს უქმნის ინტელექტუალური პოტენციალის დონეს და იწვევს მის დეგრადაციას, რომლის პირველი სიმპტომები, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს;
- უმაღლესი სკოლის მასიურობა არ შესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს, ანუ უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმებულობა დიდად ჩამორჩება კურსდამთავრებულთა რაოდენობას. ეს უკანასკნელი შეიძლება გამართლებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავადგებოდით განათლების რეფორმის სინგაპურის მეთოდს, რაც ძირითადად გულისხმობს მთლიანი განათლების ძირეულ ცვლილებას უმაღლესი სკოლიდან სკოლამდელი საფეხურის ჩათვლით მაღალი ხარისხიანი ეფექტური სასწავლო ორგანიზებული მეთოდური ბაზის ფონზე მსოფლიო კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. მნიშვნელოვანია რეფორმა დაიწყოს მეცნიერების განვითარებით, რომ უმოკლეს ვადაში საქართველოში გაჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც შეძლებენ განათლება მისცენ მომავალ პროფესორ-მასწავლებლებს. ასევე უმნიშვნელოვანესია, კურსდამთავრებულთა დასაქმება, როგორც შიგა ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე, რასაც, როგორც ცნობილია სინგაპურმა მიაღწია განათლების მთავარ ეროვნულ ღირებულებად წარმოჩენის გზით;
- წინააღმდეგობანი უმაღლესი სკოლის ოპერატიულ და სტრატეგიულ მიზნებს შორის;
- წინააღმდეგობანი „სტუდენტ-პროფესორის „სისტემის მიზნებსა და ამოცანებს“ შორის;
- წინააღმდეგობანი სპეციალისტის ხარისხის შეფასებაში ტრადიციულ მიდგომასა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს შორის;

- წინააღმდეგობანი სპეციალისტისადმი წაყენებული შრომითი ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესორ-მასწავლებელთა მზაობის დონეს შორის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაში;
- წინააღმდეგობანი უმაღლეს სკოლაში თანამედროვე, ეფექტური მეთოდების დანერგვასა და არსებულ სასწავლო პროცესის ტრადიციულ სამეცნიერო სასწავლო -მეთოდურ სისტემას შორის;
- სადოქტორო პროგრამების გამარტივება და ზოგ შემთხვევაში არსებული პროგრამების შინარსობრივი დონის დეგრადაცია. კონკრეტიკისათვის საკმარისია ის ფაქტი, რომ პედაგოგიურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაში ამოღებულია პედაგოგიკის მეცნიერების ისეთი განუყოფელი სასწავლო კურსი, როგორიცაა პედაგოგიკის ისტორია. ასეთი პროგრამის ხელმძღვანელნი, სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებენ ხსენებული კურსის შინაარს. მათი მცდარი მიდგომით პედაგოგიკის ისტორია დაყვანილია კლასიკოსთა ბიოგრაფიულ მონაცემებზე. პედაგოგიკის ისტორია ეს არის კაცობრიობის, ცივილიზაციის განვითარების, პედაგოგიური აზრის ევოლუციის ისტორია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პედაგოგიკის მეცნიერების შესწავლა და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიის გააზრება;
- წინააღმდეგობანი ერთიანი ეროვნული საგამოცდო სისტემის მაპროფილებელი საგნების შერჩევასა და უმაღლესი სკოლის პროგრამებს შორის. კონკრეტიკისათვის მოვიყვანთ ასეთ პარადოქსულ შემთხვევას: პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებში ფიზიკის ნაცვლად ბარდება გეოგრაფია. ასეთ აბსურდს ალბათ მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით;
- წინაღმდეგობა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის/მართვის სპეციალისტთა პროფესიულ მომზადებასა და ხარისხის უზრუნველყოფის/მართვის შინაარსობრივ სპეციფიკას შორის. კოკრეტიზაცისათვის ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტთა დიდ ნაწილს არა აქვს სპეციალური განათლება განათლების მენეჯმენტში, ან თუ აქვს, აქვს სულ ცოტა პედაგოგიური განათლება.

რა თქმა უნდა, ბოლონიის პრინციპში ქართული უმაღლესი განათლების ჩართვა დადებითი მომენტია. ამ მხრივ ყოველ წელს იხვეწება მიდგომები. ასე მაგალითად:

ბოლო 10 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები უნივერსიტეტებში ფოკუსირდებოდა შემდეგ აქტივობებზე:

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება;
- უნივერსიტეტის რესურსების პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება;
- პროფესორ-მასწავლებლების მიღება/დაწინაურება;
- აკადემიური პერსონალის შეფასება;
- აკადემიური პერსონალის განვითარება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- სტუდენტების საგნებზე დარეგისტრირება;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- დიპლომის დანართის შევსება.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ძირითადი ფუნქციები უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგებას და სააკრედიტაციოდ მათ მომზადებას, სწორედ ამ კონტექსტში, ადამიანური და მატერიალური

რესურსების პროგრამასთან შესაბამისობის დადგენას. ინსტიტუციების უმეტესობას აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და სტუდენტთა გამოკითხვა, როგორც პროგრამის შეფასების მექანიზმები. იშვიათ შემთხვევებში გვხვდება აკადემიური პერსონალის კოლეგიალური შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ორიენტირებულნი იყვნენ პროგრამების ტექნიკურ გამართულობაზე, მათ შორის, სილაბუსებისა თუ სხვა დანართი დოკუმენტების სისწორესა და პროცედურულ შესაბამისობებზე, რაც იწვევს აკადემიური პერსონალის გარკვეულ გაღიზიანებას და ერთეულის მიმართ არაპოზიტიურ დამოკიდებულებას.

ყოველივე ზემოთქმულმა დაწესებულებები საბოლოოდ იმ რეალობის წინაშე დააყენა, რომ აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ჩამოყალიბდა სტერეოტიპები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიმართ, რის მიხედვითაც ამ უკანასკნელთ მიმართავდნენ მხოლოდ 5 წელიწადში ერთხელ პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ კანონში ჩანაწერის საფუძველზე იყო მართვის ორგანო.

მნიშვნელოვანია, განსაზღვრული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომელთა კომპეტენციები და მათი თავსებადობა არა მარტო ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებთან, არამედ საერთაშორისო სტანდარტებთანაც, ვინაიდან წინამდებარე ინსტიტუციები ამკვიდრებენ და ისინი უწყობენ ხელს ხარისხის კულტურის განვითარებას დაწესებულებასა და ქვეყანაში.

კანონიდან და ამ ერთეულზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები აღჭურვილი უნდა ყოფილიყვნენ ისეთი კომპეტენციებით, როგორიცაა:

- აკადემიური მუშაობის (სწავლება & სამეცნიერო კვლევა) გამოცდილება;
- სოციალური კვლევის მეთოდების ცოდნა;
- იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი.

იქიდან გამომდინარე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალებოდა მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელ საერთაშორისო ინსტიტუციურ ერთეულებთან კომუნიკაცია, უცხო ენის ცოდნა პერსონალისთვის ერთ-ერთ აუცილებელ კომპეტენციას წარმოადგენდა.

2015 წლიდან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შემოღებას თან მოჰყვა ისეთი საკითხების აქცენტირება, როგორიცაა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, პროცესებში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართვა, ინფორმაციის გაზიარება და ა.შ. ავტორიზაციის სტანდარტებში ცალკე სტანდარტი დაეთმო კვლევას, რამაც გაააქტიურა კვლევის დაგეგმვისა და შეფასების პროცესების პრიორიტეტიზაცია; ასევე, აქცენტირდა უნივერსიტეტის მესამე მისიის – საზოგადოების სამსახურის (Community Service) ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნული სტანდარტების დანერგვას შედეგად მოჰყვა მთელი რიგი ცვლილებები ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მიდგომებში. სულ უფრო არსებითი ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა კომპეტენცია, რაც უნდა შეესაბამებოდეს სამსახურის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ჩვენი აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგ მიმართულებებზე:

1. კვლევა (მათ შორის კვლევის სწავლებასთან ინტეგრაცია);
2. პედაგოგიური მეცნიერების (უმაღლესი სკოლის) ძირითადი, თანამედროვე კანონზომიერებანი;

3. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა (მათ შორის სწავლა/სწავლება, შეფასება, განვითარება და ა.შ.);

3. მესამე მისიის (საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი) ხარისხის უზრუნველყოფა;

4. ინსტიტუციური (პროცესების) ეფექტიანობის შეფასება;

5. პერსონალის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა (სახელმძღვანელოების მომზადება, ტრენინგების ჩატარება, ექსპერტების მოძიება/მოწვევა, ურთიერთშეფასების ორგანიზება და ა.შ.);

6. დაინტერესებული მხარეების პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა;

7. საჯაროობა.

უმაღლესი განათლების ანალიზისათვის ჩავატარეთ ფართო სპექტრის ანალიზი. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შორის გამოკითხვის შედეგები დავახარისხეთ მათი თვალით დანახულ პრობლემებად და მათ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებად:

**პრობლემები**:

- თანამედროვე ცოდნის ნაკლებობა, უახლესი კვლევის მიღწევების არცოდნა, კვლევით საქმიანობაში მწირი წვლილი, კვლევის მეთოდების არცოდნა;
- მომუშავე სტუდენტებისთვის არ იყო მორგებული სალექციო საათები;
- არა გამართული ონლაინ სწავლება;
- სახელმძღვანელოების ნკლებობა, გამოცდები წინასწარ შედგენილი ტესტების დაზეპირებით ბარდებოდა და რელურად არ ასახავდა ცოდანას;

1. სტუდენტთა ნაწილი ვერ ძლევდა უცხოენის ბარიერს. 2. მოწვეული ლექტორები იყვნენ ძალიან ცნობილი ორგანიზაციების თუ კომპანიების მმართველი რგოლები ან ტოპმენეჯმენტის წარმომადგენლები იყო, ლექციების გადატანის შემთხვევები უქმე დღეებში;

- საფასურის გადახდის პრობლემა;
- ბიუროკრატია;
- პრაქტიკას ეთმობა მცირე დრო;
- სტუდენტების გამორჩევა, ცხრილის უაზრო გადანაწილება;
- სასწავლო კურსი მოიცავდა ბევრ უინტერესო და არასაჭირო საგანს, რომელიც დამატებული იყო უბრალოდ კრედიტების რაოდენობის შევსების მიზნით;
- თეორიასთან ერთად პრაქტიკული სწავლების არარსებობა;
- ხშირად ცდებოდა ლექციები ლექტორების გადატვირთული გრაფიკის გამო;
- პრაქტიკული ცოდნის მიღების თითქმის არარსებობა;
- პროგრამა ხელოვნურად იყო გაწელილი, სჯობდა მეტი დრო ჰქონოდა პრაქტიკას, რომელსაც სტუდენტი საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე აირჩევდა და არა ლექტორის გადაწყვეტილების მიხედვით. არასწორმა პრაქტიკამ მოახდინა დემოტივაცია და არ იყო ეფექტური;
- პრაქტიკა იყო მხოლოდ ფორმალური მხარე და არ იძლეოდა საჭირო ცოდნას, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს;
- პირველ რიგში სწავლება არ იყო სტუდენტზე ორიენტირებული, ასევე სალექციო მასალები და თემები არ მოდიოდა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ერთწლიანმა პრაქტიკამ ნეგატიური გამოცდილების გარდა სხვა არაფერი შემატა;
- არ იყო ხარისხის სამსახურის მიერ სტუდენტთა გამოკითხვა სწავლის ხარისხის კვლევის კუთხით;

- ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო თეორიულ მეცადინეობებზე და პრაქტიკული სამუშაოები იყო ძალიან ცოტა;
- თეორიული და პარაქტიკული მეცადინეობების არაეფექტური შერწყმა;
- მოძველებული სწავლების სისტემა;
- სასწავლო მასალების მრავალფეროვნების ნაკლებობა;
- ზოგიერთი საგანი საერთოდ არ კონტროლდებოდა გამოცდების პერიოდში. ზოგიერთი ლექტორი ერთი დღით ადრე გვატყობინებდა გამოცდის შესახებ;
- სტუდენტებისთვის შეუფერებელი დროის გრაფიკი ნამდვილადი დიდი პრობლემა იყო.

**რეკომენდაციები**:

- ძირითადი რეკომენდაციები შეეხება სტუდენტის უფლებებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირღვეოდა;
- შეიძლებოდა უფრო თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება, ასევე თეორიაზე იყო აქ-ცენტი ძირითადად;
- მეტი დრო უნდა დაეთმოს პრაქტიკულდ დღევანდელ რეალობასთან მიახლოებულ სწავლე-ბას. მხოლოდ თეორიული სწავლა არაა საკმარისი;
- ლექტორების მხრიდან მეტი მობილიზება საორგანიზაციო საკითხებისა და საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული საკითხებისადმი. ზოგადად სტუდენტს აქვს უფლება იცოდეს ყველა დეტალი და გზადაგზა სწავლის პროცესში არ უნდა იგებდეს იმას, რაც სწავლების დაწყების წინ უნდა სცოდნოდა;
- რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა ლექტორებს, ასევე ზოგიერთი სასწავლო კურსის სემინარისა და ლექციისთვის განკუთვნილ დროს. მაგალითად, ერთ-ერთი ლექცია გრძელ-დებოდა 4 საათის განმავლობაში და მიმდინარეობდა მონოტონურად, რაც აბსოლუტურად არაეფექტური იყო. ასევე, მოგეხსენებათ მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშაობს, რაც ნაკლებად იყო გათვალისწინებული, რადგან ლექციები იწყებოდა 4 ან 5 საათზე;
- მეტი კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის;
- პროგრამის განახლება და მეტი პრაქტიკა;
- სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად მეტი რესურსის/შესაძლებლობის შექმნა. სწავ-ლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და სასწავლო კურსებში პრაქტიკული ნაწი-ლის გათვალისწინება სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სისტემური პრობლემების გაუმჯობესება;
- კარგი იქნებოდა თუკი პრაქტიკული ნაწილი პირდაპირ ორიენტირებული იქნებოდა ჩვენი განვითარებისთვის. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი პირ-დაპირ დაიწყო მუშაობა სტაჟიორობის პერიოდის გავლის გარეშე;
- საჭიროა სახელმძღვანელოების განახლება და საჭირო საგნებისთვის მეტი დროის დათმობა;
- მეტი პრაქტიკულები უკეთესი იქნება სტუდენტთა განვითარებისთვის;
- საჭიროა უფრო მეტი ლიტერატურა ქართულ ენაზე;
- კომფორტული გარემო სტუდენტებისთვის. შეფასების განაწილება უკეთესად;
- უფრო მეტი პრაქტიკული დავალებები;

- წიგნის (ბიბლიოთეკის) ფონდი იყო მწირი;
- მეტი პრაქტიკა;
- დამატებითი სემესტრის გავლისას და მობილობით ფაკულტეტის შეცვლისას სტუდენტთა მომსახურების სამსახური არ იყო მზად დაეკვალიანებინა სტუდენტები და შეეთავაზებინათ მათთვის შესაბამისი პროგრამა/ორგანიზება;

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე თანამედროვე უმაღლეს განათლებას საქართველოში, გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯებისა, აქვს მრავლობითი სახის პრობლემები. ეს პრობლემები ჩვენი აზრით პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ დღემდე არ გვაქვს ეროვნული იდეოლოგია, გეგმა თუ როგორ, სახელმწიფოს ვაშენებთ და აქედან გამომდინარე არ გვაქვს მკაფიოდ განსაზღვრული სწავლისა და აღზრდის პოლიტიკა. ამას თან ერთვის ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პრობლემები. ეს უკანასკნელი კი მოგეხსენებათ თავის დაღ ასვამს როგორც უმაღლესი განათლების, ასევე საერთოდ განათლების დღევანდელ რეალობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების „ შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N- 84 დადგენილება;
2. საგანმანათლებლო სტრუქტურების ერთიერთშერწყმა ევროპაში. უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში. W.W.W. unideusto.org. >stones>General Buchure Georgian.
3. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ნოემბერი, 2008წ.
4. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf 04.11.2020

   Советская школа. Бренд или миф. Мнения Экспертов /http:W.W.W. aif. By lsocial/science/ sovetskaya shkola brend ili vif mnenya ekspertov.


## რეზიუმე


სტატიაში განხილულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის სისტემის ძირითადი მომენტები, საშუალო სკოლის განათლებასთან ერთად, როგორც დღევანდელი ქართული სახელმწიფოს განათლების სისტემის ისტორიული მემკვიდრეობა. ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა განათლების სისტემის დადებით და უარყოფით მომენტებზე. ისტორიული მემკვიდრეობის მოკლე ანალიზის შემდეგ სტატიაში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა დროის თანამედროვე უმაღლესი განათლების პლიუსები და მინუსები საშუალო სკოლის თანამედროვე რეფორმასთან ერთად. სტატიაში მოყვანილია უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი, სადაც მოცემულია ძირითადად სტუდენტთა და უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა შეფასებები და რეკომენდაციები თანამედროვე ქართული უმაღლესი სკოლის დღევანდელი მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. სტატიის ბოლოს ავტორები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულობებს და რეკომენდაციებს თანამედროვე ქართული უმაღლესი სკოლის განვითარების შესახებ.



**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება, ისტორიული მემკვიდრეობა, თნამედროვეობა, საშუალო სკოლის განათლება.

PAATA QURDADZE
Associate professor
Gori State University

TAMAR REMISHVILI
PHD student of Georgian
Technical University
Georgia, Gori

# HISTORICAL HERITAGE OF GEORGIAN HIGH EDUCATION AND MODERNITY

## Summary

The article discusses the main moments of the Soviet High School System, along with Secondary School Education, as a historical heritage of the current Georgian State Education System. The focus is on the pros and cons of the Soviet Education System. After a brief analysis of the historical heritage, the article analyzes the pros and cons of modern Post-Soviet Higher Education with the modern reform of the high school. The article presents the survey results and analysis of high school graduates, which mainly provide comments and recommendations of students and high school graduates about the current situation of contemporary Georgian high school and its future enhancement perspectives. At the end of the article, the authors express their views and recommendations about the enhancement of modern Georgian High School.

**Key words**: High education, historical henitage, modernity, secondary school education.

ᲒᲔᲚᲐ ᲪᲐᲐᲕᲐ
აკადემიური დოქტორი,
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო , თბილისი,

# ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲔᲑᲘ

## ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ალსანიშნავია, რომ განათლებას ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა, დღეს სწრაფად ცვალებად სამყაროში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ხანაში, განათლების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინდუსტრიულიდან ციფრულ საზოგადოებაზე გადასვლამ და გლობალიზაციამ შეცვალა ხალხი და საზოგადოების ცხოვრება. თუ რამდენიმე ათეული წლის წინ ვცხოვრობდით პრინციპით ,,მარტივიდან რთულისაკენ“, დღეს ვცხოვრობთ ,,რთულიდან უცნობისაკენ“. მაღალი ტექნოლოგიების სწრაფად განვითარების პირობებში, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც მუდმივად უნდა ვისწავლოთ და განვვითარდეთ.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესმა გავლენა იქონია განათლებაზე. მათ მიგვიყვანეს განათლების მოდელის, სწავლების მეთოდების გადახედვამდე. ერთადერთი სამთავრობო დაწესებულება, რომელსაც შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მომავალი თაობის განათლებასა და აღზრდაში, არის განათლების სამინისტრო. ამიტომ, მან უნდა უპასუხოს მიმდინარე გამოწვევებს, იყოს მზად ცვლილებების მისაღებად და გახდეს ინოვაციების აქტიური გამტარებელი. აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში სწორედ განათლების ხარისხი ხდება წამყვანი ტენდენცია მსოფლიოს განვითარებაში. ამიტომ, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს შექმნას განათლების ოპტიმალური მოდელი. ოკუპირებული აფხაზეთიც არ უნდა იყოს გამონაკლისი.

აღსანიშნავია, რომ 1993 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში კონფლიქტის დასრულების შემდეგ ,,მთავრობამ'' მიიღო რუსულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე გადასვლის გადაწყვეტილება. თუმცა, დღეს როგორც თავად აფხაზები აღნიშნავენ, განათლების სისტემა რეგიონში საბჭოთა სისტემის დონეზეა. ცვლილებები ძალიან ნელა და მტკივნეულად ხორციელდება. ეს განპირობებულია სპეციალისტების ნაკლებობით განათლების დარგში და დაბალი მატერიალური ბაზით. თუმცა, რეფორმები ეტაპობრივად გრძელდება და იწყება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებით[1].

,,აფხაზური კანონმდებლობით", განათლებისა და სწავლების ,,ოფიციალური" ენა აფხაზური და რუსულია. თუმცა, ოკუპირებული აფხაზეთის სხვა ეროვნების „მოქალაქეს'' უფლება აქვს განათლება მშობლიურ ენაზე მიიღოს. „აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და ენის პოლიტიკის სამინისტრო" წარმოადგენს „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოს", რომელიც ატარებს „სახელმწიფო" პოლიტიკას და ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სფეროს მართვას ოკუპირებულ რეგიონში.

## 1. სკოლამდელი განათლება ოკუპირებულ აფხაზეთში

### 1.1 სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა და სტატისტიკა

აღსანიშნავია, რომ ,,აფხაზური მხარის" ინფორმაციით, 2010-2012 წლებში დაიწყო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღდგენის პროცესი[2]. განათლების სფეროზე გამოყოფილ იქნა ,,სახელმწიფო ბიუჯეტის'' დაახლოებით 47%, რამაც გაზარდა ბავშვებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობა. თუმცა, ოკუპირებულ რეგიონში დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება არასაკმარისი საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პრობლემა, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს საშუალო განათლების ხარისხზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში განათლების დარგში „სახელმწიფო პოლიტიკა'' დაფუძნებულია „აფხაზეთის რესპუბლიკის ძირითად საკანონმდებლო დებულებებზე'' - „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაზე", რომლითაც ადგილობრივებს განათლების მიღების უფლება ეძლევათ.

სკოლამდელი განათლება ოკუპირებულ აფხაზეთში 2-დან 5-წლამდე ბავშვების განათლებას-აღზრდას გულისხმობს. რეგიონში საბავშვო ბაღი არის „სახელმწიფო" ტიპის, თუმცა ოკუპირებულ სოხუმში ,,ლიცენზიის'' გარეშე ფუნქციონირებს კერძო ბაღებიც;

1 ოკუპირებულ აფხაზეთში განათლების დარგში „სახელმწიფო პოლიტიკა'' დაფუძნებულია „აფხაზეთის რესპუბლიკის ძირითად საკანონმდებლო დებულებებზე'' - „აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაზე", რომლითაც ადგილობრივებს განათლების მიღების უფლება ეძლევათ.

2 სკოლამდელი განათლება ოკუპირებულ აფხაზეთში 2-დან 5-წლამდე ბავშვების განათლებას-აღზრდას გულისხმობს. რეგიონში საბავშვო ბაღი არის „სახელმწიფო" ტიპის, თუმცა ოკუპირებულ სოხუმში ,,ლიცენზიის'' გარეშე ფუნქციონირებს კერძო ბაღებიც.

2016 წელს, ოკუპირებული აფხაზეთის ,,განათლებისა და მეცნიერების ექს-მინისტრ" ადგურ კაკობას[3] გაკეთებული განცხადებით, ოკუპირებულ რეგიონში 36 „სახელმწიფო" ბაღი ფუნქციონირებს. იგი აცხადებდა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ეს რაოდენობა საკმარისი არ არის და სიტუაცია გართულებულია ამ მხრივ არა მხოლოდ ოკუპირებულ სოხუმში, არამედ ოკუპირებულ გუდაუთასა და გაგრაში. კერძო ბაღების საქმიანობასთან დაკავშირებით კაკობა აღნიშნავდა, რომ არც ერთ კერძო საბავშვო ბაღს, რომელიც ოკუპირებულ სოხუმში ფუნქციონირებს, „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან" ე. წ. ლიცენზია არ მიუღია.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს ოკუპირებული გალის რაიონში, სულ რვა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებს. ოთხი მაღალ, ამდენივე კი დაბალ ზონაში. თუმცა, აღნიშნული რაოდენობა საკმარისი არ არის, რადგან საჭიროება გაცილებით მეტია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებული გალის რაიონის არც ერთ სკოლამდელ დაწესებულებაში (გალის (2), საბერიოს (2), მზიურის, ოქუმის, სიდის და ზემო ბარღების საბავშვო ბაღები) სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე დაშვებული არსად არ არის (ზურაბაშვილი 2016, 14).

## 2. საშუალო ზოგადი განათლება ოკუპირებულ აფხაზეთში

### 2.1 ოკუპირებული გალის რაიონის სკოლები

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის „განათლების სახელმწიფო სისტემა" დაფუძნებულია საყოველთაო, სავალდებულო სწავლების პრინციპზე. პირველიდან მეცხრე კლასამდე შესაძლებელია არასრული საშუალო განათლების მიღება. სრული საშუალო განათლება მოიცავს 11 კლასის განათლებას. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები იღებენ ატესტატს.

ოკუპირებული აფხაზეთის საშუალო განათლების სისტემაში მუშაობს 169 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (40 ქალაქის და 129 სოფლად). სკოლები იყოფა 3 ტიპად: ზოგადი (სრული) საშუალო განათლება - 149 სკოლა (1-დან 11 კლასის ჩათვლით). სკოლები, სადაც მოსწავლე იღებს არასრულ საშუალო განათლებას (1-დან 9 კლასის ჩათვლით) - 15. მხოლოდ დაწყებითი განათლების 5 სკოლა (1-დან 4 კლასის ჩათვლით).

,,აფხაზური წყაროს" 2012 წლის ,,სტატისტიკური მონაცემებით", ოკუპირებულ აფხაზეთში ფუნქციონირებს 62 - აფხაზური სკოლა. 16 - აფხაზურ-რუსული; 48- რუსული; სომხური - 32; ქართული - 11 (ზურაბაშვილი 2016, 13). თუმცა, 2015 წლიდან ოკუპირებული გალის 11 ქართულენოვან სკოლაშიც სწავლება რუსულ ენაზე გადაკეთდა (ბასილაია, 2016).

აღსანიშნავია, რომ სასკოლო დისციპლინებიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდება „აფხაზეთის ისტორიის", „აფხაზეთის გეოგრაფიის", „აფხაზური ენის" სწავლებაზე. აფხაზეთის უფროსი კლასის მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში მხოლოდ აღნიშნული სამი წიგნის მიღების საშუალება აქვთ. სასკოლო წიგნების საშუალო ფასებია: ახალი სახელმძღვანელოები 500-600 რუსულ რუბლამდე (20-24 ლარი) ღირს, გამოყენებული წიგნების ფასი 300-400 (12-16 ლარი) რუსული რუბლია.

საგულისხმოა, რომ 1992-1993 წლების სამხედრო მოქმედებებამდე, ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა, სადაც 13180 მოსწავლეს 1638 მასწავლებელი ემსახურებოდა. ომის შემდგომ სპონტანურად დაბრუნებულმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა, სადაც დღეის მონაცემებით, 4428 მოსწავლე და 749 მასწავლებელი ირიცხება (ზურაბაშვილი 2016, 6).

3 ოკუპირებული აფხაზეთის ,,განათლებისა და მეცნიერების მინისტრი" 2014-2020 წლებში.

„ექს-მინისტრ" კაკობას ინფორმაციით, „მწვავეა პერსონალის დეფიციტის საკითხიც. ძირითადად ახალგაზრდებს არ სურთ ოკუპირებული სოფლის სკოლებში მუშაობა, რადგან მათი მდგომარეობა ყოველთვის არ შეესაბამება ნორმებს. არიან სპეციალისტები, რომლებიც პროფესიით არ მუშაობენ, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებას წამახალისებელი სისტემებით ცდილობენ.

კაკობას მოსაზრებით, „უკვე მესამე წელია, ჩვენ ვახორციელებთ საგრანტო პროექტს სოფლის მასწავლებლებისთვის და არსებობს დადებითი შედეგები - ახალგაზრდა სპეციალისტები გამოთქვამენ სურვილს, იმუშაონ რაიონულ სკოლებში" (კაკობა, 2019).

ოკუპირებული სოხუმის „განათლების სამმართველოს ხელმძღვანელის" ასტანდა ტარკილის ინფორმაციით, 2020 ახალ სასწავლო წელს შეიტანეს დაახლოებით 1,700 განცხადება ოკუპირებული სოხუმის საბავშვო ბაღებში მისაღებად, მაგრამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა მხოლოდ 600 ბავშვის მიღება შეძლეს.

ტარკილის თქმით, „სკოლები პრაქტიკულად არ იყვნენ მზად ახალი სასწავლო წლისთვის, არ არსებობდა მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობა. ტარკილმა დასძინა, რომ „15 სკოლაში 8556 მოსწავლე სწავლობს. 1 სექტემბერს 850 ბავშვი შევიდა პირველ კლასებში. პრაქტიკულად საერთოდ არ მოხდა მომზადება. შემოდგომა და ზამთარი წინაა და ლოჯისტიკა სკოლებში ყველაზე სუსტი რგოლია. სწავლა ჩატარდება სამ ცვლაში. მაგალითად, №2 სკოლაში საჭირო 640 ბავშვის ნაცვლად 1297 მოსწავლე სწავლობს. იგივე ხდება №3, №4, №10 სკოლებშიც" (ტარკილი, 2020).

## 3. აფხაზური განათლების ზოგადი მიმოხილვა

### 3.1 განათლების რეფორმის (მოდერნიზების) წინაპირობები

აღსანიშნავია, რომ ერთი რამ სავსებით ნათელია - თანამედროვე აფხაზეთში, განათლების ძველი მოდელი ვერ იქნება ეფექტიანი. გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და პანდემიამ, როგორც ოკუპირებულ რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში, გაართულა განათლების სისტემის პრობლემები და წამოჭრა საკითხი მისი უფრო მწვავე რეფორმის აუცილებლობის შესახებ.

„აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მასწავლებლის ელენა კობახიას მოსაზრებით: „საიდუმლო არ არის, რომ აფხაზეთში თანამედროვე განათლება კვლავ ინარჩუნებს საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებებს: ამ სფეროში ცოტა რამ შეიცვალა. განათლების როლი საზოგადოების ცხოვრებაში ძალიან დიდია და ყველა გრძნობს ამ სფეროში ცვლილებების საჭიროებას. მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე სერიოზული გარდაქმნების ფონზე, განათლება იგივე რჩება და არანაირად არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. თუ ჩვენ შევძელით კლასიკური საბჭოთა სკოლის საუკეთესო მახასიათებლების შენარჩუნება, მაშინ რეორგანიზაციის პროცესი შეიძლება არც ისე მტკივნეული იყოს. ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ სკოლებში, არამედ სკოლამდელ დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში არსებულ პრობლემებს" (კობახია, 2014).

ამასთან, ვფიქრობთ, ოკუპირებულ აფხაზეთში „რეფორმების" გატარება მოითხოვს შემდეგ პირობებს: 1. „მთავრობის" მხარდაჭერა მნიშვნელოვანი დაფინანსებით; 2. მასწავლებელთა მზადყოფნა, რათა გააუმჯობესოს და შეისწავლოს სწავლების ახალი ტექნოლოგიები; 3. „საგანმანათლებლო პროდუქციის" (კომპიუტერული პროგრამები, სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო და მეთოდური განვითარება და ა. შ.) მიმწოდებლების არსებობა; 4. საზოგადოებრივი თვითშეგნება და მხარდაჭერა.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში განათლების ახალი მოდელის შესაქმნელად საჭიროა ყურადღება გამახვილდეს მსოფლიო გამოცდილებაზე, საუკეთე-

სო განათლების სისტემებზე, რომლებმაც აჩვენეს მათი ეფექტიანობა. ამავე დროს, უნდა შენარჩუნდეს კულტურული მემკვიდრეობა გლობალური საგანმანათლებლო სივრციდან ამოვარდნის გარეშე. ოკუპირებულ რეგიონში, განათლების ახალ მოდელში უნდა არსებობდეს ბალანსი ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სფეროებს შორის.

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები პედაგოგის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ლარისა კაციას განცხადებით: „აფხაზეთში, რატომღაც, უპირატესობა ენიჭება ჰუმანიტარულ სპეციალობებს და ტექნიკურ სპეციალობებზე ხშირად მოთხოვნა არ ხდება. ჩვენ ნამდვილად გვჭირდება კვალიფიციური ეკონომისტები და იურისტები, მაგრამ დღეს აფხაზეთი ინჟინრების, მშენებლების, ენერგეტიკოსების, რკინიგზის მუშაკთა და სხვა ტექნიკური სპეციალისტების უკიდურეს დეფიციტს განიცდის. ამავე დროს, რესპუბლიკას აკლია რეჟისორები, ხელოვნების ისტორიკოსები, კულტურის ექსპერტები, თეატრის ექსპერტები, ხელოვნების მენეჯერები და ა. შ" (კაცია, 2015). ოკუპირებულ რეგიონში საჭიროა განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მეტი ყურადღების მიქცევა პრაქტიკული საქმიანობის მიმართ. საგულისხმოა, რომ დღეს აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ფაქტების მარტივ ათვისებაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ და სად უნდა გამოიყენოს ადამიანმა შეძენილი ცოდნა.

ოკუპირებული აფხაზეთის „სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის" ოლეგ დამენიას განცხადებით: „რეალობა სწრაფად იცვლება და განათლების სისტემა ტრადიციულად რჩება, არ არსებობს სტრატეგია და არ არის გასაგები, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეთ უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს, ცხოვრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სისტემური კრიზისი გამწვავდა პანდემიით, რაც დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას მოითხოვდა. პანდემიამ და დისტანციური სწავლების ახალი ფორმების ათვისების აუცილებლობამ ყველა გააკვირვა (ზავოდსკაია, 2020).

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, თანამედროვე განათლება უნდა ემყარებოდეს მეტა-საგნის მიდგომას, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ჰოლისტიკურ სურათს. ეს მიდგომა წარმატებით იპყრობს საგანმანათლებლო სივრცეს გლობალურ სამყაროში, რადგან ის საშუალებას იძლევა გადაჭრას საგანმანათლებლო საგნების შეუსაბამობის პრობლემა, ხელს უწყობს საგანმანათლებლო მასალის ინტეგრირებას. სტუდენტებს უჭირთ ერთი საგნის ცნებების სისტემის სხვა საგნის სისტემასთან ასოცირება.

ოკუპირებული აფხაზეთის „განათლებისა და მეცნიერების ექს-მინისტრის მოადგილის" დიმიტრი გვარამიას განცხადებით: „პრობლემები და ამოცანები, რომლებიც აფხაზეთის განათლების სისტემის წინაშე დგას, ახალ გამოწვევებს ქმნის სისტემისათვის და ბუნებრივია, განათლების სამინისტროს მთავარი ამოცანაა ამ პრობლემების გადაჭრის თანამედროვე მიდგომების დანერგვა" (გვარამია, 2016).

დღეს, ოკუპირებულ აფხაზეთში, სამწუხაროდ, მშობლიური ენის ცოდნის დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს - კურსდამთავრებულთა უმეტესობას სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე აქვს. სწავლების მეთოდებში „ძველი სკოლის" პრინციპების გამოყენებამ, სუსტმა მოტივაციამ, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების არასრულყოფილებამ, ენის ცოდნის გაზომვის საერთო სტანდარტის არარსებობამ გაამწვავა ვითარება აფხაზურ ენაში.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ რეგიონში განათლების თანამედროვე მოდელი, რომელიც დაფუძნებული იქნება ახალ მიდგომებზე, შესაძლებლობას იძლევა განმტკიცდეს სახელმწიფო ენის პოზიცია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. ოკუპირებული აფხაზეთის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ფლობს უცხო ენებს, მეტ-ნაკლებად ადეკვატურად წარმოაჩენს „სახელმწიფოს ინტერესებსა" და კულტურას სხვადასხვა ადგილებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლის მოსწავლეების ფუნქციონალური წიგ-

ნიერების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს უნარებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რაც მოსწავლეს დაეხმარება სხვადასხვა საგანმანათლებლო და ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში: მათემატიკური, ფინანსური, იურიდიული და საბუნებისმეტყველო წიგნიერება, კომპიუტერის ცოდნა, ჯანმრთელობის ცოდნა.

საგულისხმოა, რომ მასწავლებლისათვის ამ რთულ ვითარებაში აფხაზების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს: აუცილებელია შემუშავდეს ,,კანონი ,,მასწავლებლის სტატუსის შესახებ", რომელიც მიმართული იქნება მასწავლებელთა უფლებების მხარდაჭერასა და სწავლების პრესტიჟის განმტკიცებაზე. იგი ასევე მოითხოვს პირობებს პროფესიული და კარიერული ზრდისთვის ეტაპობრივი (შეფასებული) სისტემის საფუძველზე. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, თუნდაც მცირე გამოცდილება, მიიღონ უფრო მაღალი დონის პროფესიული საქმიანობა. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანი ამოცანაა განათლების სისტემის წარმატებით მოდერნიზაციისთვის. ამიტომ, ოკუპირებულ რეგიონში აუცილებელია პედაგოგების გადამზადების რამდენიმე ცენტრის შექმნა. დღეს ოკუპირებული აფხაზეთის უპირატესობას განსაზღვრავს არა მისი ზომა ან ბუნებრივი რესურსები, არამედ განათლების ხარისხი და ინტელექტუალური რესურსები.

ჩვენი აზრით, საზოგადოების განვითარების ეროვნული იდეა უნდა აშენდეს საგანმანათლებლო პარადიგმაში. ზემოთქმულის შეჯამებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარებასა და საქართველოს იურისდიქციაში რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული რეგიონის გაძლიერებაში, განათლების საკითხი უპირველესი უნდა იყოს.

სტატია მიზნად ისახავდა, დღევანდელი, ოკუპირებული აფხაზეთის განათლების სექტორიში არსებული ვითარების წარმოდგენას. გადმოცემულ იქნა ინფორმაცია თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის შესახებ, ასევე განხილულ იქნა ოკუპირებული გალის რაიონში, განათლების კუთხით, არსებული მდგომარეობა. აქცენტი გაკეთდა თანამედროვე ხედვით, აღნიშნულ სფეროში არსებული სირთულეების, საჭიროებების, განათლების მიზნებისა და ამოცანების წარმოჩენასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბასილაია, ე. 2016. აფხაზეთი ქართული ენის გარეშე. რეზონანსი. ხელმისაწვდომია: http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=28851 (1.06.2018);
2. გვარამია, დ. 2016. აფხაზეთის განათლების სისტემა პოსტსაბჭოთა დეპრესიიდან გამოდის. ხელმისაწვდომია: https://news.rambler.ru/education/35402509-gvaramiya-sistema-obrazovaniya-abhazii-vyhodit-iz-postsovetskoy-depressii/?updated (28.11.2016);
3. ზავოდსკაია, ე. 2020. აფხაზეთში დისტანციური განათლება პანდემიის ფონზე განიხილეს. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/30655246.html (05.06.2020);
4. ზურაბაშვილი, თ. 2016. მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში. პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). თბილისი. ხელმისაწვდომია: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/GRASS-ganathlebis-uphleba-galis-raionshi1.pdf (1.06.2018);
5. კაკობა, ა. 2019. მასწავლებლების სიმცირე და რიგები სკოლაში: ინტერვიუ აფხაზეთის განათლების მინისტრთან. ხელმისაწვდომია: http://vercont.ru/intervyu/nekhvatka_pedagogov_i_ocheredi_v_shkolu.html (18.08.2019);
6. კაცია, ლ. 2015. აფხაზეთში განათლების სისტემას გაუმჯობესება სჭირდება. ხელმისაწვდომია: http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/1991-larisa-katsiya-sistema-obrazovaniya-v-abkhazii-nuzhdaetsya-v-sovershenstvovanii (31.08.2015);
7. კობახია, ე. 2015. განათლების მდგომარეობა აფხაზეთში - ეს არის კომპლექსური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ხელმისაწვდომია: http://abkhazinform.com/intervyu/item/1942-elena-kobakhiya-sostoyanie-obrazovaniya-v-abkhazii-eto-kompleksnaya-problema-reshenie-kotoroj-trebuet-kompleksnogo-podkhoda (24.08.2015);

8. ტარკილი, ა. 2020. საბავშვო ბაღების დეფიციტი და სკოლების გადატვირთვა: როგორ მუშაობს სოხუმის საგანმანათლებლო დაწესებულებები. ხელმისაწვდომია: https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200905/1030882274/Defitsit-sadov-i-peregruzhennost-shkol-kak-rabotayut-uchebnye-zavedeniya-Sukhuma.html (05.09.2020).

## რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილია ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემა და არგუმენტები იმის სასარგებლოდ, თუ რატომ არის საჭირო განათლების მოდერნიზაცია. ხსენებულ თემასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო განხილვის არარსებობამ განაპირობა წარმოდგენილი სტატიის მომზადება.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება ოკუპირებულ აფხაზეთში, სკოლამდელი განათლება, საშუალო განათლება, უმაღლესი პროფესიული განათლება.

GELA TSAAVA
PhD.
Associate Professor
Georgian-American University
Georgia, Tbilisi

# ASPECTS OF EDUCATION SYSTEM MODERNIZATION IN OCCUPIED ABKHAZIA

## Summary

In this article I have tried to present my ideas and views on the system of modern school education and arguments in favor of why it is necessary to modernize the education system in Abkhazia. The lack of a broad discussion of the problems associated with this topic prompted me to write this article. Education has always played an important role in public policy. But today in the rapidly changing world, in the age of informational technology, the role of education has increased many times over. The transition from an industrial to a digital society and globalization we are getting into has changed us and our lives.

Countries show us that quality education gives an impetus for the successful social-economic development of the state. In my opinion, the national idea of the development of the state must be built within the educational paradigm. Summarizing the above, we can conclude that in order to solve the problems of economic development and strengthening the state, the issue of education should be paramount.

**Keywords:** Education in Occupied Abkhazia, Preschool Education, Secondary Education, Higher Professional Education.

**ნათო ყრუაშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ახალციხე

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის შესწავლისათვის

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი თავისი არსებობის სამ ათეულ წელს ითვლის. მისი დაარსების იდეა გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. საზოგადოებას მიაჩნდა, რომ ეს კუთხე ისტორიულად იყო განათლებისა და კულტურის კერა საქართველოსათვის. ჯერ კიდევ ადრე, შუასაუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებს და შესაბამისად დაფუძნდა განათლების კერები მონასტრების სახით. მესხეთმა, საუკუნეების განმავლობაში, უდიდესი წვლილი შეიტანა განათლების, კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში. ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: „მესხეთი ქართველებისათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის.“ მეოცე საუკუნის დასასრულს, განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, საჭირო იყო მძლავრი უმაღლესი კერის შექმნა მისი აღორძინებისათვის, რომელიც მხარისა და ქვეყნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

1990 წლის 28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ნოდარ ამაღლობელმა დაწერა ბრძანება ქალაქ ახალციხეში უნივერსიტეტის ფილიალის დაარსების შესახებ. იმავე წლის 26 მაისს ქალაქ ახალციხეში ოფიციალურად გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. იგი იყო პირველი რეგიონალური უნივერსიტეტი რესპუბლიკაში. ფილიალის პირველი დირექტორი მერაბ ბერიძე სამართლიანად მიუთითებდა: „ახალციხეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის იდეა დროის მოთხოვნა იყო. ახალ პოლიტიკურ სიტუაციებს მოჰყვა რეგიონებისა და რეგიონალური ცენტრების დაწინაურება“. სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის გახსნა მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული: იგი უნდა ჩამოყალიბებულიყო სასწავლო, მეცნიერულ, კულტურულ და სპორტულ ცენტრად, შეეჩერებინა დედაქალაქისაკენ ახალგაზრდების სწრაფვა, რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე მოემზადებინა საჭირო დარგების სპეციალისტები და ა.შ.

თავდაპირველად ახალციხის ფილიალში იყო სამი სპეციალობა: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით). სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა ასი ადგილით. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხეში უნდა გახსნილიყო დაუსწრებელი ფაკულტეტი, ზემოთ მოხსენიებული, სამი სპეციალობით. მერაბ ბერიძის ინიციატივით მოხდა დასწრებული ფაკულტეტების გახსნა.

თსუ ახალციხის ფილიალის ფუნქციონირების პერიოდში ე.ი. 1990-2005 წლებში, სხვადასხვა დროს, ჩამოყალიბდა და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას წარმართავდა შემდეგი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენათა, ისტორიის, ეკონომიკურ მეცნიერებათა, პედაგოგიკის, საქართველოს ისტორიის, მათემატიკა-ასტრონომიის, გამოყენებითი ხელოვნების, ეთნოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და მიწათსარგებლობის.

ახალციხის ფილიალმა მოამზადა ახალქალაქში ფილიალის ჩამოყალიბების საფუძველი. ჯავახეთის რეგიონის განვითარების პერსპექტივების განხილვის საფუძველზე და პარლამენტის

კანონის შესაბამისად, თსუ-ს დიდი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად 2002 წელს ახალქალაქში დაარსდა თსუ-ს ჯავახეთის ფილიალი. მანამდე კი, ახალქალაქის ქართულ სკოლაში შეიქმნა და რამდენიმე წლის განმავლობაში, ფუნქციონირებდა მოსამზადებელი ჯგუფი ახალციხის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლების უშუალო მონაწილეობით. ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ახალციხის ფილიალის დირექტორი დოცენტი მერაბ ბერიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის განმავლობაში უნივერსიტეტი სხვადასხვა სტატუსითა და სახელწოდებით არსებობდა: თავდაპირველად ეწოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. 2002 წელს - იმავე უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი, 2007 წელს შეწყდა მისი, როგორც ფილიალის სტატუსი და გახდა იურიდიული პირი - სსიპ ახალციხის ინსტიტუტი (რეორგანიზაციის შესაბამისად შეიქმნა საინსტიტუტო საარჩევნო კომისია, აირჩა და დაფუძნდა მმართველობითი ორგანოები რექტორი, აკადემიური საბჭო -ექვსი წევრით, წარმომადგენლობითი საბჭო - თორმეტი წევრით, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ხარისხის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანები). 2009 -2012 წლებში ეწოდებოდა ა(ა)იპ ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი. 2012 წლის 3 ოქტომბრის მთავრობის დადგენილების საფუძველზე ეწოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. იმავე დადგენილების საფუძველზე ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი რეორგანიზებულ იქნა და იგი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილებით (272) განხორციელდა რეორგანიზაცია და იგი გამოცხადდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. იმავე წლის 2 მაისს აკრედიტაცია გაიარა რვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამამ. უნივერსიტეტში არის ხუთი სადოქტორო პროგრამა: ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოლოგიაში, ისტორიას და ასტრონომიაში.

ასტრონომიაში სადოქტორო პროგრამა, რესპუბლიკის მასშტაბით, მხოლოდ ამ ინივერსიტეტში ფუნქციონირებს. იმ დროიდან უნივერსიტეტს აქვს სწავლების სამი საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა. ამდენად, სამცხე-ჯავახეთში განათლების უმაღლესმა კერამ, ორ ათეულ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, დიდი და რთული გზა განვლო და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ეს იყო შედეგი უნივერსიტეტის რექტორატის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალის დაუღალავი და მიზანსწრაფული მუშაობისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა ფილიალი გაიხსნა სამი ფაკულტეტით: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით). დაარსებიდან ხუთი წლის განმავლობაში დაემატა რამდენიმე ფაკულტეტი: 1991 წელს - დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტი, რაც განაპირობა რეგიონში მასწავლებელთა კადრების დეფიციტმა. ცხოვრებისეული კანონზომიერებით უნდა განხორციელებულიყო საპენსიო ასაკის მასწავლებელთა თაობის შეცვლა. ეს კი რეგულარულად ხდება წლების განმავლობაში. 1992 წელს დაემატა ორი ფაკულტეტი: მათემატიკა და სტატისტიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. 1993 წელს - გამოყენებითი ხელოვნების, 1994 წელს - უცხო ენათა, 1995 წელს - სამართალმცოდნეობის.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წელს მესხეთის ფილიალში განხორციელდა დიდი რეორგანიზაცია, მოხდა ფაკულტეტების დაჯგუფება. კერძოდ, მოქმედი ცხრა ფაკულტეტისაგან ჩამოყალიბდა ოთხი ფაკულტეტი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა (მიმართულებები: ფილოლოგიის, ისტორიის, პედაგოგიკის; ბიზნეს-ადმინისტრირების; ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო; იურიდიული.

წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. განათლების სამინისტროს კოლეგიის 172 ბრძანებით განისაზღვრა უნივერსიტეტის ფილიალის

განთავსების ადგილი. კერძოდ, მოხდა ახალციხის 101 და 122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გაერთიანება, რის საფუძველზეც გამოთავისუფლდა საჭირო ადგილი. ამდენად, თავდაპირველად იგი განთავსდა ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ოთხსართულიან (ორი გადაბმული კორპუსით) შენობაში. 2007 წლის 25 სექტემბერს მას უსასყიდლოდ, უზურფრუქტის ხელშეკრულებით, გადაეცა ქალაქ ახალციხეში ყოფილი აგრარული კოლეჯის შენობა-ნაგებობები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან ერთად. ე.წ. 2 სასწავლო კორპუსში, განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ, 2009 წელს განთავსდა ორი ფაკულტეტი: ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტები. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით, რომლის საფუძველზეც მოხდა რეორგანიზაცია — ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი შეუერთდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, შესაბამისად უნივერსიტეტს გადაეცა კოლეჯის სასწავლო კორპუსი - ანუ 3 კორპუსი. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი, ერთდროულად, ორ ქალაქში: ახალციხესა და ახალქალაქში მიმდინარეობს.

სამცხე-ჯავახეთში დაფუძნებულმა უმაღლესი განათლების კერამ ათასობით ახალგაზრდას მისცა განათლების მიღების საშუალება. თავდაპირველად ფილიალს ასი სტუდენტის მიღების უფლება ჰქონდა. თუმცა, 1990 წელს ფილიალში ჩაირიცხა 170 სტუდენტი, მოსამზადებელ განყოფილებაზე კი 218. ე.ი. პირველსავე სასწავლო წელს ჰყავდა 388 სტუდენტი. ხუთი წლისთავზე სტუდენტთა კონტინგენტი შეადგენდა 2771-ს. ყოველწლიურად ირიცხებოდა ოთხასზე მეტი სტუდენტი. ყველაზე ბევრი - შვიდასამდე სტუდენტი ჩაირიცხა 1999 წელს. წლების განმავლობაში სტუდენტთა დიდი კონტინგენტი იღებს სახელმწიფო და აკადემიურ სტიპენდიას. ქალაქ ახალქალაქში ფუნქციონირებს ორას სტუდენტზე გათვლილი სტუდენტთა საცხოვრებელი. წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა მოამზადა სხვადასხვა დარგის ასობით სპეციალისტი და შესაბამისად დააკმაყოფილა მათზე მოთხოვნა. საყურადღებოა ისიც, რომ უნივერსიტეტში სწავლა ხელმისაწვდომია სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვისაც. სპეციალური, მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ მათ აქვთ სასურველი სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა.

ახალციხეში დაფუძნებულმა უნივერსიტეტმა, როგორც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, იმთავითვე დაისახა მიზნად სამეცნიერო საქმიანობა. წლების განმავლობაში მრავალი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა: რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო. პირველი სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია ფილიალში ჩატარდა 1992 წელს - თითქმის დაარსებისთანავე. 2002 წელს ფილიალის ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი -- ახალციხე-ყარსი, მუშაობდა რამდენიმე სექცია. მას წინ უსწრებდა ასევე საერთაშორისო სიმპოზიუმი ყარსში, სადაც მხოლოდ ისტორიის სექცია მუშაობდა. უნივერსიტეტმა არაერთი რესპუბლიკური კონფერენცია გამართა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომელთა მონაწილეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტმა, თავისი არსებობის განმავლობაში, მოამზადა და გამოსცა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და კრებული. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: შრომების კრებული 1 და 2, კრებულები: „მესხეთი“ (შვიდი კრებული), „მესხეთი - ისტორია და თანამედროვეობა“, „ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე“, „ჯავახეთის ისტორია და თანამედროვეობა“ და სხვა მრავალი. საყურადღებოა ისიც, რომ ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის ინიციატივით დაფუძნდა სამეცნიერო გამოცემა „გულანი“ (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „გულანი“ ნიშნავს: „საგალობელი სრული და გულის სანდომად შეკრული“). სამეცნიერო ნაშრომების თემატიკა შეუზღუდავია: ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ფოლკლორი, ეთნოლოგია, ისტორია, პედაგოგიკა. „გულანის“ პირველი კრებული გამოიცა 2009

წელს, ხოლო ამჟამინდელი მდგომარეობით გამოცემულია ოცდასამი. უნივერსიტეტის ოცდახუთი წლისთავზე მერაბ ბერიძის ინიციატივით ასევე დაარსდა ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „არავი“ (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არავის არს ქარი სამხრეთით, გამადნობელი ყინვათა)“. იგი იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ იქ იბეჭდება ისეთი მასალა, რომელიც სხვაგან არ ყოფილა დაბეჭდილი და შესაბამისად მკითხველი პირველად იქ გაეცნობა მას. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 2016 წელს. ამჟამინდელი მდგომარეობით კი გამოვიდა ოცდაექვსი ნომერი. ფილიალმა თავიდანვე მიზნად დაისახა მესხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, დიალექტიკის კვლევა. რეგიონალური თემატიკის წინ წამოწევა საკათედრო სამუშაოებსა და საკვალიფიკაციო შრომებში. უნივერსიტეტმა უდიდესი წვლილი შეიტანა მხარის ისტორიის, კულტურის, განათლების, ეკონომიკის და საერთოდ, ცხოვრების ყველა სფეროს კვლევასა და შესწავლაში.

სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი განათლების კერის ყოველდღიურობასა და მრავალფეროვან ცხოვრებას, მისი არსებობის განმავლობაში, დეტალურად გამოხატავს საუნივერსიტეტო გაზეთი. თავდაპირველად მას ეწოდა „მესხეთი“, 1996 წლიდან კი იგი „მესხეთის უნივერსიტეტის“ სახელით გამოდის. გაზეთი თავისი არსით გამოხატავს უნივერსიტეტის იდეისადმი მსახურებას. მისი ამოცანაა უნივერსიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის საინფორმაციო კამპანიის წარმოება და საუნივერსიტეტო პერსონალის (აკადემიური, ტექნიკური პერსონალისა და სტუდენტების) პოპულარიზაცია. გაზეთმა „მესხეთის უნივერსიტეტი“ უდიდესი მისია შეასრულა სამცხე-ჯავახეთის კულტურული დაწინაურების თვალსაზრისითაც, რამდენადაც სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები ამ კუთხის ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ფოლკლორზე. ქვეყნდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საინტერესო სტატიები, შემოქმედება, თარგმანები და ა.შ. ამდენად, იგი ლიტერატურულ-სამეცნიერო მისიასაც ასრულებს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მცირეასაკოვნების (ოცდაათი წლისაა) მიუხედავად აქვს მდიდარი და საინტერესო ისტორია, რომელსაც კარგად წარმოაჩენს უნივერსიტეტის მუზეუმი. მისი დაარსების ინიციატორი იყო რექტორი მერაბ ბერიძე, ოფიციალურად გაიხსნა 2017 წლის 19 აპრილს. მუზეუმში დაცულია მრავლფეროვანი ექსპონატები: სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და პიროვნებების მიერ გადაცემული საჩუქრები, სუვენირები, წიგნები, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების აფიშები, უნივერსიტეტის გაზეთის სრული კრებული, თანამშრომელთა და კურსდამთავრებულთა ნამუშევრები. იქვე არის პროფესორ-მასწავლებლების ხელნაწერთა არქივ-ფონდი, რომელიც მომავალში შესაძლებელს გახდის სადისერტაციო და სადიპლომო ნაშრომებისა და რეფერატების მომზადებას. იქვეა განთავსებული შთაბეჭდილებათა წიგნი - უნივერსიტეტის სტუმართა ჩანაწერებით. საყურადღებოა ისიც, რომ მუზეუმში ტრადიციად დამკვიდრდა სხვადასხვა სახის გამოფენების მოწყობა.

უნივერსიტეტმა სამცხე-ჯავახეთს უდიდესი სამსახური გაუწია იმ თვალსაზრისითაც, რომ მრავალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსები. ამ იდეის ავტორი არის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და ყოფილი რექტორი მერაბ ბერიძე. პირველი კონკურსი 1996 წელს ჩატარდა. ამჟამინდელი მდგომარეობით უნივერსიტეტმა უკვე ოთხჯერ უმასპინძლა კონკურსანტებს. წლების განმავლობაში მესხეთში თავს იყრიდნენ დიდებული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნენი. კონკურსის უპირველესი მიზანი იყო პროპაგანდა გაეწია გენიალური პოემისათვის და შეეყვარებინა მომავალი თაობებისათვის.

სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის წინსვლა და წარმატებები განაპირობა ხელმძღვანელთა გონივრულმა მართვამ, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის პროფესიონალიზმმა. ახალციხეში ფილიალს, დაფუძნებიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში, უცვლელად, ხელმძღვანელობდა პროფესორი მერაბ ბერიძე. იმავდროულად ოთხი წლის განმავლობაში იყო ჯავახეთის

ფილიალის დირექტორიც. მის შემდგომ მცირე ხნით იყვნენ პროფესორები: სერგო მელიქიძე და შოთა ზაზაშვილი. უნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფესორმა თინათინ გელაშვილმა - უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა (2007-2012 წწ.). 2012 წელს ხელმძღვანელის როლში კვლავ დაბრუნდა დამფუძნებელი და პირველი დირექტორი მერაბ ბერიძე. 2018 წლიდან, აკადემიური საბჭოს მიერ, რექტორად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი (უნივერსიტეტის აღზრდილი) მაკა ბერიძე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის ოცდაათი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, განიცადა სტრუქტურული ცვლილებები. 2014 წელს კი გამოცხადდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ჩამოყალიბებული რვა ფილიალიდან მხოლოდ ეს უნივერსიტეტი აგრძელებს ფუნქციონირებას. უდიდესი მისია, რომელიც მისი დაფუძნებისას განისაზღვრა, წარმატებით განხორციელდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ კუთხის ცხოვრებაში: იგი ჩამოყალიბდა სასწავლო, მეცნიერულ, კულტურულ და სპორტულ ცენტრად. მოამზადა ახალქალაქში ფილიალის ჩამოყალიბების საფუძველი, შეაჩერა დედაქალაქისაკენ ახალგაზრდების სწრაფვა, მოამზადა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც დასაქმდნენ რეგიონისა და რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებში. მხარეში არსებული დაწესებულებების უმეტეს ნაწილში დასაქმებულნი არიან ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბერიძე მ., 2019, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტ, ქრონიკები - 1990, ჟურნ. „არავი", 21, გვ. 11-12.
2. ბერიძე მ., 1995 ., სიყვარულის უნივერსიტეტი, ჟურნ. „ქალთა გაზეთი" 9, გვ. 5.
3. ბერიძე მ., 2014წ., მომავლის უნივერსიტეტი, ჟურნ. „საერთო გაზეთი" 24, გვ. 3-4.
4. ბექაური გ., 2016 ., „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნეთა მესამე კონკურსი უნივერსიტეტში, ჟურნ. „არავი", 8, გვ.134-139.
5. გელაშვილი თ., 2009 ., მიმართვა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი
6. გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი, №3, 2014 .
7. ყრუაშვილი ნ., 2019., განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ახალციხე, გვ. 38-72.
8. ხითარიშვილი ნ., 2018 ., სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მასალები.

# რეზიუმე

მესხეთში უნივერსიტეტის დაარსების იდეა გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. საზოგადოებას მიაჩნდა, რომ სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად იყო განათლებისა და კულტურის კერა საქართველოსათვის. საჭირო იყო მძლავრი უმაღლესი კერის შექმნა, რომელიც მხარისა და ქვეყნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. 1990 წლის 26 მაისს ქალაქ ახალციხეში ოფიციალურად გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. იგი იყო პირველი რეგიონალური უნივერსიტეტი რესპუბლიკაში.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის ოცდაათი წლის განმავლობაში განიცადა სტრუქტურული ცვლილებები. 2014 წელს კი გამოცხადდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. მან უდიდესი მისია შეასრულა ამ კუთხის ცხოვრებაში: ჩამოყალიბდა სასწავლო, მეცნიერულ, კულტურულ და სპორტულ ცენტრად. მოამზადა ახალქალაქში ფილიალის გახსნის საფუძველი, შეაჩერა დედაქალაქისაკენ ახალგაზრდების სწრაფვა, მოამზადა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც დასაქმდნენ რეგიონისა და რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებში.



**საკვანძო სიტყვები:** ფილიალი, სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, სტუდენტი, შრომების კრებული, პროფესორ -მასწავლებელი.



NATO KRUASHVILI

Associate Professor

Samtskhe-Javakheti State University

Georgia, Akhaltsikhe


# TO STUDY THE HISTORY OF SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY


## Summary

The idea of founding the university in Meskheti appeared in the 70s of the last century. The public believed that Samtskhe-Javakheti had historically been a hotbed of education and culture for Georgia. It was necessary to create a powerful higher education centre that would meet the demands of the side and the country. On May 26, 1990 , the branch of Ivane Javakhishvili Tbilisi state University was officially opened in Akhaltsikhe. It was the first regional university in the republic.

Samtskhe-Javakheti University has undergone structural changes of different types during 30 years of its existence. In 2014, it was declared Samtskhe-Javakheti State University. It has fulfilled the greatest mission in the life of this region. It has been formed as a training, scientific, cultural and sports center. It has also prepared the ground for the establishment of a branch in Akhalkalaki, stopped the aspiration of young people to the capital, trained specialists in various fields to be employed in the relevant services of the region and the republic.



**Keywords:** branch, Samtskhe-Javakheti, state university, faculty, student, collection of works, professor-teacher.

**დავით ხუფენია**
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

# ქრისტიანული პარადიგმის გავლენა ევროპის საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებაში. რომისა და ქართული ეკლესიების შედარებითი ანალიზი

მოდერნიზაციის ჰიპოთეზის შექმნის შემდგომ (სეიმურ ლიპსეტი, 1959 წ. [11]), ბევრი მეცნიერი მუშაობდა უნივერსალური „პოლიტიკური მოდერნიზაციის" თეორიის შექმნაზე, რამაც გამოიწვია დემოკრატიის ინტერვენციის ეფექტიანობის ილუზია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დემოკრატიული ქვეყნებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დემოკრატიის „თავზე მოხვევა" რევოლუციების მხარდაჭერით, რეფორმების დაფინანსებითა და ტოტალიტარული რეჟიმების წინააღმდეგ სამხედრო ბრძოლით ხშირად პოლიტიკურად უფრო დამღუპველი და ეკონომიკური ზიანის მომტანი იყო რეცეპიენტი ქვეყნებისათვის, ვიდრე ძველი რეჟიმები. ისტორიული პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მარტივია დავასკვნათ, რომ არ არსებობს არავითარი „წარმატების ფორმულა", ან, როგორც მრავალი მეცნიერი მიიჩნევდა, უნივერსალური „პოლიტიკური განვითარების" თეორია.

აღნიშნული პრობლემატიკის მკვლევარები პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სისტემების გარდაქმნაში უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციასა (ინკლუზიურობას) და ეკონომიკის ლიბერალიზაციას, კონკრეტულად კი კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. ეფექტი, რომელიც მოიტანა 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცის „დემოკრატიზაციამ", რაც აგრეთვე საქართველომ გაიარა, იყო ავტორიტარული ინსტიტუტების გაძლიერება, არსებული საგანამანათლებლო სისტემის მოშლა, კორუფცია, კერძო ეკონომიკური მონოპოლიები, უკანონო/კრიმინალური ბიზნესები, ფულის მასობრივი გათეთრება, დიპლომებისა და ხარისხების გაყიდვა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა, სახელმწიფოს როლის დაკნინება და ა.შ.

სახელმწიფოებში საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაციაც, დიდი ხნის მანძილზე, ამ სქემით მიმდინარეობდა. ხდებოდა უშუალოდ ევროპული ინსტიტუტების ბრმა იმიტირება და არშემდგარ ინსტიტუციურ გარემოში მათი გადმოღება. შედეგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სივრცის მოშლა გახლდათ.

პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია (რაც წარმოადგენს ჩაკეტილი, ავტორიტარული სისტემიდან ევროპული ტიპის ღია დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლას და მისთვის დამახასიათებელი საგანმანათლებლო ინსტიტუციების ტრანსპლანტაციას) ვერ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოების ეკონომიკური, ან პოლიტიკური სისტემის ფორმალური ტრანსფორმაციით. აქ უფრო ფართოდ, საზოგადოების მსოფლმხედველობას უნდა შევეხოთ. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი დიპაკ ლალი იყენებს ტერმინს - „კოსმოლოგიური წარმოდგენები" (cosmological beliefs), რომლის მნიშვნელობას ხსნის შემდეგნაირად: „არსებობს ადამიანებში ორი ტიპის წარმოდგენა (მსოფლმხედველობა) - მატერიალური და კოსმოლოგიური. პირველი ეხება არსებობისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების უზრუნველყოფის გზების პოვნას. იგი წარმოადგენს მატერიალურ სამყაროს, კერძოდ, ადამიანების მატერიალურ-ეკონომიკურ წარმოდგენებს, ხოლო მეორე კატეგორია უკავშირდება ჩვენს გარშემო არსებული

სამყაროს აღქმას და იმის წარმოდგენას, თუ რა ადგილი უჭირავს მასში ადამიანს. კოსმოლოგიური წარმოდგენით, ადამიანები განსაზღვრავენ საკუთარი ცხოვრების მიზნებს, მათ მნიშვნელობას სამყაროში და აგრთვე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმებს" [13, 225-226]. აღსანიშნავია, რომ მატერიალური წარმოდგენები, კოსმოლოგიურთან შედარებით, გაცილებით სწრაფად ცვალებადია, ხოლო, რაც ეხება კოსმოლოგიურ წარმოდგენებს, დიპაკ ლალის აზრით, ისინი ძალიან ნელა იცვლებიან, ზოგ შემთხვევაში, საუკუნეების მანძილზე.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა ევროპული (დასავლური) კოსმოლოგიური წარმოდგენების (მსოფლმხედველობის) ნაყოფია, რომელსაც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უმთავრესად უდევს ქრისტიანობა და ანტიკური ფილოსოფია. აქედან გამომდინარე, „ადამიანების მატერიალური წარმოდგენების" კუთხით გატარებული რეფორმა (ფორმალური კანონის ცვლილება) ვერ იძლევა სრულფასოვანი ევროპული დონის საგანმანათლებლო ინსტიტუტებს. საქართველოს მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ ევროინტეგრაციის გზა უმთავრესად დგას ევროპული ფასეულობების გააზრებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგანამანათლებლო სისტემაში რეფორმირების გზების ძებნისას დარჩა „უნივერსალური მოდერნიზაციის" პრინციპების ეფექტიანობის ილუზია. ჩვენი აზრით, საქართველოს რეალობაში საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიან ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაში მთავარი მიზანია საქართველოს ისტორიის საფუძველზე იმის გააზრება, რომ ჩვენთვის ევროპული საგანმანათლებლო ფასეულობები ისტორიულად ორგანულია და, შესაბამისად, ინტუიციურად გასაგები და მისაღები. აღნიშნულის გაკეთება აუცილებლად მოითხოვს ევროპული გამოცდილების გააზრებას და არა „ბრმა" იმიტირებას.

ჯერ კიდევ IV-V საუკუნეში, „დიდ სქიზმამდე" - სადაც ქრისტიანული ეკლესია გაიყო კათოლიკურად და მართლმადიდებლურად, ნეტარმა ავგუსტინემ სქოლასტიკის ფარგლებში განავითარა ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დოგმატები: ცოდვის ინდივიდუალურად მონანიება და პირველქმნილი ცოდვა. ნეტარი ავგუსტინეს მოღვაწეობის შედეგად, ქრისტიანი ადამიანის კოსმოლოგიურ წარმოდგენებში დამკვიდრდა აპრიორი დამნაშავის, ცოდვილობის განცდა (პირველქმნილი ცოდვა) და დანაშაულის, ცოდვის მხოლოდ ინდივიდუალურად გამოსყიდვის, მონანიების საშუალება. ჩვენი აზრით, ამან უმთავრესად განსაზღვრა ევროპული ტიპის ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების გაგება. რადგან, ქრისტიანულმა პარადიგმამ განავითარა არა მხოლოდ მორწმუნის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, არამედ მისდამი დამოუკიდებლად (აპრიორი) არსებულმა პირველქმნილი ცოდვის მონანიების აუცილებლობა - თვითგვემა. ქრისტიანულ პარადიგმაში ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი - პირველქმნილი ცოდვა არ გამომდინარეობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან, ანუ, ქრისტიანი ადამიანი მოინანიებს არა მხოლოდ საკუთარი საქციელით გამოწვეულ ცოდვებს, არამედ მისდამი სრულიად დამოუკიდებლად არსებულს. პირველქმნილის ცოდვა იმდენად მნიშვნელოვანი დოგმატია ქრისტიანულ რელიგიაში, რომ წმინდა ილია მინიატისის სიტყვები - „მხოლოდ ღმერთია უცოდველი და უმწიკვლო" [6], გვიჩვენებს, რომ ქრისტიანი ვალდებულია მუდმივად განიცდიდეს ცოდვილობას (დანაშაულის განცდას). ფრანგი ისტორიკოსი ჟან დელუმეაო წერს: „ეკლესიამ შეიმუშავა ძლიერი „დანაშაულის განცდის კულტურა", რომელშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს პირველქმნილის ცოდვისა და ქრისტიანული მორალის კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ქრისტიანული ღმერთის რწმენას" [8, 329]. აგრეთვე, დელუმეაომ დაამკვიდრა ტერმინი - „გადაჭარბებულად დანაშაულის გრძნობის შთაგონება", ხოლო, „გადაჭარბებული დანაშაულის გრძნობაში" იგი გულისხმობს: „როდესაც ცოდვა უფრო მასშტაბურია მონანიებაზე" [8, 9]. ფრანგი მეცნიერი დეტალურად შეისწავლის ქრისტიანულ სამყაროში დანაშაულის გრძნობის განვითრებას და ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს. ჩვენთვის საინტერესო ჭრილში რომ შევაჯამოთ მისი ნაშრომი, ვასკვნით, „გადაჭარბებულად დანაშაულის განცდამ" ქრისტიან ადამიანში განა-

ვითარა, როგორც საკუთარ საქციელზე, აგრეთვე სოციალურ მოვლენებზე პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა, რომელმაც, თავის მხრივ, წაახალისა ინდივიდები არსებული, მიუღებელი რეალობის უკეთესობისაკენ გარდაქმნის სურვილში, რომლის უმაღლეს მწვერვალს ვხედავთ რენესანსის იდეებში.

აღნიშნული დოგმატების განვითარებით შეიქმნა ადამიანთა საყოველთაო თანასწორობის იდეა, რომელმაც, თავის მხრივ, შექმნა ისტორიაში პირველი ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემა. რობერტ დალი თანასწორობის ქრისტიანულ გაგებაზე სწერს: „თანასწორობა, როგორც პოლიტიკური კულტურის ერთ–ერთი პარამეტრი, შეიქმნა ქრისტიანობაში ადამიანის ბუნების გაგების საფუძველზე. ქრისტიანობამ ადამიანს ინდივიდუალური მორალური სტატუსი მიანიჭა: „ღმერთმა შექმნა ადამიანი და ყველა თანაბრად ღმერთის შვილია“ [12, 284]. ჩვენი აზრით, ამ ქრისტიანულმა შეხედულებამ, დროთა განმავლობაში, მორალურიდან გადაინაცვლა საზოგადოებრივ ნორმად, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედო სქოლასტი ფილოსოფოსების შეხედულებებს, რაც ქრისტიანულ საგანმანათლებლო ინსტიტუტში გადაიზარდა. ქრისტიანობის გავლენაზე განათლების ინკლუზიურობის საკითხში თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი წყარო - „1065 წელს, მეფის ნებართვით, უკან ათონის მთაზე გაბრუნდა და თან წაიყვანა 80 უდედმამო ბავშვი აღსაზრდელად და მონასტერში ქართველ ბერთა და მოღვაწეთა რიცხვის გასაძლიერებლად. კონსტანტინოპოლში მისული გიორგი მთაწმინდელი 1065 წლის 29 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალეს ათონის მთაზე“ [4, 55].

ადრეულ შუა საუკუნეებში ეკლესიის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებულმა რელიგიურმა დოგმატებმა, მალევე მიიღეს ინსტიტუციონალური სახე (ორგანიზაციული და კანონების დონეზე გაწერილი). შუა საუკუნეების ეკლესიაზე და მის გარდაქმნაზე ჯონ ნევილ ფიგისი სწერს: „შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია არ იყო უბრალოდ ერთ-ერთი სახელმწიფო; ის იყო ერთადერთი ჭეშმარიტი სახელმწიფო. სამოქალაქო ხელისუფლება სხვა არაფერი იყო, თუ არა ეკლესიის პოლიციის განყოფილება. ეკლესიამ რომის იმპერიისგან მემკვიდრეობით მიიღო უმაღლესი ხელისუფლების უნივერსალური იურისდიქციის თეორია და აქცია იგი რომის პაპის plenitudo potestatis-ის დოქტრინად. ამგვარად, რომის პაპი ხდებოდა კანონის უზენაესი არბიტრი, ღვთისმოსაობისა (სამეფო ღვთისმოსაობის ჩათვლით) და კანონიერი უფლებამოსილების ერთადერთი მიწიერი წყარო. რელიგიური პრინციპების შემოქმედი, საუნივერსიტეტო ხარისხების მიმნიჭებელი, უზენაესი მოსამართლეებისა და მსაჯულების დამნიშვნელი, საერთაშორისო სამართლის მცველი, შურისმაძიებელი ქრისტეს სისხლისათვის“ [9, 4]. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ეკლესია, სამოქალაქო ხელისუფლებასთან ერთად, უზრუნველყოფდა საჯარო საქმიანობას, რომელიც დღეს ჩვენთან სახელმწიფოსთან ასოცირდება. ეკლესია, უმეტესწილად, ახორციელებდა მომსახურებას განათლებასა და სხვა სოციალურ სფეროებში (მაგ.: სიღარიბესთან ბრძოლა, საავადმყოფოები, კატასტროფების შემდგომ შემწეობის გაცემა და ა.შ.), ხოლო მართლმსაჯულების აღსრულებას ეკლესია საერო ხელისუფლებასთან ერთად ინაწილებდა.

დუგლას ნორტი წერს, რომ პოლიტიკურ საკითხში ეკლესიას დიდი ადგილი ეკავა - „მაინცის, ტრირისა და კიოლნის მთავარეპისკოპოსები იყვნენ მათ შორის, ვინც ირჩევდა წმიდა რომის იმპერიის იმპერატორს. ინგლისის მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები იყვნენ ლორდთა პალატის წევრები. საფრანგეთში ეკლესიის მსახურები იყო უმაღლესი წოდების სოციალური კლასი. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამდე, ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას სახელმწიფოსთან ფისკალურ საკითხებში... შეუძლებელია კარლ დიდიდან რეფორმაციამდე ევროპული ისტორიის გაგება ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბუნებისა და დომინანტური კოალიციის სეკულარული ელემენტების გაცნობიერების გარეშე” [11, 113].

შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეებში ევროპას მართავდა არისტოკრატებისა და საეკლესიო ხელისუფლების მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კოალიცია.

იმდროინდელ ევროპულ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ შეექმნათ ასეთი მასშტაბის რთული ორგანიზაციები, რადგან მათში ძალაუფლების განაწილება და მმართველი კლასის (ელიტის) ლეგიტიმაცია კვლავაც საზრდოობდა პიროვნულ და ოჯახურ ურთიერთთანხმობაზე, ანუ, ევროპულ ელიტებს შორის არაფორმალური მოლაპარაკებები წარმოადგენდა სახელმწიფო სისტემის არსებობის წყაროს (ბუნებრივი სახელმწიფოს საფუძველს). ასეთ, ორგანიზაციულად მარტივ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ გაეწიათ სერიოზული კონკურენცია კათოლიკურ ეკლესიასთან, ეს გამოიხატებოდა, როგორც საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე სახელმწიფოს შიგნით საჯარო მომსახურების (public goods) გაწევაშიც. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლებები იძულებულნი იყვნენ ეკლესიისათვის გადაეცათ მრავალი საზოგადოებრივი ფუნქცია - განათლება, ქველმოქმედება, ჯანდაცვა, სამართალმცოდნეობა (კანონიკური სამართლიდან გამომდინარე), იურიდიული სამართალწარმოება და ახალი მიწების ათვისება.

ეკლესიის აქტიურმა მონაწილეობამ სამოქალაქო საკითხებში მოითხოვა, რომ მას შეექმნა ყველა ის აუცილებელი იურიდიული და ინსტიტუციური ატრიბუტი, რომელიც დღეს დემოკრატიულ ქვეყნებსა და საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს. დიპაკ ლალი წერს: „ეკლესიის მიერ შეიქმნა თანამედროვე კომერციული და ინდუსტრიული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი - იურიდიული ინფრასტრუქტურა“ [10, 103]. მეცნიერის აზრით, ეკლესია-სახელმწიფო, რომელიც საკუთარი სარგებლისაკენ მიისწრაფოდა, შენდებოდა, როგორც კანონის უზენაესობის მქონე ორგანიზაცია. თანდათანობით, ეს საერო ხელისუფლებებმაც ისესხეს. მეცნიერი სწერს: „ინსტიტუციონალისტი ეკონომისტები დღეს იტყოდნენ, რომ საერო ხელისუფლებებმა ისესხეს ეკლესიის მიერ შექმნილი ინსტიტუტები“ [13, 23]. ზუსტად ეს დასკვნა ცალსახად შეგვიძლია მივუსადაგოთ ევროპულ საგანამანათებლო სისტემასაც. ეკლესიამ განათლების სისტემის, როგორც იურიდიული ინფრასტურქტურა, აგრეთვე სწავლების უმთავრესი პრინციპები შექმნა და რაც მთავარია, საკუთარ სწავლებაზე დაყრდნობით დააარსა პირველი ორგანიზაციები.

საქართველოს ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებში (დიდ სქიზმამდე) ინსტიტუციონალური ფორმით მკვეთრად არ განსხვავდება ევროპულისაგან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიპაკ ლალის მიერ აღწერილი პირველი ქრისტიანული კოსმოლოგიური რეფორმა ახასიათებს ბერძნულ, მაშასადამე ქართულ ეკლესიასაც, რადგან ნეტარი ავგუსტინეს სქოლასტიკამ და მისგან გამომავალმა წმ. გრიგოლის რეფორმამ, აგრეთვე დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთქრისტიანულ ეკლესიაზეც. ამის მაგალითია, რომ ქართველმა თეოლოგმა და ფილოსოფოსმა პეტრე იბერმა, ნეტარი ავგუსტინესავით, იმავე საუკუნეში, დაიწყო ქრისტიანული სქოლასტიკის განვითარება არისტოტელეს ეთიკისა და ნეოპლატონიზმის იდეებზე დაყრდნობით, რამაც სამომავლოდ საფუძველი ჩაუყარა ისეთი დიდი ქართველი ფილოსოფოსი თეოლოგების მოღვაწეობას, როგორებიც არიან იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, იოანე ლაზი და სხვ. როგორც ევროპაში, აგრეთვე საქართველოში, ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანული რელიგია განიცდიდა კოსმოლოგიურ რეფორმაციას, საქართველოში, უნიკალური ქართული მსოფლმხედველობის გარდა, ინერგება ქრისტიანული საგანამანათლებლო სისტემები.

რაც შეეხება ეკლესიის ორგანიზაციულ (ინსტიტუციურ) ფორმას, აქაც საკმაოდ დიდი მსგავსებაა. როგორც შუა საუკუნეების ევროპაში, აგრეთვე საქართველოში, ეკლესია პოლიტიკაში თამაშობდა დიდ როლს და აგრეთვე ახორციელებდა საჯარო საქმიანობას, რაც ჩვენთვის საინტერესოა, საგანამანათლებლო მიმართულებით.

საქართველოში V საუკუნეში გავრცელებული იყო ოჯახში განათლების მიღება, რომელსაც ახორციელებდნენ სასულიერო პირები. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი სწერს: „ვახტანგი იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ [3,

146]. შემდგომ, სასულიერო პირები (აღმზრდელები) ხდებოდნენ სახელმწიფო პოლიტიკის აქტიური მონაწილეები, „როდესაც აღზრდილი მიაღწევდა მაღალ თანამდებობას არ იშორებდა გამზრდელს... და გამზრდელი... იღებდა მაღალ თანამდებობებს“ [5, 11]. საქართველოში თანმიმდევრულად ყალიბდებოდა ეკლესიის, შედარებით რთული, ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელსაც გააჩნდა მრავალი საჯარო ფუნქცია. მაგალთად, V საუკუნიდან ეკლესია საჯარო საგანმანათლებლო სფეროში იყო მონოპოლისტი. ამრიგად, პირველი მსხვილი რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრები VI საუკუნეში დააარსეს ასურელმა მამებმა: შიო მღვიმელმა - შიო მღვიმის ლავრა, იოანე ზედაზნელმა - ზედაზნის ლავრა, დავით გარეჯელმა - დავით გარეჯის ლავრა, აბიბოს ნეკრესელმა - ნეკრესის მონასტერი და ა. შ. ეს ცენტრები აქტიურად ხელს უწყობდნენ ქრისტიანული ფილოსოფიის (კოსმოლოგიის) განვითარებას საქართველოში, რითაც ზრდიდნენ ეკლესიის ავტორიტეტსა და მის მატერიალურ რესურსებს. ასურელი მამების მოღვაწეობით, VI საუკუნიდან საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული სკოლის პრინციპებს. აგრეთვე, სავარაუდოდ, ეკლესიას ჰქონდა მონოპოლია დაწყებითი განათლების სფეროში, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოკვლეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თვლის, რომ „ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთას, ხანძთის და სხვა მონასტრებთან ხშირად გვხვდება შენობები, რომლებიც, ალბათ, აქვე არსებული სკოლებისთვის იყო განკუთვნილი“ [2, 300].

პროფესორი ბესიკ ხურცილავა თვლის, რომ პეტრე იბერის მიერ ქართულ ენაზე დიდი ბაკურის ისტორიის აღწერამ „სწორედ საკუთარი ეროვნული დამწერლობის გაჩენისა და მისი მეშვეობით «წმინდა წერილის» ქართულ ენაზე ამეტყველების ფაქტი ჰქმნიდა მყარ საფუძველსა და საწინდარს კავკასიის იბერიის (ქართლის სამეფოს) მკვიდრი მოსახლეობის საყოველთაო ქრისტიანიზაციისათვის“ [7, 29]. ჩვენი აზრით, განათლებისა და ქართული ენის მჭიდრო ურთიერთკავშირმა ეკლესიასთან მოიტანა ის შედეგი, რომ ქართული ხელოვნების ყველა ადრეული შედევრი უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანულ თემატიკას, მაგალითად: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, იოანე საბანის ძის „აბოს წამება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ათონელ მამათა ცხოვრება და ა. შ.

გრიგოლ ხანძთელის ტაო-კლარჯეთში დაწყებული „დიდი მოძრაობის“ შედეგად სამხრეთ საქართველოს რეგიონში არაერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრი დაფუძნდა. გრიგოლ ხანძთელმა დააარსა ხუთი მონასტერი, ორი დედათა და სამი მამათა. რომლებიდანაც გამორჩეული ადგილი ეკავა ხანძთისა და შატბერდის სამონასტრო ცენტრებს. თავის მხრივ, ეს ცენტრები, აგრეთვე ახორციელებდნენ საგანმანათლებლო ფუნქციებსაც. ამ ეპოქის ყველაზე ცნობილ სკოლაში - ხანძთის სკოლაში, არაერთი გამოჩენილი მოღვაწე სწავლობდა, მათ შორის X საუკუნის ცნობილი ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე. პირველი სასწავლო სახელმძღვანელო, აგრეთვე უკავშირდება ეკლესიას: „შატბერდის კრებულის წარმოდგენილი ,,სასწავლო წიგნი’’ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა სახის სახელმძღვანელოები არსებობდა IX-X სს. საქართველოში. შატბერდი კულტურის ერთ-ერთი კერა იყო, ისევე როგორც ამ დროის საქართველოში არსებული სხვა სამონასტრო ცენტრები და ამავე დროის, როგორც ჩანს, აქ სასწავლო ცენტრიც არსებობდა“ [2, 37].

ქართული ქრისტიანული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირდება IV-V საუკუნეებში, ხოლო, X-XI საუკუნეებში მთავრდება. საწყის ეტაპზე, იგი ელინიზმის ძირითად ფილოსოფიურ ტრადიციებს (ნეოპლატონიზმს) ეყრდნობოდა, მაგრამ IV-VI საუკუნეებიდან განათლება მთლიანად ქრისტიანულ სწავლებას დაუკავშირდა.

საქართველოს ეკლესია, აგრეთვე როგორც ევროპაში, პოლიტიკურ სფეროში თამაშობდა დიდ როლს. უნიკალური კოსმოლოგიური წარმოდგენების შედეგად ეკლესიას შეეძლო გაეწია მრავალი საჯარო მომსახურების ფუნქცია - შეეძლო შეექმნა მარტივი ინსტიტუტები, რომლებიც, უმთავრესად, საგანმანათლებლო (აღმზრდელობითი), საქველმოქმედო და მესიანურ ფუნქცი-

ებს ასრულებდნენ. ანუ, საქართველოს ეკლესია ქრისტიანულ სწავლებაზე დაყრდნობით ანვითარებდა საკუთარ ორგანიზაციულ სტრუქტურას და საჯარო მომსახურების საკითხში კონკურირებდა საერო ხელისუფლებასთან.

ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული, დავით აღმაშენებლის ჩათვლით, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები ურთიერთსაქმიანობისა და კონკურენციის საფუძვლებზე მიმდინარეობდა, სადაც სახელმწიფომ თანდათანობით მოახერხა ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუციის შთანთქმა. საქართველოს მსგავსად, ევროპაშიც ეკლესია-სახელმწიფოს შორის ასეთი სახის ურთიერთობები მიმდინარეობდა, მაგრამ, რომის ეკლესიის ცენტრალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე და ევროპის კონტინენტის სახელმწიფოების მრავალფეროვნების გამო, ეკლესია, პირველ ეტაპზე (შუა საუკუნეებში) გაცილებით უფრო წარმატებით ართმევდა თავს სახელმწიფოებთან კონკურენციას. რომის ეკლესიის საერო ხელისუფლებებთან პოლიტიკურ კონკურენციაში მიღწეულმა წარმატებებმა მისცა მას დრო და საშუალება, რომ ჩვენს მიერ აღწერილ რელიგიურ დოგმატებს მტკიცე ინსტიტუციური (ფორმალურ-ორგანიზაციული) სახე მიეღოთ, რის შედეგადაც ევროპაში ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის ცნება.

მიუხედავად ქართული ეკლესიის, როგორც ორგანიზაციის შედარებით სუსტი პოლიტიკური პოზიციებისა, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები, როგორც ევროპაში, რთული და ურთიერთდამოკიდებული იყო. ეკლესიას საკუთარი რწმენის პრინციპებიდან (კოსმოლოგიიდან) გამომდინარე გააჩნდა მონოპოლია მრავალ საჯარო საქმიანობაზე, მათ შორის განათლებაზე, და რაც მთავარია, წარმოქმნისთანავე ქრისტიანობამ მოახდინა საკთარი აუცილებლობის დეკლარირება. საქართველოს ეკლესია ფლობდა გავლენას სახელმწიფოს შიგნით, რითაც ანვითარებდა საკუთარ რელიგიურ პრინციპებს და თუ ევროპაში ამან საბოლოოდ დამოუკიდებელი, რთული ორგანიზაციის (რომის ეკლესიის) სახე მიიღო, საქართველოში ეს პრინციპები საერო ხელისუფლების სახელმწიფო ინსტიტუტებს ემსახურებოდა, ხშირ შემთხვევაში, მათი განმსაზღვრელიც იყო. ამის ფაქტია, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის დამორჩილების მიუხედავად, მისი აღმზრდელი, სასულიერო პირი - გიორგი ჭყონდიდელი ინარჩუნებდა, როგორც სასულიერო პირის წოდებას, აგრეთვე მაღალ საეროსაც (იყო პოლიტიკური ელიტის ნაწილი) - მწიგნობართუხუცესისა და მეფის ვეზირის. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო არ იყო მზად უარი ეთქვა ქრისტიანულ საგანამანათლებლო სისტემაზე. ეს ფაქტორი, იმდენად ეფექტიანი და ძლიერი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ინსტიტუციური სისუსტის მიუხედავად, სასულიერო-აღმზრდელობითი სისტემა იყო უალტერნატივო.

ზემოაღნიშნულის შეჯამებით, ვასკვნით რომ, თანამედროვე ევროპული განათლების იდეა სათავეს იღებს ქრისტიანული კოსმოლოგიიდან. მაშასადამე, ევროპაში ქრისტიანული ეკელსიის მიერ კოსმოლოგიურმა და ორგანიზაციულმა რეფორმაციამ შექმნა საგანმანათლებლო სისტემის ადმინისტრაციული ფუნდამენტი. მაშასადამე, ჩვენი აზრით, საქართველოში ინსტიტუციონალურ ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ გააჩნდა იმ დროს (მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არა სრულიად გაატარა ზემოაღნიშნული რეფორმები), მასში ფუნდამენტრურ, მსოფლმხედველობით დონეზე დევს აღნიშნული დოგმატები (წარმოდგენები) და რაც მთავარია, ისინი ინტუიციურად მისაღებია საზოგადოებისთვის, ანუ ლეგიტიმურია. მაშასადამე, გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციების თავიდან წარმოქმნა იშვიათი მოვლენაა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს არ გააჩნია ალტერნატივა, ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის ერთადერთი გზა არის გარედან ინსტიტუტების ტრანსპლანტაცია, ხოლო ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ერთადერთი ალტერნატივა საქართველოსათვის არის ევროპული საგანმანათლებლო ინსტიტუტების იდეების განვითარება, რადგან ისინი ფუნდამენტურ დონეზე (რელიგიური წარმოდგენებიდან გამომდინარე) მისაღები (ინტუიციურად გასაგები) არიან საქართველოს საზოგადოებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გოგრაჭაძე ხ. 2019. სვიმონ გამსახურდიას კვლევა ,,სწავლა-განათლება ძველ საქართველოში". ხიჭაური: წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
2. მეტრეველი რ. 1990. დავით IV აღმაშენებელი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო".
3. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. 1955. თბილისი.
4. შუბითიძე ვ. 2011 ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. თბილისი: „გრაალი".
5. ჩხეიძე თ. 1979. აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში. თბილისი: „მეცნიერება".
6. წმიდა მამები შურის შესახებ ცოდვათა განმარტებანი. http://orthodox.ge/book_part/wminda-mamebi-s-huris-shesakheb/13/.
7. ხურცილავა, ბ. 2006 ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისათვის. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
8. Delumeau J. 1990. Sin and Fear. N.Y.: St. Martins Press.
9. Figgis J. N. 1923. Studies of political thought from Gerson to Grotius 1414–1625, second edition. Cambridge: Cambridge University Press.
10. Lal D. 1998. Unintended Consequences: The Impact of Factor Endowments, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance. Cambridge MA: The MIT Press.
11. Lipset S. M. 1959. Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy. Harvard: American Political Science Review.
12. North D. C. Wallis J. J. Weingas R. B. 2012. Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded Human History. Cambridge: Cambridge University Press.
13. Даль Р. Демократия и ее критики. 2003. Пер. с англ. Под ред. М.В.Ильина.. М.: РОС-СПЭН.
14. Лал Д. 2009. Возвращение «невидимой руки»: Актуальность классического либерализма в XXI веке. М.: Новое издательство.


## რეზიუმე:


აღნიშნულ სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების ეპოქაში ქრისტიანული დოგმატების გავლენა ევროპულ საგანამანათლებლო სისტემის ფორმირებაში. აღწერილია ევროპის (რომის) ეკლესიისა და ქართული ეკლესიის ინსტიტუციური მსგავსება და სხვაობა. დიდი ყურადღება ეთმობა ეკლესიის მიერ საჯარო მომსახურების (public goods) გაწევის შედეგად შექმნილ უნიკალურ საგანმანათლებლო იდეაზე და მის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე. ეკლესიის უნიკალური ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე, რომელსაც იგი საკუთარი რელიგიური დოგმატებიდან ანვითარებდა, ეკლესიამ პირველმა შესძლო შეექმნა ინკლუზიური და კანონდებლობით უზრუნველყოფილი ინსტიტუტები, რამაც შუა საუკუნეების ეკლესია გახადა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია. შუა საუკუნეების ევროპაში საგანმანათლებლო სფეროში განვითარებული მოვლენების ფონზე ქართული ეკლესიაც აქტიურად ტრანსფორმირდებოდა. მიუხედავად რომისა და ქართული ეკლესიის ორგანიზაციული სხვაობისა, ქართული ეკლესია საგანმანათლებლო სფეროში იდენტურ პოლიტიკას ატარებდა და ცდილობდა ქვეყნის შიგნით განეხორციელებინა საგანამანათლებლო რეფორმა ქრისტიანული სწავლების ფარგლებში.



**საკვანძო სიტყვები:** საგანმანათლებლო სისტემა, რეფორმა, ქრისტინობის პარადიგმა, ქრისტიანული დოგმები.

DAVID KHUPENIA
PhD. student of Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

# THE INFLUENCE OF THE CHRISTIAN PARADIGM IN THE FORMATION OF THE EUROPEAN EDUCATIONAL SYSTEM. COMPARATIVE ANALYSIS OF ROMAN AND GEORGIAN CHURCHS

## Summary

The article refers examines the influence of the Christian dogmas of the Middle Ages in the formation of the European educational system. It describes the institutional similarities and differences between the European (Roman) Church and the Georgian Church. Much attention is paid to the unique educational idea created by the church as a result of the provision of public goods and its organizational support. Due to the unique organizational structure of the church, which developed on the basis of its own religious dogmas, the church was the first to create inclusive and law-abiding institutions, which made the church of medieval centuries one of the most powerful organizations. On the basis of educational achievements in medieval Europe, the Georgian Church was also actively transformed. Despite the organizational differences between Roman and the Georgian Churches, the Georgian Church pursued an identical policy in the field of education, and also tried to carry out educational reforms within the country within the framework of Christian doctrine.

**Keywords:** education system, reform, Christianity paradigm, Christian dogmas.

## II სექცია

## უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა

**იმერი ბასილაძე**
პროფესორი
**თამარ ღვინიანიძე**
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# პედაგოგიკური დისციპლინების სწავლების საკითხისათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასწავლებლის მომზადების პრობლემები

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური პრაქტიკის, გამოცდილების ურთიერთკავშირის პრობლემას, რომელთა ცოდნა თითოეული მასწავლებლის კომპეტენტურობის ბირთვს წარმოადგენდა, რადგან მასწავლებელს მისთვის მიცემული სოციალური შეკვეთის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფლობს პედაგოგიურ ცოდნას, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ თეორიებს პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების საკითხებზე.

1990 წლიდან ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარაქმნისთანავე პერმანენტულად დაიწყო ბრძოლა, საუნივერსიტეტო მასშტაბით, პედაგოგიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის სწავლების წინააღმდეგ. სამეცნიერო საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი პედაგოგიკის, როგორც სასწავლო კურსის სასწავლო გეგმებიდან ამოღების შესახებ. საბედნიეროდ მაშინდელმა უნივერსიტეტის რექტორატმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა. მაგრამ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტის საბჭოებს მიეცათ უფლება თავად განესაზღვრათ ეს საკითხი. ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია პედაგოგიკის სასწავლო კურსის შემცირება. მაშინ, როდესაც ეს საგანი სამი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა, 16 საათიან კურსად აქციეს და ნაცვალად გამოცდისა ჩათვლა შემოიღეს. პედაგოგიური ფაკულტეტის გარდა, მხოლოდ ერთმა ფაკულტეტმა (ისტორიის), შეძლო 64 საათიანი, ხოლო მეორე ფაკულტეტმა (საბუნებისმეტყველო ) 48 საათიანი კურსის შენარჩუნება {ბასილაძე 2013, 102}.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი საერთო პედაგოგიური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის, მაგრამ უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ ეს ფუნქცია მან, როგორც მასწავლებელთა მომზადების სამჭედლომ რამდენადმე დაკარგა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მასწავლებელთა კადრების მომზადების მიმართულებით საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დროული გადაჭრა, ჩვენ მაშინაც აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია {ბასილაძე 2013, 102-103}:

- ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90 - იანი წლების ბოლოს კარგად არ იქნა გამიჯნული ბაკალავრისა და მაგისტრანტის უფლება მოვალეობანი, დანიშნულება და ფუნქციები სკოლაში.

- რაც შეეხება მაგისტრანტის პედაგოგიური ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებას, იგი უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას არავითარი შეხების წერტილი არ ჰქონდა მაგისტრის მომზადებასთან.
- შემცირდა პედაგოგიური პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა სტუდენტში პრაქტიკულ – პედაგოგიური უნარ– ჩვევების შეძენის მოთხოვნილებას.
- მიუღებლად მიგვაჩნია მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების პრაქტიკა, რომელიც უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე დამკვიდრდა. კერძოდ, საუნივერსიტეტო სახელმწიფო საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭება იმ კურსდამამთავრებელთათვის, რომელთაც პედაგოგიკაში, მხოლოდ თექვსმეტსაათიანი კურსი ჰქონდათ გავლილი და არც ერთი საათი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

  მიმდინარე სასკოლო რეფორმამ უნივერსიტეტებს მიანიჭა ავტონომიის უფლება. ეს ჩვენი განათლების სისტემის დემოკრატიული მონაპოვარი იყო. მაგრამ ამ მონაპოვარს გააჩნდა და გააჩნია თავისი შუქჩრდილები და ხარვეზები:
- კერძოდ, იგი მავანისა და მავანის მიერ განუსაზღვრელ უფლებად იქნა განცდილი. რაც ხშირად იწვევდა სასწავლო გეგმებიდან სასწავლო საგნების დაუსაბუთებლად ამოღებას, სასწავლო აკადემიური საათების თვითნებურ შემცირებას, გამოცდების ჩათვლებად გადაკეთებას, პედაგოგიური პრაქტიკისათვის გეგმით გათვალისწინებული საათების გაუმართლებელ შემცირებას.

პედაგოგიკის კათედრამ დასვა საკითხი, რომ უნივერსიტეტში შექმნილიყო პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლების ლოგიკური სქემა, რომელიც საერთო სავალდებულო უნდა ყოფილიყო ერთნაირი პროფილის ყველა საუნივერსიტეტო სპეციალობისათვის. ამ შემთხვევაშიც იმუშავა ლოზუნგმა ჩვენ უნივერსიტეტი ვართ და არა პედაგოგიური ინსტიტუტი. ისე ჩანდა, რომ ჩვენი ყველა კურსდამთავრებული მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის ემზადებოდა და არა პედაგოგიური საქმიანობისათვის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ეს, მხოლოდ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემა კი არ იყო, არამედ საერთო საუნივერსიტეტო პრობლემა საქართველოსთვის. კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით შედგენილი სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირ შემთხვევაში ცოდავდნენ მეცნიერული და პედაგოგიკურ – მეთოდიკური თვალსაზრისით {ბასილაძე 2003, 6}. გაუქმდა დიდაქტიკის ლაბორატორია.

ჩვენი აზრით, პედაგოგიკა – ფსიქოლოგიის სასწავლო კურსებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია საქართველოში მასწავლებელთა კადრების მომზადების პრობლემა. სკოლაში მიდიოდა მასწავლებელი, რომელსაც პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკის სრული კურსი არ ჰქონდა გავლილი.ზემოთ თქმულს, ჩვენი აზრით, მხარს უჭერდა XX საუკუნის 90–იანი წლების საგანმანათლებლო რეფორმა. მაშინდელ საქართველოში იმერეთის რეგიონს სხვა საგანმანათლებლო სისტემა ჰქონდა, ხოლო დანარჩენ საქართველოს სხვა.

კათედრამ ტრადიციისამებრ გააგრძელა მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ქალაქის სკოლებთან. კათედრასთან ჩამოყალიბდა „სასკოლო რეფორმებისა და პრობლემათა შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი დოც. შოთა ჩხარტიშვილი). ახლებურად გადამუშავდა კლასგარეშე და აღმზრდელობითი პრაქტიკის პროგრამა და მათი ჩატარების მეთოდიკა სასკოლო ტიპის საფეხურების თავისებურებების გათვალისწინებით

2003 წლიდან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად დაიწყო სილაბუსებისა და კურიკულუმების განვითარება-დანერგვის ტენდენციები. პედაგოგიკის კათედრაზე პირველად უნივერსიტეტში შემუშავდა სილაბუსები და კურიკულუმები. დაინერგა ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, შემოტანილ იქნა სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები. სასწავლო პროცე-

სის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვამ კათედრის აკადემიურ პერსონალს მისცა შესაძლებლობა პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა კიდევ უფრო დაეკავშირებინა ერთმანეთთან, მომავალი მასწავლებლებისათვის გამოემუშავებინათ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

2003 სასწავლო წლიდან პედაგოგიკის კათედრის ინიციატივით უნივერსიტეტის მასშტაბით მაგისტრატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის შემოტანილ იქნა სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“.

2004 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ გვერდს უვლის აღზრდას. როგორც პროფ. ა. ასათიანი წერს „ ამ დოკუმენტების მიხედვით პრიორიტეტი განათლება და სწავლებაა. თუმცა რამდენად წარმატებულია ჩვენი სკოლა ამ ამოცანების შესრულებაში, ყველასათვის ცნობილია. პედაგოგიკის ელემენტარულ დონეზე ცოდნაც საკმარისია იმის გააზრებისათვის, რომ სწავლა და აღზრდა განუყოფელია. აღზრდა ადამიანისეული მოვლენაა და ამას ყველა დროის სკოლაში აღიარებდნენ. შეუძლებელია ამ ორი სფეროს გამიჯვნა“ { ასათიანი 2018,15}.

ვფიქრობთ, რომ ეს პერიოდი (2005 წლის გაზაფხულამდე) ერთგვარ გარდამავალ წლებად შეიძლება დავსახოთ და ვთქვათ, რომ განხორციელებული ცვლილებები მეტ-ნაკლებად სისტემურ, გეგმაზომიერ ხასიათს ატარებდა და გამოირჩეოდა ეტაპობრივი ცვლილებებით. შენარჩუნებული იქნა მემკვიდრეობითობა აღზრდასა და სწავლებაში, ერთიანი სისტემური ხაზი და წარმოჩნდა კათედრის ცალკეულ წევრთა კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარდეს სამომავლოდ პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში.

2005 წლის გაზაფხულისათვის პედაგოგიური ფაკულტეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობის სახით. შესაბამისად გაუქმდა პედაგოგიკის კათედრა და შეიქმნა პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტი. იმავე წელს სასწავლო გეგმებიდან ამოიღეს პედაგოგიკის საუნივერსიტეტო კურსი ბაკალავრიატში და მაგისტრატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის 2003 წელს შემოტანილი სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“. მომავალმა თაობებმა ინტერესი დაკარგეს მასწავლებლის პროფესიისადმი, რასაც ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“- რომელიც უგულებელყოფდა მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭებას უმაღლეს სასწავლებლებში.

2006 წლიდან, ასე ვთქვად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოასწორა თავისსავე დაშვებული შეცდომა. აღადგინა პედაგოგიური ფაკულტეტი. ბუნებრივია აღდგა პედაგოგიკის დეპარტამენტი. კათედრაზე უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად მომზადდა ახალი პროგრამა, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის კუთხით. ორივე პროგრამა ძირითადში დაიტვირთა პედაგოგიკური ციკლის სასწავლო კურსებით {პედაგოგიკის დეპარტამენტი 2006: ოქმი №2}. რადგან უნივერსიტეტში, ფაქტიურად აღარ მზადდებოდა მასწავლებელი საუნივერსიტეტო მასშტაბით პედაგოგიკის დეპარტამენტმა დასვა საკითხი ადმინისტრაციის წინაშე, რომ საუნივერსიტეტო კუთხით, მაგისტრატურაში კვლავ აღდგენილიყო სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, რაც მისცემდა, მცირეოდენ საბაზისო ცოდნას პედაგოგიკაში მაგისტრატურის კურსდამამთავრებლებს, რომლებიც მომავალში დააპირებდნენ მასწავლებლობას სკოლაში, ან პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას უნივერსიტეტში {პედაგოგიკის დეპარტამენტი 2006: ოქმი №4}. აღნიშნული სასწავლო კურსი იკითხებოდა ისეთ სპეციალობებზე, როგორებიცაა: ეკონომიკა, ჟურნალისტიკა, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, ისტორია და სხვ.

2008 წლის იანვრიდან მაგისტრატურის სპეციალობებზე პედაგოგიკის დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო სასწავლო სალექციო კურსის „პედაგოგიკის კვლევის მეთოდები“ და „პედა-

გოგიური ტექნოლოგიები“ წაკითხვა. სწავლების პროცესში დაინერგა თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, რაც შესაბამისად აისახა სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სწავლების მიზნები, ამოცანები, შინაარსი, აქტივობები და მეთოდები. დეპარტამენტი გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე { ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა}.

2009 წელს საუნივერსიტეტო მასშტაბით, პედაგოგიკის კათედრაზე, შემუშავდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი მაინორ პროგრამები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის საგნებს და პედაგოგიურ პრაქტიკას. მომზადდა სილაბუსები. 2009-2010 სასწავლო წლიდან მასწავლებლის მოსამზადებელ მაინორ პროგრამებზე შემოტანილ იქნა ახალი სასწავლო კურსი მასწავლებლის „პედაგოგიური ხელოვნება“ {პედაგოგიკის დეპარტამენტი 2009: ოქმი №1}.

კათედრამ თავისი მუშაობა წარმართა პედაგოგიური ტექნოლოგიების განვითარების შემდეგი მიმართულებებით: 1. ახსნითი - ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია; 2. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგია და 3. განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია. ამ მიმართულებით საქმიანობის განვითარებამ ასახვა ჰპოვა აკადემიური პერსონალის შემოქმედებით ხასიათში. სწავლა/სწავლების პროცესი უბრალო საწარმოო პროცესიდან იქცა კრეატიულ საქმიანობად.

2010 წლიდან დეპარტამენტში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური განათლების დასანერგად. სასწავლო პროგრამებში შევიდა ცვლილება და შეტანილ იქნა 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ინკლუზიური განათლება“{ბასილაძე 2013, 46}.

2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისში დეპარტამენტში თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით კიდევ ერთხელ გადამუშავდა სილაბუსები და სასწავლო სალექციო კურსები. წარდგენილ იქნა ისინი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელიც დამტკიცდა პროგრამასთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე და წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამულ აკრედიტაციაზე.

აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით პედაგოგიური ფაკულტეტის საბკალავრო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი „აღზრდის თეორია“, „პედაგოგიკის ისტორია“ , ხოლო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან ისტორიისა და გარემოს დაცვის სპეციალობის გარდა „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ {პედაგოგიკის დეპარტამენტი 2010, ოქმი №1}. სასწავლო კურსის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ შენარჩუნება მოხერხდა პედაგოგიური ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე საბაკალავრო სასწავლო პროგრამაში აღზრდის თეორიის სასწავლო კურსის ნაცვლად შემოტანილ იქნა სასწავლო კურსი „კლასის მართვა“. მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა სწავლების ტექნოლოგიაზე, რაც პედაგოგიკური კუთხით ნიშნავს „როგორ ვასწავლოთ?“ და ივიწყებს სწავლების მთავარი მიზანს - „რა ვასწავლოთ“?“ და „რისთვის ვასწავლოთ?“. პედაგოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციის ძალისხმევით კურიკულუმში შევიდა სასწავლო კურსად „სააუდიტორიო პედაგოგიური პრაქტიკა“. „სააუდიტორიო პედაგოგიური პრაქტიკის“ სასწავლო კურსის შემოტანით კათედრამ პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კიდევ უფრო სრულყო პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაცია და ტექნოლოგია. სტუდენტები უნივერსიტეტშივე იღრმავებენ პედაგოგიკაში, სწავლებისა და განვითარების თეორიებში, სასწავლო კურსის მეთოდიკებში მიღებულ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკული კუთხით. პრაქტიკულად ეცნობიან თანამედროვე განათლების სისტემას, მისი სამართლებრივი აგების საფუძვლებს, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს, შეფასების სისტემას, სწავლების თანამედროვე მეთოდებს. თითოეული სტუდენტი ატარებს პრაქტიკის კვლევას მის მიერ ჩატარებული მუშაობიდან გამომ-

დინარე, იძლევა სათანადო რეკომენდაციებს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთ თქმული ხელს უწყობს სტუდენტებში პედაგოგიური პროფესიისადმი სიყვარულის გაღვივებას {პედაგოგიკის დეპარტამენტი 2012, ოქმი №5 }.

მიუხედავად ასეთი შემოტევებისა პედაგოგიკის სასწავლო კურსების მიმართ, დეპარტამენტმა კვლავ გააგრძელა თანამშრომლობა საბაზო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. დეპარტამენტის წევრები სისტემატურად ატარებდნენ პედაგოგიური პრაქტიკით განსაზღვრულ სამუშაოებს, გეგმავდნენ საერთო პროექტებსა და კვლევებს. 2013 წლის აპრილში ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლაში პედაგოგიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინიციატივით, დაფუძნდა „პედაგოგიური კლინიკა. კლინიკის მთელი საქმიანობა ორიენტირებული იყო სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობაზე, კერძოდ: უნივერსიტეტისა და სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-მოდულების, სასწავლო კურსების, საზაფხულო და საკვირაო სკოლის პროგრამების მომზადება, რომლებიც დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა და სუტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პედაგოგიური კლინიკის საქმიანობის მთავარ პრინციპებად იქცა:

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ოპტიმიზაცია და განვითარება.
- პედაგოგიკის, მეთოდიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების ჩართულობის გაღრმავება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.
- მაძიებელ მასწავლებელთა და განათლების მეცნიერების დოქტორანტთა ჩართვა სასწავლო პროცესის კვლევაში;
- მასწავლებელთა მიერ შემუშავებული აქტივობებისა და სასწავლო რესურსების პრეზენტაცია, გამოცდილების გაზიარება;
- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლის ერთობლივი ჩართულობის აღდგენა სწავლებისა და აღზრდის პროცესში;

პედაგოგიური კლინიკის არსებობის სამი წლის მანძილზე „პედაგოგიურ კლინიკაში“ განხორციელებულმა აქტივობებმა საშუალება მისცა სტუდენტებსა და მასწავლებლებს აემაღლებინათ პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაწილეობა მიეღოთ სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის დაკვირვებასა და განხორციელებაში, ჩატარდა კვლევები საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე, ჩაატარდა აგრეთვე ერთობლივი სამოდელო გაკვეთილები, დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდოლოგია.

2016 წლიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე მოქმედებს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სამოცივე კრედიტი ეთმობა პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკის ციკლის საგნებს. პროგრამა 12 მიმართულებით ამზადებს მასწავლებლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის.

2017–2018 სასწავლო წლის დასაწყისიდან დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესში. პარალელურად მონაწილეობას იღებდა განსახორციელებელი ახალი 300 კრედიტიანი საგანმანათლებლო - ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებაში. ამ კუთხით 2017 წლიდან პედაგოგიკის დეპარტამენტი ჩართული იყო საქართველოს უნივერსიტეტების განათლების დეპარტამენტებთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ესტონეთის მთავრობისა და იუნისეფის რეფორმაში, რათა ერთობლივად შემუშავებულიყო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი პროგრამა. დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავ-

რო-სამაგისტრო პროგრამაში პედაგოგიკის დეპარტამენტის წევრების მიერ მომზადდა პედაგოგიკური {60კრ.} არჩევითი {10 კრ.} სასკოლო პრაქტიკის {10 კრ}, პედაგოგიური პრაქტიკის (10 კრ.) და პრაქტიკული კვლევის {20 კრ.} მოდულების სასწავლო კურსები. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და სწავლებისა და განათლების შინაარსში არსებული სიახლეები [პედაგოგიკის დეპარტამენტი 2018, ოქმი №4 ].

რაც შეეხება სასწავლო კურსს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა", ის ამჟამად უნივერსიტეტში ისწავლება მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე.

ამჟამად პედაგოგიურ ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საბაკალავრო პროგრამაზე სკოლამდელი განათლება და ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ინგლისურის მასწავლებლის მომზადება. ორივე პროგრამა მზადდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარსადგენად. მათ სასწავლო გეგმაში პედაგოგიკის დეპარტამენტმა მაქსიმალურად გაითვალისწინა პედაგოგიკის სასწავლო დისციპლინების სწავლება. 200 კრედიტი დათმობილი აქვს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის საგნებს. მათ შორის 30 კრედიტი ეთმობა სასწავლო - სააღმზრდელო პრაქტიკას და პრაქტიკის კვლევას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში აღმზრდელობითმა მუშაობამ უკან პლანზე გადაინაცვლა. თითქმის 20 წელზე მეტია ვაშენებთ ლიბერალურ სახელმწიფოს. თავისუფლება და დემოკრატია ამ პროცესების მთავარ დევიზად იქცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა და მიიღო „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი", სადაც მასწავლებლის მთავარ საქმიანობად, მხოლოდ სწავლებაა აღიარებული, რაც ჩვენი აზრით მიუტევებელი შეცდომაა. ამავე აზრის გამტარებელია 2018 წელს დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა.

ფორმალურად აღმზრდელობითი ნაწილი თანამედროვე სკოლაში მანდატურთა მონოპოლიად არის გადაქცეული, რის გამოც მოსწავლეთა შორის გაჩნდა შეხედულება, რომ აღზრდაში ხელმძღვანელი და პასუხისმგებელია მანდატური და არა მასწავლებელი. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არის მცდარი. ზოგჯერ ასეთი შეხედულება მასწავლებელთა შორისაც არის გაბატონებული. მიგვაჩნია, რომ მასწავლებლებიპირდაპირ მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ მომავალი თაობის აღზრდაში. მასწავლებლობა, ხომ თავისთავად გულისხმობს აღზრდას. იქ სადაც მაწავლებლის ავტორიტეტი არის შელახული, მოსწავლეთა აღზრდაზე საუბარი ზედმეტია. პედაგოგიკური აზროვნების ისტორია ზემოთ ნათქვამის სამართლიანობას სავსებით ადასტურებს. მიგვაჩნია, რომ სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი უნდა მივანდოთ პედაგოგს პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების შუამავლობით. მასწავლებელს უნდა შევუქმნათ სკოლაში პირობები, რადგან ის თავისუფალია და აქვს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის, არჩევანის საშუალება, შინაგანი და გარეგანი მოტივი.

მიგვაჩნია, რომ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე, პედაგოგი აღსაზრდელის გონებას, ხასიათისა და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას მცდარ მიმართულებას მისცემს. ზოგჯერ ეს, შესაძლებელია დაგვიანებით გახდეს საზოგადოებისათვის მიუღებელი, როცა მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი გახდება. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება ეხმარება მასწავლებელს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, უადვილებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში წარმოშობილი პრობლემების დაძლევას. ვფიქრობთ, რომ ყველა მომავალი მასწავლებლის აუცილებელი ვალდებულებაა აღზრდისა და სწავლა/სწავლების მეცნიერების სრულყოფილი დაუფლება, რათა მან შესძლოს სწავლა/სწავლების პროცესი დაგეგმოს და მიუსადაგოს ბავშვის სულიერ და გონებრივ განწყობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 97, საქმეები: № 157, № 158, № 156, № 150.
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის 2006 -2020 წლის სხდომის ოქმები №1, №2, №4, №5.
3. ასათიანი 2018. ასათიანი ა., ღირებულების პრობლემა აღზრდაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, № 17, თბილისი, 2018.
4. ბასილაძე 2014. ბასილაძე ი., ღავთაძე გ., უწყვეტი განათლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პედაგოგთა მომზადების თანამედროვე გამოწვევები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის(პედაგოგიური ფაკულტეტი) V საერთაშორისო კონფერენციის შრომები, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები,ISSN:2298-030X, ქუთაისი, 2014 . ბასილაძე 2013: ბასილაძე ი., პედაგოგიური ფაკულტეტი წარსული, აწმყო, მომავალი (1933-2013), ქუთაისი, 2013.
5. ბასილაძე 2003. ბასილაძე ი., ჩხარტიშვილი შ. მასწავლებელთა კადრების მომზადების ზოგიერთი პრობლემა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 2 (36), პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდიკათა სერია, 2003 .
6. ვასაძე 2000. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბილისი, 2000.


# რეზიუმე


ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარაქმნისთანავე პერმანენტულად, საუნივერსიტეტო მასშტაბით, დაიწყო ბრძოლა, პედაგოგიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის სწავლების წინააღმდეგ. შემცირდა პედაგოგიკის სასწავლო კურსის საათობრივი ბადე. მხოლოდ პედაგოგიურ ფაკულტეტზე მოგვეცა საშუალება პედაგოგიკის სასწავლო კურსების სრულად განხორციელებისა.

2010 წლიდან აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით პედაგოგიური ფაკულტეტის საბკალავრო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსები აღზრდის თეორია, პედაგოგიკის ისტორია, სკოლათმცოდნეობა, ხოლო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან ისტორიისა და გარემოს დაცვის სპეციალობის გარდა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა.



**საკვანძო სიტყვები**: პედაგოგიკა, მასწავლებელი, აღზრდის თეორია, მანდატური, მონოპოლია.

**IMERI BASILADZE**
Akaki  Tsereteli StateUniversity
Professor
**TAMAR GVINIANIDZE**
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Georgia, Kutaisi

# ISSUES OF TEACHING PEDAGOGICAL DISCIPLINES AT KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY AND TEACHER TRAINING PROBLEMS

## Summary

As soon as the Kutaisi Pedagogical Institute was transformed into the university, a permanent struggle began against teaching pedagogy as a teaching discipline on the university scale. The hourly schedule of the pedagogy training course was reduced. Only the pedagogical faculty allowed us to fully implement the pedagogical teaching courses.

Since 2010, on the recommendation of accreditation experts, the following teaching courses: Theory of Upbringing, History of Pedagogy, School Studies have been removed from the undergraduate programs of the Faculty of Pedagogy, as well as High School Pedagogy in addition to History and Environmental Protection from university courses.

**Keywords:** pedagogy, teacher, upbringing theory, bailiff, monopoly.

**მამული ბუჭუხიშვილი**
ასოცირებული პროფესორი
**თეიმურაზ გიორგაძე**
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

# ლექცია-დისკუსიის წარმართვა და ეფექტური რეაგირება დისკუსიისას

სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე  წარმართვისათვის და შესაბამისი სასწავლო  მასალის გააზრებისათვის  სტუდენტები (მოსწავლეები) საჭიროებენ დროულ და ზუსტ ინფორმაციას, როგორ გაიგეს საკითხი, რა  გააკეთეს წარმატებით და რა უნდა გააუმჯობესონ. ამისათვის ლექციის წამყვანმა სტუდენტებს (მოსწავლეებს) უნდა მიაწოდოს ცხადი და აკადემიური ინფორმაცია. სტუდენტებთან აუცილებელია  ეფექტიანი  უკუკავშირი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: 1. რა გაკეთდა კარგად;  2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას; 3. როგორ უნდა მოხდეს გაუმჯობესება.

დღეს, როდესაც  პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო, მრავალი ქვეყნის (მათ შორის საქართველოშიც) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები (და არა მარტო ისინი) გადავიდნენ ონლაინ სასწავლო პროცესზე, ამ შემთხვევაში ნაკლებად ხდება ცოცხალი სალექციო პროცესის წარმართვა,  შესასწავლი საკითხების საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, სტუდენტებისათვის

აუცილებლად მიგვაჩნია, ლექცია დისკუსიების გამართვა, რათა ისინი  უკეთ გაერკვნენ და აქტიურად ჩაერთონ სალექციო პროცესში.

დისკუსიის წარმართვა და სასურველი შედეგის მიღება  რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული;  მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შეკითხვა, შეკითხვით დიალოგში შევდივართ აუდიტორიასთნ. დიალოგის რეჟიმში არ არსებობს კითხვების ავტორისა და მოპასუხის მკაცრად განსაზღვრული როლები, არავის აქვს სიტუაციის ფლობის ექსკლუზიური უფლება. სწორედ „შეკითხვის რეჟიმი" წარმოადგენს ახალი ცოდნისაკენ მიმავალ გზას. შეკითხვის მეშვეობით დისკუსიის წამყვანს შეუძლია:

1. გაააქტიუროს აუდიტორია - მისცეს მის აზრს გამოთქმისა თუ ცოდნის წარმოჩენის შესაძლებლობა;
2. წააქეზოს გამოცდილების გაზიარებისაკენ - დისკუსიის მონაწილეებს შეუძლიათ შეადარონ საკუთარი მოსაზრებები სხვისას;
3. დაეხმაროს სიტუაციის გაგებაში - ხელი უნდა შეუწყოს მონაწილეებს საკუთარი პრობლემების ჩამოთვლასა და სისტემატიზებაში;
4. გაიგოს სხვისი აზრი - დისკუსიის პროცესში წამყვანი უნდა ცდილობდეს, მეტი გაიგოს საკითხისადმი (შეკითხვებისადმი) მონაწილეთა დამოკიდებულებაზე, მათ მოსაზრებებზე, ემოციებზე;
5. შეამოწმოს, გაიგო თუ არა აუდიტორიამ განხილული საკითხი - ამის გარკვევის გარეშე არარეკომენდებულია მომდევნო საკითხზე გადასვლა;

შეაფასოს სიტუაცია - მიიღოს უკუკავშირი, შეკითხვები სამუშაო სიტუაციის ანალიზსა და შეფასებაში გვეხმარება.დისკუსიის წარმატება დამოკიდებულია შეკითხვაზე, აქ გასათვალისწინებელია:

1. ვიპოვოთ კითხვის დასმის შესაფერისი მომენტი;
2. დაისვას შესაფერისი კითხვა;
3. სწორად იქნეს შერჩეული შეკითვის ფორმა.

ცნობილია, რომ შეკითხვას აქვს ფორმა და შინაარსი; ყველა კითხვა რაიმე შინაარსს უნდა შეიცავდეს, ფორმის მიხედვით კი განასხვავებენ - დახურულ და ღია შეკითვებს (დახურულია შეკითხვა თუ მისი პასუხი წინასწარ განსაზღვრულია, მოპასუხეს, ჩვეულებრივ, პასუხის შერჩევა უხდება და არა შექმნა (მაგალითად ტექსტი); ღია შეკითხვას წინასწარ განსაზღვრული პასუხი არა აქვს, მას პასუხის გასაცემად ახსნა-განმარტება სჭირდება).

გარდა ამ ორი კატეგორიისა, გამოყოფენ დისკუსიისას გამოყენებულ შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

1. ალტერნატიული შეკითხვა - შეკითხვაში, ასარჩევად, შეთავაზებულია ორი ან მეტი ალტერნატივა; მაგალითად, ამ ამოცანის ამოხსნისას განტოლებას გამოიყენებთ, რიცხვით გამოსახულებას, თუ ნახაზს?
2. სეგესტიური შეკითხვა - ამგვარი შეკითხვით, მანიპულაციით ხდება მოპასუხისაგან თანხმობის მიღება; მაგალითად, „დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი თქვენ იცით და დამეთანხმებით, რომ..."
3. კონტრშეკითხვა - ეს კითხვა წამყვანს პასუხის გაცემისაკენ უბიძგებს. ამგვარი ზეწოლის თავიდან ასაცილებლად შეიძლება შეკითხვაზე შეკითხვით უპასუხოთ.
4. დაბრუნებული შეკითვა - ეს არის შეკითხვის დამოუკიდებელი ფორმა, ეს შეკითხვაზე რეაგირების სპეციფიკური სახეა; ამ დროს შეკითხვას მისივე ავტორს უბრუნებენ, მაგალითად, „საინტერესო შეკითვაა, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამის თაობაზე? რას ფიქრობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები?"

დისკუსიაში მონაწილეთა შეკითხვებიც შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფოთ:

1. თემის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები - თუ წინა შეკითხვას პასუხი არ გაეცა, მომდევნო თემის განხილვაზე გადასვლა არ შეიძლება; თემის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვაში მთელი ჯგუფი უნდა ჩავრთოთ. ნებისმიერ შემთხვევაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია (თუნდაც მოკლედ), აგრეთვე მნიშვნელოვანია დასკვნების გამეორება.
2. პრაქტიკული შეკითხვები - ამ ტიპის შეკითხვები შეიძლება ინტერესის გამომხატველი შეკითხვების სპეციალური ვერსია იყოს.
3. შეკითხვები, რომლებიც ეხება თემის მნიშვნელობას (აქტუალობას) - ეს შეკითვები იმის მაჩვენებელია, რომ მსმენელები ვერ ხედავენ ინფორმაციის მნიშვნელობას, ვერ ხვდებიან თემის საჭიროებას. მათ სურთ დარწმუნდნენ თემის აქტუალობაში. ამ შემთხვევაში შეიძლება შეკითვა შევუბრუნოთ ჯგუფს და მიმანიშნებელი შეკითხვებით პასუხის გაცემაში დავეხმაროთ.
4. თემისაგან შორს მყოფი შეკითხვები (დევიაციური შეკითხვები) - ერთი შეხედვით, ეს შეკითხვები პრაქტიკული ან თემის აქტუალობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ჰგავს, მაგრამ დევიაციური შეკითხვისას მიზანი მათზე პასუხის მიღება არ არის - მათი ამოცანა თემიდან ყურადღების გადატანაა. ამ ტიპის შეკითხვებს ხშირად სვამს ის, ვინც არ არის დარწმუნებული თავის თავში; ამ შემთხვევაში წამყვანი უნდა შეეცადოს დისკუსია ძირითადად თემას დაუბრუნოს.
5. რიტორიკული შეკითხვები - ეს შეკითხვები უკვე შეიცავს პასუხს. ეს არის შეკითხვის ფორმა, რომელიც „სწორ პასუხს“ თავისთავად გულისხმობს. ამ ტიპის შეკითხვას ხშირად ის მსმენელი სვამს, რომელსაც სურს ექსპერტად აღიარონ, მას სურს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა და გამოხატოს პოზიცია. წამყვანმა უნდა დაადასტუროს შეკითხვა, მაგრამ ამასთანავე, უნდა უთხრას ავტორს, რომ მან რიტორიკული შეკითვა დასვა.
6. ემოციური შეკითხვები - ამ შემთხვევაში შეკითხვის ავტორი იძლევა სიგნალს (გამოხატავს უკმაყოფილებას), აგრესიას ან თავს არიდებს სურვილს. ამ შემთხვევაში წამყვანმა მხოლოდ ფაქტობრივ შინაარსს არ უნდა გასცეს პასუხი, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ემოციურ მხარეზე. სადიკუსიო ჯგუფში არსებულ ატმოსფეროზე, მონაწილეთა განწყობაზე და აუცილებლად მოახდინოს მონაწილეთ სტიმულირება, რათა მათ თავისუფლად ისაუბრონ თავიანთ განწყობაზე, სურვილებსა და მოთხოვნილებებზე. მათი წინადადებები ყურადღებით უნდა იქნეს მოსმენილი და გათვალისწინებული.

დისკუსიისას პასუხზე რეაგირება ისე უნდა მოხდეს, რომ მოსაუბრე კმაყოფილი დარჩეს - იგრძნოს რომ დისკუსიაში წვლილი შეიტანა. მაშინაც კი, როდესაც პასუხის შინაარსობრივი მხარე მიუღებელია, დისკუსიის მონაწილე უნდა გრძნობდეს, რომ მას გაუგეს, რადგან თუ მონაწილემ ინანა აზრის თავისუფლად გამოთქმა, მას დისკუსიაში მონაწილეობის სურვილი აღარ ექნება და ამას ხშირად აგრესიულ ქცევასთან მივყავართ.

როგორც ვიცით დისკუსიისა და შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, შეკითხვების დასმა სწავლების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. სწორად ჩამოყალიბებული შეკითხვები გვაძლევს შესაძლებლობას, დავადგინოთ, რა აითვისეს სტუდენტებმა, რა უნდა ისწავლონ დამატებით და რა გაიგეს არასწორად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კითხვის დასმის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ათვისების დონის შემოწმების თვალსაზრისით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018 წელი.
2. ლომიძე ნ. (2016) დისკუსიის ტექნიკა http://mastsavlebeli.ge/?p=7126.

## რეზიუმე

სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის და შესაბამისი სასწავლო მასალის გააზრებისათვის, სტუდენტებისათვის ლექციის მსვლელობისას აუცილებელია ისეთი ინფორმაციის მიწოდება, სადაც ნათლად გამოჩნდება როგორ გაიგეს საკითხი, რა გააკეთეს წარმატებით და რა უნდა გააუმჯობესონ. სტუდენტებთან აუცილებელია ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: 1. რა გაკეთდა კარგად; 2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას; 3. როგორ უნდა მოხდეს გაუმჯობესება.დისტანციური სწავლების პროცესში შესასწავლი საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, სტუდენტებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია, ლექცია დისკუსიების გამართვა, რათა ისინი უკეთ ჩაწვდნენ შესასწავლი საკითხის შინაარსს.

სტატიაში განვიხილეთ თუ რა შეუძლია დისკუსიის წამყვანს, როგორ უნდა გააქტიუროს აუდიტორია და დაეხმაროს სიტუაციის გაგებაში, გაიგოს სხვისი აზრი, შეამოწმოს, გაიგო თუ არა აუდიტორიამ განხილული საკითხი. დისკუსიაში მონაწილეთა შეკითხვები რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფეთ. დავადგინეთ, რომ კითხვის დასმის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ათვისების დონის შემოწმების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** დისკუსია, უკუკავშირი, დიალოგი, სეგესტიური შეკითხვა, კონტრშეკითხვა, ალტერნატივა.

MAMULI BUCHUKHISHVILI
Associate Professor
TEIMURAZ GIORGADZE
Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

# CONDUCT A LECTURE-DISCUSSION AND RESPOND EFFECTIVELY DURING THE DISCUSSION

## Summary

In order to conduct the teaching process at a high level and relevant learning material to be understood, it is essential to provide students with information during the lecture that clearly shows how they understood the issue, what they did successfully and what they need to improve. Effective feedback with students is essential, which consists of three parts: 1. What has been done well 2. What needs to be improved 3. How to improve it. In order to study the issues better in the distance learning process, we consider it necessary for students to hold lecture discussions so that they can better understand the content of the issue to be studied.

In the article we discussed what the moderator of the discussion can do, how to activate the audience, help to understand the situation, understand the opinion of others, check whether the audience understood or not the issue under discussion. We grouped the participants' questions into several categories. We have found that using effective questioning strategies is crucial in terms of checking mastery levels.

**Keywords**: discussion, feedback, dialogue, inquiry, contrinquiry, alternatire.

**იაგორ ბალანჩივაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ქუთაისი

# გამოწვევები უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში

განათლების მიმართულებით მიმდინარე რეფორმების თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი პირველია, მუდამ მზად არის სიახლისათვის. მიმდინარე რეფორმების პარალელურად მუდმივი გამოწვევების წინაშე არიან საჯარო სკოლები, განათლების დარგის მუშაკები და უმაღლესი სასწავლებლები. სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ თუ უმაღლეს განათლებაში და საკანონმდებლო ბაზაში მიმდინარე ცვლილებები, გამოწვევები არის უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ხდება მომავალი მასწავლებლების მომზადება.

საჯარო სკოლებში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლება და მოსწავლის განვითარებაში წარუმატებლობის დაძლევა. ბევრი მოსწავლე განიცდის შემეცნებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. მუდმივად იზრდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრულ დროში განსაზღვრული მოცულობის სასწავლო პროგრამის ათვისებას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ.

სიძნელეებს დროულად უნდა შევებრძოლოთ, თორემ შემდგომში ძნელი დასაძლევი გახდება და მოსწავლე სასწავლო პრაქტიკიდან ამოვარდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარუმატებლობის მიზეზებში დროულად და სწორად გარკვევაა აუცილებელი, რათა ბავშვს შესაძლებლობის მიხედვით გავუწიოთ ქმედითი დახმარება. ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ჩვენ ვალდებული ვართ დავიცვათ მისი სწავლის უფლებები და ჩავრთოთ ინკლუზიურ განათლებაში, რაც მის შედეგებზე უთუოდ დადებითად აისახება.

სწორედ ინკლუზიური განათლება გვაძლევს შესაძლებლობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და ხელი შევუწყოთ მათ სოციალურ ინტეგრაციას. საქართველოში ინკლუზიური განათლების საკითხები 2005 წლიდან რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ (2001 წ.); საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005 წ.).

2005 წლიდან სხვადასხვა ქართულ პოპულაციაში საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე. ის გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის (სსსმ) ჩართვას ზოგადსაგანამანთლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად, მისი მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის წინაშე დადგა გამოწვევა - აუცილებელი გახდა დაწყებითი კლასების მომავალ მასწავლებლებს ვასწავლოთ ინკლუზიური განათლების პრონციპები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა დაიწყო ინკლუზიური განათლების სწავლებაზე ზრუნვა და საგანი „დეფექტოლოგია-ლოგოპედია“ 2005 წელს შეიცვალა საგნით „დეფექტოლოგია და ინკლუზიური განათლება“, რომელიც შედგომში (3 წლის შემდეგ) შეიცვალა საგნით „ინკლუზიური განათლება“.

დღეისათვის საკმაოდ გაიზარდა საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა. წლების განმავლობაში ინკლუზიურ განათლებაში მდიდარი გამოცდილება დაგროვდა, რამაც კიდევ უფრო სრულყო მისი არსი. ის მიზნად ისახავს სსსმ ბავშვებისთვის განათლებასა და განვითარებაზე სრულ ხელმისაწვდომობასა და სოციალური ინტეგრაციის გარემოს შექმნას. ინკლუზიური განათლების გამოცდილების მქონე ქვეყნებში (ნორვეგია, გერმანია, ფინეთი, დანია, ამერიკის შეერთებული შტატები) ჩატარებული კვლევების მიხედვით, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სკოლის გარემო მათი განვითარებისა და სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ასეთ გარემოს ინკლუზიური განათლების ხარისხიან დადაგემვა-განხორციელებაში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ინკლუზიური განათლების დროს საჭირო ხდება მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა (მოდიფიკაცია). ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე მასწავლებელი ან სპეციალური მასწავლებელი ამარტივებს ეროვნულ სასწავლო გეგმას და შესაბამის დავალებებს: შეუძლიათ შეამცირონ დავალებათა რაოდენობა, გაამარტივოს და დააკონკრეტოს სავარჯიშოთა პირობები, შეცვალოს თემისათვის საჭირო დრო. მასწავლებელი და/ან სპეციალური მასწავლებელი მიმართავს დამატებით სასწავლო მეთოდებს და პროგრამის მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის იყენებს თვალსაჩინო მასალას. ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის ერთ-ერთი წარმმართველია ინდივიდუალიზაცია. საჯარო სკოლები უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვას, სხვადასხვა მახასიათებლების მიუხედავად.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა ისევ დადგა ახალი გამოწვევის წინაშე - საკამარისი აღარ იყო მხოლოდ ლექცია-პრაქტიკუმები. საჭირო გახდა სკოლებთან მეტი თანამშრომლობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსტიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა 2010 წელს, მიიღო გადაწყვეტილება საგანს ლექცია-პრაქტიკუმებთან ერთად დაემატოს „ჩაშენებული პრაქტიკა", რომელსაც ყოველწლიურად 200-მდე სტუდენტი გადის საჯარო სკოლებში.

ჩაშენებული პრაქტიკის მიზნებია: გააღრმაოს და განამტკიცოს სტუდენტთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნა სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის შესახებ; გაიცნოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში. შეძლოს აკადემიური უნარების შეფასება და მასზე დაყრდნობით სასწვლო მიზნების დასახვა, სასწავლო სტრატეგიების შემუშავება; შეძლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელება. შესაბამისად, გაკვეთილის მოდიფიცირება და სასწავლო-დიდაქტიკური მასალების შემუშავება-მორგება. სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება; ჩამოუყალიბდეს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევები, შეძლონ უსაფრთხო და თანასწორი სასწავლო გარემოს შექმნა. ითანამშრომლონ დირექციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

სტუდენტები მოსწავლეებზე აწარმოებენ დაკვირვებას, სწავლობენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომლის საფუძველზეც ადგენენ და ახორციელებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სტუდენტები დასაკვირვებელ მოსწავლეზე ქმნიან ქეისს, რომელსაც ფაკულტეტს წარუდგენენ შემაჯამებელ შეხვედრაზე. ჩაშენებული პრაქტიკა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, არა მარტო გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკულად დაიცვას ბავშვის უფლებები და იზრუნოს მის კეთილდღეობაზე.

ჩვენი ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები", სტუდენტები ირიცხებიან სხვადასხვა სპეციალობით, რომლებმაც ვერ გაიარეს ინკლუზიური განათლება ბაკალავრიატში. აქაც გამოწვევა მოგვარდა იმით, რომ მათთვის საგანი არის არჩევითი. ინკლუზიური განათლება ისწავლება ასევე მასწავლებლის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამა-

ზე, კვლევა და დაკვირვება ხდება მათ კონკრეტულ მოსწავლეზე. ამ ორ პროგრამაზე ისგ-ს შედგენა ხდება მე-2 და მე-3 საფეხურის მოსწავლეებისათვის. ასეთი ფორმით წარმართული ინკლუზიური განათლების სწავლება, ხელს უწყობს საჯარო სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოებას, მათი თანამშრომლების ხარისხის ამაღლებას, შესაძლებლობა გვეძლევა ერთად ვიმსჯელოთ და გადავჭრათ პრობლემა.

მოგეხსენებათ, ბავშვთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის სექტემბერში მიიღო კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი", რომელიც სრულად ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტებრიდან. ჩვენ ყველა ერთად ვალდებული ვართ დავიცვათ ბავშვის უფლებები. ისევ ახალი გამოწვევა გაჩნდა უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის წინაშე. ჩვენმა ფაკულტეტმა გამოსავალი მოძებნა სამაგისტრო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები", არჩევით საგნად დაემატა „ბავშვთა უფლებები". ახლა ვმუშაობთ საბაკალავრო პროგრამაზე „სკოლამდელი განათლება", სადაც იგივე საგანი ჩავსვით სავალდებულოდ. ძალიან მალე რეაკრედიტაცია უწევს „მასწავლებელთა მომზადების ინტეგრირებულ საბაკლავრო-სამაგისტრო პროგრამას დაწყებითი განათლება", სადაც გავითვალისწინებთ „ბავშვთა უფლებების" ჩასმას.

2020 წელს გავრცელებული პანდემიის გამო, მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი, განათლების ჩათვლით, არც საქართველო იყო გამონაკლისი. საქართველოს მთავრობას მოუხდა საგანმანათლებლო სისტემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მათ შორის, ახალი კორონა ვირუსის საქართველოში გავრცელების თავიდან ასაცილებლად სწავლება გადავიდა დისტანციურ ფორმატში.

ისევ ახალი გამოწვევა დადგა უმაღლესი სკოლის დიდაქტიკისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდი საკმაოდ პოპულარული და ფართოდ გამოიყენებოდა მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები ამისათვის კარგად არ იყვნენ მომზადებულნი. სასწავლო პროცესის ონლაინ სივრცეში გადატანამ შექმნა ისეთი განსაკუთრებული პრობლემები, როგორიცაა სწავლების პროცესში სტუდენტის ჩართულობა, მათი მოტივაცია და თვითრეგულირების უნარების განვითარება მუშაობის დროს.

საქართველოში ელექტრონული სწავლების დანერგვა აქტიურია 2008 წლიდან, როდესაც იგი ჩართული იყო პროექტში „ელექტრონული სწავლება კავკასიაში". ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა ელექტრონული სწავლების პილოტური კურსები სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 20–ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამასთან, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო. 2011 წელს კანონში შეიტანეს ცვლილებები, რომ საქართველოში მცხოვრებ პირებს საშუალება ექნებათ მიიღონ განათლება უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე ელექტრონული ფორმით, თუმცა ეს მხოლოდ ტრადიციული სწავლების დამატებაა.

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა ამ თემაზე მუშაობას და ყველა რაიონში შეიქმნა დამხმარე ჯგუფები, რომლებიც მასწავლებლებს ეხმარება ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიის გააზრებაში, ასევე 2019 წლიდან „ახალი სკოლის მოდელის" პროექტი აქტიურად მუშაობდა სკოლის რეფორმაზე, სადაც მნიშვნელოვანი კომპონენტია დისტანციური სწავლების დანერგვა და სხვა სკოლებსა და მასწავლებლებთან გამოცდილების გაზიარება. სტატისტიკის თანახმად, Microsoft TEAMS– ში ყოველდღიურად ჩართულია 750 აქტიური მომხმარებელი. საერთო ჯამში, TEAMS– ს ჰყავს 138,698 აქტიური მომხმარებელი; 23 მარტს Office 365- ს ჰყავდა 143 140 აქტიური მომხმარებელი; ელ.ფოსტისა და მონაცემთა ონლაინ მეხსიერება (One Drive) ჰყავდა დაახლოებით 14,000 აქტიური მომხმარებელი.

სწავლის ახალ მოდელზე გადასვლამ მრავალი პრობლემა გამოავლინა. თავდაპირველად, როგორიცაა კომპიუტერის ცუდი ცოდნა და ინტერნეტით სარგებლობის პრობლემა, მაგრამ მოგვიანებით გამოქვეყნდა კვლევა ორგანიზაციის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარე-

ბის ორგანიზაციის (OECD) მიერ, სადაც აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო საკმაოდ კარგად იყო მზად.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების სისტემას, მათ შეძლეს სწრაფად მოახდინონ რესურსების მობილიზება და დისტანციური სწავლების რეჟიმში გადასვლა, რათა უზრუნველყონ სტუდენტებისათვის განათლების უწყვეტი პროცესი. პანდემიის დაწყებისთანავე, მინისტრის ინიციატივით მოწვეულ რექტორთა საბჭოს პირველი ეტაპი რეკომენდაციას აძლევდა, რომ გაზაფხულის სემესტრი განახლდეს 16 მარტს ელექტრონული სწავლების რეჟიმში. ეს მათ საშუალებას მისცემს შეცვალონ სწავლების ონლაინ მეთოდი ჰიბრიდული ფორმით, მას შემდეგ რაც მოსწავლეები დაბრუნდებიან კლასში. ვინაიდან ერთი საერთო გამოწვევაა ყველა უნივერსიტეტის წინაშე, ეს პროცესი ხდებოდა ურთიერთდახმარების გზით და უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარების გზით. უნივერსიტეტებს ურჩიეს დაიცვან ელექტრონული სწავლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, შემუშავებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ. გარდა ამისა, საგანგებოდ შეიქმნა ელექტრონული სწავლების დამხმარე დოკუმენტი.

ამ დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იყენებენ სხვადასხვა პროგრამებსა და ონლაინ პლატფორმებს დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად: Zoom, Microsoft Teams, Moodle და Google Classroom. მათ ასევე შეიმუშავეს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და ვიდეო ინსტრუქციები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. სასწავლო პროცესი შეიცვალა ელექტრონული სწავლების პროცესის უკეთ მართვის მიზნით, ონლაინ ლექციები/სემინარები ატვირთულია შესაბამის პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, ასევე განხილულია სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები. უნივერსიტეტებმა სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე დაადგინეს შეფასების მექანიზმი. სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და ლაბორატორიულ მუშაობას, ჩატარდება ინტენსიურ რეჟიმში, როდესაც ჩვენ დავბრუნდებით უნივერსიტეტის სივრცეში (View Point, 2020).

ჩვენ ჩავატარეთ ონლაინ გამოკითხვა ყველა ასაკის 900-მდე ადამიანთან, რომლებიც ჩართულნი არიან ელექტრონული სწავლების პროცესში, მათ შორის მოსწავლეები, სტუდენტები, ლექტორები და მასწავლებლები. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 12%-ს ჰქონდა ელექტრონული სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, დანარჩენებს მხოლოდ თეორიული ცოდნა ან ზოგადი ინფორმაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ძალიან სწრაფად მოახერხეს ელექტრონული სწავლების პროცესში ჩართვა, პირველ თვეში ჩართული იყო გამოკითხულთა 97%. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება გაუწიეს სტუდენტებს, ასევე ლექტორებს/მასწავლებლებს.

კითხვაზე, რა პრობლემები შეექმნათ ელექტრონული სწავლების პროცესში, პასუხები განსხვავებული იყო. გამოკითხულთა 30% -მა თქვა, რომ არანაირი პრობლემა არ ჰქონია, დაახლოებით 28% -მა თქვა, რომ მთავარი პრობლემა ინტერნეტის არასტაბილური წვდომაა, მაგრამ უმეტესობას ჰქონდათ მობილური ინტერნეტი, გამოკითხულთა დაახლოებით 16% აღნიშნავს, რომ მათი მთავარი პრობლემა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაა, სხვები აღნიშნავენ, რომ ნაკლებად ეფექტური კომუნიკაცია (13%), კომპიუტერული უნარების ნაკლებობა (12%) და სათანადო ტექნიკა არ არის (12%).

ელექტრონულ ლექციებზე დასწრება მაღალი იყო, 85-93% შორის. სტუდენტების უმეტესობა იყენებდა მობილურ ტელეფონებს (დაახლოებით 45%), სხვები ლეპტოპებს, პლანშეტებს ან პერსონალურ კომპიუტერებს. ელექტრონული სწავლების პროცესში რესპონდენტთა დიდი ნაწილი განიცდიდა კომფორტსა და კმაყოფილებას (70%), ზოგიერთისთვის კი პროცესი სტრესული და დაძაბული აღმოჩნდა (30%).

რესპონდენტთა 61% -ისათვის მისაღები იყო ელექტრონული სწავლების გამოყენება და ისინი შეეცდებიან გამოიყენონ ელექტრონული სწავლება მომავალში, 29% ფიქრობს, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ მის გამოყენებაზე, დანარჩენი 10%-სათვის არასასურველია მისი გამოყენება მომავალში.

Microsoft– ის კორპორაციამ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს COVID-19 კრიზისის ფონზე დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად. Microsoft Corporation-is ვიცე-პრეზიდენტის ენტონი სალსიტოს თქმით, საქართველომ მოახერხა ონლაინ განათლებაზე გადასვლა კარგი შედეგებით. სალსიტომ აღნიშნა, რომ კრიზისმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ ციფრული სწავლების საშუალებებს საქართველოში, ასევე სატელევიზიო სკოლის პროექტი ძალიან სასარგებლო იყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ და შესაძლოა ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდეთ, ეს კარგი ნაბიჯი იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მხრიდან სტუდენტების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, რადგან ისინი აღმოჩნდნენ XXI საუკუნის გამოწვევების წინაშე.

როგორც კვლევამ აჩვენა, ონლაინ სწავლაზე გადასვლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და შესაბამისმა სამთავრობო უწყებებმა სასურველია ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები 2020-2021 სასწავლო წლისთვის და შემდგომაც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ონლაინ სწავლების ეფექტურობას.

გამოწვევები ალბათ კიდევ ბევრჯერ იქნება უმაღლესი სკოლის მიმართ, შევეცადე მომეტანა და შევხებოდი რამდენიმეს. გამოწვევები უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის მიმართ ყოველთვის იყო, არის და იქნება, ეს თანამდევია ნებისმიერი ცვლილებების მიმართ. სტატიაში აღვნიშნე, რომ უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის ახერხებს სწორი გამოსავლის მოძებნას, მის ერთგულ გუნდთან ერთად. მთავრია სწორად გავიაზროთ რას ეხება გამოწვევა და როგორ შეიძლება უმტკივნეულოდ მისი დაძლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბაგრატიონ-გრუზინსკი მაია, ზაქარეტაშვილი მარიკა, ფილაური ქეთევან, კვაჭაძე ჟანა, 2014. „ინდივიდუაური სასწავლო გეგმა“ გზამკვლელი მასწავლებლებისათვის, თბილისი.
2. გაგოშიძე თამარ, ჭინჭარაული თინათინ, ფილაური ქეთევან, ბაგრატიონი მაია, 2008. „ინკლუზიური განათლების პრინციპები,“ გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
3. ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები. 2011. თბილისი.
4. ლაღიძე ანა, ბაგრატიონი მაია, პაჭკორია თათია, 2009. „ინკლზიური განათლება“ (გზამკვლელი მასწავლებლებისათვის), თბილისი.
5. პაჭკორია თათია, ჭინჭარაული თინათინ, ლაღიძე ანა, 2011. „ინკლუზიური განათლება“, თბილისი.

View Point, 2020, The specialization of distance learning of universities, imagine, different application and online platforms can, Tbilisi, Georgia https://tvalsazrisi.ge/

Pomerantz, J. and Brooks C., 2017. *ECAR Study of Faculty and Information Technology, 2017. Research report.* Louisville, CO: ECAR, October 2017.

Reimers Fernando M., Schleicher Andreas, 2020. *A framework to guide an education response to the COVID-19 Pandemic of 2020.* Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/framework_guide_v2.pdf

## რეზიუმე

2005 წელს უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის წინაშე დადგა გამოწვევა - აუცილებელი გახდა მომავალი მასწავლებლებისათვის ინკლუზიური განათლების პრინციპების სწავლება, შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა საგანი „დეფექტოლოგია-ლოგოპედია“ შეიცვალა საგნით „დეფექტოლოგია და ინკლუზიური განათლება“, რომელიც მალევე შეიცვალა საგნით „ინკლუზიური განათლება“. აუცილებელია იყოს მოსწავლის საჭიროების შესაბამისი დახმარების გაწევა გამოწვევის დასაძლევად, საგანს ლექცია-პრაქტიკუმებთან ერთად დაემატოს „ჩაშენებული პრაქტიკა“, ამ დროს სტუდენტები მოსწავლეებზე აწარმოებენ დაკვირვებას და ახორციელებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. საგანი ისწავლება ფაკულტეტის სამაგისტრო და მასწავლებლის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2020 წელს გავრცელებული პანდემიის გამო, საქართველოს მთავრობას მოუხდა საგანმანათლებლო სისტემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მათ შორის, ახალი კორონა ვირუსის საქართველოში გავრცელების თავიდან ასაცილებლად სწავლება გადავიდა დისტანციურ ფორმატში.



**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი სკოლა, დიდაქტიკა, ინკლუზიური განათლება, საჯარო სკოლა, მოსწავლე, ჩაშენებული პრაქტიკა, დისტანციური სწავლება, ბავშვთა უფლებები.



IAGOR BALANCHIVADZE

Akaki Tsereteli State University

Associate Professor

Georgia, Kutaisi


# CHALLENGES IN HIGH SCHOOL DIDACTICS


## Summary

In 2005, the high school didactics was challenged - inclusive education became necessary for future teachers, so the faculty changed the subject of "Special Education and Rehabilitation" to "Special Education and Inclusive Education", which was soon changed to "Inclusive Education". It was necessary to provide appropriate assistance to the student's needs to overcome the challenge by adding a "built-in internship" to the subject along with lecture-internships, during which students observe students and implement an individual curriculum. The subject is taught in the postgraduate and teacher preparatory educational programs of the faculty.

Due to the pandemic in 2020, the Georgian government had to make some changes in the education system. Among them, to prevent the spread of the new Corona virus in Georgia, the study moved to a distance format.



**Keywords:** High School, Didactics, Inclusive Education, Public School, Pupil, Built-in Practice, Distance Learning, Children's Rights.

**დავით გურგენიძე**
რექტორი, პროფესორი
**გელა ყიფიანი**
პროფესორი
**გოჩა ბაძგარაძე**
დოქტორანტი
**ეთერ სურამელაშვილი**
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

# საინჟინრო განათლება საქართველოში და მისი ძირითადი ამოცანები მექანიკის დარგში

**თეორიული მექანიკა** არის ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დარგი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ყველა სპეციალობის ინჟინრის მომზადებაში. თეორიული მექანიკის თეორემებისა და პრინციპების საფუძველზე წყდება მრავალი საინჟინრო ამოცანა, ხორციელდება ახალი კონსტრუქციები და ნაგებობათა დაგეგმვა.

სამშენებლო,ჰიდროსაინჟინრო,მანქანათმშენებლობის, თვითმფრინავთმშენებლობის, მართული სისტემებისა და სხვა პროფილის სხვადსხვა კურსში თეორიული მექანიკის ძირითადი დებულებანი ფართოდ არის გამოყენებული.

თეორიულ მექანიკას საფუძვლად უდევს კანონები, რომლებიც დადგენილია მრავალსაუკუნოვანი ცდებისა და დაკვირვებების შედეგების განზოგადებით. ეს საშუალებას გვაძლევს, მექანიკის კანონებზე დაფუძნებული ცოდნა განვიხილოთ, როგორც ჭეშმარიტი, რომლებზეც დაყრდნობითაც ინჟინრებს თამამად შეუძლიათ წარმართონ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა.

თეორიული მექანიკის როლი და მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ის მეცნიერული საფუძველია ბევრი თანამედროვე ტექნიკური დარგისათვის, ამავდროულად, მექანიკის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების კანონები და მეთოდები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ და ავხსნათ მნიშვნელოვანი ბუნებრივი მოვლენები, რაც ხელს შეუწყობს ბუნებისმეტყველების შემდგომ განვითარებას მთლიანად.

– უკანასკნელ წლებში სასწავლო გეგმების მოდერნიზების საფუძველზე ჩვენში უკომპრომისო ბარძოლაა გამოცხადებული ფუნდამენტური საგნების საათების შემცირებაზე, მათ შორის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამცირებენ თეორიული მექანიკის საათებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი ეს ტენდენცია პირიქითაა. მაგალითად, გერმანიაში საინჟინრო სპეციალობების პროგრამების გაცნობით ვრწმუნდებით,რომ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის (I საფეხური) ბაკალავრიატის სასწავლო გეგმაში თეორიული მექანიკის საგანს დათმობილი აქვს 18-დან 32 კრედიტამდე.

შევნიშნავთ, რომ თეორიული მექანიკის საათების უაღრესად სიმცირე უარყოფით გავლენას ახდენს კვალიფიციური კადრების აღზრდაზე. ასე მაგალითად, წინმსწრებ ისეთ უმნიშვნელოვანეს დისციპლინაში წაკითხული მასალა, როგორიცაა უმაღლესი მათემატიკა, ჩაივლის ფუჭად, რადგან თეორიული მექანიკა არის დისციპლინა, რომელიც პირველად შეისწავლის რეალური საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტაში მათემატიკური აპარატის გამოყენებას. ამასთან საინჟინრო პროფილის სხვადასხვა კურსში გამოყენებული მექანიკის დებულებები სტუდენტებისათვის დარჩება გაუგებარი და აუთვისებელი.

მაშასადამე წინასწარ შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ აღვზრდით არაკვალიფიციურ კადრებს, ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო კვალიფიციური კადრების აღზდრის ნაცვლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ბაკალავრიატის პროგრამების შედგენისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ფუნდამენტურ დისციპლინებში საათების გაზრდას, ცხადია უპირველეს ყოვლისა თეორიულ მექანიკაში. ჩვენი აზრით თეორიული მექანიკა უნდა იკითხებოდეს ორი სემესტრი მაინც,თითოეულში 5-5 კრედიტი, ან გამონაკლის შემთხვევაში 4-4 კრედიტი.

**თანამედროვე მანქანათმშენებლობა,** როგორც სამრეწველო და მექანიკის ინჟინერია, როგორც საინჟინრო საგანმანათლებლო დარგები, წარმოადგენენ ქვეყნის ტექნიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებს.

სწორედ მათი საშუალებით მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის ტექნიკური მოდერნიზაცია. ნებისმიერი (აგრეთვე ჩვენი) ქვეყნის ეკონომიკის უმრავლესი დარგის სრულყოფილი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მათ საწარმოო პროცესებში თანამედროვე დონის სამანქანათმშენებლო პროდუქციის გამოყენებით და თანამერდოვე დონის მექანიკის ინჟინერიის სპეციალობის საინჟინრო კადრების ჩართულობით, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ თანამედროვე მანქანები, მოწყობილობები და მანქანათა კომპლექსები მრავალწილად მიეკუთვნებიან მაღალი ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ფართო ფუნქციონალური შესაძლებლობების და რთული სტრუქტურის მქონე მექატრონული სახის სისტემებს და მათი მომსახურება მოითხოვს მაღალი ტექნიკური დონის კვალიფიკაციას.

აღნიშნული საინჟინრო განათლების ძირითადი ამოცანებია:

სტუდენტისათვის ისეთი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება, რომელიც იძლევა მათი ეფექტური ჩართულობის საშუალებას თანამედროვე დონის სამანქანათმშენებლო და სხვა მრავალი დარგის საწარმოთა ფუნქციონირებაში, თანამედროვე დონის მანქანების და მანქანათა სისტემების შექმნაში და როგორც მანქანათსაშენ, აგრეთვე სხვა მრავალი დარგის საწარმოთა მანქანების და მანქანათა სისტემების ტექნიკურ მომსახურებაში, ტექნოლოგიური კომპლექსების პროექტირება – ექსპლუატაციაში, ახალი თანამედროვე დონის მანქანების და მოწყობილობების დანერგვაში, ტექნიკურ ექსპლუატაციაში, დიაგნოსტიკაში, რემონტსა და მოდერნიზაციაში, საწარმოო პროცესების პარამეტრული და სტრუქტურული ოპტიმიზაციის მაღალი დონის სამეცნიერო კვლევის საკითხების გადაჭრაში.

სამეცნიერო კვლევათა შორის აღსანიშნავია ისეთი აქტუალური მიმართულებები, როგორებიცაა:

- თანამედროვე დონის ახალი ეფექტური სისტემების და მანქანების დინამიკური მოდელირება და კვლევა, მათი ახალი ეფექტური მეთოდებით და კონსტრუქციების შემუშავება;
- ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური კვლევა;
- ტექნოლოგიური, მათ შორის ავტომატიზებული ტექნოლოგიური კომპლექსების მუშაობის მოდელირება და მათი ოპტიმიზაციური საკითხების დამუშავება.

**კაშხლებისა და მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობების** პროექტირება ხორციელდება მექანიკის (მასალათა გამძლეობა, სამშენებლო მექანიკა, დრეკადობის თეორია) კლასიკური ამონახსნებისა და რიცხვითი მეთოდების (სასრული და სასაზღვრო ელემენტების მეთოდების) გამოყენებით.

- თაღოვანი კაშხლების გაანგარიშება კლასიკური ამონახსნების მიხედვით ემყარება სამშენებლო **მექანიკისა და გარსების თეორიის** ამონახსნებს.

**სამშენებლო მექანიკა** იყენებს ურთიერთგადამკვეთი (სასრული რაოდენობის თაღები და კონსოლები) ღეროვანი სისტემის მოდელს. დეფორმაციათა თავსებადობის პირობის საფუძველზე ადგილი აქვს დატვირთვების გადანაწილების განსაზღვრას ღეროვანი სისტემის ელემენტებში და შესაბამისად, მათ დამოუკიდებლად გაანგარიშებას სამშენებლო მექანიკის ამონახსნების გამოყენებით.

- **გარსების თეორიის** ამონახსნები ემყარება უწყვეტი ტანის მოდელს, სადაც გაანგარიშება დაიყვანება კერძოწარმოებულებიან ან ჩვეულებრივ დიფერენციალური განტოლებების ამოხსნაზე.
- გრავიტაციული და კონტრფორსული კაშხლების გაანგარიშება ემყარება მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის (კერძოწარმოებულებიან დიფერენციალური განტოლებების) ამონახსნებს.
- გრუნტის კაშხლების გაანგარიშებებში ასევე გამოიყენება დრ. თეორიის ამონახსნები, სადაც გაითვალისწინება მასალის პლასტიკური მუშაობა.
- **მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობების** პროექტირება ემყარება ასევე -სამშენებლო მექანიკის ღეროვანი სისტემის და მყარი ტანის მოდელს.

სამშენებლო მექანიკის **პირველი მოდელის** გამოყენებისას ნაგებობისა და გარემომცველი მასივის ურთიერთქმედება არ გაითვალისწინება. მასივის წონასწორობის პირობის საფუძველზე წინასწარ განისაზღვრება ვერტიკალური და ჰორიზონტალური სამთო წნევები, რომელთა მიხედვით ხორციელდება ნაგებობის მრუდწირული და სწორხაზოვანი ელემენტების გაანგარიშება.

**მეორე მოდელის** გამოყენებისას მიწისქვეშა ნაგებობაზე მოქმედი სამთო წნევები გაითვალისწინება ნაგებობისა და გარემომცველი მასივის ურთიერთზემოქმედების,როგორც საკონტაქტო ამოცანის, ამონახსნის საფუძველზე.

**მყარი ტანის** მოდელი ემყარება დრეკადობის და პლასტიკურობის თეორიების გამოყენებას ნახევრად სიბრტყეში ან ნახევარსივრცეში წრიული ან უფრო რთული მოხაზულობის კონტურის არსებობისას (ნ.მუსხელიშვილი, გ.კოლოსოვი, ბ.გალიორკინი, გ.სავინი, ს. ლეხნიცკი). გაანგარიშებებში გამოიყენება კონფორმული გარდაქმნები, ხოლო რიცხვითი ამონახსნების მისაღებად ფურიეს მწკრივები.პროექტირების თანამედროვე ეტაპზე ფართოდ გამოიყენება რიცხვითი მეთოდები.ისინი საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს „კაშხალი-ფუძე“, „მიწისქვეშა ნაგებობა-გარემომცველი მასივი“ ნაგებობათა გეომეტრიული მოხაზულობის, მასალის, ფუძის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური აღნაგობის სირთულეების გათვალისწინებით.

**სასრული ელემენტების მეთოდში** განსახილველი სისტემა წარმოდგინდება გარკვეული ფორმის ელემენტების ერთობლიობის სახით (რომლის ფარგლებში მიეცემა გადაადგილების ველის სააპროქსიმაციო ფუნქცია), რომლის შედეგად ხსენებული სისტემა ინარჩუნებს უწყვეტობის პირობას. გამხსნელი განტოლებები კი მიიღება სისტემის დაძაბულ დეფორმირებული მდგომარეობის სრული ენერგიის(ფუნქციონალის) ექსტრემუმის პირობის საფუძველზე.

**სასაზღვრო ელემენტების (სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების) მეთოდისზოგადი** არსი მდგომარეობს იმაში, რომ კიდის ამოცანის დიფერენციალური განტოლებები დაიყვანება განსახილველი არის ნაწილის ან საზღვრის ინტეგრალურ განტოლებებამდე. საინჟინრო ამოცანებში გაანგარიშებებისას გამოიყენება კელვინის და ფლამანის ამონახსნები.

**მასალათა გამძლეობის ძირითად** მიზანს შეადგენს სიმტკიცეზე, სიხისტესა და მდგრადობაზე გაანგარიშების ისეთი მეთოდების შემუშავება, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს კონსტრუქციის საიმედო მუშაობას მასალის უმცირესი დანახარჯის შემთხვევაში. ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნა და ინჟინრის პრაქტიკული მოღვაწეობა იწვევს მასალათა გამძლეობის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარებას, რაც სრულ შესაბამისობაშია დიალქტიკის დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონთან.

მასალათა გამძლეობის საფუძვლიანი შესწავლისთვის აუცილებელია მათემატიკის, ფიზიკისა და თეორიული მექანიკის ცოდნა. ძირითად ბაზას თეორიული მექანიკა წარმოადგენს, რომელიც შეისწავლის პირობითად აბსოლუტურად მყარი სხეულების წონასწორობას და მოძრაობას. თეორიული მექანიკისაგან განსხვავებით მასალათა გამძლეობა მიეკუთვნება ზოგადი მექანიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას - დეფორმად მყარ სხეულთა მექანიკას, მეორე მხრივ - საინჟინრო გამოყენებითი თვალსაზრისით ის მიეკუთვნება სამშენებლო მექანიკას, უფრო მეტიც ის

წარმოადგენს სამშენებლო მექანიკის საფუძველს. გარდა მასალათა გამძლეობისა სამშენებლო მექანიკა მოიცავს:

1. დრეკადობის, ცოცვადობის და პლასტიკურობის თეორიას;
2. ნაგებობათა თეორიას (ნაგებობათა სტატიკა, დინამიკა და ნაგებობათა მდგრადობა);
3. სპეციალურ კომბინირებულ სისტემათა სამშენებლო მექანიკა.

დეფორმირებადი მყარი სხეულები, გეომეტრიული მოსაზრებით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ღეროები, 2. ფილები, 3. გარსები, 4. მასიური სხეულები, 5. თხელკედლიანი ღეროები.

კლასიკური სამშენებლო მექანიკა, რომელიც ხელით გაანგარიშებაზეა დაფუძნებული, მოითხოვს თითოეული ნაგებობისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, რაც საშუალებას იძლევა მარტივი ნაგებობების მუშაობის შესწავლის ხარჯზე, სტუდენტი გაერკვეს ნაგებობის მუშაობის სპეციფიკურ არსში, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა გაანგარიშების შემდეგომ ეტაპზე გადასვლა და, შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება.

„ნაშენთა სტატიკა“ ეხება კლასიკურ სამშენებლო მექანიკას და მასში გადმოცემულია დრეკადი ბრტყელი ღეროვანი სისტემების მომზადება.

უამრტივესი საინჟინრო ნაგებობაა ღერო. ღეროდ მიჩნეულია ტანი, რომლის ერთი განზომილება საგრძნობლად აღემატება დანარჩენ ორს. ღერო შეიძლება იყოს: სწორხაზოვანი და მრუდხაზოვანი; მუდმივ კვეთიანი და ცვლად კვეთიანი. ღეროს ძირითადი დანიშნულებაა მიიღოს ღერძული (გამჭიმავი ან მკუმშავი) ძალები და აგრეთვე განივი ძალები. ღეროს კერძო სახეს წარმოადგენს მოქნილი თოკი (ბაგირი), რომელიც მუშაობს მხოლოდ გაჭიმვაზე ან სხვა რამე უძრავ ნაგებობასთან დაკავშირებული საყრდენების საშუალებით.

ცალკეული ღეროების მუშაობის საკითხებს შეისწავლის მასალათა გამძლეობა. რაც შეეხება ნაშენთა სტატიკას, იგი სწავლობს ღეროების ერთმანეთთან გარკვეული წესით დაკავშირებულ ნაგებობებს ე.წ. ღეროვან სისტემებს. თუ ღეროვანი სისტემების შემადგენელი ღეროების ღერძებს და სისტემაზე მოქმედ ძალთა ფუძეს გააჩნიათ საერთო სიბრტყე, მაშინ სისტემა ბრტყელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სივრცული. ამ კურსში ძირითადად განვიხილავთ ბრტყელ ღეროვან სისტემებს.

სამშენებლო მექანიკაში ძაბვების მაგიერ იყენებენ ტოლქმედ სიდიდეებს, ძალვებს. თუმცა ასეთი მიდგომა მასალათა გამძლეობის კურსშიც გვხვდებოდა; მაგალითად, კოჭის ღუნვის შესწავლის დროს მოიძებნებოდა მღუნავი მომენტი და განივი ძალა, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენდნენ ნორმალურ და მხებ ძაბვების ტოლქმედებს გარკვეულ კვეთებში. იგებოდა მღუნავი ეპიურები და განივი ძალებისკოჭის მთელ სიგრძეზე, რის შედეგაც განიხილებოდა გაანგარიშების მეორე ეტაპი კვეთის პარამეტრების შერჩევა. სამშენებლო მექანიკაში მხოლოდ გაანგარიშების პირველ ეტაპზეა ყურადღება გამახვილებული. მეორე ეტაპი კი, რომელიც კვეთების კონსტრუირების საკითხს ეხება, განიხილება სპეციალურ დისციპლინებში, სახელდობრ: ხის, ლითონის და რკინაბეტონის კონსტრუქციათა კურსებში.

ნაგებობის შემადგენელი კონსტრუქციები და მისი ელემენტები ქმნიან რთულ მექანიკურ სისტემას, რომელთა გაანგარიშება დაკავშირებულია გარკვეულ მათემატიკურ გამოთვლებთან. ეს პროცესი თავის მხრივ დაკავშირებულია მასალის მექანიკურ მახასიათებლებზე, გარე ზემოქმედებაზე, კონსტრუქციის ზომებსა და სხვა მრავალ ფაქტორზე. ყველა ფაქტორის მათემატიკური აღწერა მექანიკის ძირითად კანონებთან ერთობლიობაში წარმოადგენს გასაანგარიშებლად ნაგებობის მათემატიკურ მოდელს.

საინჟინრო ნაგებობები განხორციელებულია სხვადასხვა მასალისაგან, რომლებიც ხასიათდებიან განსხვავებული ფიზიკური თვისებებით. მათი გათვალისწინება საგრძნობლად ცვლის გაანგარიშების საბოლოო შედეგს. ამის გამო, საჭიროა წინასწარ ჩამოყალიბდეს მასალის ფიზიკური ქცევის ამსახველი იდეალიზირებული სქემა, რომელიც ცნობილია მასალის ფიზიკური მოდელის

სახელწოდებით. სამშენებლო პარქტიკაში ძირითადად ნაგებობათა გაანგარიშება ხდება დრეკადობის ფარგლებში, არსებობს აგრეთვე ნაგებობათა გაანგარიშება დრეკადობის ფარგლებს გარეთ, პლასტიკური დეფორმაციების გათვალსწინებით. ფიზიკური მოდელის ბრმად და დაუსაბუთებლად აღებამ შეიძლება გამოიწვიოს მეტად არასასურველი შედეგი. მაგალითად ნაგებობა იყოს მეტად არაეკონომიური, ანდა აგებამდე ექსპლუატაციაში შესვლისას მოხდეს მისი კატასტროფა.

კურსის შესწავლის მიზნით ჩვენ ვისარგებლებთ, ისევე როგორც მასალათა გამძლეობაში, შემდეგი დაშვებით:

1. მასალა, რომლისგანაც განხორციელებულია გასაანგარიშებელი ნაგებობა წარმოადგენს იდეალურ დრეკად უწყვეტ ტანს;
2. ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულებაში არსებობს წრიული კანონი;
3. ადგილი აქვს ძალთა ქმედების დამოუკიდებლობის პრინციპს, რომლის თანახმადაც რამდენიმე ძალის მოქმედებით გამოწვეული ძალვა და დეფორმაცია შესაბამისად იმ ძალვებისა და დეფორმაციების ჯამის ტოლია, რომელთაგანაც თითოეული გამოწვეულია დამოუკიდებლად მოქმედი ძალისაგან.

აღნიშნული დაშვების საფუძველზე სამშენებლო მექანიკის ძირითადი განტოლებები იყოფა სამ ჯგუფად:

ა. წონასწორობის განტოლებები, რომლებიც წარმოადგენენ ნაგებობის გაანგარიშების სტატიკურ მხარეს. ეს განტოლებები იწერება გარე და შიგა ძალებისათვის;

ბ. დეფორმაციის თავსებადობის განტოლებები (გეომეტრიული განტოლებები), წარმოადგენენ გასაანგარიშებელი ნაგებობის გეომეტრიულ მხარეს, ამ განტოლებებში დეფორმაციებს უკავშირებენ სისტემის წერტილთა გადაადგილებებს;

გ. ფიზიკური განტოლებები, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან ძალვებს დეფორმაციებთან. ბევრი სამშენებლო მასალებისათვის ფიზიკური განტოლებები გამოისახება ჰუკის განზოგადებული კანონის მიხედვით.

**სამშენებლო მექანიკა** (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) წარმოადგენს საინჟინრო დისციპლინების საფუძველს და ნაშენთა დაპროექტების ძირითად იარაღს. სამშენებლო მექანიკა ვითარდება ნაშენთა ანგარიშის გამარტივების და ახალი ეფექტური კონსტრუქციების მოძებნის გზით. მის მიზანს შეადგენს შეიმუშაოს ისეთი წესები, რომლებიც მარტივად მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე.

სამშენებლო მექანიკა ისწავლებოდა სამშენებლო ფაკულტეტზე, სატრანსპორტო ფაკულტეტზე ოთხ სემესტრად, (ღეროვანი სისტემები, მდგრადობა, დინამიკა), არქიტექტურის ფაკულტეტზე ორ სემესტრად (ღეროვანი სისტემები), სამთო ფაკულტეტზე ორ სემესტრად (ღეროვანი სისტემები), ფაკულტეტების მიერ მიღებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე.

დღევანდელი პაროგრამების მიხედვით სამშენებლო მექანიკა ისწავლება სამშენებლო და სატრანსპორტო ფაკულტეტებზე ოთხ კრედიტიანი კურსით ერთ სემესტრად. მეორე კურსის პირველ სემესტრში (120 ზოგად კრედიტებში), მესამე კურსის პირველ სემესტრში სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისათვის (სამშენებლო მექანიკა ფართო გაგებით) ნაგებობათა სეისმომედეგობა ხუთ კრედიტიანი საგნით, არქიტექტურის ფაკულტეტზე ერთ სემესტრად, როგორც არჩევითი სამკრედიტიანი საგანი. აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მექანიკის სასწავლო პროგრამა ძველ პროგრამასთან შედარებით საათების რაოდენობით ძალზე შემცირებულია.

საქართველო იმყოფება სეისმურად აქტიურ ზონაში. ჩვენი აზრით საჭიროა გაიზარდოს სეისმომედეგობის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა. ასევე აღდგეს საქართველოში სეისმომედეგობის ძველი ტრადიციული სკოლა (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით) ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე.

- ჰიპოთეზა ხისტი ნორმალის შესახებ, ფირფიტების თეორიის ძირითადი გეომეტრიული დამოკიდებულებანი;
- დრეკადი ფირფიტების ღუნვის დიფერენციალური განტოლება და სასაზღვრო პირობები;
- შეაფრებული ფირფიტების (თხელი ფილების) თეორია;
- ფირფიტების (თხელი ფილების) პლასტიკურ-ხისტი ანალიზი, თეორემები ზღვრული მდგომარეობის შესახებ;
- ფირფიტების (თხელი ფილების) მდგრადობა;
- თხელკედლიან დამრეც გარსთა თეორიის ძირითადი გეომეტრიული დამოკიდებულებანი;
- ჰუკის კანონი თხელი გარსებისათვის;
- დამრეც გარსთა თეორიის დიფერენციალურ განტოლებათა გადამწყვეტი სისტემა;
- ცილინდრული და პრიზმული თხელკედლიანი გარსების ძირითადი განტოლებები;
- ცილინდრული გარსების გაანგარიშება ძვრის დეფორმაციის გავლენის გათვალისწინებით, ნაოჭოვანი კონსტრუქციების თეორია და გაანგარიშების მეთოდები;
- ნაგებობათა კინემატიკა;
- მოძრავ დატვირთვაზე გაანგარიშების საკითხები;
- სამშენებლო მექანიკის ძირითადი თეორემები;
- სტატიკურად ურკვევი სისტემების გაანგარიშების მეთოდები;
- ნაგებობათა მდგრადობა;
- ნაგებობათა დინამიკა.

საკითხებს, რომლებსაც განიხილავს დისციპლინა **„გრუნტების მექანიკა“** ჩვენ განვიხილავთ ორი მხრიდან:

1. გრუნტების მექანიკა, როგორც დისციპლინა უმაღლეს სასწავლებლებში;
2. გრუნტების მექანიკა, როგორც მეცნიერება თანამედროვე ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ „გრუნტების მექანიკა“ უნივერსიტეტში იკითხება სამ ფაკულტეტზე: სამშენებლო, სატრანსპორტო და გეოლოგიური. სამივე ფაკულტეტზე საგნის პროგრამა, სპეციალობის მოთხოვნის შესაბამისად, მცირედ განსხვავებულია.

ჩვენი აზრით, თუ მხედველობაში მივიღებთ ტექნიკის სწარფი ტემპით წინსვლას, პროგრამაში უფრო დეტალურად უნდა იყოს მოცემული:

1. გრუნტების ცოცვადობა;
2. გრუნტის ფუძის ანგარიში სეისმომედეგობაზე (საქართველოსათვის ეს აქტუალური საკითხია).

რაც შეეხება „გრუნტების მექანიკას“ როგორც მეცნიერებას, თანამერდოვე ეტპზე, აქ დღეისათვის საქართველოს ფარგლებში დიდ ინტერესს წარმოადგენს მეწყერების გამოკვლევა სეისმიკის მხედველობაში მიღებით. აღნიშნული საკითხი უნდა შეისწავლებოდეს არა ბრტყელი ამოცანის, არამედ სივრცული ამოცანის ამოხსნით. ამის საშუალებას თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა იძლევა.

**„კომპოზიტური ტანის მექანიკა“** შედგენილია საინჟინრო დარგის ბაკალავრიატის (მცირე დოზით), მაგისტარტურისა და დოქტორანტურის პროგრამების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სახელწოდებით საქართველოს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ეს საგანი არ ისწავლებოდა, ამჟამად ისწავლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს საავაციო უნივერსიტეტში.

კომპოზიტური ტანის მექანიკა აღმოცენდა საბაზო დისციპლინათა (ზოგადი უმაღლესი მათემატიკა, მასალათა გამძლეობა, დრეკადობის თეორია, სამშენებლო მექანიკა, პლასტიკურობის თეორია) მდიდარ ნიადაგზე. სწორედ ამიტომ, მეტი ყურადღებაა გამახვილებული საბაზო დის-

ციპლინათა ძირითადი საკითხების საფუძვლიან ცოდნაზე, სხეულის მთლიანობის ჰიპოთეზის ფარგლებში მოთხოვნები პროპორციულად არის გადანაწილებული ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების შესაბამისად.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Abesadze B.A., Kipiani G.O. Engineering education in Georgia and its maintasks in field of mechanics. Abstracts of the XIII-th International Conference"MODERN INFORMATION AND COMUNICATION TECHNOLOGIES ON ATRANSPORT, IN INDUSTRY AND EDUCATION". Dnepro, Ukraina, 2019. p157.
2. ბედიაშვილი მალხაზ, ყიფიანი გელა. მიწისძვრებისაგან დაცვის საეისმოსაიზოლაციო საშუალებები და დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი", 2018. -118 გვ.
3. გორჯოლაძე ი., ყიფიანი გ., თეორიული მექანიკის კურსი (სტატიკა და კინემატიკა) "ტექნიკური უნივერსიტეტი" თბილისი, 2006,388 გვ, ISBN99940-48-61-9
4. გორჯოლაძე ი., ყიფიანი გ., ბუქსიანიძე ა. თეორიული მექანიკის კურსი (დინამიკა) „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2008. 542გვ.ISBN 978-9941-14-208-6; http://www.gtu.ge/publishinghouse/
5. მაჩაიძე ე .ყიფიანი გ. შედგენილი თხელკედლიანი სივრცითი სისტემების გაანგარიშების თეორია. გამომც. "ტექნიკური უნივერსიტეტი" თბილისი, 2006. 369 გვ. ISBN 99940-57-39-1
6. Михайлов Б.К.,Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных пластинчатых систем с разрывными параметрами. Стройиздат СПб, С.-Петербург, 1996. -442 с.
7. ყიფიანი გ. დრეკადობის თეორიის მეთოდების გამოყენება სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობათა ფუძეებისგან გაანგარიშებებში//„ტექნიკური უნივერსიტეტი",თბილისი 2009, 130 გვ.ISBN 978-9941-14-416-5; http://www.gtu.ge/publishinghouse/
8. ჩიტაია გ., ყიფიანი გ. ნარკვევები მექანიკის ისტორიიდან ძველ საქართველოში. "განათლება" თბილისი, 1993, გვ. 52.
9. ხმელიძე თამაზ, ყიფიანი გელა, ხმელიძე კახაბერ, ვანიშვილი თამარ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი", 2018 წ. -201 გვ.


## რეზიუმე


სტატიაში მოცემულია მექანიკის როლის მოკლე მიმოხილვა საქართველოს საინჟინრო განათლებაში. განხილულია ცალკეული საგნების აუცილებლობა ინჟინრის ყველა სპეციალობისათვის, მექანიკის მიმართულებით: თეორიული მექანიკა, თანამედროვე მანქანათმშენებლობა, როგორც სამრეწველო და მექანიკის ინჟინერია, ჰიდრო აერომექანიკა,კაშხლებისა და მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მექანიკა, სამშენებლო მექანიკა (თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციები), მასალათა გამძლეობა, დრეკადობის, ცოცვადობის და პლასტიკურობის თეორია; ნაგებობათა თეორია (ნაგებობათა სტატიკა, დინამიკა და ნაგებობათა მდგრადობა); სპეციალურ კომბინირებულ სისტემათა სამშენებლო მექანიკა,გრუნტების მექანიკა, კომპოზიტური ტანის მექანიკა.



**საკვანძო სიტყვები:** მექანიკა,ჰიდროინჟინერია, სამშენებლო მექანიკა, ცოცვადობა, პლასტიკურობა.

DAVID GURGENIDZE,
Rector,Professor
GELA KIPIANI,
Professor
GOCHA BADZGARADZE,
PHD student
ETER SURAMELASHVILI
PHD student
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

# ENGINEERING EDUCATION IN GEORGIA AND ITS MAIN TASKS IN THE FIELD OF MECHANICS

## Summary

The article deals with the brief overview of the role of mechanics in engineering education in Georgia. The necessity of separate subjects for all specialties of engineering in the field of mechanics is discussed: theoretical mechanics, modern mechanical engineering as industrial and mechanical engineering, hydro–aeromechanics, hydraulics of dams and underground hydraulic structures, construction mechanics, constructions, (Thin-walled spatial constructions), strength of materials, theory of elasticity, crawling and plasticity; Theory of buildings (constructing statics, dynamics and sustainability of buildings); Construction mechanics of special combined systems, ground mechanics, composite body mechanics.

**Keywords:** Mechanics, Hydraulics, Construction Mechanics, Liability, Plasticity.

ლალი ბოჭორიშვილი
პროფესორი
მანანა თოფურია
ასისტენტ -პროფესორი
მაკა ჯიშკარიანი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

# უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ეკონომიკურ დისციპლინებში სტუდენტთა მომზადების თავისებურებანი

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალურ ამოცანად რჩება მომავალი ინჟინრების სპეციფიკური კომპეტენციების ფორმირება, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ გარემოში წარმატებულ პროფესიულ თვითრეალიზაციაზე. გარდა ამისა, ის გულისხმობს არა მხოლოდ წმინდა ტექნიკურ, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თვალთახედვა-

საც. უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური დისციპლინების (საგნების) სწავლება, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოითხოვს სასაწავლო პროცესში ახალი ტენდენციების გათვალისწინებას და შესაბამისი მეთოდების დანერგვას. დღეისათვის ეკონომიკის სწავლების აუცილებლობაში დარწმუნებულია ყველა დონის სასწავლებელი: პროფესიული, საშუალო და უმაღლესი. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში საქართველოში შესრულებულია მრავალი სამუშაო, კერძოდ ერთდროულად იქმნებოდა ამ ეკონომიკისათვის შესატყვისი საკანონმდებლო ბაზა და პარალელურად ხორციელდებოდა კერძო ბიზნესის ფორმირება [1].

შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა ახალი, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სპეციალისტების მომზადება და ამავდროულად არსებული კადრების გადამზადება. მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის აუცილებლობამ განაპირობა განათლების ტრანსფორმირება საერთაშორისო მოთხოვნების, სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეციალისტები თავისი კომპეტენციის ფარგლებში იყენებენ სწავლების მოდელირებულ მეთოდებს უმაღლესი და სპეციალური განათლების სფეროში. აღნიშნული მეთოდების გამოყენება სტუდენტს უმაღლებს მოტივაციას და უყალიბებს ისეთ პროფესიულ ცოდნას, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციაზე ორიენტირებულ მიდგომაზე და მოითხოვს სხვადასხვა ინოვაციური ამოცანების ურთიერთკავშირის გათვალისწინებას ეკონომიკის კურსის თემებთან და კომპეტენციებთან მიმართებაში.

თუ საუნივერსიტეტო სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს ინჟინერ-ნოვატორის აღზრდა, მაშინ საჭიროა ეკონომიკური მომზადების მთელი სისტემა დავაფუძნოთ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე ინოვაციური თავისებურებების გათვალისწინებით. ამისათვის ეკონომიკის კურსში აუცილებელია გამოყოფილი იყოს საწარმოო ძალების ხარისხიანი განვითარების პრობლემები, ანუ ინოვაციური პრობლემები და ამ შემთხვევაში ეკონომიკის პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება განიხილება, როგორც ინოვაციაზე ორიენტირებული. ამ მიდგომის უმნიშვნელოვანესი მიზანია, მომავალ ინჟინრებს ჩამოუყალიბოს მეტაპროფესიული ჩვევები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ტექნიკურ სპეციალობასთან, მაგრამ ხელს უწყობენ მათ ადაპტაციასა და პროფესიულ მოღვაწეობას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მეტაპროფესიული კომპეტენციები იკავებენ შუალედურ მდგომარეობას პროფესიულ და უნივერსალურ კომპეტენციებს შორის, რომლებიც ყალიბდებიან დისციპლინათაშორის კავშირების სისტემის საფუძველზე და მოითხოვს პედაგოგებისგან გამოვიდეს ეკონომიკის კურსის ტრადიციული შინაარსის ჩარჩოებიდან. ეკონომიკის ინოვაციაზე ორიენტირებულ სწავლაში მნიშვნელოვანი მეთოდებია სწავლის აქტიური მეთოდები და უპირველესად საქმიანი თამაშები. ამასთან მათი გამოყენებით შესაძლებელია საჭირო პედაგოგიური ეფექტის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ეყრდნობიან წინასწარ განსაზღვრული რეალური სამეურნეო პროცესების ამსახველ ინოვაციურ ამოცანებს [2].

ეკონომიკურ სწავლებაში ინოვაციაზე ორიენტირებული მიდგომის ფორმირების ძნელად მისაღწევი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სასწავლო სახელმძღვანელოების ტრადიციული კურსი ატარებს თეორიულ ხასიათს. გარდა ამისა პედაგოგების უმრავლესობას არ გააჩნიათ დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სახეზეა შეუსაბამობა, კერძოდ პედაგოგ-თეორიტიკოსმა უნდა ასწავლოს სტუდენტს ეკონომიკის საფუძვლები პრაქტიკულად, რომელთა მიმართაც თვითონ აქვს ზოგადი წარმოდგენა. არსებულ წინააღმდეგობებს ზოგიერთი პედაგოგი წყვეტს იმით, რომ უფრო ღრმად წვდება თეორიულ საკითხებს და თავს არიდებს აქტიურ პრაქტიკულ საკითხებს. ეს გზა ლოგიკურია, მაგრამ ის ეწინააღმდეგება ეკონომიკის ინოვაციაზე ორიენტირებული სწავლების მიზნებს და ამით უგულებელყოფს სასწავლო დისციპლინის როლს.

ჩვენ ვთვლით, რომ საჭიროა პედაგოგების უწყვეტი მომზადება პრაქტიკულ და ნოვატორულ ეკონომიკაში, რომელიც ხორციელდება პედაგოგიური მოღვაწეობისა და პრაქტიკული ინოვაციების შერწყმით. ჩვენ ვთავაზობთ უფრო ეფექტურ სტრატეგიას ეკონომიკის პედაგოგებს - „ინოვაციურ თვითგანათლებას".

აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს ეკონომიკის პედაგოგის უწყვეტ კავშირში იმ სტუდენტებთან, რომლებსაც აქვთ ინოვაციური მოღვაწეობის გამოცდილება და პრაქტიკული შეხება კონკრეტულ პრობლემებთან, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს ამა თუ იმ კომპეტენციას. ეკონომიკის ზოგადი კურსის სწავლების დასაწყისში, ასეთი სტუდენტები, როგორც წესი, ამ პრობლემებს არჩევენ აუტიდორიაში ან უშუალოდ მიმართავენ თავიანთ პედაგოგებს. ასეთ პრობლემურ სიტუაციას განვიხილავთ არა როგორც შემთხვევითს სწავლების პროცესში, არამედ როგორც სასწავლო კურსის უწყვეტ გაღრმავებას და პედაგოგის პედაგოგიური შემოქმედების საფუძველს, აგრეთვე როგორც სამეცნიერო-მეთოდური კვლევების აქტუალურ საგანს. პედაგოგის ამოცანაა თავი მოუყაროს, გააანალიზოს და კონცეპტუალურად გაიაზროს პრაქტიკოსი სტუდენტის მიერ შემოთავაზებული ინოვაციური ამოცანები, კავშირი დაამყაროს კურსის შესაბამის თეორიულ საკითხებს შორის და მოახდინოს სალექციო მასალაში მსგავსი ამოცანების ინტეგრაცია. ამ მასალების საფუძველზე მოამზადოს სემინარული მეცადინეობები (საქმიანი თამაშები, ქეისები, მრგვალი მაგიდები და ა.შ) და საბოლოო ჯამში მოახდინოს მათ ბაზაზე სპეციალისტთა კომპეტენციის ფორმირება [3].

ჩვენი პედაგოგიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ მიმართებით პედაგოგის სისტემატური მუშაობა ითხოვს ეკონომიკის კურსში კარდინალურ ცვლილებებს, როგორც შინაარსობრივად, აგრეთვე სწავლების მეთოდებში. საბოლოო ჯამში ის ხელს უწყობს მთლიან, ინოვაციაზე ორიენტირებული სისტემის შექმნას და მომავალი ინჟინრების ეკონომიკურ მომზადებას. ეკონომიკის სასწავლო სახელმძღვანელო, გამდიდრებული პრაქტიკული ინოვაციური ამოცანებით, წარმოადგენს პედაგოგიური მიზნების განხორციელების საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემა იყოფა ფუნდამენტურ (ზოგად) და გამოყენებით (კერძო) მეცნიერებად. ფუნდამენტური მეცადინეობა მოიცავს ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკის ისტორიას და ეკონომიკურ სტატისტიკას, რომელთა მიზანია ობიექტური ეკონომიკური კანონების შემეცნება და მათი გამოყენების ეფექტური გზების ძიება. გამოყენებითი მეცნიერება მოიცავს დარგთაშორის (ფინანსები, კრედიტები, ბუღალტრული აღრიცხვა, შრომის მართვა), დარგობრივ ეკონომიკას (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და სხვა) და რეგიონულ (მსოფლიო, რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა) ეკონომიკას. გამოყენებითი მეცნიერება კერძო და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებს ფუნდამენტური კვლევების შედეგებს [4].

ეკონომიკური სწავლების მეთოდები მოიცავს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ფორმებს. თანამედროვე ეტაპზე ამ ფორმების სრულყოფა მიმართულია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გააქტიურებისაკენ. ეს პროცესი მოითხოვს დისციპლინის წამყვანი პედაგოგისაგან კონკრეტული საბაზრო გარდაქმნების თავისებურებებიდან გამომდინარე მიზანმიმართული ინტელექტუალური მეთოდებით სწავლებას და ტექნიკური დავალების მიწოდებას.

ცნობილია, რომ სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის სიღრმისეული შესწავლა მხოლოდ ერთი მეთოდით შეუძლებელია. პროფესორს უწევს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მიმართავს განსხვავებულ მეთოდთა შერწყმას. სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს, გთავაზობთ ყველაზე გავრცელებული ვარიანტებიდან ზოგიერთს [5].

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა პროფესორი ცდილობს განახორციელოს შემეცნებითი და ეფექტური სწავლება ისე, რომ სტუდენტი ჩაერთოს და იგრძნოს თავი პროცესის თანამონაწილედ. წიგნზე მუშაობის, ანუ ლოგიკური აზროვნების მეთოდის გამოყენებით კონკრეტული შედეგების მიღწევა ხორციელდება ფაქტებზე დაყრდნობით. საშინაო დავალების მეთოდი გულისხმობს რეგულარულ დავალებებს, რომელსაც სტუდენტი ასრულებს აუდიტორიის გარეთ და შედის სასწავლო კურსის შემადგენლობაში, როგორც შეფასება.

წერითი მუშაობის მეთოდი, მოიცავს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ა.შ ,[6].

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

დისკუსია და დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, როცა დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით და უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (გუნდური) მუშაობა გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. გუნდის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია გუნდის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი პრობლემას იყენებს ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად.

ტესტური სწავლების დროს სტუდენტს ეძლევა წერილობით პრობლემა და მის ირგვლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რამდენიმე სწორი პასუხიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალებით.

თანამშრომლობითი სწავლება ისეთი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი აგრძელებს მუშაობას პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

სტრატეგიული სწავლების დროს სწავლება იგეგმება ისე, რომ მოერგოს კონკრეტულ საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ეს მეთოდი აუმჯობესებს მეხსიერებას და გამოიყენება გამოცდებზე.

პრაქტიკული გამოცდილების მეთოდის დროს სტუდენტი საკუთარი პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას ახდენს საწარმოში, არა ლექტორის, არამედ გამოცდილი ინსტრუქტორის წინაშე, რომელიც მუშაობს ამ საწარმოში.

სასწავლო პრაქტიკის დროს სტუდენტი სწავლების პერიოდში იგზავნება საწარმოში, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად. საწარმოო პრაქტიკა განიხილება, როგორც სწავლების კომპონენტი.

შემთხვევის (კეისი) ანალიზის მეთოდის დროს პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ყოველმხრივ, საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდის გამოყენებისას ხორციელდება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რითაც მარტივდება რთული პრობლემის ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანი სურათის დანახვის უნარის განვითარებას.

დისტანციური სწავლება, სრულად ან ნაწილობრივ უნივერსიტეტის გარეთ სწავლებაა, რომელიც მიმდინარეობს მიმოწერით, კორესპონდენციის სახით. ასეთი სწავლების პროცესში სტუდენტს მოეთხოვება პერიოდულად დაესწროს სესიებს უნივერსიტეტში.

მობილურით სწავლება (M-learning) მობილური ტექნოლოგიებით სწავლის მიღება. ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

დაუსწრებელი ანუ მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს პრეზენტაციების საშუალებით, რომელიც თვალსაჩინოების საუკეთესო მეთოდია [7].

მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს სწავლების სხვა უამრავი მეთოდი, რომლის შერჩევა ლექტორს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და ფორმების სიხშირე, არჩეულ იქნა ტექნიკური სასწავლებლის მენეჯმენტის დარგის მიმართულება. ქვემოთ მოცემული ცხრილის საფუძველი იყო პედაგოგთა გამოკითხვა, მათ მიერ გამოყენებული სწავლების ეფექტური მეთოდებისა და ხერხების შესახებ. გამოიკითხა ეკონომიკური სწავლების მიმართულების 15 პედაგოგი. მათი პასუხების მიხედვით მიღებული ინფორმაცია დამუშავებულია და წარმოდგენილია 1 ცხრილში.

ეკონომიკური დისციპლინების სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების სიხშირე

ცხრილი 1.

| სწავლების მეთოდი | შესაბამისი მეთოდის გამოყენების სიხშირე (%) | | | | პედაგოგთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| | მუდმივად | ხშირად | ზოგჯერ | არ ვიყენებ | |
| ლექცია | 67 | 33 | 0 | 0 | 15 |
| დისკუსია აუდიტორიაში | 13 | 53 | 27 | 7 | 15 |
| მცირე ჯგუფებთან მუშაობა | 55 | 36 | 0 | 9 | 11 |
| დაფის გამოყენება | 42 | 42 | 17 | 0 | |
| საბაზო სახელმძღვანელო | 67 | 27 | 7 | 0 | 15 |
| ნორმატიული მასალები, კანონები | 33 | 50 | 17 | 0 | 6 |
| დარიგებული საკუთარი მასალები | 27 | 33 | 20 | 20 | 15 |
| ინტერნეტი | 36 | 27 | 18 | 18 | 11 |
| სლაიდები | 20 | 10 | 20 | 50 | 10 |
| კომპიუტერული რესურსები და პროგრამები | 20 | 10 | 20 | 50 | 10 |

როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა უმეტესობა (მუდმივად და ხშირად) იყენებს სწავლების შემადგენლობიდან ყველა ელემენტს რიგითობის მიხედვით:

- მცირე ჯგუფებთან მუშაობა - 91%, ლექცია - 90%, დისკუსია აუდიტორიაში - 66%;
- სახელმძღვანელო - 94%, ნორმატიული, მასალები, კანონები - 83%; დარიგებული საკუთარი მასალები - 60% ;
- დაფის გამოყენება - 84%; ინტერნეტი - 63%, სლაიდები - 30%, კომპიუტერული რესურსები და პროგრამები - 30%.

სწავლების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების სტატისტიკა უნივერსიტეტებში სამწუხაროდ, პრაქტიკულად შესწავლილი არ არის. იმ უნივერსიტეტებში, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შეუძლიათ ჩაატარონ კვლევები და გამოკითხვები, მაგალითად, თქვენს მიერ წაკითხულ სასწავლო პროგრამებში (სემინარის პროცესში), იყენებთ თუ არა ინტერნეტის ელექტრონულ რესურსებს (წიგნების ტექსტები, სტატიები, ამოცანათა კრებულები, ტესტები და ა.შ.)? ლექციის პერიოდში რომელი სახის ტექნიკურ აღჭურვილობას აძლევთ უპირატესობას? მაგ. ლეპტოპი (კომპიუტერი), მულტიმედიური პროექტორი, მინი ჯიბის (Pocket) პროექტორი, მიკროფონი ან ხმის ჩამწერი, ელექტრონული დაფა [8].

აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი ისეთ უნივერსიტეტებში, რომლებსაც აქვთ დაფინანსების პრობლემები, მაგრამ არსებობს უამრავი სხვა მეთოდი, მაგალითად, კონკრეტული კეისების შესწავლა, კოლექტიური პროექტების განხორციელება, მაგალითები ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან, ასევე შესაძლებელია ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ლექციებისა და სემინარების პროცესში [9].

თანამედროვე შეფასების სისტემაში ფართოდ გამოიყენება მიზნების მიხედვით მართვა. აქ აღსანიშნავია ჯაჭვის „მიზანი>მეთოდი>შედეგები" ეფექტიანობა თითოეული კომპონენტის მიხედვით. თუ ჩავთვლით, რომ საუნივერსიტეტო სწავლების ერთ-ერთი მიზანია სტუდენტის მაქსიმალური ჩართვა პრაქტიკულ საქმიანობაში, მაშინ არსებული მეთოდების ოპტიმალური შერჩევა და გამოყენება განაპირობებს საუკეთესო შედეგების მიღებას. ამრიგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, მოახდინონ თავისი დისციპლინის პოპულარიზაცია სტუდენტებში, რათა უფრო აქტიურად და ეფექტურად ჩართონ ისინი სასწავლო პროცესში [10].

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Евплова Е.В. Методика преподавания экономических дисциплин: учебно-методическое пособие [Текст] / Е.В. Евплова, И.И. Тубер., 2015. – 108 с. – Челябинск.
2. Кузьминов Я . И., Бендукидзе К . А., Юдкевич М . М . Курс институциональной экономики: институты, сети, трансакционные издержки, контракты. 2005. М .: ГУ–ВШЭ;
3. Хвесеня Н. П., Сакович М. В. МЕТОДИКА ПРЕПОДАВАНИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ ДИСЦИПЛИН. Учебно-методический комплекс для студентов экономических специальностей. 2006 МИНСК БГУ;
4. Jishkariani M. (2019). Electricity Tariffs in Georgia. Warsaw, Poland: World Science 9(49), Vol.1. doi:10.31435/rsglobal_ws/30092019/6697;
5. Jishkariani M., Dvalishvili N., Kurakhchishvili L. (2020). Evaluation of Calorific of Municipal Solid Waste (MSW). In: Ghosh S. (eds) Sustainable Waste Management: Policies and Case Studies. Springer, Singapore. doi.org/10.1007/978-981-13-7071-7_23;
6. Jishkariani M. (2020). Safety Rules for Power Engineering Companies. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/342233298_Safety_Rules_for_Power_Engineering_Companies
7. Jishkariani M. (2020). Failure Mode and Effect Analysis in Energy Companies. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/341914208_Failure_Mode_and_Effect_Analysis_in_Energy_Companies

8. Jishkariani M. (2020). Fault Tree Analysis (FTA) For Energy Enterprises. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/341494947_Fault_Tree_Analysis_FTA_For_Energy_Enterprises
9. Jishkariani M. (2020). Risk Management and Losses Calculation in Energy Enterprises. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/341130738_Risk_Management_and_Losses_Calculation_in_Energy_Enterprises;
10. Jishkariani M. (2020). Load Measurement Forms and Reliability of Power Supply Systems. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/340234067_Load_Measurement_Forms_and_Reliability_Of_Power_Supply_Systems;

## რეზიუმე

სტატიაში დასაბუთებულია უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური მომზადების სისტემის მოდერნიზაციის აუცილებლობა საერთაშორისო კომპეტენციების დონეების გათვალისწინებით. წარმოდგენილია წამყვანი ქვეყნების სპეციალისტების უმაღლესი და სპეციალური განათლების სფეროში გამოყენებული სწავლების მოდელირებული მეთოდები. განხილულია და ფორმირებულია ფუნდამენტური და გამოყენებითი ეკონომიკის სწავლების თემატიკასთან დაკავშირებული ინოვაციაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები. შესწავლილია ეკონომიკური სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდების სიხშირე ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში მენეჯმენტის მიმართულებაზე. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სწავლების როგორც ვერბალურ, ასევე დისტანციურ მეთოდს თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური თეორია, უმაღლესი სასწავლებელი, ინოვაციურ-ტექნიკური ამოცანები, ინოვაციაზე ორიენტირებული სწავლება, პროფესიული კომპეტენციები, დისტანციური სწავლება, ინოვაციური თვითგანათლება.

**LALI BOCHORISHVILI**
Professor
**MANANA TOPURIA**
Assistant Professor
**MAKA JISHKARIANI**
Associate Professor
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

# FEATURES OF PREPARING STUDENTS IN ECONOMIC DISCIPLINES IN HIGHER TECHNICAL SCHOOLS

## Summary

The article substantiates the need to modernize the economic training system in higher education institutions taking into account the international levels of competencies. Modeled teaching methods used by specialists from leading countries in the field of higher and special education are presented. Innovation-oriented teaching methods related to the teaching of fundamental and applied economics are discussed and formed. The frequency of methods used in the process of economic education in the direction of management in technical higher education is studied. The article pays special attention to both verbal and distance learning methods, taking into account the modern situation.

**Keywords:** Economic Theory, Higher Education, Innovative-Technical Tasks, Innovation-Oriented Teaching, Professional Competencies, Distance Learning, Innovative Self-Education.

**ყარამან ფაღავა,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და
მოზარდთა მედიცინის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი
**ირმა გ. კორინთელი**
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა
მედიცინის დეპარტამენტის
მოწვეული პედაგოგი
საქართველო, თბილისი

# COVID 19 პანდემია და უმაღლესი სამედიცინო განათლება

**შესავალი**: ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოსთვის უდიდეს გამოწვევას და გლობალურ პრობლემას. 2020 წლის 11 მარტს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსის (COVID 19) ეპიდაფეთქება პანდემიად გამოაცხადა [20]. მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების რაოდენობამ უკვე 43 მილიონს გადააჭარბა. 1 მილიონზე მეტი კი გარდაიცვალა [8]. მსოფლიოს წამყვანი ჯამრთელობის დაცვის ორგანიზაციები და ავტორიტეტული ფარმაცევტული ფირმები აქტიურად მუშაობენ ვაქცინისა და ანტივირუსული მედიკამენტის შექმნაზე, თუმცა ამ ეტაპზე, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა და ეტიოტროპული სამკურნალო საშუალება ხელმისაწვდომი არ არის. სადღეისოდ პროფილაქტიკის საუკეთესო მეთოდებადაა მიჩნეული პირბადეების გამოყენება და სოციალური დისტანცირება.

პანდემიამ პრობლემები შეუქმნა მოსახლეობის ჯანმრთელობას და ამასთანავე გამოიწვია ფართო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი მთელ მსოფლიოში. გარდა იმისა, რომ დიდია ადამიანური დანაკარგი, კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტები ხანგრძლივად ხდებიან ქმედითუუნარონი, რამაც ერთი მხრივ გაზარდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯები და მეორე მხრივ შეამცირა მათი სოციალური და ფიზიკური აქტივობა. არასაკმარისი ადამიანური რესურსი კი ძლიერ აზარალებს ქვეყნების ეკონომიკას. ამავე დროს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შეფერხდა მოსახლეობის გადაადგილება, კულტურული ღონისძიებები, საერთაშორისო მიმოსვლა და სხვა, აღნიშნულმა გარემოებებმა უდიდესი ფინანსური ზარალი მიაყენა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკას.

საქართველოში ახალი კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. დღევანდელი მდგომარეობით ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა მზარდია [35]. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიღებული იყო მთელი რიგი რეგულაციები, რომელიც მოიცავდა როგორც წერტილოვან, ისე ფართომასშტაბიან შეზღუდვებს. აღნიშნულმა რეგულაციებმა დასაწყისში შეამცირა დაავადების გავრცელება და დაარეგულირა ინფიცირებულთა ნაკადი, რამაც გარკვეულად ხელი შეუწყო ჯანდაცვის სექტორის უკეთ მომზადებას პანდემიასთან ბრძოლაში.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია აისახა საგანმანათლებლო სფეროზეც. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში, შეფერხდა სასკოლო და საუნივერსი-

ტეტო სწავლების პროცესი. პანდემიის პირობებში ყველაზე ეფექტურ ალტერნატივად მიჩნეულ იქნა დისტანციური სწავლების მეთოდი და იგი სწრაფად დაინერგა ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ზოგადად, დისტანციური სწავლების მეთოდი არ წარმოადგენს სიახლეს საგანმანათლებლო სფეროში. მას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის მოკლევადიანი სასწავლო კურსების და კონფერენციების ჩატარებისას. პანდემიის პირობებში ონლაინ მეცადინეობებმა სრულად მოიცვა საგანმანათლებლო სექტორ. განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც ლექციების ისე პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის. გარდა თეორიული დისციპლინებისა, დისტანციური სწავლება იმ დისციპლინებსაც შეეხო, რომელიც პრაქტიკულ-ლაბორატორიულ კომპონენტსაც მოიცავს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამედიცინი საგნები, რომელიც მოითხოვს როგორც თეორიულ ისე კლინიკურ სწავლებას.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლება, იმის გამო, რომ იგი პრაქტიკულად საყოველთაო გახდა პედაგოგიკაში, სამედიცინო განათლების ჩათვლით, უმნიშვნელოვანეს გამოწვევად გადაიქცა [13,14,19,22,23,32]. არის აზრი, რომ პედაგოგიკაში დიგიტალური რევოლუციის წინაშე ვდგავართ [3]. ყოველივე ეს პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** ჩვენი კვლევის მიზანი იყო გვეპასუხა კითხვებზე: 1) როგორ წარვმართოთ დისტანციური უმაღლესი სამედიცინო განათლება პანდემიის პირობებში; 2) მიზანშეწონილია თუ არა მისი განხორციელება პანდემიის შემდეგ და რა სახით.

**კვლევის დიზაინი:** ა) გაანალიზებულ იქნა COVID 19 პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების შესახებ არსებული პუბლიკაციები: გამოყენებული იყო საძიებო სიტყვები COVID 19, Distance Medical Education. პუბლიკაციების საძიებოდ შემდეგი ბაზები შეირჩა: PubMed.gov, ScienceDirect/ELSEVIER/, Hinari. გამოქვეყნების თარიღად განისაზღვრა 2020 წელი. ამას დაერთო ცალკეული სტატიები, შერჩეული ე.წ თოვლის გუნდის პრინციპით; ბ) ჩატარდა სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ანონიმური გამოკითხვა. ყველა მათგანი ჩართული იყო დისტანციურ სწავლებაში. სტუდენტებისთვის განკუთვნილი კითხვარი მოიცავდა 30 დახურულ კითხვას ქცევაზე, დამოკიდებულებასა და ცოდნაზე. სულ განაწილდა 100 კითხვარი, გაანალიზდა 52 მიღებული კითხვარი. პროფესორ-მასწავლებლებისთვის შექმნილი კითხვარი მოიცავდა 10 დახურულ კითხვას, რომელიც შეეხებოდა დისტანციური სწავლების საორგანიზაციო, ტექნიკურ და შინაარსობრივ საკითხებს. კითხვარი დაურიგდა 50 პედაგოგს, გაანალიზებულ იქნა 23; გ) აღნიშნული შედეგებისა და საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ პერსონალური შეხედულებები, ფორმულირება დასმულ შეკითხვებთან მიმართებაში.

**კვლევის შედეგები და მათი განხილვა.**

უმაღლესი სამედიცინო განათლების მიზანია მომზადდეს პროფესიონალი, რომელიც ფლობს ყველა იმ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რაც საჭიროა დაავადებების პრევენციისთვის, დროული დიაგნოსტიკისა და სრულყოფილი მკურნალობისთვის, მოსახლეობის მაქსიმალურად გაჯანსაღებისთვის [21,29,31].

*რა ვასწავლოთ.* აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტუდენტმა საჭიროა აითვისოს თეორიული მასალა (ინფორმაცია), შეიმუშავოს სათანადო დამოკიდებულებები (attitudes), პირველ რიგში ექიმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ემპათიის უნარი; აითვისოს პრაქტიკული და ინტელექტუალური (პრობლემის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების) ჩვევები [31].

მედიცინაში სტუდენტის მიერ ასათვისებელი ინფორმაციის მოცულობა დადგენილია და მეტ--ნაკლებად განსაზღვრული (რაც სათანადო სილაბუსებშია ასახული), მისი მიღება დისტანციურად სავსებით შესაძლებელია. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შე-

დეგებიც. პედაგოგებისა და სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ონლაინ მეცადინეობის ფორმატს გამართლებულად მიიჩნევენ თეორიული სწავლებისთვის.

დამოკიდებულებების შემუშავება დისტანციურად ნაწილობრივ შესაძლებელია - დისკუსიებისა და შემთხვევების გარჩევის მეშვეობით. მაგრამ მთავარი, რაც ამისთვის აუცილებელია - სტუდენტის დასწრება კლინიკურ კონფერენციაზე, შემოვლაზე, დამოუკიდებელი მუშაობა ავადმყოფთან - დისტანციურად ვერ ხერხდება.

ინტელექტუალური ჩვევების შემუშავება დისტანციურად მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, კლინიკური შემთხვევების განხილვის მეშვეობით.

პრაქტიკული ჩვევები - ინტერნეტში არსებული რესურსების მეშვეობით სტუდენტმა შეიძლება შეხედოს, თუ როგორ კეთდება ესა თუ ის პროცედურა, მაგრამ თვითონ რომ განახორციელოს, ეს დისტანციურად შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია კოლეგებსა და პაციენტებთან კომუნიკაციური ჩვევების შემუშავება.

*როგორ ვასწავლოთ.* მედიცინის სწავლების მრავალი მეთოდი არსებობს - კითხვა, ლექცია (სასურველია იყოს ინტერაქტიური), დისკუსია, როლური თამაში, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, პრობლემის გადაწყვეტის სავარჯიშოები, კვლევითი კომპონენტი, შემთხვევების გარჩევა, რეალური შემთხვევების ანალიზი, ხელოვნური მოდელები, დემონსტრაცია, სიმულაციური ავადმყოფები, bedside teaching, brainstorming, სტუმარი ლექტორის (ექსპერტის) ლექცია, სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაციები, ტესტები, სასწავლო თამაშები, ვიდეო და აუდიო მასალების დემონსტრაცია და სხვ. გამოკითხული სტუდენტები ადასტურებენ პედაგოგების მიერ ამ მეთოდების გამოყენებას, თუმცა კლინიკური კომპონენტის გარეშე. ცხადია, ამ მეთოდების უმრავლესობა დისტანციურ რეჟიმში ვერ გამოიყენება. სტუდენტების აზრით საკონტაქტო საათები საკმარისია ონლაინ მეცადინეობისთვის. მაგრამ დამატებითი საათების გამოყოფის აუცილებლობა არ უნდა იყოს გამორიცხული. მთავარია გამოწვევაზე „ინოვაციური გადაწყვეტილებით“ პასუხი. ეს უკანასკნელი გულისხმობს სწავლების პროცესში ვირტუალური მეთოდების, ვიდეოკონფერენციების, ტელემედიცინის მაქსიმალურ ჩართვას. ასეთი კომპლექსური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, რომ უმაღლესი სამედიცინო განათლება გაუმკლავდეს კლინიკური უნარების ტრადიციული მეთოდებით სწავლების უეცარ შეჩერებას [15,18,33,34].

*შეფასება.* გამოყოფენ მიმდინარე და საბოლოო შეფასებას, გამოიყენება ტესტები, პრაქტიკული ჩვევების შემოწმების მეთოდიკები, პორტფოლიოს ანალიზი, თვითშეფასების მეთოდი, უშუალოდ პირისპირ (in person) გამოკითხვა, მიმდინარე დაკვირვება [4,6,29]. აშკარაა, რომ ამ მეთოდების გამოყენება დისტანციურად ფრიად ძნელია [12]. სტუდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ონლაინ ფორმატით შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ცოდნის მაქსიმუმი, თუმცა პედაგოგების აზრით (82.6%) ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე პედაგოგების მხრიდან გარკვეულწილად ხდება სტუდენტების წახალისება და მათთვის მაღალი ქულების მინიჭება ნაწილობრივად გამოვლენილ ცოდნაში, რაც სტუდენტს მაქსიმალური ჰგონია, ვინაიდან კარგ შეფასებას იღებს. სტუდენტების მხოლოდ მეოთხედი (23.5%) ონლაინ მეცადინეობას არ მიიჩნევს ხელსაყრელ მეთოდად ცოდნის მაქსიმალურად წარმოსაჩენად.

პანდემიის პირობებში დისტანციურ სწავლებას ალტერნატივა არა აქვს, მისი ნაკლოვანებების მიუხედავად [2]. გასათვალისწინებელია სიძნელეები და წინააღმდეგობები. მათ შორის ზოგიერთი გადაულახავია, რომელზედაც მივუთითეთ სწავლებისა და შეფასების მეთოდების განხილვისას. ზოგიერთი გადალახვადია, მაგრამ მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს - ლოჯისტიკა, სათანადო კომპიუტერული ჩვევების არქონა (აღსანიშნავია, რომ ეს უფრო პედაგოგებისთვისაა აქტუალური), პლატფორმებისა და ინტერნეტ რესურსების მოძიება (და, ზოგჯერ, მათი შექმნა), ინგლისური ენის საკმარისი ცოდნა, პედაგოგის შრომის ინტენსიფიკაცია. შესაძლებელია, ზე-

მოთ აღნიშნული განაპირობებს პედაგოგთა სკეფსისს ამ ტიპის სწავლების მიმართ, როგორც პანდემიის დროს, ისე, განსაკუთრებით, მის შემდეგაც. ასე მაგალითად, მათი უმრავლესობა (70.2 %) არ მიიჩნევს ეფექტურად ონლაინ სწავლების მეთოდს. 58.7% არ ემხრობა ონლაინ სწავლების დანერგვას პანდემიის შემდეგ. სტუდენტებს დავუსვით შეკითხვა, ზოგადად არიან თუ არა მომხრე ონლაინ სწავლების დანერგვისა პანდემიის შემდეგ, რაზედაც უმრავლესობამ (77.4%) დადებითი პასუხი დააფიქსირა. 38.7% მომხრეა ონლაინ მეცადინეობებმა ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო პერიოდში დაიკავოს სწავლების 30%, 27.4% მომხრეა 50% ის, ხოლო 16.1% – 10% -ის. აღსანიშნავია, რომ ჩვენი შედეგები მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ლიტერატურის მონაცემებს [7,10,16,17,24,25,26,27,28, 30,34].

დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია კლინიკურ-პრაქტიკული სწავლების ხარვეზები (ამას აღნიშნავს თითქმის ყველა პედაგოგი და სტუდენტი), პაციენტთან მუშაობის შეუძლებლობა, ონლაინ ფორმატით შეფასების სისტემის არასრულყოფილება. აღნიშნული სიძნელეების გადალახვის მიზნით, მიზანშეწონილად გვესახება კლინიკური სწავლების ონლაინ ფორმატით ჩატარებისთვის სპეციალური პროტოკოლების მომზადება, სამომავლოდ კი ჰიბრიდული სწავლებისთვის გამიზნული პროტოკოლების მომზადება და დანერგვა [5].

დისტანციური სწავლების ჩამოთვლილ მინუსებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ პლუსებიც - ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება, დროის და ფინანსური ხარჯების დაზოგვა (მაგ. მგზავრობა უნივერსიტეტამდე), მეცადინეობაზე დასწრების შესაძლებლობა ადგილსამყოფელის მიუხედავად, თეორიული ცოდნის სრულყოფილი ათვისება და, რაც მთავარია, მისი მეშვეობით საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება [1,9]. ყოველივე ეს მიუთითებს მის კიდევ უფრო ფართო გამოყენებაზე მომავალში [9,11,30].

**დასკვნა**. დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენება უმაღლესი სამედიცინო განათლების განხორციელებაში შესაძლებელია (მით უფრო, რომ პანდემიის პირობებში მისი ალტერნატივა არცაა), მაგრამ იგი მაინც სავსებით სრულყოფილი არაა. თუმცა, ნახევარი პური Half a loaf of bread ჯობია სულ არაფერს. დისტანციური სწავლების პლუსების გათვალისწინებით საჭიროა სათანადო მომზადება, მისი პანდემიის შემდგომ პერიოდში გამოსაყენებლად, ალბათ ჰიბრიდული წესით (ტრადიციული და ონლაინ მეთოდების შერწყმით).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Ahmed H, Allaf M, Elghazaly H. COVID-19 and medical education. Lancet Infect Dis. 20(7):777-778
2. Atreya A, Acharya J Distant virtual medical education during COVID-19: Half a loaf of bread. Clin Teach. 2020 Jun 18;10.1111/tct.13185.
3. Bentata Y. COVID 2019 pandemic: a true digital revolution and birth of a new educational era, or an ephemeral phenomenon? Med Educ Online, 2020 Dec;25(1):1781378.
4. Birch E, De Wolf M. A novel approach to medical school examinations during the COVID-19 pandemic. Med Educ Online. 2020 Dec;25(1):1785680.
5. Brian R, Stock P, Syed S et al, How COVID-19 inspired surgical residents to rethink educational programs, The American Journal of Surgery, 10.1016/j.amjsurg.2020.10.027, (2020).
6. Buckley S, Coleman J, Davison I et al. T Med Teach. 2009 Apr;31(4):282-98.
7. Chick RC, Clifton GT, Peace KM, Propper BW, Hale DF, Alseidi AA, Vreeland TJ. J Surg Educ Using Technology to Maintain the Education of Residents During the COVID-19 Pandemic.. 2020 Jul-Aug;77(4):729-732.
8. COVID 19 Coronavirus Pandemic. Last Updated October 26, 2020. https://www.worldometers.info/coronavirus/
9. Dedeilia A, S MG , Hanrahan JG .Medical and Surgical Education Challenges and Innovations in the COVID-19 Era: A Systematic Review 2020 Jun; 34(3 Suppl):1603-1611.
10. Franco RLO, Machado JLM, Grinbaum RS et al. Barriers to outpatient education for medical students: a narrative review. Int J Med Educ. 2019 Sep 27;10:180-190.

11. Gordon M, Patricio M, Horne L et al. Developments in medical education in response to the COVID-19 pandemic: A rapid BEME systematic review: BEME Guide No. 63. Medical Teacher. 2020 Nov;42(11):1202-1215.
12. Hauer KE, Lockspeiser TM, H Carrie Chen HC. The COVID-19 Pandemic as an Imperative to Advance Medical Student Assessment: Three Areas for Change. Acad Med,. 2020 Sep 29;10.1097/ACM.0000000000003764
13. He L, Yang N, Xu L et al. Synchronous distance education vs traditional education for health science students: A systematic review and meta-analysis, Medical education. . 2020 Sep 3. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32881047/
14. Hickam G, Sally A. Santen SA et al. Rapid Adaptation to Remote Didactics and Learning in GME, AEM Education and Training, 10.1002/aet2.10528, 0, 0, (2020).
15. Hollinderbäumer A, Hartz T, Uckert F. Education 2.0 -- how has social media and Web 2.0 been integrated into medical education? A systematical literature review. GMS Z Med Ausbild. 2013;30(1):Doc14.
16. Khan S, Mian A. Br J Surg. Medical education: COVID-19 and surgery. Epub 2020 Jun 3. BJS Society. 107(8):e269.
17. Kogan M, Klein SE, Hannon CP, Nolte MT . Orthopaedic Education During the COVID-19 Pandemic. 2020 Jun, J Am Acad Orthop Surg. 1;28(11):e456-e464.
18. Iancu AM, Kemp MT, Alam HB. Unmuting Medical Students' Education: Utilizing Telemedicine During the COVID-19 Pandemic and Beyond. J Med Internet Res. 2020 Jul 20;22(7):e19667.
19. Li L, Xv Q, Yan J. COVID-19: the need for continuous medical education and training. Lancet Respir Med. 2020 Apr;8(4):e23.
20. National Center for Disease Control and Public Health COVID 19 statistic date 24.06.2020: URL https://www.ncdc.ge/Pages/User/LetterContent.aspx?ID=161b884d-ef3c 426c-9ddc-29f9b8fc09d11
21. Newble D, Canon R. A handbook for medical teachers. Kluwer Academic Publishers New York, Boston, Dordrecht, London. 2002
22. North R, Vitto C, Hickam G, Santen SA. R AEM Educ Train. 2020 Jun 12;4(3):280-283.
23. R MH, Gazal AM,Alkattan K. Challenges to Online Medical Education During the COVID-19 Pandemic. C. 2020 Jul; 12(7): e8966.
24. Rafeek R, Sa B, Harnarayan P et al. Rapid transition to online teaching during COVID 19: Students' and Teachers' Perceptions in a Pioneer Caribbean Dental School. https://assets.researchsquare.com/files/rs-84862/v1/aa4bceb5-8caf-49f7-83f6-9b3012d7eb1e.pdf
25. Rose S. Medical Student Education in the Time of COVID-19. 2020 Jun JAMA. 2;323(21):2131-2132.
26. Sahi PK, Mishra D, Singh T. Indian Pediatr. Medical Education Amid the COVID-19 Pandemic. Epub 2020 May, Indian Pediatrics volume 57(7):652-657.
27. Sandhu P, de Wolf M. The impact of COVID-19 on the undergraduate medical curriculum. 2020 Med Educ Online. Dec;25(1):1764740.
28. Singh K, Srivastav S, Bhardwaj A, Dixit A, Misra S, 2020 Jul 15, Medical Education During the COVID-19 Pandemic: A Single Institution Experience.. Indian Pediatr.;57(7):678-679.
29. Singh T, Gupta P, Singh D. Principles of Medical Education Jaypee brothers. N Delhi. 2013.
30. Shehata MHK, Abouzeid E, Wasfy NF et al. Medical Education Adaptations Post COVID-19: An Egyptian Reflection. Journal of Medical Education and Curricular Development. 2020, Volume 7: 1–9
31. Thomas PA., Kern DE, Hughes MT, Chen BY. Curriculum development for medical education: A six-step approach. Johns Hopkins University Press. 2015.
32. Vasavda C, Ho BK, Davison A. Socially Distant Medical Education in the Face of COVID-19. Med Sci Educ. 2020 Oct 21;1-3.
33. Vogelsang M, R K , W et al. Medical Education for "Generation Z": Everything online?! - An analysis of Internet-based media use by teachers in medicine GMS. J Med Educ. 2018 May 15;35(2):Doc21.
34. Wijesooriya NR, Mishra V, Brand PLP, Rubin BK. COVID-19 and telehealth, education, and research adaptations. Paediatr Respir Rev. 2020 Sep;35:38-42.
35. კორონავირუსი საქართველოში https://stopcov.ge/26.10.2020.

## რეზიუმე

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია ნეგატიურად აისახა საგანმანათლებლო სფეროზე. შეფერხდა სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების პროცესი, უმაღლესი სამედიცინო განათლების ჩათვლით. ჩვენი კვლევის მიზანი იყო გვეპასუხა კითხვებზე: 1) როგორ წარვმართოთ დისტანციური უმაღლესი სამედიცინო განათლება პანდემიის პირობებში; 2) მიზანშეწონილია თუ არა მისი განხორციელება პანდემიის შემდეგ და რა სახით. განხორციელდა COVID 19 პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების შესახებ არსებული პუბლიკაციების სისტემური ანალიზი, ჩატარდა დისტანციურ სწავლებაში ჩართული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ანონიმური გამოკითხვა აღნიშნულ საკითხზე. კვლევის შედეგებსა და ჩვენს პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მივედით იმ დასკვნამდე, რომ დისტანციური სწავლება ამ ეტაპზე წარმოადგენს სწავლების პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების ყველაზე გამართლებულ საშუალებას, თუმცა იგი ნაკლებად ეფექტურია კლინიკურ დისციპლინებში სტუდენტის მიერ პრაქტიკული და ინტელექტუალური ჩვევების გამომუშავების თვალსაზრისით. ვითვალისწინებთ რა დისტანციური სწავლების გარკვეულ უპირატესობებს, ვვარაუდობთ რომ პანდემიის შემდეგაც იგი თავის ადგილს დაიკავებს უმაღლეს სამედიცინო განათლებაში ჰიბრიდული სწავლების სახით.

**საკვანძო სიტყვები** : COVID-19 პანდემია, სამედიცინო განათლება, დისტანციური სწავლება.

**KARAMAN PAGAVA,**
MD, PhD, DSc
Head & Professor, Department
of Child and Adolescent Medicine,
Tbilisi State Medical University
**IRMA G. KORINTELI**
MD, Invited lecturer, Department of
Child and Adolescent Medicine,
Tbilisi State Medical University
Georgia, Tbilisi

# COVID 19 PANDEMIC AND HIGH MEDICAL EDUCATION

## Summary

The novel coronavirus pandemic negatively affected the educational field. Pedagogical process both in schools and universities, particularly in high medical schools was significantly disturbed. It was limited only by distant teaching/learning. The aim of the study was to answer to the following questions: 1) How to conduct distance medical education during the pandemic, 2) Is it reasonable to carry it out after the pandemic and to what extent. We conducted a systematic analysis of the literature and anonymous survey of students and teachers involved in distance learning using the original questionnaire. Based on the results of our research and our pedagogical experience we came to the conclusion that online medical education is to some extent possible, but is only partially effective regarding the acquisition of clinical skills. Having in mind the advantages of distant education in terms of usage of online resources, we suppose that it could be used after the epidemic as well in a hybrid form (combination of distant and face-to-face methods).

**Keywords** : COVID-19 pandemic, Medical education, Distance teaching

**მაია ახვლედიანი**
ასოცირებული პროფესორი
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

**ლალი აბდალაძე**
ასოცირებული პროფესორი
შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ზუგდიდი

**ნინო ორჯონიკიძე**
ასოცირებული პროფესორი
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

# თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის

საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ მიუთითებს: „უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის დროული გადაწყვეტა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის, სიღატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოში უმაღლესი განათლების მაღალი კულტურა არსებობდა...“ (5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება)

ქართული უმაღლესი განათლების კერების შექმნა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ქვეყნის გარეთ ათონზე და პეტრიწონში დაფუძნებული ქართული სემინარიებით დაიწყო. „იქ მოღვაწე პირთა ძალისხმევით თავად საქართველოში აღმოცენდა პირველი უმაღლესი განათლების ცენტრი - გელათის აკადემიის სახით. თუ გავიხსენებთ იმას, რომ პირველი უნივერსიტეტები ევროპაში XII-XIII საუკუნეებში გაჩნდა, გასაკვირი არ უნდა იყოს სწორედ ამ დროს ქართული აკადემიების გახსნის უდიდესი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის.“ (4. საქართველოს განათლების მატიანე 2015; 148) განათლების მრავალეტაპიანი ისტორიის მიმოხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ანტიკური პერიოდის ფაზისის (III-IV) ფილოსოფიურ - რიტორიკული სკოლისა და იყალთოს (XII-XIII) აკადემიის საგანმანათლებლო დანიშნულებაც.

სწავლების უძველესი, ლექციური მეთოდი დღესაც ფართოდ გამოიყენება. ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვდა ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ლექტორის საქმიანობა წარმოადგენს მკვლევარის და მასწავლებლის როლების სინთეზს, რომელიც შეესატყვისება სწავლების მიზნებს. რეალობა გვიჩვენებს, რომ საუკეთესო ლექტორებიც ყოველთვის ვერ აჩვენებენ ოპტიმალურ შედეგს.

ლექციის ეფექტურობის განსაზღვრას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. მოხდა ლექციის, როგორც მეთოდის შედარება სწავლების სხვა მეთოდებთან.

ამერიკელი განათლების მკვლევარის უილბერტ ჯ. მაკკიჩის აზრით კვლევების შედეგად მიღებულმა არასახარბიელო დასკვნებმა და მათზე დისკუსიამ დაჩრდილა ლექცია - მასალის ათვისების, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებისა და სტუდენტთა მოტივაციის გაძლიერების თვალსაზრისით.

ლექციურ მეთოდს არაერთი დადებითი მხარე აქვს. მისი უპირატესობებია: უახლესი ინფორმაცია, რომელიც სახელმძღვანელოში შეიძლება ჯერ არ იქნეს შეტანილი; მრავალფეროვან წყაროებში გაბნეული მასალის შეკრება-შეჯამება; მასალის შეხამება ცალკეული სტუდენტების ცოდნის დონესა და ინტერესებთან; ეფექტური კითხვის უნარის განვითარება ორიენტაციის მიცემისა და კონცეპტუალური ჩარჩოს შეთავაზების გზით; კონცენტრაცია უმთავრეს კონცეფციებზე, პრინციპებსა და მოსაზრებებზე.

ასევე დიდია ლექტორის წვლილი სტუდენტის მოტივაციის გაძლიერების საქმეში. იგი ეხმარება მას ცალკული პრობლემის, საწინააღმდეგო მოსაზრებების გააზრებაში, რითაც სტიმულს აძლევს სტუდენტის შემდგომ დაინტერესებას. ლექტორი ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სტუდენტის ყურადღებასა და მოტივაციაზე ადეკვატური, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციით. სთავაზობს სტუდენტებს პრობლემისადმი მიდგომის გზებს, უჩვენებს მათ, როგორ უნდა მუშაობდეს მკვლევარი. მიმართავს სტუდენტებს: ,,ეს გახლავთ პრობლემის გადაჭრის ჩემეული ვარიანტი. ახლა თავად სცადეთ!“ ასეთი დამოკიდებულებით ლექტორი ხშირად ხდება მიბაძვის ობიექტი.

კოგნიტური თეორიის მიხედვით, დამახსოვრება ძირითადად დამოკიდებულია ახალი მასალის ინტელექტუალურ დამუშავებაზე. ადრინდელი თეორიების მიხედვით ცოდნა განიხილებოდა, როგორც ცალკეული ასოციაციების ერთობლიობა. დღეისათვის კი აღიარებულია, რომ ცოდნა არის ლოგიკურ ურთიერთკავშირში მყოფი კონცეფციების, ფაქტებისა და პრინციპების სინთეზი. აუცილებელია ლექტორმა ერთგვარი ხიდი გადოს სტუდენტის გონებასა და შესასწავლ მასალას შორის. ლექტორმა ხიდის შემადგენელ ელემენტებად სტუდენტს უნდა შესთავაზოს მაგალითები და თვალსაჩინოებები.

ტრადიციული ლექცია მიზნად ისახავს გააანალიზოს და შეაჯამოს სალექციო მასალა. ასეთ მიდგომას ,,დასკვნაზე ორიენტირებულს'' უწოდებენ. ვფიქრობთ, თანამედროვე ლექტორის ამოცანა უნდა იყოს არა მხოლოდ კურსით გათვალისწინებული მასალის შემოკლებით მიწოდება, არამედ სტუდენტთათვის სწავლისა და აზროვნების სწავლება. ლექციების უმეტესობა უნდა ეთმობოდეს მასალის ანალიზს, პრობლემის ფორმულირებას, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, საჭირო მტკიცებულების მიგნებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების კრიტიკასა და შეფასებას, რაც სწავლისა და აზროვნების მეთოდების არსის წვდომაში ღირებულია.

სალექციო კურსის ვერბალური მასალის დამუშავება უზრუნველყოფს, როგორც დიდი მოცულობის მასალის ათვისებას, ასევე ლექტორის მიერ გამოყენებული მეთოდების, პროცედურებისა და ტრადიციული ხერხების დაუფლებას. ნებსით, თუ უნებლიეთ ვასწავლით სტუდენტებს, როგორ მიიღონ სასურველი ცოდნა.

სასურველია კურსის დასაწყისისთანავე არ მივმართოთ სწრაფ ტემპებს. გავითვალისწინოთ სტუდენტების შესაძლებლობები და დონე. მივცეთ მათ ჩანაწერების გაკეთების შესაძლებლობა. ხშირად გამოვიყენოთ თვალსაჩინოება, კონკრეტული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს მასალის განმტკიცებაში. მოგვიანებით სტუდენტები შეძლებენ გაცილებით ვრცელი მასალის სწრაფად დამუშავებას. ასევე საჭიროა სასწავლო აუდიტორიის წევრთა თავისებურებების გათვალისწინება, სტუდენტების ცოდნის დონე, მოტივაცია, სწავლის უნარი არა მარტო ლექციის წაკითხვისას, არამედ მისი დაგეგმვის დროს. სწორად შედგენილი ლექციის გეგმა ეხმარება ლექტორს მაქსიმალურად აკონტროლოს სიტუაცია ლექციის მსვლელობისას. რა თქმა უნდა არსასურველია ჩანაწერის კითხვა ლექციაზე, სრულად არ უნდა

შეწყდეს მზერითი კონტაქტი აუდიტორიასთან, რადგან მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ მის წაკითხვას ისე, რომ სტუდენტს აარიდონ ყურადღებისა და ინტერესის შემცირების საფრთხე. ასევე იშვიათობას წარმოადგენს ლექციის წარმართვა ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე. ლექტორთა უმეტესობა იყენებს მასალის მოკლე მონახაზს ან ძირითადი სიტყვებისა და ფრაზების ნუსხას, ციფრულ პრეზენტაციას. ასევე სასურველია ლექტორმა ჩანაწერებს კითხვარის სახეც მისცეს. ჩამოუწეროს სტუდენტებს ინსტრუქციები, სთხოვოს გააკეთოს გრაფიკული გამოსახულებები, ცხრილები, დიაგრამები, ნახატები, მიმართულება მისცეს იმუშაონ წყვილებში და ჯგუფებში, წაახალისოს დასვან ლექციის მსვლელობისას წამოჭრილი შეკითხვები, წამოაყენონ ახალ-ახალი იდეები და მოიტანონ მაგალითები. თუ, შემთხვევით ლექციას ადრე დავასრულებთ, სთხოვოს სტუდენტებს დარჩენილი დრო მასალის წერილობით შეჯამებას დაუთმონ.

ლექციის ორგანიზებისას ლექტორთა უმეტესობა, ფიქრობს მასალის სტრუქტურის შესახებ, აგებს შინაარსს ლოგიკური გზით, დედუქციური ( ზოგადიდან კერძოსაკენ), ან ინდუქციური (კერძოდან ზოგადისაკენ) პრინციპების დაცვით. ხშირად მთელი ყურადღება ეთმობა მასალის გაშუქებას და გვავიწყდება ვკითხოთ საკუთარ თავს: რა უნდა ახსოვდეთ ჩვენი ლექციიდან სტუდენტებს მომავალ კვირას, მომავალ წელს?

საგნის ლოგიკური სტრუქტურა ლექციის ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანია სტუდენტის კოგნიტური სტრუქტურა. საჭიროა მასალასა და აღნიშნულ სტრუქტურას შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. ჩვენი დახმარებით სტუდენტი ახდენს არსებული სტრუქტურების რეორგანიზაციას, ან ამდიდრებს მათ ახალი შტრიხებით. ლექციის ორგანიზაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტუდენტთა ცოდნის დონე, მათი დამოკიდებულება კურსის მიმართ და მასალის სტრუქტურა. მიზანშეწონილია ხშირად იქნეს გამოყენებული ანალოგის მოძებნის მეთოდი _ ახალი იდეების დაკავშირებას სტუდენტთათვის უკვე ნაცნობ კონცეფციებთან.

სტუდენტები უნდა გაეცნონ ლექციის ორგანიზაციას. ეს დაეხმარებათ განამტკიცონ საფუძველი შემდგომი სწავლისა და აზროვნებისათვის. სასურველია ჯგუფის წევრებს დაურიგდეთ მოცემულ ლექციაზე შესასწავლი მასალის მონახაზი ძირითადი სათაურებით და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი ცარიელი ადგილით.

სტუდენტის ყურადღების მიპყრობის მიზნით ლექცია შეიძლება დაიწყოს ცალკეული მაგალითის, შემთხვევის, ცდის დემონსტრირებით, პრობლემა შეიძლება შეირჩეს პრესის ან ტელევიზიის ინფორმაციებზე დაყრდნობით. ვკითხოთ სტუდენტებს აზრი. რას ფიქრობენ მოცემული პრობლემის შესახებ, ან გავაცნოთ მათ ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები.

ლექციის ძირითადი ნაწილის ორგანიზებისას დაშვებულ ყველა ტიპურ შეცდომას წარმოადგენს მასალის ზედმეტად გაშუქების მცდელობა. რაც ხშირად სწავლის შემაფერხებელი ფაქტორი ხდება. თუ შევძლებთ, რომ სტუდენტებმა გაიგონ და დაიმახსოვრონ 3--4 საკითხი ჩვენი ლექციიდან ჩავთვალოთ, რომ მისია შევასრულეთ. ხშირად მიწოდებული ინფორმაცია ბევრად აღემატება ინფორმაციის გადამუშავების უნარის შესაბამისობას.

ლექციის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი მითითებები ჩამოვწეროთ დაფაზე, გავაშუქოთ პროექტორით ეკრანზე. ამის შედეგად ჩვენი ზეპირი პრეზენტაცია შეივსება თვალსაჩინოებებით, რაც სტუდენტს მასალის უკეთ გააზრებაში ეხმარება. მსგავსი თვალსაჩინოება ხელს უწყობს მტკიცედ დამახსოვრებას, მითითებების წყალობით სტუდენტს იშვიათად ეფანტება ყურადღება და ჩვენი საუბრის კვალდაკვალ დამოუკიდებლად აზროვნების შესაძლებლობაც ეძლევა.

მაგალითის მოყვანისას დავიცვათ პრინციპი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. დავაკავშიროთ თითოეული მაგალითი სტუდენტის ცოდნასა და გამოცდილებასთან. აუცილებელია ღრმად ჩავწვდეთ მსმენელის განწყობასა და აზრის მსვლელობას, სახის გამომეტყველებას, არავერბალური ქმედებისა და ზეპირი კომენტარების მიხედვით.

ჩვეულებრივ, საჭიროა რამდენიმე მაგალითის მოყვანა კონცეფციის ფორმირების თაობაზე. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საუკეთესო ვარიანტია ერთმანეთისაგან განსხვავებული მაგალითების შეთავაზება სტუდენტისათვის რაც მნიშვნელოვანია.

მასალის ახსნისთვის მზადებისას აუცილებელია განვსაზღვროთ: რა იციან სტუდენტებმა; რისი ცოდნა არის საჭირო; რა აინტერესებთ მათ. დავსვათ კითხვა, რომელსაც ავხსნით, მივაწოდოთ მაგალითები, ანალოგიები, მეტაფორები, ძირითადი მითითებები. ბოლოს შევაჯამოთ მასალა, რადგან სწავლის პროცესი გაცილებით ეფექტურია, როცა ლექციაზე კეთდება გაშუქებული მასალის შეჯამება. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გაანაწილოს რამდენად სწორად და სრულყოფილად გაიაზრა მასალა. რამდენჯერმე გავიმეოროთ საკვანძო საკითხები, რითიც ხელს შევუწყობთ სტუდენტის მიერ მასალის ორგანიზებას ჩანაწერებსა და გონებაში.

ლექციის მიმდინარეობისას სისტემურად უნდა შევამოწმოთ რამდენად გაიგეს სტუდენტებმა ახსნილი მასალა შეკითხვებით. ვთხვოთ მათაც დაგვისვან კითხვები, რითაც გავიგებთ მასალის შეთვისების ხარისხს.

დასკვნითი ნაწილი შესაძლებლობას გვაძლევს აღმოვფხვრათ ძირითად ნაწილში დაშვებული ლაფსუსები. შეკითხვების დასმისას, კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს თეზისებს, საკვანძო საკითხებს. სასურველია სტუდენტებს მივცეთ დავალება მოიპოვონ ინფორმაცია მომავალ ლექციაზე გასაშუქებელი მასალის შესახებ და შევაჯამებინოთ ლექცია ზეპირად ან წერილობით.

ლექციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გასათვალისწინებელია თანამედროვე რეალობა. გლობალურმა პანდემიამ მსოფლიო საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. სწავლება ძალიან მოკლე დროში დისტანციურ, ონლაინ რეჟიმში გადავიდა, რამაც სასწავლო პროცესში ჩართული ინსტიტუციების წარმომადგენელთა მეტი ძალისხმევა მოითხოვა. ვთანხმდებით, რომ რეალურ გარემოში ჩატარებული ლექცია გაცილებით უკეთესია, მაგრამ უმეტესმა დაწესებულებებმა მოქნილად აამუშავა სხვადასხვა სასწავლო ონლაინ პლატფორმები, რითაც უზრუნველყვეს ლექციების წარმატებულად ჩატარება, პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების კვლევა მიმდინარეობს. ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში ლექტორისა და სტუდენტის მიერ ტექნოლოგიების ხარისხიან ფლობას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ამრიგად, უმაღლეს სასწავლებელში ლექცია არის ინფორმაციის გადაცემის ეფექტური გზა, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სტუდენტთა ცოდნის დონეებს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესთა სფეროებს შორის. სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს ლექციის სათანადოდ დაგეგმვა და პრეზენტაცია, რათა უზრუნველვყოთ სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ასათიანი ავთანდილი, 2008, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
2. პედაგოგიკის ისტორია რედაქტორი აკადემიკოსი ვასაძე ნათელა, 2004, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.
3. Wilbert J. Mckeachie TeachingTips, 2002, Stratejies, Research, and Teory for College and University Teachers.

4 საქართველოს განათლების მატიანე, 2015, შემდგენელთა ჯგუფი: ვასაძე ნათელა, ასათიანი ავთანდილი, ბალანჩივაძე რევაზი, ბიბილეიშვილი ლუბა, იამანიძე ინეზა, კარანაძე თამაზი, მალაზონია დავითი, მალაზონია შოთა, ტატიშვილი თამაზი, საქართველოს მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, თბილისი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/41236?publication=0

5 საქართველოს პარლამენტის დადგენილება უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ http://www.sgma.ge/images/pdf/part1.pdf

**რეზიუმე**

საქართველო უმაღლესი განათლების მაღალი კულტურის იტორიის მქონე ქვეყანაა. სწავლების უძველესი, ლექციური მეთოდი დღესაც ფართოდ გამოიყენება. უმაღლეს სასწავლებელში ლექცია არის ინფორმაციის გადაცემის ეფექტური გზა, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სტუდენტთა ცოდნის დონეებს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესთა სფეროებს შორის. სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს ლექციის სათანადოდ დაგეგმვა და პრეზენტაცია, რათა უზრუნველვყოთ სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაცია და სწავლების ხარისხის ამაღლება.



**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი სასწავლებელი, ლექცია, სტუდენტი, ლექტორი



MAIA AKHVLEDIANI

Associate Professor.

Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi

LALI ABDALADZE

Associate Professor.

Sh. Meskhia State Teaching University Georgia, Zugdidi

NINO ORJONIKIDZE

Associate Professor.

Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi


# TO ENSURE THE QUALITY OF TEACHING IN MODERN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS


## Summary

Georgia is a country with a high cultural history of higher education. The ancient, lectural method of teaching is still widely used today. Lecturing in high school is an effective way of conveying information, especially in groups where there is a sharp difference between students' knowledge levels, mental abilities and areas of interest. Serious efforts are required to properly plan and present the lecture to ensure the formation of a positive attitude of the student towards learning and to maximize the realization of the acquired knowledge and improve the quality of teaching.



**keywords:** high school, lecture, student, lecturer

**ლევან ჯინჯიხაძე**
პედაგოგიკის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
საქართველო,თბილისი

# სტუდენტთა შემოქმედებითი აქტივიზაცია კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგიის საფუძველზე

უმაღლეს სასწავლებელში განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ნებისმიერი საგნის სწავლება, ამ შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა, ისე უნდა იყოს ორგანიზებული ლექტორის მიერ, რომ სტუდენტი თვითონ ინტერესდებოდეს და ისწრაფვოდეს ახალი ცოდნის დაუფლებისაკენ. იმისათვის, რომ სტუდენტი, როგორც სალექციო, ასევე პრაქტიკულ პროცესში იყოს აქტიურად ჩართული და ნაყოფიერი, აუცილებელია ლექტორის მიერ სწავლების ინტერაქტიური მეთოდების მიზანმიმართულად გამოყენება. ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებამ კი უნდა განაპირობოს სტუდენტთა მაღალი ჩართულობა სასწავლო პროცესში, რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სტუდენტებმა თვითონ, დამოუკიდებლად გადაჭრან მათ წინაშე დასმული ესა თუ ის პრობლემური საკითხი. სწავლების ინტერაქტიური მეთოდები მათ დაეხმარება პრობლემური სიტუაციების დროს აზროვნების გააქტიურებაში, ძირითადის დამახსოვრებაში, გაუღვივებს ინტერესს შესასწავლი მასალისადმი, გამოუმუშავებს ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების მოთხოვნილებას.

ამ მხრივ სხვა მეთოდებთან შედარებით საინტერესოა სწავლების ერთ-ერთი მეთოდი – **კონკრეტული სიტუაციების მეთოდი,** ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სიტუაციური მეთოდიკა**.

სასწავლო პროცესში კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგიას (სიტუაციურ მეთოდიკას) გააჩნია თავისი სპეციფიკა და გამოყენების თავისებურებები. ის, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, მოწოდებულია, განუვითაროს სტუდენტს შემოქმედებითი აზროვნება და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები.

კეისებით სწავლების ძირითადი ფუნქციაა, ასწავლოს სტუდენტებს ისეთი რთული არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ამოხსნა შეუძლებელია ანალიზური ხერხით. მეთოდის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პრობლემური სწავლების პრინციპების გამოიყენება რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება, ჯგუფის ერთიან პრობლემაზე მუშაობის საშუალება, ამასთან, სწავლების პროცესი რეალური ცხოვრების იმიტაციას ემსგავსება, და არა მარტო ტერმინების ცოდნასა და გაგებას საჭიროებს, არამედ მათზე მოქმედებებს, საკუთარი აზრის დასაბუთებას {ბოჭორიშვილი მ., ნამიჭეიშვილი ნ., ნაბულიშვილი ნ., 2013, 72}.

სწავლების კეისური ტექნოლოგია ეს არის სწავლება მოქმედებით და მოქმედებაში. კეის-მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნის ათვისება და უნარ-ჩვევათა ფორმირება წარმოადგენს სტუდენტთა აქტიური დამოუკიდებელი საქმიანობის შედეგს, მიღებულს წინააღმდეგობათა გადაჭრის გზით, რის შედეგადაც სტუდენტები შემოქმედებითად ეუფლებიან პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ვითარდება მათი აზროვნებითი უნარები{ჯინჯიხაძე ჯ., 2012, 151}.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდი იძლევა საშუალებას, სტუდენტი დაეუფლოს თეორიულ ცოდნასა და მასთან ერთად მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება, გამოთქვას საკუთარი აზრი, იდეა, ჰქონდეს ალტერნატიული მოსაზრების მოსმენის უნარი, შეეძლოს საკუთარი აზრის არგუმენტირება. ამ მეთოდის დახმარებით სტუდენტებს შეუძლიათ სრულყონ თავიანთი ანალიზური

და შემფასებლური ჩვევები, მიეჩვიონ ჯგუფში მუშაობას, თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას. ამ მეთოდის გამოყენება აუცილებელია იმისათვისაც, რომ მათ დაინახონ რეალურ ცხოვრებაში პრობლემების არაერთგვაროვნება. კონკრეტული სიტუაციების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტებს ეძლევათ რეალური ცხოვრებისეული სიტუაცია, რომლის აღწერილობა ასახავს არა მხოლოდ პრაქტიკულ პრობლემას, არამედ ახდენს განსაზღვრული ცოდნის აქტუალიზირებას, რომლის ათვისება აუცილებელია მოცემული პრობლემის გადაჭრისას.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდი, ჩვენი აზრით, ეს არის:

- რეალური სიტუაციის აღწერა;
- ეპიზოდის ან ფაქტის მოხმობა რეალური ცხოვრებიდან;
- ფაქტი, მოვლენა, რომელიც რეალურად მოხდა ამა თუ იმ საქმიანობის სფეროში და აღწერილია ავტორის (მწერლის) მიერ, იმისათვის, რომ მოხდეს დისკუსიის პროვოცირება სწავლების პროცესში, სტუდენტის მიერ სიტუაციის ანალიზი და განხილვა, გადაწყვეტილების მიღება;
- არა მხოლოდ მოვლენის ან ფაქტის რეალური აღწერა, არამედ ერთიანი ინფორმაციული კომპლექსი, რომელიც იძლევა სიტუაციის გაგების საშუალებას {ჯინჯიხაძე ლ., 2014,227}.

კონკრეტული სიტუაციების ძირითად მასალას წარმოადგენს: პრობლემური რეალური სიტუაციები; საინტერესო ფაქტები; ლიტერატურული წყაროები.

სპეციალისტები იძლევიან კონკრეტული სიტუაციების კლასიფიცირებას სწავლების თვალსაზრისით:

**სიტუაცია-პრობლემა** – რეალური პრობლემის პროტოტიპი, რომელიც მოითხოვს ოპერატიულ გადაჭრას. ასეთი სიტუაციების მოხმობით შესაძლებელია, სტუდენტს გამოუმუშავდეს პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის ძიების გზების უნარი.

**სიტუაცია-შეფასება** – რეალური სიტუაციის პროტოტიპი შემოთავაზებული მზა გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა შეფასდეს „სწორია-არასწორიას" პრინციპით და საკუთარი ადეკვატური გადაწყვეტილების შეთავაზება.

**სიტუაცია-ილუსტრაცია** – რეალური სიტუაციის პროტოტიპი, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართულია ფაქტის ან მოვლენის სახით. მსგავსი მაგალითებით იწყება კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება სპეციალურ მეცადინეობებზე, რომლის დროსაც ხდება განსახილველი საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა. ვიზუალური სიტუაცია სტუდენტებს ხელს უწყობს ამოხსნის მარტივი ხერხისათვის ინფორმაციის ვიზუალიზირების უნარის გამომუშავებას.

ამ შემთხვევაში ლექტორს შეუძლია გაკვეთილზე გამოიყენოს **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას. ეს კი შედეგის მიღწევის საკმაოდ ეფექტური გზაა. ეს მეთოდი მასწავლებელს დაეხმარება, კიდევ უფრო თვალსაჩინო და ხარისხობრივი გახადოს სასწავლო მასალის აღქმა, დააკონკრეტოს, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს ამა თუ იმ საკითხის (პრობლემის) არსს.

**კლასიკური სიტუაცია**. სიტუაცია შეიძლება აღებული იყოს ლიტერატურიდან, პრაქტიკიდან, ანაც შეიძლება ხელოვნურად იყოს აგებული. მთავარია, სტუდენტებმა შეძლონ სიტუაციის კონტექსტიდან გამოყონ განსახილველი თემა (საკითხი), რომელიც შემდგომში უნდა გადაიჭრას მათ მიერ.

**ცოცხალი სიტუაცია** – შეიძლება მოხმობილ იქნეს უშუალოდ სტუდენტის ცხოვრებიდან. მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება არავისთვის არ უნდა იყოს ცნობილი. სწორედ ეს გადაწყვეტილებაა საძიებელი, ხოლო თვითონ სიტუაცია აღწერილი უნდა იყოს თანმიმდევრობით, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში.

არსებობს კონკრეტული სიტუაციების გამოყენების სამი დონე:

**I დონე** – სასწავლო პროცესში ლექტორს ფაქტის ან მაგალითის სახით მოჰყავს კონკრეტული სიტუაცია და სთავაზობს სტუდენტებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. მაგრამ პედაგოგი თვითონ აკეთებს მოცემული სიტუაციის ანალიზს და სთავაზობს სტუდენტებს გადაწყვეტილების საკუთარ, ოპტიმალურ ვარიანტს. ასეთი მიდგომა კი წარმოადგენს სტუდენტთა თავისებურ მომზადებას მსგავსი კონკრეტული სიტუაციის შესრულებისას.

**II დონე** — ლექტორი სასწავლო პროცესში რთავს კონკრეტულ სიტუაციას და მოუწოდებს სტუდენტებს ინდივიდუალური მიდგომით გაანალიზონ და გადაჭრან არსებული საკითხი. მოფიქრებისათვის მიეცემა გარკვეული დრო, ამის შემდეგ მოისმენს რამდენიმე სტუდენტის პასუხს, გაუკეთებს ანალიზს და აუხსნის მათ რომელი  გადაწყვეტილებაა დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი და რატომ? თუკი სტუდენტთა პასუხები არ არის სწორი, მაშინ თვითონ ლექტორმა უნდა უჩვენოს საკითხის ანალიზისა და გადაჭრის სწორი გზა. მაგრამ აქ მაინც მთავარია სტუდენტთა მხრიდან სიტუაციის ანალიზისა და გადაწყვეტის მცდელობა. ასე თანდათანობით უნდა დაინერგოს სწავლებაში კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება.

**III დონე** — კონკრეტული სიტუაციების გამოყენების გაცილებით უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს, და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ლექტორმა ძალიან კარგად იცის სტუდენტთა შესაძლებლობები და დარწმუნებულია, რომ კონკრეტულ სტუდენტს შეუძლია გასცეს ოპტიმალური პასუხი. კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენების შემდეგ ლექტორს შეუძლია მიმართოს პრაქტიკულ მეცადინეობას.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ მეცადინეობის სამი ვარიანტი: კლასიკური, თავისუფალი და შერეული.

**კლასიკური ვარიანტი** – აუდიტორიის დაყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში ლიდერის არჩევა. ინდივიდუალური გადაწყვეტილების მისაღებად მიეცემათ რეგლამენტი. შემდგომ მოხდება ამ გადაწყვეტილებების ერთობლივი განხილვა ჯგუფში და საერთო გადაწყვეტილების ჩამოყალიბება. ამის შემდეგ შეიძლება გაიმართოს ჯგუფური დისკუსია: ლიდერთა გამოსვლა და გადაწყვეტილების ჯგუფური ვარიანტების განხილვა. ამის მერე შეიძლება სხვა კონკრეტული სიტუაციის მოხმობა და ხდება ზემოთ ნათქვამის გამეორება ტექნოლოგიური გეგმის მიხედვით.

სიტუაციურ ამოცანას ლექტორი, საჭიროებისამებრ, აუდიტორიის ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევს. თითოეული ჯგუფი აანალიზებს შემოთავაზებულ სიტუაციას, ღებულობს საერთო გადაწყვეტილებას, პოულობს გამოსავალს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს, ამისთვის ჯგუფები მუშაობენ შეთანხმებულად და მიდიან საერთო შეთანხმებამდე. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის წევრებს უჭირთ საერთო აზრამდე, შეთანხმებამდე მისვლა, მაშინ შესაძლებელია მათ ლექტორმა შესთავაზოს კენჭისყრის წესის ხერხი, სადაც 4-5 კაციანი ჯგუფის წევრი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადება, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ფასდება ჯგუფურ გადაწყვეტილებად.

**თავისუფალი ვარიანტი** – ასეთ შემთხვევაში აუდიტორია არ იყოფა ჯგუფებად, კონკრეტული სიტუაცია წაიკითხება ლექტორის მიერ და თითოეული სტუდენტი შესთავაზებს აუდიტორიას თავის გადაწყვეტილებას. ლექტორი უკეთებს ანალიზს სტუდენტთა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს და გამოაქვს სწორი გადაწყვეტილება დასკვნის სახით.

**შერეული ვარიანტი** – ეს არის კლასიკური ვარიანტი უფრო მეტი თვითდაჯერებისა და დამახსოვრებისათვის. აქ სიტუაცია გარდაიქმნება „ცოცხალ“ სიტუაციად და ხდება მისი გათამაშება. გათამაშება შეიძლება წარმოვადგინოთ **თავისუფალი ვარიანტის** გამოყენების გზითაც.

მეცადინეობის ჩატარება შესაძლებელია სხვა ტექნოლოგიებითაც, მაგრამ ყველაფერი ეს დამოკიდებულია თემაზე, მიზანზე, სტუდენტთა მომზადებაზე, ლექტორის შემოქმედებით შესაძლებ-

ლობებსა და დროზე. თუ მეცადინეობა ტარდება მცირე ჯგუფებში, მაშინ სიტუაციის ანალიზისა და გადაჭრის ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - გონებრივი იერიში, ინციდენტი, კონსულტაცია, ტექსტისა და კონტექსტის ანალიზის, დისკუსიის, როლური და სიტუაციური თამაშების, დემონსტრირების და სხვ. კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტთა შემდეგი სახის ფსიქოლოგიური სირთულეები: მიზეზის დადგენა, გამოუცდელობა ანალიზის კეთების დროს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება, სხვისი აზრის გათვალისწინება-დათანხმება და სხვ.

კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინდივიდუალური ან ჯგუფური სასწავლო საქმიანობა, სადაც რეალიზდება შემდეგი პრინციპები: პრობლემურობა, პროფესიონალური სიტუაციების მოდელირება და მათი გადაჭრა, დიალოგური ურთიერთქმედება.

**პრობლემურობა** მოცემულ სიტუაციაში დაკავშირებულია პრობლემების რაოდენობასთან, რადგანაც მასში მოცემულია გარკვეული სახის წინააღმდეგობრიობა. მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია კლასიკური, საბაზო, კონფლიქტური თუ სხვა, მასში მაინც იქნება „პრობლემა". აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება მოტივაცია გარკვეული ჰიპოთეზების გამოსავლენად და, შესაბამისად, პრობლემური სიტუაციის გადასაწყვეტად, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სტუდენტის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. იმისათვის, რომ მოინახოს სიტუაციის ოპტიმალური გადაწყვეტის ოპერატიული გზები, საჭიროა პრობლემა აზრობრივად გარდაიქმნას შემოქმედებით ამოცანად, დაისვას კონკრეტული კითხვა და გააზრებულად გადაიჭრას იგი.

სტუდენტთა **ინდივიდუალური** საქმიანობა სასწავლო პროცესში კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებით წარმოადგენს საწყის ეტაპს, რომელშიც თავს იყრის შემდეგი სახის ოპერაციები – პრობლემების გამოვლენა, პრობლემათა გარდაქმნა შემოქმედებით ამოცანად, ოპტიმალური გადაჭრის გზების მოძიება და შესაბამისად მათი რეალიზება. ინდივიდუალური ოპერაციების გარდა სტუდენტი ვალდებულია ითანამშრომლოს ჯგუფებთან, რადგანაც აუცილებელია, რომ მას გამოუმუშავდეს შექმნილ სიტუაციასთან სწორი მიდგომა. ოპტიმალური კოლეგიალური ანალიზისა და მისი გადაწყვეტის უნარის გამომუშავება ხდება ეტაპობრივად, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ანალიზისა და გადაწყვეტის საფუძველზე.

**დიალოგურ ურთიერთობაში** იგულისხმება აზრების, ინფორმაციების, იდეების, ემოციების, საკითხის ანალიზისა და გადაჭრის გზების ურთიერთგაზიარება. დიალოგურ ურთიერთობაში იგულისხმება სწავლების ისეთი მეთოდი, როგორიცაა **დიდაქტიკური მეთოდი**, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. ასეთ დროს მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა, კერძოდ, სტუდენტთა ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია სტუდენტებისათვის უნდა იყოს გასაგები და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა, სად და რატომ? ხდება ახალი და ძველი ცნებების ერთმანეთთან დაკავშირება. ინფორმაციის გაცვლის პროცესში ლექტორი და სტუდენტი ერთად მონაწილეობს და ერთად აგებენ ახალ ცოდნას.

მოცემული პროცესი წარმოიქმნება სტუდენტთა მოთხოვნილებებიდან და ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე. მეცადინეობაზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებისას, დიალოგური ურთიერთობის საფუძველზე სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი ძირითადი თვისებები, როგორიცაა, კომუნიკაციურობა, სხვათა პოზიციებისა და აზრების მოსმენა და გაგება. გარდა ამისა, აქ წარმოებს შემოქმედებითი იდეების აქტივიზაცია, ჩქარდება სწავლების ახალ ტექნოლოგიასთან ადაპტაცია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს კიდევ უფრო შეუწყობს ინტერესის ამაღლებას საგნისადმი.

საერთოდ, ცნობილია და რეკომენდებულია კეისების ამოხსნის ჩატარების ხუთი ეტაპი:

**პირველი ეტაპი** – სიტუაციისა და მისი თავისებურებების გაცნობა;

**მეორე ეტაპი** – ძირითადი პრობლემის გამოყოფა, ფაქტორებისა და პერსონალიის გამოყოფა, ვისაც და რასაც შეუძლია რეალური ზემოქმედება;

**მესამე ეტაპი** – კონცეფციების ან თემების შერჩევა „გონებრივი იერიშისათვის“;

**მეოთხე ეტაპი** – ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების შედეგების ანალიზი;

**მეხუთე ეტაპი** – კეისის ამოხსნა.

კონკრეტული სიტუაციების მეთოდით წარმართული პრაქტიკული მეცადინეობის სცენარი ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში შეიძლება ასეთი იყოს:

**მოსამზადებელი ეტაპი**. ლექტორი ამზადებს სიტუაციას, როგორც დამატებით საინფორმაციო მასალას, განსაზღვრავს ჩატარების ადგილს, მიზანსა და ამოცანას.

**გაცნობითი ეტაპი**. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს სტუდენტთა ჩაბმა რეალური პროფესიონალური სიტუაციის ცოცხალ განხილვაში: სიტუაციის გაცნობა, სიტუაციის აღწერა, საინფორმაციო მასალა.

**ძირითადი ეტაპი**.

- შესავალი სიტყვა;
- სტუდენტთა დაყოფა ჯგუფებად;
- ჯგუფური მუშაობის ორგანიზება: ჯგუფის წევრების მიერ წაკითხული მასალის მოკლედ გადმოცემა და მისი განხილვა, პრობლემური მომენტების გამოყოფა, მომხსენებლების განსაზღვრა;
- **დისკუსიის პირველი ნაწილი** – პრობლემური მომენტების განხილვა მცირე ჯგუფებში, არგუმენტებისა და გადაჭრის გზების ძიება;
- **დისკუსიის მეორე ნაწილი** – ანალიზის შედეგების წარმოდგენა, საერთო ჯგუფური დისკუსია, დისკუსიის შედეგებისა და მოძიებული გადაჭრის გზების შეჯამება.

**დასკვნითი ეტაპი**.

- ანალიზური მუშაობის შედეგების დასკვნითი პრეზენტაცია (სტუდენტებს შეუძლიათ გაიგონ და შეადარონ ერთმანეთს ერთი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი).
- სიტუაციის ანალიზის წარმოჩენა განზოგადებული ფორმით.
- გაწეული მუშაობის შეფასება.

მეცადინეობაზე კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება იძლევა საშუალებას, სტუდენტებს, უპირველეს ყოვლისა, გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ძიების უნარი. სწავლების ეს მეთოდი სტუდენტებს უვითარებს შემდეგი სახის უნარ-ჩვევებს:

- **ანალიზურს** (კლასიფიცირება, მთავარის გამოყოფა მეორეხარისხოვნისაგან, ლოგიკური აზროვნება, გაანალიზება და სხვ.);
- **პრაქტიკულს** (პრობლემური სიტუაციის გადაჭრის თეორიული უნარი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში);
- **შემოქმედებითს** (აქ მთავარი და აუცილებელია შემოქმედებითი ჩვევების გამოყენება ალტერნატიული გადაჭრის გენერირებისას, მხოლოდ ლოგიკით პრობლემური სიტუაციის გადაჭრა შუძლებელია);
- **კომუნიკაციურს** (დამტკიცებისა და დისკუსიის წარმართვის უნარი, თვალსაჩინო მასალის (ილუსტრაციების, სქემების, ტაბულების) გამოყენების უნარი, საკუთარი მოსაზრების დაცვის უნარი).

- **სოციალურს** (ქცევის შეფასება, მოსმენა, მხარდაჭერა დისკუსიისას ან საწინააღმდეგო აზრის არგუმენტირება, თვითკონტროლის რეალიზება და სხვ.);
- **თვითანალიზის** (აქ აუცილებელია, საკუთარი აზრის მქონე პიროვნებამ ანგარიში გაუწიოს და გაანალიზოს დისკუსიაში მონაწილე სხვა პირთა მოსაზრებებიც).

კონკრეტული სიტუაციების მეთოდს გააჩნია პრობლემის გადაჭრის მრავალვარიანტულობა. ამ მეთოდის ძირითადი ფუნქციაა, სტუდენტები დაეუფლონ რთული, არასტრუქტურიზებული პრობლემების ანალიზსა და გადაჭრას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტებმა, მომავალმა მასწავლებლებმა, გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია საკუთარი კონკრეტული სიტუაციების გამოყენება. ეს მისცემს მათ შესაძლებლობას, გამოავლინონ საკუთარი ცოდნა და პრაქტიკული უნარები კონკრეტულ საკითხთან (მასალასათან) დაკავშირებით.
- მეთოდები და ხერხები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოცემული თემის მიზანს.
- კონკრეტული სიტუაციების მეთოდი უნდა უვითარებდეს შემდეგ უნარებს: ანალიზურს, შემოქმედებითს, კომუნიკაციურს, პრაქტიკულს, სოციალურს.
- გამოყენებული მეთოდის შედეგი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების ფორმირებას, არამედ სისტემური ფასეულობების, პროფესიული პოზიციის განვითარებას.
- აუცილებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენებით. ამასთან, სტუდენტმა უნდა იცოდეს კეისების ამოხსნის შემდეგი ეტაპები:

**პირველი ეტაპი** – კონკრეტული სიტუაციების მოხმობა და მისი თავისებურებების გაცნობა;
**მეორე ეტაპი** – სიტუაციის ანალიზი;
**მესამე ეტაპი** – საკითხის (თემის) გადაჭრის პრეზენტაცია;
**მეოთხე ეტაპი** – საერთო დისკუსია;
**მეხუთე ეტაპი** – დისკუსიის შედეგების შეჯამება.

- სასურველია, კონკრეტული სიტუაციების მეთოდის გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთად: გონებრივი იერიში, საქმიანი თამაშები, დისკუსია და სხვ.

ასე რომ, კონკრეტული სიტუაციების მეთოდის პედაგოგიური პოტენციალი გაცილებით დიდია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ლექტორსა და სტუდენტს შორის, ასევე სტუდენტთა შორის მუდმივი ურთიერთმოქმედება განაპირობებს სასწავლო პროცესში არა მხოლოდ მათი ქცევის ფორმებს, არამედ, უპირველესად მათი ქმედების მოტივირებასა და არგუმენტირებას.

ამდენად, როგორც ვხედავთ, სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, და მათ შორის, რა თქმა უნდა, კონკრეტული სიტუაციების მეთოდიც, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, სწავლების სიტუაციური მეთოდიკა, იძლევა საშუალებას, განვუვითაროთ სტუდენტებს არა მხოლოდ შემოქმედებითი შესაძლებლობები, არამედ, ჩამოყალიბდეს იგი როგორც შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბოჭორიშვილი მ., ნამიჭეიშვილი ნ., ნაბულიშვილი ნ. ინტერაქტიური მეთოდების კრებული და ტესტები. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2013.
2. ჯინჯიხაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
3. ჯინჯიხაძე ლ. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

## რეზიუმე

კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია, ანუ სიტუაციური მეთოდიკა ამ ბოლო წლებში სწავლების ერთ-ერთი ეფექტური და წამყვანი მეთოდიკა გახდა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე საშუალო  და დაწყებით სკოლებშიც.

სიტუაციური მეთოდის გამოყენება უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს უბიძგებს იმისკენ, რომ სრულყონ სასწავლო მუშაობის უნარები, თეორიული მასალა გამოიყენონ პრაქტიკაში, რეალურ ცხოვრებაში დაინახონ პრობლემების ამოხსნის არაერთგვარი ნიშვნელიანობა.

**საკვანძო სიტყვები**: კონკრეტული სიტუაციების ტექნოლოგია, სიტუაციური მეთოდიკა, სიტუაცია-პრობლემა, სიტუაცია-შეფასება, კლასიკური და ცოცხალი სიტუაცია, დემონსტრირების მეთოდი.

LEVAN JINJIKHADZE
Doctor of Pedagogy
Sokhumi State University
Associate Professor
Tbilisi, Georgia

# CREATIVE ACTIVATION OF STUDENTS BASED ON THE TECHNOLOGY OF SPECIFIC SITUATIONS

## Summary

Situational technology, or situational methodology, has become one of the most effective and leading teaching methods in recent years, both in higher education and in secondary and primary schools.

The use of situational method pushes high school students to perfect their teaching skills, apply theoretical material in practice, perceive the significance of different ways of problem solution.

**Keywords:** technology of specific situations, situational methodology, situation-problem, situation-assessment, classical and living situation, demonstration method.

**აკაკი ზოიძე**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტის
განათლების სპეციალობის პროგრამების
ხელმძღვანელი, პროფესორი
საქართველო, ბათუმი

# მომავალ პედაგოგთა მომზადება თხზულების სწავლებისათვის

თხზულება მომავალი თაობის კულტურის ამაღლების, მისი ზნეობრივ-ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებისა და შემოქმედებითი აქტივობის განვითარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

თხზულებაზე მუშაობა საშუალებას იძლევა ავამაღლოთ მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობა, განვავითაროთ მისი ინტერესები, ვასწავლოთ დაინახონ დიდებული და მრავალფეროვანი ბუნება, შენიშნონ და შეიგრძნონ მასში ლამაზი და მშვენიერი, გაიგონ მშობლიური ენის სილამაზე, გამოხატონ თავიანთი აზრები ნათლად, ლამაზად და სწორად.

თხზულებაზე მუშაობა პირველი კლასიდანვე უნდა დავიწყოთ. პატარებს ადრეული ასაკიდან უნდა განვუვითაროთ მახლობელ გარემოზე, ბუნებაზე დაკვირვების უნარი. ასეთი დავალებების შესრულებით ბავშვი ცნობისმოყვარე ხდება, უვითარდება სიხალისე, ოპტიმიზმი და მშვენიერების აღქმის მოთხოვნილება. იგი ეჩვევა დაინახოს ბუნება, ადამიანის სულიერი განცდები მხატვრულ სახეებში. ეს კი ეხმარება მას გაიგოს ცხოვრება, განუვითარდეს აზროვნება, მეტყველება, მსჯელობის უნარი.

თხზულებაზე მუშაობის სწორად წარმართვისათვის საჭიროა მომავალ მასწავლებელთა სათანადო მომზადება. საამისოდ მუშაობას ქართული ენის სწავლების მეთოდიკის კურსის დაწყების პირველი დღეებიდანვე ვიწყებ. სტუდენტებს ვაცნობ თხზულებაზე მუშაობის ზეპირ და წერილობით ფორმებს. ისინი ერთმანეთს ავსებენ, თუმცა დასაწყისში ზეპირი თხზულების შედგენაზე მუშაობა წარმოებს, ხოლო შემდეგ – ორივეზე.

თხზულების ზეპირი გადმოცემა ხელს უწყობს ბავშვის დამოუკიდებელი მსჯელობის კულტურის ამაღლებას. საკუთარი ნააზრევის, გრძნობების, განწყობილების ნათლად გაგება და ზუსტად გადმოცემა, საჭირო მასალის თავმოყრა, საკვანძო საკითხების წინა პლანზე წამოწევა, მათი მწყობრად დალაგება მოსწავლის სათანადო მომზადებას მოითხოვს.

თხზულების ზეპირად გადმოცემის პროცესში მასწავლებლის ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა მეტყველებას, – ვუხსნი სტუდენტებს – საჭიროების დროს შეიძლება გასწორდეს წინადადებათა წყობა, სიტყვათა წარმოთქმა, შეირჩეს საჭირო სიტყვები, მივცეთ მათ შესაფერი ფორმა და შინაარსის მიხედვით ბუნებრივი ადგილი დაიკავოს წინადადებაში.

მომავალი პედაგოგების ყურადღებას ვამახვილებ იმ ფაქტზე, რომ შენიშვნები სათანადო ტაქტით უნდა გაკეთდეს, რათა ხელი არ შეეშალოს მოსწავლის დამოუკიდებელ აზროვნებას, მსჯელობას, საკუთარი აზრის გამოხატვას.

დასაწერი თემის ზეპირი გადმოცემა მოსწავლეს ეხმარება წერისათვის საჭირო მასალის თავმოყრასა და ათვისებაში.

ამგვარად, თხზულების ზეპირად გადმოცემა მომავალი წერითი თემისათვის მომზადების, თხზულების შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სტუდენტებს ვაცნობ, რომ თხზულება შეიძლება იყოს როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური. I-II კლასებში უფრო პირველია გამოყენებული. მე-3, მე-4 კლასებში ორივეს მიმართავენ კოლექტიურობის თანდათან შემცირების ხარჯზე. მე-5 მე-6 კლასებში მოსწავლეები ინდივიდუალრად ადგენენ თხზულებას.

თხზულებაზე კოლექტიურად მუშაობის დროს წარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, შეცდომების გასწორება, თხზულების შინაარსის სრულყოფა, დახვეწა, გეგმის შედგენა და ა.შ.

ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს თხზულების ინდივიდუალური წესით შედგენა. მოზარდი სწორედ აქ ავლენს თავის ნიჭსა და უნარს, ინტელექტს, თავის შეხედულებასა და დამოკიდებულებას სინამდვილისდმი. მასწავლებელმა უნდა მისცეს ბავშვებს საერთო მიმართულება, დაეხმაროს თემის შერჩევაში, გარე სინამდვილის სწორად, ნათლად ასახვაში, მისი შინაარსის გაშლა-განვითარებასა და მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილებაში, თუმცა როგორც ყოველთვის აქაც საჭიროა პედაგოგის გააზრებული ტაქტიანი მოქმედება, რათა არ შეიზღუდოს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.

სასურველია მოეწყოს ინდივიდუალურად შესრულებული თხზულებების კოლექტიური გარჩევა. მასწავლებელმა შერჩევით უნდა წააკითხოს ბავშვებს თავიანთი ნამუშევრები. გაიმართება მსჯელობა მოსმენილი თხზულების დადებით და უარყოფით მხარეებზე. ხდება შეცდომების ანალიზი, კეთდება დასკვნა. ასეთი მუშაობა საინტერესოს ხდის წაკითხვის პროცესს და ამაღლებს მოსწავლის პასუხისმგებლბის გრძნობას.

სტუდენტების ყურადღებას ვამახვილებ გეგმის მიხედვით თხზულების შედგენაზე. ცხადია გეგმის გარეშეც შეიძლება შედგეს თხზულება. თუმცა სპეციალისტთა დიდ ნაწილს გეგმა აუცილებლად მიაჩნია თხზულებისათვის. პროფესორი მარიამ თაბორიძე თვლის, რომ უგეგმოდ სკოლაში არც ერთი სახის თხზულება არ უნდა სრულდებოდეს თვით ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომიც წინასწარ მოფიქრებულ გეგმას საჭიროებს {9,87-88}.

ანალოგიურ აზრს ავითარებს პროფესორი ეთერ გულდამაშვილი. „მოსწავლეს უნდა შეეძლოს თხზულების გეგმის შედგენა. მისი ცალკეული ნაწილების ერმანეთთან აზრობრივად დაკავშირება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შესრულებულ მასალებში „ჩაიძირება", მას თავს ვერ გაართმევს და თემა არათანამიმდევრული გამოვა" {2.}.

გეგმის შედგენის გარკვეულ უნარ-ჩვევებს მოსწავლეები მშობლიური ენის გაკვეთილებზე, მხატვრული ნიმუშების კითხვა-დამუშავებისას იღებენ. ეს ჩვევები კიდევ უფრო ღრმავდება შესწავლილი ნაწარმოების შინარსის დაწერის დროს. ცხადია გეგმის შედგენა სპეციალურ ვარჯიშს მოითხოვს სასწავლო წლის მანძილზე. სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით რამდენჯერმე ვადგენთ თხზულების გეგმას. საშინაო დავალებადაც ეძლევათ შეადგინონ თხზულების გეგმა და გეგმის შესაბამისად გააშუქონ საკითხები. ასეთი მუშაობა მომავალ პედაგოგებს აჩვევს გეგმის შედგენასა და მის შესაბამისად თემის გაშლას.

## თხზულების ჟანრი

თხზულება შეიძლება აიგოს სხვადასხვა სახით (ფორმით), კერძოდ, თხრობით (მოთხრობის სახით), აღწერით და მსჯელობით. სამივე სახეს ვაცნობ სტუდენტებს. ამავე დროს ვავარჯიშებ როგორც თხრობითი, ისე აღწერითი და მსჯელობითი თხზულებების შედგენაში.

როგორც ცნობილია, თხზულებათა ძირითადი ნაწილი თხრობის ფორმით, მოთხრობის სახით იწერება. ამიტომ მეტი ყურადღება ამ ჟანრს ექცევა.

თხრობითი ფორმის თხზულებაში ლოგიკური თანმიმდევრობით მოთხრობილია რაიმე ამბის, მოვლენის შესახებ. მისი საერთო გეგმა ასეთია: ამბის დასაწყისი, ამბის გაშლა, ამბის დასასრული.

სტუდენტებს ვაცნობ თხრობითი ფორმის თხზულების ნიმუშებს და მათაც ვავარჯიშებ ამ ფორმით თხზულების შედგენაში.

ასევე ხდება აღწერითი ფორმის თხზულების შედგენაზე ვარჯიში. დასაწყისში სტუდენტებს ვუხსნი და ვაცნობ აღწერითი თხზულების სახეებს. ესენია:

– საქმიანი, მეცნიერული;

– მხატვრული.

საქმიანია (მეცნიერულია) აღწერა, რომელშიც მოცემულია საგნის მთავარი არსებითი ნიშნები. მეცნიერულ აღწერაში მთავარია სიზუსტე, ლოგიკური თანმიმდევრობა.

საქმიანი აღწერა ხშირად გვხვდება ისტორიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ბოტანიკის, გეოგრაფიის... სახელმძღვანელოებში. მათში აღწერილია ქვეყნები, ქალაქები, მდინარეები, ცხოველები...

საქმიანი, მეცნიერული აღწერა სასწავლო–სამეცნიერო ლიტერატურას, საქმის ქაღალდებს მიეკუთვნება, ხოლო მხატვრული აღწერა მხატვრულ ლიტერატურას.

თეორიული მასალა, თეორიული საუბრები პარქტიკით, შესაბამისი ლიტერატურის ნიმუშების გაცნობით არის განმტკიცებული. ასე მაგალითად, სტუდენტები ეცნობიან მდინარე მტკვრის აღწერას თბილისის მიდამოებში, ასევე ეცნობიან პენალის, სახაზავის, ევკალიპტის, დაფნის, ნაძვის, ვაზის, ნეგოს, ცხენის, ირმის, დელფინის, ბიბლიოთეკის, ბილოგიის კაბინეტის აღწერის ნიმუშებს. განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ადამიანის გარეგნობის აღწერაზე. აქ საუკეთესო საშუალებაა მხატვრული ნიმუშები, სადაც ლიტერატურული გმირების აღწერის შესანიშნავი მაგალითებია წარმოდგენილი მხატვრულ ლიტერატურაში.

მხატვრული აღწერის ნიმუშებზე ვარჯიშის პარალელურად სტუდენტებს ვავარჯიშებ “პორტრეტულ” ლექსიკაზე, რადგან როგორც ბუნების აღწერისას, ისე აქაც, ბავშვებს მდიდარი ლექსიკური მარაგი ესაჭიროებათ. სტუდენტებს რვეულში ვაწერინებ:

თვალები – შავი, თაფლისფერი, ცისფერი, რუხი, მწვანე. მორუხო-ცისფერი, სხივიანი, პატარა, დიდი, ვიწრო, კეთილი, მსხვილი, მოსიყვარულე, ნათელი, ცოცხალი, მოციმციმე, ზღვისფერი, მეტყველი.

თმა – შავი, წაბლისფერი, ღია ფერის, ქერა, ჭაღარა, ხშირი, ფაფუკი, მბრწყინავი, მოკლე, გრძელი, სწორი, ტალღისებური, ხუჭუჭა.

ცხვირი – სწორი, კეხიანი, ფართო, ვიწრო, მოკლე, არწივისებური, აჭყლეტილი...

ხელები – თბილი, ძლიერი, ცივი, სუსტი, ნაზი, ფერმკრთალი, გამრჯე, დაკოჟრილი, უხეში, ლამაზი, შიშველი, ბეჭდებასხმული, ჩამოსხმული...

სიარული – სწრაფი, აჩქარებული, დინჯი, ძუნძულით.

ზარმაც ადამიანს ხელკუტს ეძახიან, კარგ ოსტატს – ხელმარჯვე ოსტატს, ქურდს – ხელმრუდს, კეთილ ადამიანს – ხელგაშლილს.

სტუდენტებს ვაცნობ ბავშვების მიერ შესრულებულ ნიმუშებს:

## ავტოპორტრეტი

ვარ საშუალო ტანის, ცისფერთვალება, მეტად კეთილი გულის, მიყვარს მეგობრები.

ყოველივე ამასთან ვარ ზარმაცი, უშნოდ ვწერ, სკოლაში ხან რვეული არ მაქვს, ხან წიგნი, პენალში ლურჯი პასტის ნაცვლად წითელი პასტა მიდევს, წიგნში ზოგჯერ ზონარი არ მაქვს, მეტისმეტად ნელი ვარ, სანამ ავდგები, ტანთ ჩავიცმევ, ვისაუზმებ, საუკუნე გავა. ზოგჯერ დილაობით მულტფილმებს ნახევრად ჩაცმული ვუყურებ, მერე კისრისტეხით გავრბივარ სკოლაში, კინაღამ ვაგვიანებ, თხუპნიაცა ვარ, ცხვირ-პირი სულ პასტითა მაქვს გათხუპნული.

შარვლის ტოტები ტალახში ჩურჩხელასავითაა ამოვლებული. ხშირად ფორმაზე ღილები არ მაქვს. კვირიდან კვირამდე წიგნის გადასაკრავი არ მყოფნის. ძალიან ხშირად ვკარგავ პასტას. კლასში ბევრი მეგობარი მყავს. ხუმრობით "ბაჩოს" ან "ჩიქოს" მეძახიან.

ბადრი ჩიქოვანი, ბათუმის №მე- 2 საჯარო სკოლა, IV კლასი

## ავტოპორტრეტი

მე ვარ მარიკა გოგოტიშვილი, საშუალო სიმაღლის, ვარ ქრისტიანი და მწამს ღმერთი. მაქვს ოქროსფერი კანი და ღია ფერის თვალები. საწოლთან მეკიდა წმინდა მარიამის სურათი, რომელთანაც ყოველ საღამოს ვლოცულობ. მე მგონია, რომ თვალები და სახის ფერი მიმიგავს მარიამს, მაქვს წინ გამოწეული ტუჩები და კბილები, საკმაოდ წამომეზარდა ცხვირიც, რაც განსაკუთრებით შემჩნევა, როცა ვბრაზობ. თუმცა მე მაინც მომწონს ჩემი თავი, როცა ვბრაზდები, იმიტომ რომ სახეზე ვარდისფერი ვხდები. ეს ფერი კი მალე მამშვიდებს.

მარიკა გოგოტიშვილი, ბათუმის № 1 საჯარო სკოლა, III კლასი

წარმოდგენილი ნიმუშების გაცნობა ეხმარება სტუდენტებს თავადაც დაწერონ და რეალურადაც დაწერეს ავტოპორტრეტები, რომელთა აქ წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა წინამდებარე ნაშრომი.

## თხზულების თემა

თხზულების უპირველესი ორიენტირი თემაა. დოქტორ ნინო უსტიაშვილის თქმით, თემა თხზულებისათვის იგივეა, რაც თეორემა გეომეტრიული სხეულისათვის და ამოცანის პირობა მისი ამოხსნისათვის.

– მაინც რა არის თემა, რაში მდგომარეობს მისი არსი?

– თემა ეს არის ის, რაზეც საუბარია თხზულებაში, რაზეც იქნება თხზულება.

სკოლის პრაქტიკაში თხზულების თემა მოსწავლეების მიერ პირველ ყოვლისა გაიაზრება მისი სათაურით. თუმცა სათაური ყოველთვის არ შეიძლება იყოს თხზულების თემის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება. ერთი და იგივე თემა შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს ფორმირებული. „პირველი სექტემბერი" და „სექტემბრის დილა", „დილა" და „გარიჟრაჟი", „ჩემი ნატვრა", „ჩემი ოცნება", „ჩემი წიგნი", „ჩემი ბიბლიოთეკა."

სტუდენტებთან მუშაობაში ხაზგასმით აღინიშნება ის გარემოება, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს თემის გახსნა. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ პედაგოგები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საკითხს. ასევე საგანგებო ყურადღებას და ზრუნვას მოითხოვს მოსწავლეებში სწორი, გამართული და ხატოვანი, პოეტური ენით მეტყველების უნარის გამომუშავება, „სწორი წერა ნიშნავს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას,– წერს პროფესორი ეთერ გულდამაშვილი,– რაც ქართული ენის გაკვთულებზე გარკვეული სისტემით, გრამატიკის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სტილისტიკის, პუნქტუაციის საკითხების სწავლებით მიიღწევა. თუმცა თხზულებისათვის მხოლოდ სწორი წერა როდი კმარა, მოზარდი უნდა შეეჩვიოს თავისი აზრის ლამაზად, სხარტად, ხატოვნად, ემოციურად გადმოცემას" {2}.

## მსჯელობა

მსჯელობა აზრის გადმოცემის რთული სახეა. მასში შთაბეჭდილების უბრალო აღწერა, გადმოცემა კი არაა, არამედ მიზეზ–შედეგობრივი მოვლენების კავშირების გამოვლენა. დაკვირვების შედეგების მიხედვით დასკვნების გაკეთება, წამოყენებული დებულების დამტკიცება-დასაბუთებაა.

მსჯელობა კომპოზიციურადაც სრულიად განსხვავებულია. იგი როგორც წესი, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი, რომელშიც წამოყენებულია საერთო დებულებები, თეზისები, მეორე, რომელიც საბუთების მოყვანა, მტკიცებას მოიცავს და მესამე ნაწილი, რომელშიც კეთდება აუცილებელი დასკვნები.

დაწყებით სკოლაში ძირითადად თხრობითი და აღწერითი თხზულებების ფორებია დანერგილი. მსჯელობითი ხასიათის თხზულების სირთულის გამო შედარებით იშვიათად გამოიყენება. ცხადია ეს იმას არ ნიშნავს, რომ თხზულებაში მსჯელობითი ელემენტი არ გამოვიყენოთ.

მომავალ პედაგოგებს ვუხსნი, რომ აღსაზრდელებთან ისე უნდა წარვმართოთ მუშაობა, რომ მოზარდებმა თხზულებაში გამოიყენონ თავიანთი პოზიცია, შეძლონ მთავარი საკითხისგან მეორეხარისხოვანი საკითხების გამოყოფა. საბუთების მომარჯვება, მსჯელობა, მტკიცება, დასკვნის სწორად გამოტანა. საამისოდ მიზანმიმართული სისტემატური და რუდუნებითი მუშაობაა საჭირო. პედაგოგი უპირველესად კარგად უნდა იყოს დაუფლებული თხზულების სწავლების მეთოდიკას.

მეთოდიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით კი ავარჯიშოს მოსწავლეები მსჯელობითი ფორმის თხზულების შედგენაში.

## თხზულების დაწერის სამახსოვრო

მომავალ პედაგოგებს, რომ გავუადვილოთ თხზულებაზე მუშაობა და შემდგომ მათ შეძლონ მოსწავლეებთან ეფექტურად წარმართონ მუშაობა, ამ მიზნით მათ ვაწვდი თხზულების დაწერის სამახსოვროს. რომელიც ერთგვარ დამხმარე, გეზის მიმცემ საშუალებას წარმოადგენს.

– თხზულების კარგად დაწერის უმთავრესი პირობაა აქტივობა, შემოქმედება. თხზულებისათვის საჭირო მასალის შეგროვება, სისტემაში მოყვანა, შესაფერისი სიტყვების, მხატვრული გამოთქმების შერჩევა, საგნებისა და მოვლენების შესახებ აზრის მოფიქრებულად, დამოუკიდებლად გადმოცემა.

– ჩაუფიქრდი სათაურს. გაიაზრე, ამის გარეშე თხზულებას ვერ გაშლი.

– წერის დაწყებამდე შეადგინე თხზულების გეგმა, განსაზღვრე მოცემულობა, მოიფიქრე რა საკითხებს განიხილავ, როგორი თანმიმდევრობით, რომელ საკითხებზე გაამახვილებ ყურადღებას.

– გეგმის საკითხები ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ერთანეთისაგან. მოკლეა შესავალი და დასკვნა. ვრცელია ძირითადი ნაწილი – შინაარსი.

– შესავალში დაისმება საკითხი, პრობლემა, ძირითად ნაწილში ჩამოყალიბდება აზრი, გაიშლება მსჯელობა, დასკვნაში აისახება თემის სათაურის კონკრეტული პასუხი.

– თხზულებაში მსჯელობა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარმართე. თუმცა გეგმა დოგმა არ არის. შესაბამის დროს შეიძლება მისი შეცვლა, დაზუსტება, ურყოფა.

– თხზულებაში გამოავლინე ნაკითხობა, წიგნიერება, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარი, შენი ინტერესები, განსახილველი საკითხისადმი. თხზვა შემოქმედებითი პროცესია, იგი გულისხმობს გამოგონებას, შექმნას.

– რაციონალურად გამოიყენე წერისთვის მოცემული დრო. განსაზღვრე რის გაშუქებას მოასწრებ. არ დაგავიწყდეს მსჯელობა ძირითადზე და მთავარზე. ნაშრომი გულდასმით დაათვალიერე და ისე ჩააბარე პედაგოგს.

– თხზულება დაწერე სწორი, გამართული, ლიტერატურული ენით, აზრი გამოთქვი გასაგებად, ზუსტად, ხატოვნად, ზომიერი ემოციით, გამოიმუშავე საკუთარი, ორიგინალური სტილი.

– ნაწერში გამოიმუშავე მეტყველების კულტურა, ინტელექტი, ნიჭი, გემოვნება, შენი პრინციპი, თხზულების წერას ისწავლი სისტემატური, თანმიმდევრული, მიზანმიმართული ვარჯიშით, კარგ წერას მხოლოდ წერით ისწავლი.

– შეუძლებელია ცხოვრებაში მოსალოდნელი ყველა თემის წინასწარ გათვალისწინება, მათი გამომუშავება თუ თქვენ კარგად გეცოდინებათ თხზულების წერის ძირითაიდი მოთხოვნები, პასუხისმგებლობით იმუშავებთ, ყოველთვის მოახერხებთ თქვენი აზრისა და გრძნობის, ფიქრისა და განსჯის მკაფიოდ და საინეტერსოდ გადმოცემას.

## თხზულების შედგენა სურათის მიხედვით

სასკოლო ცხოვრებაში ფართოდ გავრცელებულია თხზულების შედგენა სურათის მიხედვით და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბუნებაზე დაკვირვების წინ უნდა უძღოდეს სურათებზე დაკვირვება, მათი აღწერა. ცნობილია, რომ კარგად შესრულებული, ემოციური, ნათელი ხილვადობის წარმტაცი სურათი იზიდავს ბავშვს, აღუძრავს მის შინაარსში წვდომის ცნობას.

მომავალმა პედაგოგებმა უნდა იცოდნენ, რომ სურათების აღწერაზე მუშაობა, პირველ კლასში, წინასაანბანო პერიოდშივე იწყება. როგორც პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე აღნიშნავს, ამ ეტაპზე მოსწავლეებს ჯერ კიდევ არა აქვთ გაბმული მეტყველების ჩვევა, მათი ლექსიკაც რამდენადმე ღარიბია, სურათების აღწერაც ამ ხარვეზების გამოსწორებას ისახავს მიზნად. ამ მიზნით „დედაენაში" შეტანილია არაერთი სურათი, აქედან უმეტესობა სიუჟეტური შინაარსისაა.

სურათზე თხრობა შეიცავს შემდეგ ელემენტებს: წინასწარი საუბარი, სურათის ჩვენება, შინაარსის გეგმის შედგენა და თხრობა. წინასწარი საუბრისათვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ე.წ."ლიტერატურული ტექსტიც", რომელთა სიუჟეტსაც გადმოსცემენ ეს სურათები {5}.

დოქტორი გრ. გაბედავა სურათის მიხედვით თხზულების შესადგენად ასეთ სქემას გვთავაზობს:

– სურათის დათვალიერება
– საუბარი სურათის შინაარსის ირგვლივ
- თხზულების თემისათვის სთაურის გამონახვა
– გეგმის შედგენა
– თხზულების შედგენა ზეპირად
– თხზულების წერა
– დაწერილის გასწორება და ანალიზი

## თხზულების შედგენა საკუთარი განცდებისა და ექსკურსიაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა მიხედვით

საკუთარი განცდები მდიდარი და ხალისიანი თემატიკაა თხზულებისათვის. მაგალითად, “ერთხელ...” “სკოლაში შესვლის პირველი დღე”, “პირველი თოვლი”, “პირველი ყვავილები”, “ტყეში”. ასეთ თემებზე მუშაობისათვის ვამზადებ სტუდენტებს. ვესაუბრები იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვებს გავააზრებინოთ თემა, მისი საზღვრები, შეიძლება ნიმუშების გაცნობაც. სასურველია კლასში თვალსაჩინოდ მოვათავსოთ “თხზულების დაწერის სამახსოვრო”, რომელსაც თხზულებაზე მუშაობის პროცესში გამოიყენებენ მოსწავლეები.

თხზულების შედგენისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემა. „ბუნებაში მოგზაურობა ხატოვანი აზროვნების განვითარების გაკვეთილებია, – ამბობდა ვასილ სუხომლინსკი, – მისი აზრით, პოეტური შემოქმედება მშვენიერების ჭვრეტიდან იწყება. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ძალუძს აღიქვას მშვენიერება, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რათა შევაყვაროთ ბავშვებს სილამაზე, ვასწავლოთ სილამაზის განცდა. საამისოდ აუცილებელია ბუნების წიაღში, განვავითაროთ აზოვრნება, დავანახოთ ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერება.

საამისოდ ვამზადებ სტუდენტებს. ვავალებ დღის სხვადასხვა დროს დააკვირდნენ მზეს, ვარსკვლავებს, ცას, ცხოველთა და ფრინველთა მოქმედებას, ცვლილებებს ბუნებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ სალექსიკონო მუშაობას, ვაჩვევ მოძებნონ ის სიტყვები, რომლებითაც უფრო ზუსტად გადმოსცემენ თავიანთ გრძნობებს.

ხანგრძლივი დაკვირვებისა და ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე მომავალ პედაგოგთა წინაშე გადაიშალა ბუნების საოცარი წიგნი, გაუმძაფრდათ სილამაზის, მშვენიერების შეგრძნების უნარი. ამასთან თავიანთი განცდების, შთაბეჭდილებების გადმოსაცემად მონახეს საჭირო სიტყვები, გამოიყენეს მხატვრული გამოთქმები, შედარებები.

სტუდენტებმა ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით დაწერეს თხზულებები: “ბათუმის ბოტანიკური ბაღი”, “ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი”, “სხალთის ტაძარი”, “გონიოს ციხე-ქალაქი”, “პეტრას ციხე”, “გელათი, მოწამეთა, სათაფლია”, “მხარეთმცოდნეობის მუზეუმი”, “გვიანი შემოდგომა”, “დაცარიელებული ტყე.”

მომავალ პედაგოგებს ვაცნობ თხზულებათა თემებს:

– ჩემი დედა, ჩვენი ოჯახი, ჩემი სოფელი, ქალაქი, მე რომ მასწავლებელი ვიქნები, პირველი დღეები სკოლაში, გზა ჩემი სახლიდან სკოლამდე, ხედი საკლასო ოთახის ფანჯრიდან, ჩემი საყვარელი საქმიანობა, როგორ გავატარე საზაფხულო არდადეგები, რას იტყოდა ჩემი მერხი, ჩემი საყვარელი წიგნი, გაზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, რთველი, ტყეში, ტყემ გაიღვიძა, ფოთოლცვენა. ჩემი საყვარელი ცხვოველი, ფრინველი.

აღნიშნულ და სხვა თემებზე სტუდენტები ადგენენ თხზულებებს. პედაგოგიურ პრაქტიკაზე ყოფნის დროს კი მოსწავლეებსაც ამუშავებენ თხზულების შედგენაზე.

ყოველივე აღნიშნული კი იმის საწინდარია, რომ სკოლაში მუშაობის დროს ისინი ეფექტურად გამოიყენებენ თხზულებაზე მუშაობას მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის განსავითარებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაბედავა გრ. დაწყებით კლასებში თხზულებაზე მუშაობის ზოგიერთი საკითხი, ჟურ. "სკოლა და ცხოვრება", 1965, № გვ.7.
2. გულდამაშვილი ე., სასკოლო თხზულებაზე მუშაობის სისტემა, გაზ. "ახალი განათლება", 16.11.-2.12. 1998.
3. ესაკია ლ. ზეპირი და წერილობითი თხზულება დაწყებით კლასებში, თბილისი, 1989.
4. ლიპარტელიანი რ. მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის, გაზ. "ახალი განათლება", 13-19.06. 2002 .
5. მაღლაკელიძე ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2004,თბილისი,
6. მეზურნიშვილი ნ. უმცროსკლასელთა ლიტერატურული შემოქმედება, ჟურ. "დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა", 1998, .№2, გვ. 22.
7. ზოიძე ა. თხზულების სწავლების მეთოდიკა, 2005 ბათუმი, .
8. უსტიაშვილი ნ. მოსწავლეთა წერით თხზულებაზე მუშაობის საკითხები, გაზ. "განათლება", № 3, 4, 2004.
9. თაბორიძე მ. ,სასკოლო თხზულება და მისი სწავლების საკითხები,1987,თბილისი.


# რეზიუმე


თხზულება მოზარდი თაობის მხატვრულ-შემოქმედებითი აქტივობის, ნიჭის, წარმოსახვის, ლოგიკური აზროვნებისა და მეტყველების განვითარების, კულტურის ამაღლების, მისი ზნეობრივ- ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებისა და მჭევრმეტყველი პიროვნების აღზრდის საუკეთესო საშუალებას წრმოადგენს.

თხზულებაზე მუშაობის სწორად წარმართვისათვის საჭიროა მომავალ მასწავლებელთა სათანადო მომზადება. საამისოდ მუშაობა ქართული ენის სწავლების მეთოდიკის კურსის დაწყების პირველი დღიდანვე უნდა დაიწყოს. კარგად უნდა გაანალიზდეს თხზულებაზე მუშაობის სისტემა.მოწინავე გამოცდილების მაგალითებზე უნდა ვაჩვენოთ სტუდენტებს თხზულებაზე მუშაობის გზები, ფორმები და საშუალებები. სასურველია გავაცნოთ მოსწავლეების, სტუდენტებისა და მასწავლებელთა თხზულებების ნიმუშები. ასევე კარგ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მუშაობაში თხზულების დაწერის სამხსოვრო და თხზულებათა თემები. ასეთი მიზანმიმართული და კარგად გააზრებული მუშაობა იმის საწინდარია, რომ მომავალი პედაგოგები მაღალ დონეზე წარმართავენ სკოლაში თხზულებაზე მუშაობას.

**საკვანძო სიტყვები:** თხზულების სწავლება, მხატვრულ-შემოქმედებითი ლოგიკური აზროვნება, თხზულების ნიმუშები, აქტივობა, მეტყველების განვითარება ნიჭი, წარმოსახვა.

AKAKI ZOIDZE
Professor
Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate –
Head of Education Specialty Programs,
Georgia, Batumi

## TRAINING OF FUTURE TEACHERS' FOR TEACHING ESSAYS

### Summary

Essay is one of the best means for formation of artistic-creative activity, talent, imagination, logical thinking and speech development, enhancement of culture as well as formation of moral-aesthetic views of future generation and for upbringing eloquent person.

For correct management of work on essay it is necessary to provide proper trainings for future teachers. For this reason, work should start from the very first days of starting methodic for teaching Georgian language. The system of working on essay must be well analyzed. The ways, forms and means of working on essays must be shown at advance experience examples. It is desired to introduce samples of essays of the pupils, students and teachers. Besides, it will assist students in writing essays. Such purposeful and well-designed working is the basis for high level working on essays by the teachers in schools.

**Keywords:**Teaching Essay, Artistic-creative, Logical thinking, Essay samples, Activity, Speech development,Talent, imagination.

**ᲚᲘᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
პროფესორი
**ᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ**
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

## ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

დღეს არსებული გლობალიზაციის და კონკურენციის პერობებში ლექტორებმა უნდა მიმართონ ინოვაციური მეთოდების გამოყენებას ისე, რომ სტუდენტების სწავლის პროცესი მაქსიმალურად იყოს თავისუფალი ადვილად წვდომადი და მათ მიერ შემუშავებულმა მეთოდოლოგიამ ხელი შეუწყოს სწავლის პროცესს. სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდოლოგიები, როგორიცაა ინტერაქციული სწავლება, სიმულაცია, თამაშთა მეთოდი და სხვა პრობლემაზე ორიენტირებული და დაფუძნებული სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევების გადასაჭრელად და ცოდნის მისაღებად.

ნაშრომის მიზანია თანამეროვე ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობის განასაზღვრა სწავლებისა და სწავლის მეთოდებში, რათა შეიქმნას მეთოდთა ფართო სპექტრი, როგორც სტუ-

დენტებისათვის და მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისთვის. მსოფლიოში ძირითადად გავრცელებულია ორი საგანმანათლებლო მოდელი - პირისპირ სწავლა და ჰიბრიდული სწავლება, თუმცა პანდემიის დროს არსებულმა მდგომარეობამ დაგვანახა მესამე მოდელის, ონლაინ სწავლების აუცილებლობა და მნიშვნელობა, რათა დაცული იყოს სწავლის პროცესში ჩართული მხარეების ჯანმრთელობა.

სწავლებისა და სწავლის ტრადიციული მეთოდი სინქრონულია და, როგორც წესი, მოიცავს აუდიტორიის/საკლასო ოთახის გამოყენებას, სადაც პროფესორი და სტუდენტები, მასწავლებლები და მოსწავლეები ურთიერთქმედებენ დროსა და სივრცეში. სწავლების ამ მოდელს სინქრონულს უწოდებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლება ხდება დისტანციურად, რამაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბოლო პერიოდში მთელს მსოფლიოში პანდემიის გამო, მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა სასწავლო საზოგადოების წევრებს შორის ხდება ონლაინ ინფორმაციის გავრცელება და გაცვლა, რაც აერთიანებს ასინქრონული სწავლების მეთოდსა და სწავლების ტრადიციულ მეთოდს.

სინქრონული ან ჰიბრიდული სწავლება სარგებლობს შემდეგი უპირატესობებით, იგი ხელს უწყობს სასწავლო პროცესს და ხდის მრავალფეროვანს, ასევე გვთავაზობს დროის მოქნილად და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. ჰიბრიდული სწავლების მეთოდი ამცირებს გადატვირთულ საკლასო ოთახებს. ადმინისტრაციულ ერთეულს შეუძლია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რაც ამაღლებს სტუდენტების/მოსწავლეების მოტივაციას და ინტერესს სასწავლო პროცესისადმი. ჰიბრიდული სწავლების მოდელი მათ აძლევს პერსპექტივას, რომ მარტივად დაამყარონ კომუნიკაცია პროფესორ მასწავლებლებთან და ჯგუფელებთან, მეტი საშუალება აქვთ დისტანციურად ჩაერთონ ერთობლივი დავალების მომზადებაში. პარალელურად მათ უნვითარდებათ და უმჯობესდებათ სხვადასხვა უნარები, როგორიცაა, კრიტიკული აზროვნება, დებატებში მონაწილეობა, კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება, რაც საბოლოოდ ეხმარებათ სასწავლო მასალის ვიზუალურად სხვადასხვა ხედით დანახვაში და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საჭიროებაში. სწავლით დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა გადააფასონ სასწავლო კურსის ფარგლებში შემოთავაზებული სამუშაო მასალა, მიიღონ დამატებითი რესურსები და საშუალებები, რაც გაზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის აქტივობის ეფექტურობას.

თანამედროვე პედაგოგიკაში ცნობილია სწავლების რამდენიმე სტრატეგია, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მათ შორის სამზე, რომელთა გამოყენება ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ხდება ბევრ ქვეყანაში.

**1. ჰიბრიდული სწავლება**

ჰიბრიდული სწავლება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური სწავლების სტრატეგია. ასეთი სახის სწავლებაში შეიძლება ინტეგრირებულად გამოყენებულ იქნეს, ონლაინ სწავლება, აუდიტორული/საკლასო და არაფორმალური გარემოში სწავლება. არაფორმალურ გარემოში იგულისხმება მაგ. მუზეუმები, დენდროლოგიური პარკები, ან საგანმანათლებლო სივრცეები, რაც უკავშირდება სასწავლო პროგრამას.

აღნიშნული მეთოდი ეფექტურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასწავლებლის მიერ აუდიტორიაში დასმული კითხვა, სტუდენტმა/მოსწავლემ შეიძლება შეისწავლოს მუზეუმის მონახულებისას ექსკურსიის დროს ან სხვა შემეცნებით გარემოში, დააგროვონ ფოტოები, ვიდეო და აუდიო ან ჩვეულებრივი ჩანაწერები, როგორც მტკიცებულება, შემდეგ კი მიღებული ცოდნის და დასკვნების გაზიარება მოხდეს აუდიტორიაში/კლასში.

ჰიბრიდული სწავლება ორიენტირებულია სწავლა სწავლებაში ჩართულ ორივე მხარის ფართო შესაძლებლობასა და მრავალფეროვნებაზე, რაც ეხმარებათ მოხდეს მსოფლიოში აპრობირებული და ეფექტური სასწავლო მასალის და ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

რაც შეეხება ონლაინ სწავლებას, მოსწავლეს/სტუდენტს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში, მსოფლიოს ნებისმიერ სასწალო გარემოსთან შეუძლია ინტეგრირება, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად აქვს წვდომა და ღებულობს სასწავლო რესურსებს. თანამედროვე ინტერნეტ საძიებო სისტემები ეხმარება მიიღოს სწორედ ის, რაც სჭირდება.

2. **არგუმენტირებული სწავლება**

ცოდნის მიღება და გაღრმავება შესაძლებელია კამათის, დისკუსიის გზით. დისკუსია ეხმარება სტუდენტებს მოისმინონ განსხვავებული იდეები, რამაც შეიძლება ცოდნის გაღრმავება გამოიწვიოს. მსჯელობის ეს ტექნიკური მხარე სტუდენტს აძლევს საჯაროდ იდეების და დაზუსტებული ცოდნის წარმოდგენის საშუალებას. ასევე ასწავლის განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებთან ურთიერთობას, ერთიანი არგუმენტირებული აზრის მქონე შედეგებზე მისვლას. მასწავლებელს შეუძლია წაახალისოს მოსწავლეები, ღიად დაუსვას მათ კითხვები.

მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი დისკუსია საკლასო ოთახებში, წაახალისონ მოსწავლეები, დაუსვან ღია კითხვები, გამოთქვან შენიშვნები, სამეცნიერო ენაზე ახსნან და გამოიყენონ მოდელები დამატებითი წარმოდგენის შესაქმნელად. როდესაც სტუდენტები სამეცნიერო მეთოდებზე დამყარებული თეორიებით კამათობენ, ისინი სწავლობენ როგორ დააზუსტონ მოსაზრება, აქტიურად უსმენენ და კონსტრუქციულად პასუხობენ კითხვებს.

3. **ონლაინ სწავლება.**

დღეს ჩვენს ქვეყანაში ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულებაა ონლაინ სწავლება. წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები ცდილობენ დაეხმარონ ადამიანებს და შესთავაზონ სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმები, რომელთა რაოდენობა დღეს ოცდაათამდეა მაგ.: Skype, Zoom Meeting, Microsoft Teams, Google Meet, BigBlueButton, Facetime, Webex და ა.შ.

ასევე არის ბევრი სასწავლო პლატფორმა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არის Moodle პლატფორმა. აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით შესაძლებელია E-Learning გარემოში სასწავლო მასალის, ტესტების, დავალებების და სხვადასხვა აქტივობების ატვირთვა და ასევე შეფასება. ტექნიკური უნივერსიტეტი დაახლოებით ათი წელია აქტიურად და წარმატებულად იყენებს აღნიშნულ პლატფორმას სასწავლო პროცესში.

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე წარმოდგენილია დავალებების და სალექციო მასალის ატვირთვის საილუსტრაციო მაგალითი

**სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების** გამოყენებას სტუდენტებსა და მოსწავლეებში აქვს ე.წ. ინდიკატორის ფუნქცია. იგი როგორც სასწავლო მასალის გადმოცემის, ისე მომზადების პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს. მედია საშუალებები, როგორც პედაგოგს, ასევე სწავლით დაინტერესებულ მხარეს აძლევს მეტ შესაძლებლობას, მოიპოვოს სწავლაზე და ცოდნაზე ორიენტირებული მასალა, რომლის აღქმა მარტივი და ეფექტურია.

ტექნოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნა მოიცავს იმ ახალ ჰიბრიდულ საგანმანათლებლო მეთოდებს და სახეობებს, რომელმაც უნდა უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და მოთხოვნებს. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისთვის შემუშავებული უნდა იქნეს მოდელი, იმ სასწავლო კურსების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიურ დატვირთვებში.

Moodle - ის პლატფორმაზე ინტეგრირებული E-Learning სისტემა არის ელ.სწავლების პროგრამა, რომელიც მუშაობს ჩვენს ბრაუზერში და საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს/მოსწავლეებს ავუტვირთოთ სასწავლო მასალები, დავალებები, გრაფიკული გამოსახულებები, პრეზენტაციები რაც დაეხმარებათ ცოდნის და ინფორმაციის მიღებაში. სასწავლო მასალის გარდა სისტემა გვაძლევს საშუალებას ერთ სივრცეში შესრულდეს დავალებები, სტუდენტებმა იმუშაონ ტესტებზე და უკუკავშირი ჰქონდეთ პედაგოგებთან. პანდემიის პირობებში განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა სტუ-ისთვის ელ.სწავლების სისტემა, რამაც უზრუნველყო შეუფერხებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.




**დასკვნა.** სწავლების ნებისმიერი მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს მარტივად და ზუსტად მიიტანოს სწავლით დაინტერესებულ მხარესთან სასწავლო მასალა, შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციურ მეთოდად. სწავლების ძირითადი მიზანია ინფორმაციის ან ცოდნის გადაცემა სტუდენტების/მოსწავლის გონებაში. არსებობს მრავალი გზა, რომლითაც პედაგოგებს შეუძლიათ სტანდარტული სისტემის გვერდის ავლით სტუდენტებს/მოსწავლეებს შესთავაზონ ის ტექნოლოგიები, ინსტრუმენტული საშუალებები და გამოცდილებები, რომლებიც ინოვაციურ აზროვნებას უწყობს ხელს.

განათლება არის ის სინათლე, რომელიც კაცობრიობას აჩვენებს სწორი მიმართულებით განვითარების გზებს. განათლების მიზანი არ არის მხოლოდ სტუდენტის წიგნიერება, არამედ მასში ინტეგრირებულია გონივრული აზროვნება, რომელიც სტუდენტს/მოსწავლეს აძლევს საშუალებას საკუთარი ცოდნის სტრუქტურირება მოახდინოს დამოუკიდებლად, რაც გაზრდის მათ ჩართულობას, სწავლის და სწავლების პროცესში. როდესაც მზად არის პედაგოგი შეცვალოს არსებული მდგომარეობა და მიდგომები ეს არის ის პროგრესი, რომელსაც მოაქვს დადებითი შედეგი სასწავლო პროცესში. შემოქმედებითობას და ინოვაციური სწავლების განვითარებას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს, როგორც სტუდენტების, ისე მასწავლებლებისთვის და ცივილიზებული საზოგადოებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Badea, G. Popescu, E. Sterbini, A. Temperini, M. Exploring the Peer Assessment Process Supported by the Enhanced Moodle Workshop in a Computer Programming Course. Adv. Intell. Syst. Comput. 2020, 1008, 124–131. [CrossRef]
2. European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA). Available online: https://enqa.eu/ (accessed on 11 May 2020).

## რეზიუმე

დიდაქტიკის ცოდნა ზოგადად მნიშვნელოვანია სწავლებისა და სწავლის ეფექტურობის ასამაღლებლად. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება სწავლების განსხვავებული ინოვაციური მეთოდები,მაგ. , როგორიცაა ჰიბრიდული სწავლება, რომელიც მოიცავს პირისპირ სწავლების გარდა ელექტრონულ სწავლებას, სადაც ინტეგრირებულად გამოიყენება ტექნოლოგიები და მულტიმედიური საშუალებები. ნაშრომში განხილულია ჭკვიანი აპლიკაციების გამოყენება სხვადასხვა აქტივობების შესრულებისათვის, როგორიცაა სწავლება, საკითხავი/სასწავლო ნაშრომების შექმნა, სტუდენტის შეფასება, უკუკავშირი და კვლევის მეთოდოლოგია. სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების გამოყენება აუცილებელია, თუკი ჩვენ გვსურს სტუდენტების მხრიდან სწავლის, როგორც ენთუზიაზმის და მოტივაციის ამაღლების საშუალებებად წარმოჩენა. განათლების როლი არის უზრუნველყოფა იმისა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ მიწოდებული სასწავლო თუ სამეცნიერო მასალა, გასაგები უნდა იყოს სტუდენტებისათვის, რომლებიც კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანია, მათ უნდა მოახერხონ სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია და გაეცნონ არსებულ სტანდარტებს და მოთხოვნებს. ხშირ შემთხვევაში სტუდენტები ვერ აღწევენ შედეგს იმის გამო, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ და აფასებენ მოთხოვნის იმ დონეს თუ რას ელიან ლექტორები მათგან.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიბრიდული სწავლება, ონლაინ სწავლება,

LILY PETRIASHVILI
Professor
NANA NOZADZE
Professor
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

# INNOVATIVE METHODS OF TEACHING AND LEARNING

## Summary

Any teaching method that does not destroy the goal can be considered an innovative teaching method. There seekers believe that the main purpose of the lesson is to convey information or knowledge to the minds of students. There are several ways teachers can work around the system and provide students with the tools and experiences that foster innovative thinking. Education is the light that shows humanity the right direction for vibrations. The goal of education is not only to teach the student to read and write, but also to develop rational thinking, experience and self-sufficiency. If there is a desire to change, there is hope for progress in all areas. Creativity can be fostered and innovative teaching and learning benefits students, teachers and civilized society.

**Keywords:** E-Learning, Moodle Platform.

# III სექცია

# უმაღლესი განათლების თეორია

**ზურაბ ცუცქირიძე**
ილიას უნივერსიტეტის
პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის პედაგოგიკური და
პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური
კვლევის მიმართულების კოორდინატორი,
პედაგოგიკის დოქტორი

**ომარ ცხადაძე**
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პედაგოგიკის დოქტორი
საქართველო, თბილისი-ქუთაისი

## უმაღლესი განათლების თეორიის კონცეპტუალური პრობლემების ზოგიერთი აქტუალური საკითხი

### 1. უმაღლესი განათლების ცნების მართებული გააზრებისათვის

„უმაღლესი განათლების" ცნება პედაგოგიკაში, ძირითადად, სწორად არის განმარტებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი თანამედროვე განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

„უმაღლესი განათლების" ცნების მართებული გააზრებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჯერ დავახასიათოთ აბსტრაქტული ტერმინი „განათლება", შემდეგ კი მის კერძო, ფუნქციონალურ გამოვლინებებში (სტრუქტურაში) განვიხილოთ იგი, სადაც გამოჩნდება უმაღლესი განათლების ადგილი და მისი სოციალური ფუნქცია.

განათლება, ზოგადად თუ ვიტყვით, სწავლების პროცესის შედეგია, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სისტემატურ ათვისებას პედაგოგის ხელმძღვანელობით, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლის პიროვნებაზე. აქ ორი მომენტი უნდა გამოვყოთ: პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საინფორმაციო ხასიათის სწავლებასთან, მეორე შემთხვევაში სწავლება არ უთანაბრდება მოსწავლისთვის ბუნების, ტექნიკის, მეცნიერებისა თუ კულტურის განსაზღვრული სფეროდან ცოდნის გადაცემას, არამედ მოიცავს, აგრეთვე, ინტერესებისა და ნიჭის, აზროვნებისა და დამკვირვებლობითი უნარების განვითარებასაც. ამგვარი სწავლების მიზანია მოსწავლეებში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვების, ინდივიდუალური და კოლექტიური შემცნებითი საქმიანობის, საკაცობრიო ღირებულებების ცნობიერებისა და გათავისების უნარებისა და ნებელობითი თვისებების განვითარება. ამით გამოიხატება სწავლების პროცესის აღმზრდელობითი ფუნქცია. ამ აზრით, განათლება გულისხმობს დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის, მოქალაქეობრივი ფუნქციის შესრულების მზაობას.

განათლებას თუ განიხილავთ, როგორც პროცესს, მაშინ განათლება არის ადამიანის ნაშიერში ადამიანურობის აღზრდა, მაგრამ თუ განათლებას განიხილავთ როგორც სწავლების პროცესის შედეგს, მაშინ განათლება არის საკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული ცოდნა-ჩვევათა ჯამი, რაც მოცემულია პიროვნებაში და განსაზღვრავს მის ინდივიდუალობას.

განათლების ერთ-ერთი უმთავრესი (განმსაზღვრელი) ელემენტია ცოდნა, ამიტომ „განათლების" ცნების შინაარსის სწორი გააზრება „ცოდნის" ცნების შინაარსის გააზრების გარეშე სრულიად უმართებულოა.

ზოგადად, ცოდნა არის ბუნებისა და საზოგადოებაზე ადამიანის წარმოდგენათა და შეხედულებათა ჯამი, რომლის რეალიზაცია ხორციელდება პიროვნების აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. კონკრეტულად, ცოდნა არის მიღებული და ათვისებული ინფორმაციის შესაბამისი პრაქტიკული მოქმედიანობის განხორციელების უნარი.

განათლება, როგორც უკვე ითქვა, პროცესიც არის და შედეგიც. განათლება, როგორც პროცესი, განვითარების რამდენიმე ეტაპსა და მიმართულებას მოიცავს, ჯერჯერობით დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი ეტაპები და მიმართულებები გამოიყოფა: დაწყებითი ანუ ელემენტარული განათლების, საბაზო განათლების, ზოგადი საშუალო განათლებისა და უმაღლესი განათლების ეტაპები და პროფესიული და შერეული (ზოგადი საგანმანათლებლო პროფესიული) მიმართულებანი. თითოეულ ამ ეტაპზე, განათლება როგორც პროცესის შედეგი ზუსტად განსაზღვრული სოციალური დაკვეთის შესრულებად მოიაზრება, სწორედ ამ დაკვეთის შესაბამისად არის ორგანიზებული პროცესი და ამ პროცესის საგანმანათლებლო შინაარსი.

დაწყებითი ანუ ელემენტარული განათლების მიზანია მოზარდებში ძირითადი პიროვნული თვისებებისა და იმ უნარების განვითარება, რაც აუცილებელია შესაბამისი სოციალური მოვალეობებისა და სოციუმთან დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის. სწავლების შინაარსი კი განისაზღვრება განათლების შემდგომ ეტაპზე ცოდნის ათვისების აუცილებელი მოთხოვნებით. ამ ეტაპზე პრიორიტეტულია არა ცოდნის დაგროვება, არამედ პიროვნული განვითარება (ინტელექტუალური, ფიზიკური, ზნეობრივი უნარებისა და პიროვნული მიკუთვნებულობის შეგნების განვითარება). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე მთელ საგანმანათლებლო პროცესს აღზრდის ამოცანები განსაზღვრავენ. ამ ეტაპზე ეყრება საფუძველი საკუთარი თავის შეცნობას („შეიცან თავი შენი!") რაც პიროვნული განვითარების პროცესის დასრულებამდე გრძელდება. სწორედ ამიტომ, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე წამყვანია (პრიორიტეტულია) აღმზრდელობითი სწავლების პრინციპი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძირითად საფეხურზე, განათლება, ძირითადად, კვლევაც აღმზრდელობითი სწავლების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს, რადგან სწორედ აქ ყალიბდება, ძირითადად, მსოფლმხედველობითი ცოდნის საფუძველები. ამავე დროს ღრმავდება ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, ე.წ. მეცნიერებათა საფუძვლების შინაარსი, რათა მსოფლმხედველობრივი შეხედულებები ერთიან კონცეფციურ წარმოდგენებს მიუახლოვდეს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძირითად საფეხურზე განათლების საზოგადოებრივ-სოციალური დაკვეთა აღმზრდელობით-აკადემიური შინაარსისაა, რაც მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეთა სოციალიზაციისა და დამოუკიდებელი აკადემიური ორიენტაციების განხორციელებისათვის მზაობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უმაღლეს საფეხურზე განათლების ცნების შინაარსი ორი კარდინალურ ამოცანის გადაწყვეტას უკავშირდება. ეს არის მოზარდის ზოგადი პიროვნულ-სოციალური განვითარება და კონკრეტულ-პროფესიული ინტერესებისა და უნარების გამოვლენა-განვითარება, რის საფუძველზეც ყალიბდება მისი პროფესიული ორიენტაციის ძირითადი

ნიშნები. ეს უკანასკნელი ამოცანა რომ გადაწყდეს, აუცილებელია, სკოლის მესამე, დამამთავრებელ საფეხურზე მოსწავლე დაეუფლოს ერთ რომელიმე, ან რამდენიმე მონათესავე მარტივი პროფესიებისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს, იმ დონეზე, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მან შეძლოს უშუალოდ ჩაებას პრაქტიკულ საქმიანობაში, ან ხანმოკლე დროში შეიძინოს ესა თუ ის პროფესიული კვალიფიკაცია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უმაღლესი საფეხური კურსდამთავრებულებს ამზადებს, კურსდამთავრებულს ერთი მხრივ, უმაღლესი განათლების მისაღებად, მეორე მხრივ პრაქტიკულ-პროფესიული საქმიანობისათვის (აქვე, სხვათაშორის უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანის სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობა აუცილებლად გულისხმობს ამ საქმიანობისთვის დამახასიათებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც შესაბამის კვალიფიკაციაში გამოიხატება. ისე, რომ დღემდე დამკვიდრებული აზრი ,,არაკვალიფიციური საქმიანობის" შესახებ, არაზუსტია).

უმაღლესი სკოლისათვის მომზადება აკადემიური ამოცანის გადაწყვეტაა, რაც მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებას ითვალისწინებს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პროცესში. ამის გარეშე კურსდამთვრებულის პროფესიული არჩევანი არ იქნება დაფუძნებული საკუთარი შესაძლებლობების სწორ შეფასებაზე და არც პროფესიული ინტერესი იქნება საფუძვლიანი, რადგან ახალგაზრდას არ ეცოდინება, მართალა აქვს თუ არა ამა თუ იმ პროფესიის მიმართ მიდრეკილება, არა და უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროცესი ეფექტიანი ვერ იქნება, თუ მისაღები კონტინენტი, ანუ მომავალი სტუდენტები პროფესიულად ორიენტირებულები არ არიან. სწორ პროფესიულ ორიენტაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც აბიტურიენტს მყარად აქვს გაცნობიერებული მის წინაშე მდგომი პროფესიული არჩევანის ნამდვილი შინაარსი, რაც გამოიხატება ასეთი ლოგიკური სქემით - ,,საჭიროა-შემიძლია-მინდა".

რატომ არის ეს სქემა ლოგიკური? იმიტომ, რომ პროფესიას რომელსაც ირჩევ საჭირო უნდა იყოს იქ და მაშინ, როდესაც და სადაც ხარ. ამიტომ ჯერ უნდა გააცნობიერო, საჭიროა თუ არა ის პროფესია, რასაც ირჩევ. შემდეგ უნდა დარწმუნდე, შეგიძლია თუ არა დაეუფლო ამა თუ იმ კონკრეტულ პროფესიას. უამისოდ არჩევანი აუცილებლად მცდარი იქნება და მხოლოდ მესამე ადგილზეა ,,მინდა", რაც აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ამა თუ იმ პროფესიისადმი ემოციურ დამოკიდებულებას აღნიშნავს, რისი შეცვლა გარკვეულ პრობებში შესაძლებელია.

დღეს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინენტის შერჩევისას სრულიად უგულებელყოფილია პროფესიული ორიენტაციის კლასიკურიც და ულტრათანამედროვე მოთხოვნებიც აი, ასე: აბიტურიენტი ასახელებს რამდენიმე (ათეულზე მეტ!) პროფესიას და გამოცდების შედეგებზეა (ქულათა რაოდენობაზეა) დამოუკიდებელი რომელი პროფესიის შესწავლაზე გაამწესებენ აბიტურიენტს. არადა, აბიტურიენტს ასარჩევ პროფესიათა ფართო სპექტრი აქვს წარმოდგენილი: ჟურნალისტიკის, იურისტის, ისტორიის, ეკონომისტის, მათემატიკოსის, ქიმიკოსის და ა. შ. პროფესიები.

რა პროფესიულ მიდრეკილებებსა და ინტერესებზე შეიძლება იყოს საუბარი ასეთ შემთხვევაში? არანაირზე!

## 2. უმაღლესი განათლება-პროფესიული განათლების ორგანიზაციის უმაღლესი საფეხური

უმაღლესი განათლების წინაშე ზოგადად, მკაცრად განსაზღვრული სოციალური ამოცანა დგას, მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესაბამისი პრფესიონალები. უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებებში სწავლების შინაარსი მხოლოდ პროფესიული ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული.

სხვა ამოცანა უმაღლესი სკოლის წინაშე არ დგას.

ჩვენთან უკვე დამკვიდრდა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება. თითოეული საფეხურის აკადემიური ფუნქცია, მაგრამ მათი სოციალური დაკვეთა ყოველთვის სწორად როდია გაგებული. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

უმაღლესი სკოლის პირველ საფეხურზე, ბაკალავრიატში ხორციელდება პროფესიული განათლების ის პროგრამა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება ამა თუ იმ პროფესიაში. ადამიანს თუ განზრახული აქვს უმაღლეს სასწავლებელში მიღებული პროფესიის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა (ინჟინერს-ინჟინრობა, ექიმს-ექიმობა, იურისტს-იურისტობა და ა. შ.), მას მეორე და მესამე საფეხურის გავლა არ სჭირდება, არც კარიერული წინსვლისათვის და არც თავის პროფესიაში თვალსაჩინო წარმატებების მიღწევისათვის.

სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების კონცეფცია ჩვენში სრულყოფილად დამუშავებული არ არის, ამიტომ ჰგონიათ სტუდენტებსაც და უფრო ზემდგომებსაც, რომ მეორე და მესამე საფეხურზე სტუდენტმა ბაკალავრიატში მიღებული პროფესიული ცოდნა უნდა გაიღრმაონ, ანუ დოქტორანტურის კურსდამთავრებული ინჟინერი უფრო სრულყოფილ საინჟინრო ცოდნას ფლობს, ვიდრე ბაკალავრი და მაგისტრი, ამიტომ არის, რომ ზოგიერთ ბობოლა ე.წ. პოლიტიკოსსა თუ სხვა ცნობად სუბიექტს ბრალს რომ წაუყენებენ ხოლმე, ისინი ფეხებს აფიჩინებენ: გინდათ თუ არა მაგისტრმა მოსამართლემ დამკითხოსო! რატომ მაგისტრმა? იმიტომ, ალბათ, რომ ბაკალავრს საამისო ცოდნა აკლია! აბა რატომ აქვს მინიჭებული იურისიტის კვალიფიკაცია? ანდა, ბაკალავრ ექიმს პაციენტის გასინჯვის (მკურნალობაზე არაფერს ვამბობთ!) უფლება არ უნდა ჰქონდეს, თუ მას ექიმის კვალიფიკციის დამადასტურებელი დიპლომი (სერტიფიკატი) აქვს? აბსურდია ამგვარი მიდგომა!

ჩვენი აზრით ბაკალავრის ცნება ამგვარად უნდა განისაზღვროს: ბაკალავრი არის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესინალი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ამა თუ იმ სპეციალობის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ხშირად გვინახავს, რომ საბაკალავრო განათლების ახალგაზრდა სულ სხვა სპეციალობაზე ორიენტირებულ მაგისტრატურაში (ან დოქტორანტურაში) აგრძელებს სწავლას (მაგალითად, იურისტი მიდის ჟურნალისტიკის მიმართულებას მაგისტრატურაში ანდა პირიქით), როცა ასეთ ახალგაზრდას ეკითხები, რატომ მიდიხარ სხვა პროფესიული მიმართულების მაგისტრატურაშიო, გიპასუხებს: ახალი პროფესია მინდა ავითვისოო.

ეს თუ ასეა, მაშინ სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება არ გვქონია!

აბა, მაშ, რა ამოცანა დგას, რა ფუნქცია აკისრია უმაღლესი სკოლის მეორე საფეხურს - მაგისტრატურას?

ამა თუ იმ პროფესიის სრულყოფილი ცოდნა საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ იგი სხვასაც ასწავლო. არა და, საზოგადოებრივი მოთხოვნა, ანუ სოციალური დაკვეთა მკაცრი იმპერატივებით ითხოვს ამას, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოების სოციალური მომზადების ამოცანა, მით უფრო მკაცრად არის რეგლამენტირებული პროფესიული მომზადების ვადები და სივრცე.

გახსოვთ, ალბათ, ფილმი ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" - იმ ფილმში მეწაღე გიჟუას (მსახიობი ა. ხორავა) ჰყავს შეგირდი გოგია (მსახიობი გ. შენგელაია), რომელიც მეწაღეების უსტაბაშმა (მსახიობი ვ. გოძიაშვილი) ოსტატად აკურთხა (კვალიფიკაცია მიანიჭა). რა ხნის არის ამ დროს გოგია? სულ მცირე 18-19 წლის. რა ხნის მოზარდებს მიაბარებდნენ მშობლები შეგირდად ოსტატს? 6-7 წლის ასაკში, ანუ მაშინ, როდესაც მოზარდს უკვე შეეძლო გარკვეული სოციალური შინაარსის აქტივობა. მაშ, რამდენი წელი მოანდომა მეწაღის პროფესიის დაუფლებას გოგიამ? დაახლოებით 10 წელი. დღეს ამ პროფესიას (ბევრად უფრო გართულებულს) 10-12 თვეში ეუფ-

ლებიან პროფესიულ სასწავლებლებში, რა გამოდის? გამოდის ის, რომ გიჟუა ვერაფერს ასწავლიდა, რადგან მას არ შეეძლო სწავლება. გოგია შემეცნების (დაკვირვებით, აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილებით) იღებდა ცოდნას და არა განათლებას, რომელიც ორგანიზებულ, რეგლამენტირებულ პროცესში ხორციელდება.

აი, სწორედ მაგისტრატურა არის უმაღლესი განათლების ის დამოუკიდებელი საფეხური, სადაც ესა თუ ის პროფესიონალი მზადდება იმისათვის, რომ თავისი პროფესიული (კეთების!) ცოდნა გადასცეს სხვებს.

ილუზიაა იმის შეგნება, რომ ადამიანმა რაც იცის, იმ ცოდნის გადაცემა სხვისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, უცოდინარის მიყვანა ცოდნამდე, ანუ სწავლება ადამიანური საქმიანობის სპეციფიკური ფორმაა, რასაც კანონები, კანონზომიერებანი და მეთოდები აქვს. აი, სწორედ სპეციალისტის საამისოდ მომზადების ფუნქცია აკისრია მაგისტრატურას. ამგვარ გაგებას ეფუძნება ის ცნებითი განსაზღვრა რაც წინა აბზაცშია წარმოდგენილი.

დოქტორანტურა უმაღლესი სკოლის მესამე და დამაგვირგვინებელი საფეხურია. მისი ფუნქციაა გააცნოს და შეასწავლოს მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს პიროვენების სოციალური განვითარების მეცნიერული საფუძვლები, ჩამოუყალიბოს მეცნიერული პლურალიზმის ობიექტური აუცილებლობის შეგნება და საამისო უნარ-ჩვევები, ასწავლოს მათ მეცნიერული კვლევების ტექნიკა და მეთოდიკა.

ისე, რომ მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური წოდებები (თუ ხარისხები) პედაგოგიური შინაარსისაა და იგი არ გამოხატავს მისი მფლობელის პირველადი პროფესიული კვალიფიკაციის (კეთების ცოდნის) დონეს.

ზემო აღნიშნული შეფასებითი ცნებების საფუძველზე განისაზღვრება უმაღლესი სკოლების სამსაფეხურიანი განათლების კურსდმთავრებულთა პროფესიული საქმიანობის მიზანშეწონილი სფეროები: ბაკალავრი უნდა ეწეოდეს თავისი პროფესიონალური ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციასა და თავისი ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამის ორგანიზატორულ ადმინისტრაციულ საქმიანობას.

მაგისტრს შეუძლია თავისი პროფესიული (კეთების) ცოდნა გადასცეს ნებისმიერი ასაკის მოზარდებს მათი განვითარებისა და იმ სასწავლო დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით (სკოლა, კოლეჯი ლიცეუმი და ა. შ.), სადაც ისინი სწავლობენ უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულების გარდა.

დოქტორს, თავისი აკადემიური ხარისხის წოდების მიხედვით შეუძლია ასწავლოს უმაღლეს სკოლაში, რადგან იქ, ისწავლება არა მეცნიერებათა და პრაქტიკულ პროფესიათა საფუძვლები, არამედ მეცნიერებანი და სტანდარტული პროფესიების ტექნოლოგიები.

ზოგადად, თუ ვიტყვით, მეცნიერება რომ ასწავლო ადამინს, თვითონ უნდა იყოს განსწავლული მეცნიერული შემეცნების ფორმებსა და მეთოდებში, საამისო ტექნიკასა დ ტექნოლოგიებში, ზრდასრული, სოციალურად მომწიფებული პიროვნების ინტერესებისა და სწავლის მოტივაციურ სტრუქტურაში და კიდევ სწავლებასთან დაკავშირებულ ბევრ ფსიქოლოგიურ -პედაგოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა საკითხებში, რომლის ცოდნა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანს წესით და რიგით უნდა ჰქონდეს.

ასეთია, მოკლედ, უმაღლესი განათლების სისტემისათვის დამახასიათებელი ცნებების შინაარსი.

### 3. „კეთების ცოდნა“ და მეცნიერული თეორიის ერთიანობის უზრუნველყოფის სტრატეგია.

პროფესიული განათლება „კეთების ცოდნის“ მოთხოვნაზე უნდა იყოს აგებული და პროფესიულ სწავლებას საფუძვლად უნდა ედოს პრინციპი“ „ვიცი-შემიძლია“. სხვაგვარად პროფესიული მომზადების ვერცერთ საფეხურზე (ელემენტარულ უმაღლესამდე) წარმატებას ვერავინ

მიაღწევს ,,ვიცი-შემიძლიას“ პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ამა თუ იმ პროფესიის ადამიანში ამ პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნა და მისი რეალიზაციის უნარ-შესაძლებლობანი ერთად, განუყრელად არსებობს. ამგვარ სიმბიოზში პრაქტიკული უნარ-შესაძლებლობანი, ფაქტობრივად ყველასთან იდენტურია, მაგრამ თეორიული ცოდნა ერთ შემთხვევაში შეიძლება პრიმიტიული ან ელემენტარული იყოს, მეორე შემთხვევაში აბსოლიტურად მაღალმეცნიერული, მეცნიერების განვითარების ულტრათანამედროვე დონისა. მაგრამ,საქმე ის არის, ვინ რა დონეზე და რა ფორმით დაეუფლა პროფესიას. ელემენტარული პროფესიული განათლების, მაგრამ მრავალმხრივ პრაქტიკული გამოცდილების ოსტატის თეორიული ცოდნა მის პრაქტიკულ-პროფესიულ გამოცდილებას ეფუძნება; ინჟინრის პრაქტიკულ-პროფესიულ უნარები მისი სამოქმედო დარგის, ანუ მისი სპეციალობის მეცნიერული საფუძვლების ღრმა და მყარ ცოდნაზეა დაფუძნებული, ამიტომ ძალუძს მას შეცვლილ სიტუაციაში არაორდინალური და არატიპობრივი ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი კორექტივების შეტანა საკუთარ (და სხვის) სტანდარტულ მოქმედიანობაში, რაც უმაღლესი განათლების არმქონე სუბიექტს (იშვიათი გამონაკლისის გარდა“) არ ხელეწიფება.

პროფესიული განათლების დაბალ საფეხურებზე არავის გაუხდა საეჭვოდ ,,კეთების ცოდნის“ ამოცანის გადაწყვეტის პრიორიტეტულობა. მეტიც! ამ საფეხურზეა. სწორედ ეს არის ერთდერთი პროფესიული მომზადების მიზანი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით უმაღლეს განათლებაზე (ყოველ შემთხვევაში, ჩვენში!). ზოგჯერ უმაღლესი განათლების დიპლომს ისე აძლევენ ახალგაზრდას, რომ მას ჯერ კიდევ არსებითი ხარვეზები აქვს პრაქტიკულ-პროფესიულ საქმიანობაში: თანდათან ისწავლის, როდესაც პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაებმებაო, ამიტომ არის, რომ უმაღლესი სკოლის ახალ კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად საქმის კეთებას არ ანდობენ. არა და პირიქით უნდა იყოს. ამ მდგომარეობას რა თქმა უნდა სუბიექტური მიზეზებიც აქვს, მაგრამ მთავარია ის ობიექტური ფაქტორები, რაც უმაღლესი სკოლის სასწავლო პრაქტიკაში მოქმედებს

მთავარია ხელის შემშლელი ფაქტორი, ,,კეთების ცოდნის“ დაუფლების გზაზე ის არის, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში ჯერ კიდევ სრულად არ არის მიღწეული თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. გასული საუკუნის 70-იან 80-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სისტემაში, განსაკუთრებით ტექნიკური განათლების სფეროში იყო ამ პრობლემის გადაწყვეტის ცდები. შეიქმნა კიდეც გარკვეული მოდელები. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ,,ქარხანა-უმაღლესი სასწავლებელი“. მალე გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო ეს პროექტები ჩაიშალა.

სწავლების როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე თეორიებში ცოდნის მყარად ათვისებისა და თეორიული განზოგადებების კონკრეტულ-საგნობრივი სახით წარმოდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, ამგვარი ერთიანობა ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს (დიდი იქნება ის თუ პატარა) რასაც ასწავლი თეორიულად, მყისვე (ანუ უახლოეს დროში) მოსთხოვო მისი შესაბამისი პრაქტიკული მოქმედიანობის განხორციელება, ანუ თეორიული ცოდნის რეალიზაცია. ეს არის სწორედ თეორიული ინფორმაციის პრაქტიკად გარდაქმნა. უმაღლესი სკოლის მიმართ საზოგადოებრივ-სოციალური დაკვეთაც ასეთია, რაც გამოიხატება მოთხოვნით მეცნიერების საწარმოო ძალად გადაქცევის შესახებ.

ზემო აღნიშნული პედაგოგიური მოთხოვნა (შეიძლება ითქვას - პრინციპი), ასე თუ ისე ხორციელდება საშუალო განათლების სისტემაში, კერძოდ მათემატიკასა და გრამატიკის სწავლებაში, სხვაგან იგი არც ისე პოპულარული და მისაღებია, მით უფრო, უმაღლეს სკოლაში , განათლების სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის შეფასების სისტემაში. კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის შეფასების სისტემა, მიუხედავდ უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა, ნაკლებად უწყობს ხელს ლექცია-სემინარებზე მიღებული ინფორმაციების

ცოდნად გადაქცევის საქმეს, რადგან ინფორმაციის გადაცემა და მისი შესაბამისი მოქედიანობის განხორციელება დროში ძალიან დაცილებულია ერთმანეთს, ამასთან, ცოდნის შეფასება სისტემატიურად კი არა, პერიოდულად ხორციელდება. ყოველივე ეს აფერხებს კეთების ცოდნისა და უნარების დროულად ჩამოყალიბებას ანუ პიროვნების პროფესიონალიზაციის პროცესს.

საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობის უზურნველყოფა ჩვენი უმაღლესი განათლების სწავლების სისტემაში სტრატეგიული პრობლემაა, იგი სწავლების მეთოდიკის რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს. ამგვარი გარდაქმნისას შესაძლებელი და აუცილებელია როგორც ისტორიული გამოცდილების გამოყენება, ისე აქა თუ იქ განხორციელებული ნოვატორული ვარიანტები.

### 4. უმაღლესი განათლების პრქტიკის გლობალური და ეროვნული ასპექტები

უმაღლესი პროფესიული განათლება, რა თქმა უნდა, გლობალური ამოცანების გადაწყვეტა ითვალისწინებს და საერთო პრინციპებსა და მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება. ცხადია ინჟინრის, ექიმისა და ვექილის კვალიფიკაცია სასურველი და აუცილებელია ერთანაირი იყოს საქართველოშიც და ინგლისშიც, ბურკინა ფასოსა და აშშ-ც. როგორც არ არსებობს ფრანგული ან ჩინური მათემატიკა და ფიზიკა, ასევე არ არსებობს ფრანგული ან ჩინური ინჟინერია და მედიცინა, მაგრამ უმაღლეს განათლებას ეროვნული ამოცანაც აქვს. ეს არის ხალხის მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების დაფუძნება ეროვნულ ტერმინებსა და ცნებებზე. უმაღლეს სასწავლებლებში ტერმინოლოგიას ის ენა ამკვიდრებს, რომელზედაც სწავლება მიმდინარეობს, როგორც წესი, უცხოენოვან სასწავლებლებში დიდი სახელმწიფოების ენები გამოიყენება სწავლების ენად ანუ ის ენები, რომლებსაც საერთაშორისო ენების სტატუსი აქვთ მინიჭებული. უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალების ის უცხოური ცნება-ტერმინები, რაც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, მასობრივ სალაპარაკო ლექსიკაში შემოაქვთ, ასეთი ცნება-ტერმინები კი ძალიან ბევრია. აი, მაგალითად, უკვე თითქმის დამკვიდრდა ქართულ სამეტყველო პრაქტიკაში და ხშირადაც იხმარება ისეთი უცხოური ცნება-ტერმინები, როგორიც არის მესიჯი, მარკეტი, შოპინგი, ონლაინი და სხვ. ასე თუ გაგრძელდა, ე.წ. საერთაშორისო ტერმინები ისე გაბატონდება, რომ ქართულ სამეტყველო აზროვნებას შინაარსს შეუცვლის. ფართო მასშტაბით განხორციელდება. ამიტომ, უმაღლესი განათლების ეროვნული ფუნქცია ისიც არის, რომ მეურნეობისა თუ კულტურის სფეროში გამოსაყენებელი ცნება-ტერმინები ქართული ენის წიაღში მოიძებნოს და დამკვიდრდეს.

## რეზიუმე

„უმაღლესი განათლების“ ცნება პედაგოგიკაში, ძირითადად, სწორად არის განმარტებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი თანამედროვე განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით დაზუსტებას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვა:** ,,ცნება“.

ZURAB TSUTSKIRIDZE
Coordinator of the Department of Pedagogical
and Pedagogical-Psychological
Research of the Scientific-Research Institute
of Pedagogy of Ilia University; Doctor of Pedagogy
OMAR TSKHADADZE
Rector of the Teaching University of the
Georgian Academy of Tourism Sciences, Doctor of Pedagogy;
Georgia, Tbilisi-Kutaisi

## SOME OF THE CONCEPTUAL PROBLEMS OF HIGHER EDUCATION THEORY CURRENT ISSUE

### Summary

The concept of "higher education" in pedagogy is generally correctly defined, but, in our opinion, it requires clarification of the specific features of modern development.
**Keyword**: "Concept".

**მაკა ბერიძე**
ასოცირებული პროფესორი
**მერაბ ბერიძე**
პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

## მულტიკულტურული უმაღლესი განათლება და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოცდამეერთე საუკუნეში მულტიკულტურულ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აქტუალურია და თანამედროვე კვლევებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. მულტიკულტურული განათლების მიმართ მზარდი ყურადღება ახსნილია მოთხოვნით, აღიზარდოს ადამიანი აზროვნების განსხვავებული მოდელით, რომელიც მას მოამზადებს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისთვის. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ კვლევათა უმრავლესობა განათლების საბაზო საფეხურს ეხება.

ბოლო სამი ათეული წელია, სხვადასხვა ორგანიზაცია, მკვლევრები მულტიკულტურული განათლებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. შესაბამისად, გაგვიჭირდება მულტიკულტურული განათლების, როგორც პედაგოგიური ცნების ერთგვაროვანი დეფინიცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ნაშრომთა ნაწილში სინონიმური მნიშვნელობით (უმეტეს შემთხვევაში), გვხვდება ტერმინი „ინტერკულტურული განათლება“. მიგვაჩნია, რომ ტერმინებს შორის არის

გარკვეული განსხვავება. ვიზიარებთ შეხედულებას, რომ „ინტერკულტურული განათლება არაა მიმართული მხოლოდ უცხოელი ან უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისკენ. იგი ეხება ყველა ბავშვს, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული და წარმოადგენს არა უთანასწორობის კომპენსაციის საშუალებას, არამედ მისი მიზანია თანასწორობის სწავლება თანასწორუფლებიან გარემოში“ (ტაბატაძე, 2008, 26). წინამდებარე სტატიაში გამოვიყენებთ ტერმინს „ინტერკულტურული განათლება“, როგორც ეს მოცემულია სფეროს მკვლევრების უმრავლესობის (ბენკსი,გეი,კუშნერი, ბენეტი და სხვ.) ნაშრომებში. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ჯეიმს ბენკსი. ბენკსი ხაზგასმით აღმიშნავს, რომ მულტიკულტურულ განათლებას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი, რომელიც გამოიხატება მრავლფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირების ხარჯზე. ამ მიზნის მიღწევა კი სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელს შეუძლია. ამისთვის მასწავლებელს სჭირდება სპეციალური ცოდნითა და უნარებით აღჭურვა. უპირველესად პედაგოგი უნდა ფლობდეს ცოდნას მულტიკულტურული განათლების კონცეფციების, მიმართულებების, თეორიისა და პრაქტიკაში მისი ასახვის გზების შესახებ. მასწავლებელს უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარი დამოკიდებულება აუდიტორიაში, საზოგადოებაში არსებული განსხვავებულობისადმი და გამოიმუშაოს უნარები, რომელთა მეშვეობითაც ის სხვადასხვა ეთნოსის, კულტურის, რასის, სქესის, სოციალური კლასის, რელიგიის და ა.შ. სტუდენტებთან წარმატებული საქმიანობის საშუალებას მისცემს (ბენკსი, 2014). ნაშრომში „მულტიკულტურული განათლება, საკითხები და პერსპექტივები“ (ბენკსი..., 1992) მულტიკულტურული განათლება გააზრებულია, როგორც სტუდენტთათვის თანასწორი გარემოს შექმნა, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მიუხედავად იმისა, რომელ ეთნიკურ, გენდერულ, რელიგიურ, ლინგვისტურ და სხვა ჯგუფს მიეკუთვნება ის. მულტიკუტურული განათლება უნდა ქმნიდეს განსხვავებული იდენტობის სტუდენტთათვის თანასწორობის ურყევ განცდას (ბენკსი,... 2020). ამერიკაში მულტიკულტურული განათლების საკითხი წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან გახდა აქტუალური, გარკვეული გზა გაიარა და აისახა უმაღლესი განათლების საფეხურზე. ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნულია:„.. სასწავლო პროგრამაში იქნება ასახული მულტიკულტურული პერსპექტივა... ყოველწლიურად ორი კურსი თითოეულ კოლეჯში იქნება მოდიფიცირებული მულტიკულტურული შინაარსისა და/ან პერსპექტივის გათვალისწინებით“.

შესაბამისად, მულტიკულტურული განათლება შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთგვარი ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია საგანმანათლებლო სივრცეში თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის, ადამიანური ღირებულებების იდეებზე, რაც აღიარებულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის აშშ-ს თავისუფლების დეკლარაციაში, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში და ა. შ.

იმდენად, რამდენადაც თითოეული უნივერსიტეტის მისიაში ხაზგასმით აღნიშნულია იმავე ღირებულების აღიარება, რაც ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში გვხვდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მულტიკულტურული განათლება უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

მულტიკულტურული განათლების თემა განსაკუთრებით აქტუალურია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტი ფუნქციონირებს რეგიონში, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, კულტურის წარმომადგენლები. უნივერსიტეტის სპეციფიკის აღწერა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი განთავსებულია 70 კილომეტრით დაშორებულ ორ ქალაქში - ახალციხესა და ახალქალაქში. სამცხესა და ჯავახეთში ქართველთა და სომეხთა პროცენტული მაჩვენებელი ორ განსხვავებულ რეალობას ქმნის. მოსახლეობის განაწილება (%) ეროვნების მიხედ-

ვით: (იხ. დიაგრამა 1. დიაგრამა 2. დიაგრამა 3. წყარო: https://www.geostat.ge/media/20679/2014-წლის-აღწერის-ძირითადი-შედეგები.pdf).

დიაგრამა 1: სამცხე-ჯავახეთი




დიაგრამა 2. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი




დიაგრამა 3. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი



როგორც ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით სამცხეში ქართველები შეადგენენ უმრავლესობას, მაშინ, როდესაც ჯავახეთში აბსოლუტური უმრავლესობა სომეხია. განსხვავებული მონაცემები ქმნის განსხვავებულ რეალობას, რაც უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ისე, რომ უცვლელი დარჩეს განათლების ენა და განათლების ხარისხი.

დღეს უნივერსიტეტი ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორი პროგრამებს. უნივერსიტეტის სტუდენტთა 30 პროცენტი სომეხია, სწავლობენ მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანი, მაჰმადიანი სტუდენტები, გვყავს აზერბაიჯანელებიც, რომლებიც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში მესხეთიდან გასახლებული ქართველების შთამომავლები არიან.

დღეს არსებული ვითარება უნივერსიტეტში წლების განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რამდენიმე მნიშვნელოვანმა მიდგომამ.

## 1. მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბება

მულტიკულტურული განათლების პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი გახსნის პირველივე დღიდან იქმნებოდა. თავიდანვე მკვეთრად განისაზღვრა მთავარი პრიორიტეტი: უნივერსიტეტი უნდა ქცეულიყო საგანმანათლებლო სივრცედ, სადაც ერთმანეთს შუამავლის გარეშე სახელმწიფო ენაზე დაელაპარაკებოდა ქართველი და სომეხი სტუდენტი, ასევე უნდა გაზრდილიყო განათლების მისაწვდომობა ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის, როგორც ადგილობრივი, ისე ეკომიგრანტი ახალგაზრდებისთვის. სწორედ აქედან დაიწყო უნივერსიტეტში მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ფორმირება და მის პირველ პუნქტად იქცა

**ა) აბიტურიენტთა ზემოთჩამოთვლილი ჯგუფებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.**

დასახული ამოცანა საკმაოდ ამბიციური აღმოჩნდა, საჭირო იყო კონკრეტული, რეალისტური ნაბიჯების დასახვა და გადადგმა. ასეთ ნაბიჯებად იქცა:

- ყოველწლიურად მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტიდან სპეციალური კვოტის დაწესება სომეხი აბიტურიენტებისთვის;
- ყოველწლიურად მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტიდან სპეციალური კვოტის გამოყოფა ჯავახეთში მცხოვრები ქართველი აბიტურიენტებისთვის;
- დონორთა მოძიება იმ სტუდენტებისთვის, ვინც მიღებული დაბალი ქულებით კვოტის მიღმა ფასიან სწავლებაზე აღმოჩნდებოდა;
- გამოცდების სათანადო დონეზე ჩაბარების უზრუნველსაყოფად მოსამზადებელი კურსების გახსნა როგორც სომეხი, ისე ჯავახეთში მცხოვრები ქართველი აბიტურიენტებისთვის.

ზედმიწევნით შესრულდა თითოეული პუნქტი. 1990 წლიდან 2005 წლამდე უნივერსიტეტში ყოველწლიურად კვოტის ფარგლებში (საერთო კონკურსში არ მონაწილეობა) ირიცხებოდნენ როგორც სომეხი, ისე ქართველი სტუდენტები ჯავახეთიდან.

პირველივე წლებში ნათლად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ჩარიცხვა არ აღმოჩნდა საკმარისი. სომეხი სტუდენტები ვერ ფლობდნენ განათლების ენას, ასევე უჭირდათ გამოცდების ჩაბარება ჯავახეთიდან ჩამოსულ კონკურსანტებს. საჭირო იყო უფრო მაღალი დონით მომზადებული სტუდენტების მიღება. სწორედ ამისთვის ახალციხეში გაიხსნა მოსამზადებელი კურსები სომეხი აბიტურიენტებისათვის, ხოლო ახალქალაქში ახალქალაქის პირველი ქართული საშუალო სკო-

ლის ბაზაზე მოსამზადებელი კურსები ყველა საგანში, რომელიც ბარდებოდა მისაღებ გამოცდებზე. შედეგები თვალშისაცემია, ყოველ წელს კვოტები სრულად იყო ათვისებული.

**ბ) იმდენად, რამდენადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის თანაბარი ხარისხის განათლების მიცემას, დღის წესრიგში დადგა სასწავლო პროცესის ადაპტირება სპეციალური კვოტით ჩარიცხული სტუდენტებისთვის. ეს მეორე სერიოზული გამოწვევა იყო.**

ახალგახსნილმა უნივერსიტეტმა საკუთარი რეალობის და საჭიროების გათვალისწინებით თავად დაიწყო შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა და განხორციელება. გაიხსნა ქართული ენის კაბინეტი სომხურსკოლადამთავრებული სტუდენტებისთვის. აქვე სწავლობდნენ აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუდენტები. სასწავლო პროგრამის პარალელურად ისინი ქართული ენის კაბინეტში იუმჯობესებდნენ ქართული ენის ცოდნის დონეს, ეცნობოდნენ ქართულ კულტურას. თითოეულ სტუდენტთან მეცადინეობა მიმდინარეობდა ინდივიდუალურ რეჟიმში. იქვე, ქართული ენის კაბინეტში, იქმნებოდა მეთოდიკა, რომელსაც დღეს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკას ვუწოდებთ. მეცადინეობა შეეძლო ყველა მსურველს, არ იყო შეზღუდული არც სწავლების საფეხური. ძალიან მალე უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებულები და ქართული ენის კაბინეტის გამოზრდილები, თვითონ გახდნენ მასწავლებლები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა 2002 წელს ახალქალაქში თსუ ჯავახეთის ფილიალის გახსნამ.

**გ) სწორედ ფილიალის ამოქმედებას უკავშირდება სასწავლო მოდელის შემუშავება, რომელიც ახალქალაქში არსებული ქართულენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრადობის სერიოზული გარანტი გახდა.** მოდელი გულისხმობდა შემდეგს: უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთაგან სწავლების პირველ წელს სომეხი სტუდენტები სწავლობდნენ ქართულ ენას, ხოლო ქართველები _ სომხურს. მეორე წლიდან სტუდენტები იწყებდნენ სპეციალობის დაუფლებას უკვე სახელმწიფო ენაზე. ეს იყო იმ დროისთვის ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ახალი, მაგრამ ძალიან საინტერესო მოდელი, რომელიც მალე კიდევ უფრო დაიხვეწა _ სწავლების მეორე წელს სომეხი სტუდენტებისთვის სპეციალობების მიხედვით შეიქმნა ტერმინოლოგიის სპეცკურსები ქართულ ენაზე.

თსუ ჯავახეთის ფილიალში შემუშავებული მოდელი (მცირე მოდიფიკაციით) მოგვიანებით საყოველთაოდ დაინერგა ქართულ უნივერსიტეტებში.

### 2. მასწავლებელთა მომზადება და სასწავლო რესურსის შემუშავება

მულტიკულტურული განათლების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია როგორც ადამიანური, ისე სასწავლო რესურსი. ადამიანური რესურსის მომზადება, როგორც უკვე აღინიშნა, დაიწყო თსუ ახალციხის ფილიალის გახსნის პირველივე დღეებიდან. კადრების მომზადების ერთგვარ სამჭედლოდ იქცა ქართული ენის კაბინეტი (ხელმძღვანელი ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე). სწორედ ქართული ენის კაბინეტის ბაზაზე განისაზღვრა ის ძირითადი კომპეტენციები, რომლითაც უნდა ყოფილიყო აღჭურვილი მასწავლებელი. მულტიკულტურული განთლების მასწავლებლის სათანადოდ მომზადებაზეა დამოკიდებული განათლების ხარისხი. პროფესიული განვითარება _ უმთავრესი გასაღებია მასწავლებელთა მომზადების პროცესში, რომელმაც უნდა განაპირობოს პრობლემის სხვადასხვა კუთხიდან ანალიზი, კრიტიკული აზროვნება. მხოლოდ ასეთ მასწავლებელს შეუძლია მრავალფეროვან აუდიტორიასთან „გამკლავება“. ამგვარი მიდ-

გომის შედეგი იყო ჯავახეთში განათლების სამინისტროსა და ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა კომისრის მიერ დაფინანსებული პროექტები _ „სახელმწიფო ენის სწავლება ჯავახეთის სომხურენოვანი სტუდენტებისათვის". პროექტების ფარგლებში შეირჩნენ საუკეთესო სპეციალისტები, რომელთაც გადაამზადეს მომავალი მასწავლებლები, გადამზადების კურსები იყო შემუშავებული უმაღლეს დონეზე, ითვალისწინებდა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას და მორგებული იყო ქართული ენის სწავლების თავისებურებებს. შემუშავდა და დაიწერა პირველი წიგნები როგორც დამწყებთათვის, ისე ენის ფლობის სხვადასხვა დონის სტუდენტებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალობების მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელოები, რომლებიც ტერმინოლოგიის დაუფლებაში ეხმარებოდა სტუდენტებს.

### 3. სასწავლო გარემო და ღონისძიებები, რომელთა მიზანი ადაპტაცია/ინტეგრაციაა

სხვადასხვა დროს უნივერსიტეტში ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მულტიკულტურულ სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც თანაბარ პირობებს ქმნის ყველა განსხვავებული ჯგუფისთვის, უზრუნველყოფს სტუდენტთა სწავლის მოტივაციის გაზრდას, რაც აკადემიური მოსწრების მკვეთრად ზრდაში აისახება. კულტურულად ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, სასწავლო კურსების სილაბუსებში კულტურული დინამიკის ხაზგასმა, იმის გააზრება, რომ სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელს შესწევს უნარი, სასწავლო აუდიტორია აქციოს უსაფრთხო გარემოდ, სადაც ნებისმიერ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია ღიად გამოხატოს საკუთარი აზრი და ისწავლოს სხვისი აზრის პატივისცემა, საფუძვლად დაედო უნივერსიტეტში მულტიკულტურული განათლების პოლიტიკას.

მრავალკონფერსიურობა უნივერსიტეტისათვის არის სიმდიდრე, რაშიც არაერთგზის დავრწმუნდით როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ისე სტუდენტები. როდესაც ამა თუ იმ სარწმუნოების მრევლი იკრიბება ეკლესიაში, ყველანი ერთი და იმავე რელიგიის წარმომადგენლები არიან. თითოეული სარწმუნოების ლიდერი, მღვდელი ან სხვა რანგის სასულიერო პირი ქადაგებს საკუთარი რელიგიის უკეთესობას, უპირატესობას. მართალია, ამ შემთხვევაში არ ხდება სხვა რელიგიის ფონად გამოყენება და შედარება უპირატესობის დასადასტურებლად, მაგრამ საწინააღმდეგო აზრის უქონლობა, რაც ჩვეულებრივი ამბავია დოგმატური აზროვნების დროს, ფუნდამენტალიზმის გარკვეულ ნიშნებს შეიცავს. სხვაგვარი მდგომარეობაა უნივერსიტეტში, სადაც, ჩვეულებრივ, გვერდიგვერდ სხედან მართლმადიდებლები, კათოლიკეები, გრიგორიანები და მუსლიმები. მათ ემატება ზოგიერთი სექტის წარმომადგენელიც. უნივერსიტეტს შეუძლია ეს გამოიყენოს სასიკეთოდ და შეუძლია, პირიქით, დააპირისპიროს ახალგაზრდები. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სათანადოდ მომზადებული და გამოცდილი პროფესორი. ქართული ენის კაბინეტის ხელმძღვანელის სასწავლო პროგრამის ფარგლებში ტრადიციად იქცა პირველკურსელების პრეზენტაციები თემაზე: „რას მასწავლის ჩემი რელიგია". სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელი სტუდენტები საუბრობენ თავიანთ სარწმუნოებაზე, თუ როგორ ხედავენ ისინი საკუთარ რელიგიას და თვითონვე დაასკვნიან, რომ თითოეული რელიგიის საფუძველში ჰუმანური იდეები, ადამიანისა და ღმერთის სიყვარული დევს, რომ სულაც არ არის ათი მცნება ერთი რომელიმე რელიგიის საკუთრება და სხვა. ამ სიმდიდრეს იყენებს ჩვენი უნივერსიტეტი, როგორც სწავლების ინსტრუმენტს სასიკეთოდ. ექსკურსიები, ერთობლივი ღონისძიებები, საჯარო ლექციები, კონკურსები, ღია ლექციები ტოლერანტობასა და მრავალფეროვნებაზე _ საუნივერსიტეტო ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაა ქცეული.

უნივერსიტეტის ღიაობასა და კულტურული მრავალფეროვნებისადმი მიმღებლობას შეუძლია, მოიზიდოს განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების სტუდენტები და ამავდროულად კეთილად განაწყოს ერთმანეთის მიმართ. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში აყალიბებს უნივერსიტეტის საკუთარ სახეს.

## 4. ახალი ინიციატივები და მულტიკულტურული განათლების პერსპექტივები

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობამ საშუალება მოგვცა, გავცნობოდით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას (ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, გერმანია, უკრაინა...). დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით გადამუშავდა ქართული ენის მომზადების პროგრამა და გამდიდრდა ისეთი კურსებით, როგორიცაა, მაგალითად: „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება". ტემპუსის პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის" ფარგლებში შეიქმნა ახალი სასწავლო კურსი „ინტერკულტურული განათლება - პედაგოგიური მიდგომები". ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა უმაღლეს განათლებაში მულტიკულტურული განათლების პერსპექტივები, რაც უნივერსიტეტში აქამდე არსებული პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელებაა. პერსპექტივად განიხილება ინიციატივა, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის, უცხოური ენების, არამედ ყველა პროგრამის სილაბუსში დაინერგოს ინსტრუმენტები, რომელიც ჩვეულებრივი, ტრადიციული სასწავლო გეგმიდან გარდაისახება მულტიკულტურული სწავლების სასწავლო გეგმად. 30-wliani საქმიანობის მიღწევაა ის, რომ აკადემიიური პერსონალი მზად არის ამისთვის. კერძოდ, ზემოთქმულის მიღწევა შესაძლებელია: ა) მულტიკულტურული სასწავლო კურსების შემუშავებით; ბ) შესაბამისი სასწავლო მეთოდების დანერგვით; გ)კვლევით კომპონენტში მულტიკულტურული კვლევების გაძლიერებით; დ)სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აზრის გათვალისწინებით. „მულტიკულტურული სკოლის რვა თავისებურება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: 1. სკოლის პერსონალის დამოკიდებულებები, აღქმა, შეხედულებები და ქმედებები; 2. ფორმალიზებული კურიკულუმი და კურსი; 3. სწავლა/სწავლების მორგება მოსწავლეთა კულტურულ თავისებურებებზე; 4. სკოლის ენა და დიალექტები; 5. სასწავლო მასალები; 6. შეფასებისა და ტესტირების პროცედურები; 7. სკოლის კულტურა და უხილავი კურიკულუმი; 8. კონსულტირების პროგრამა" (მალაზონია..., 2016, გვ.20.) თუ მოცემულ თავისებურებებს მივუსადაგებთ საუნივერსიტეტო რეალობას და შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად ყალბდებოდა მულტიკულტურული განათლების პოლიტიკა და სწორია დასახული პერსპექტივებიც, შედეგად ლოგიკური და მდგრადი აღმოჩნდა სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური ჯგუფის სტუდენტთა მაღალი აკადემიური შედეგები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ურთიერთდამოკიდებულება, შეხედულებები და კონკრეტული ქცევა გახდა უფრო თავისუფალი და დემოკრატული.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბენკსი, 1992 - Banks James A. and Banks Cherry A. McGee, 2020, Multicultural education: issues and perspectives, 10th edition, by editors, Indianapolis, Ind., Wiley and Sons.
2. ბენკსი, 2010 - Banks J. A. 2010.Educating citizens in multicultural society. New York: Publishers.

3. ბენკსი, 2014 -Banks James A., 2014. An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, https://www.pearsonhighered.com/
4. ინტერკულტურული განათლება – პედაგოგიური მიდგომები, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, 2015, თბილისი, https://online.gordon.ac.il/pluginfile.
5. მალაზონია დავით, მაღლაკელიძე შორენა, ჭიაბრიშვილი ნინო, გახელაძე გიორგი, 2016. ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://library.iliauni.edu.ge
6. ტაბატაძე შალვა, ნაცვლიშვილი ნათია, 2008. ინტერკულტურული განათლება, http://www.reading.ge/storage

## რეზიუმე

მულტიკულტურული განათლების თემა განსაკუთრებით აქტუალურია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, რადგან უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ქართველებთან ერთად სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში და ერთმანეთის გვერდით სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, ენობრივი კუთვნილების და კულტურის წარმომადგენლები.

დღეს მულტიკულტურული განათლების კვლევათა დიდი ნაწილი საბაზო საფეხურს (სასკოლო განათლებას) ეხება. სტატიის მიზანია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნიერსიტეტის მაგალითზე განიხილოს მულტიკუტურული განათლების საკითხი უმაღლეს საგანმნათლებლო დაწესებულებაში.

სტატიაში განხილულია უნივერსიტეტში მულტიკულტურული განათლების დანერგვის ეტაპები: მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავდა განსხვავებული ეროვნების, რელიგიის აბიტურიენტთა ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდას; მათთვის თანაბარი ხარისხის განათლების მიცემას, საბოლოოდ განსხვავებული სასწავლო მოდელის შემუშავებას, რომელიც ახალქალაქში არსებული ქართულენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრადობის სერიოზული გარანტი გახდა. ყურადღება მახვილდება მასწავლებელთა მომზადების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, ახალ ინიციატივებსა და მულტიკულტურული განათლების პერსპექტივებზე.

**საკვანძო სიტყვები:** სამცხე-ჯავახეთი, მულტიკულტურული განათლება, უმაღლესი განათლება, ეთნიკური მრავალფეროვნება, განათლების პოლიტიკა, მასწავლებელთა მომზადება

MAKA BERIDZE
Associate Professor
MERAB BERIDZE
Professor
Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

## MULTICULTURAL HIGHER EDUCATION AND SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY

### Summary

The topic of multicultural education is especially important for Samtskhe-Javakheti State University, as the university is functioned in a region where  Armenian and  Georgian populations live and study together. These are people of different nationalities, religions, languages and cultures.

Most multicultural education research today deals with the basic level (school education). The aim of the article is to discuss the issue of multicultural education in a higher education institution on the example of Samtskhe-Javakheti State University.

The article discusses the stages of implementation of multicultural education at the university: establishing a multicultural education policy, which included increasing access for groups of entrants of different nationalities, religions; Giving them an equal quality of education, finally developing a different educational model, which has become a serious guarantee for the sustainability of the Georgian-language educational institution in Akhalkalaki. Special place has been taken of teacher training, new initiatives and perspectives on multicultural education.

**Keywords**: Samtskhe-Javakheti, multicultural education, higher education, ethnic diversity, education policy, teachers trainings.

**ნანა გოგიჩაშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ფსიქოლოგიის დოქტორი
საქართველო, თბილისი

## პირველკურსელების სასწავლო პროცესთან ადაპტაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები

კრიტიკული და კრეატული აზროვნება, ემოციური ინტელექტი, ინფორმაციული, ციფრული და მედია წიგნიერება, აზროვნების მოქნილობა, სიახლისადმი ღიაობა და მიმღებლობა, პროდუქტიულობა და კულტურული კომპეტენცია - აი, ის უნარები რომლებიც ახალმა საუკუნემ და ტექნიკურმა პროგრესმა ნამდვილად დააყენა ე.წ. ახალი ტიპის ადამიანის წინაშე, ადამიანის, რომელიც სწრაფად ცვალებად სამყაროში სწორად, ეფექტურად და წარმატებულად მიიღებდა სწორ გადაწყვეტილებას ცხოვრების ნებისმიერ სფეროსთან მიმართებაში. შესაბამისად, იგივე მოთხოვნები დაუდგა უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც თავის მხრივ, პასუხისმგებლები არიან არა მარტო მომავალი პროფესიონალების აკადემიურ ცოდნაზე, არამედ ისეთი ადამიანე-

ბის ფორმირებაზე, რომლებსაც უდავოდ ექნებათ ის თვისებები, რომელთა საშუალებით ისინი იქნებიან რეალიზებული და მოთხოვნადი, ეცოდინებათ პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური მოდელები და იქნებიან წარმატებულნი პიროვნულ და პროფესიულ სფეროში. აღნიშნული პოზიცია იმასაც გულისხმობს, რომ უმაღლეს სასწავლებელს უდავოდ ეკისრება ის პასუხისმგებლობა, რომ სკოლის მერხიდან მოსულ უკვე პირველკურსელებს, აწ უკვე სტუდენტის სტატუსის მქონე ადამიანებს შეუქმნას ყველა ის პირობა, რომ მათ შეძლონ სრულყოფილი და ეფექტური ადაპტაცია ახალ აკადემიურ სასწავლო გარემოსთან, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის რესურსების ოპტიმალური გამოყენებით და საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტების პოტენციალის გამოვლენა/რეალიზაციით.

საუნივერსიტეტო სწავლის დაწყება ძალზე მნიშვნელოვანია პირველკურსელებისათვის რამდენიმე ასპექტის გამო. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ დროის შუალედი სკოლის დამთავრებასა და უნივერსიტეტში სწავლის დაწყებას შორის, საკმაოდ მცირეა და სწორედ ამ ეტაპზე დგება იმ უკვე ფორმირებული უნარ-ჩვევების შეცვლის აუცილებლობა და დასახული მიზნების კორექტირება, რომლებიც ერთი მხრივ, პიროვნულ დონეზე აქვს გამჯდარი და გათავისებული სასკოლო სწავლების მიზნებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, სწორედ ამ თვისებებმა უნდა შეუწყოს ხელი მას ახალ გარემოსთან ახალი სოციალური სტატუსით ადაპტირებაში. მაგ. დამოუკიდებლობა, ცნობისმოყვარეობა, ინიციატივა, ახალ გარემოსთან მორგება, ქცევის ახალი წესების დაუფლება, სტუდენტის სტატუსის გაცნობიერება და მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ სტუდენტი საკმაოდ ახლოს ეცნობა მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სპეციალობას, იქ არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატს, დღის განრიგს და სალექციო კურსებს, ეცნობა როგორც საკუთარ ჯგუფელებს, ისე სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ როგორც თავისი სპეციალობის, ისე სხვა სპეციალობის სტუდენტებს, ეცნობა აგრეთვე განსხვავებული საგნების პედაგოგებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ეუფლება სხვადასხვა ფორმით ანგარიშგებას(სემინარი, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და სხვ) და სხვ. შესაბამისად, სტუდენტს საკმაოდ სერიოზული ძალისხმევა სჭირდება, რომ წარმატებით დაძლიოს მოცემულ ეტაპზე არსებული სირთულეები, რადგან ეს არის ეტაპი, რომელიც არსებით და უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემდგომ განვითარებაზე, როგორც პროფესიული თვითგამორკვევის, ისე პიროვნული თვითრეალიზაციის თვალსაზრისით.

საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან სტუდენტების დეზადაპტაციამ შეიძლება გამოიწვიოს სტრესი, აკადემიური წარუმატებლობა ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დარღვევა, ხოლო მათი მოგვარებისათვის კი, აუცილებელია პედაგოგთა ან ადმინისტრაციის წევრთა მიერ სათანადო რეკომენდაციების მიცემა და დაკვალიანება. თავის მხრივ, ეს ფაქტორიც, გულისხმობს ადაპტაციის დარღვევის გარკვეულ ხარისხს. შესაბამისად, ადაპტაციის ხანგრძლივობა განსაზღვრავს სტუდენტების მიმდინარე და მომავალ წარმატებებს. ასეთი პრობლემები შეიძლება იყოს: სასწავლო რეჟიმთან შეგუება, პრობლემური ურთიერთობები ჯგუფელებთან, დასვენების რეჟიმისა და სასწავლო პროცესის შეუთანხმებლობა, ტექნიკური პრობლემები ელექტრონულ სწავლებასთან ან ლიტერატურასთან დაკავშირებით, შესაძლებელია არსებობდეს საცხოვრებელი პირობების პრობლემაც ან რაიონში მცხოვრებ მშობლებთან დისტანცირება და სხვ.

პირველკურსელების ფსიქო-სოციალური ადაპტაცია უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებითაც:

- ადაპტაცია საგანმანათლებლო პროცესის სტრუქტურასთან, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სასკოლო განათლების სტრუქტურისაგან. სტუდენტსა და პედაგოგს(ლექტორს) შორის ყალიბდება ბარიერი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და საუნივერსიტეტო

სწავლებას შორის არსებული რეალური განსხვავების გამო მეთოდური თვალსაზრისით. სწავლების ახალი გარემო მრავალი თვალსაზრისით აუფასურებს სკოლაში ათვისებულ დასწავლის მეთოდებს და შესაბამისად, სტუდენტის წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობა ხდება ახალი უნარების ფორმირება/დაუფლება, შინაგანი დისკომფორტის განცდის აღმოფხვრა და გარემოსთან შესაძლო კონფლიქტების ბლოკირება ან აღმოფხვრა.

- ახალ სოციუმში და ახალ ურთიერთობებში თავის დამკვიდრება, სადაც აუცილებლად უნდა განსაზღვრო „შენი ადგილი მზის ქვეშ", მოიპოვო ავტორიტეტი და ახალი ნაცნობების პატივისცემა. სტუდენტი, რომელიც უნივერსიტეტში ჩაირიცხა, საკუთარ თავს უსვამს კითხვებს: რა შემიძლია, რა არ შემიძლია, როგორ აღმიქვამენ ჩემი ჯგუფელები, სხვებზე უკეთესი ვარ თუ უარესი და სხვ.
- არჩეულ სპეციალობასთან ემოციური კონტაქტი, რაც გულისხმობს სწავლის საწყის ეტაპზე, არჩეული სპეციალობის მნიშვნელობის რეალურ გაცნობიერებას, თვითგანვითარებასა და თვითდისციპლინაზე ორიენტირებული ქცევის მოდელების ფორმირებას, აგრეთვე პროფესიულ დონეზე არსებული მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას და განვითარებას;
- ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუება, რაც გულისხმობს ისეთი უნარების ფორმირებას, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებაში, თავისუფალი დროის ეფექტურ დაგეგმვაში, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში და ა.შ.
- მშობლებთან ახალი ტიპის ურთიერთობის ფორმირება, ვინაიდან მოზარდი ნამდვილად ხდება დამოუკიდებელი ახლგაზრდა და აღარ ღებულობს კონტროლის იმ სქემას, რასაც სკოლის პერიოდში ჰქონდა ადგილი მშობლების მხრიდან.

ამრიგად, პირველკურსელი სტუდენტების სასწავლო პროცესებთან ადაპტაციის პროცესის შინაარსი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ახალი საგანმანათლებლო ნორმების, შეფასებების, დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდებისა და სხვა მოთხოვნების დაუფლება, ახალი ტიპის სამეცნიერო საქმიანობის სწავლება;

ბ) ადაპტაცია ახალი ტიპის საგანმანათლებლო ჯგუფთან/ჯგუფებთან და მის ნორმებთან;

გ) სტუდენტის სტატუსთან ადაპტაცია, სტუდენტური ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერება, თავისუფალი დროის ახალი ფორმით დაგეგმვა;

დ) პროფესიის მიმართ ახალი დამოკიდებულების ფორმირება;

ე) მშობლებთან ურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოყალიბება.

არსებობს სოციალური ადაპტაციის რამდენიმე ფორმა: დეზადაპტაცია, პასიური და აქტიური.

**დეზადაპტაციას** ახასიათებს ადამიანის მიზნებისა და საქმიანობის ტიპების გაურკვევლობა, მისი საკომუნიკაციო წრისა და გადასაჭრელი პრობლემების შევიწროება და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალი სოციალური გარემოს ნორმებისა და ღირებულებების უარყოფა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათთან მიმართებაში წინააღმდეგობის გაწევა. აგრეთვე შინაგანი დისკომფორტი, დაძაბულობა, შფოთვა, თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის დაქვეითება, რაც თავის მხრივ, ბლოკავს სტუდენტის გარემოსთან წარმატებით ურთიერთობის სქემას და შესაძლებელია, ეს ყველაფერი ემოციური პრობლემების სათავეც კი გახდეს.

**პასიური ადაპტაცია** გულისხმობს იმას, რომ სტუდენტი იღებს ჯგუფის ნორმებსა და ღირებულებებს პრინციპის „მე ყველას ვგავარ" - მიხედვით, თუმცა არ ცდილობს რაიმეს შეცვლას, თუნდაც ეს მის ძალებში იყოს. პასიური ადაპტაცია თავს იჩენს მარტივი და არართული მიზნების არსებობაში, თუმცა კომუნიკაციისა და პრობლემების გადასაჭრელი წრე უფრო ფართოა, დეზადაპტაციის დონესთან შედარებით.

**აქტიური ადაპტაცია,** პირველ რიგში, ხელს უწყობს ზოგადად წარმატებულ სოციალიზაციას. სტუდენტი არა მხოლოდ იღებს ახალი სოციალური გარემოს ნორმებსა და ღირებულებებს, არამედ მათ საფუძველზე აშენებს თავის საქმიანობას და ურთიერთობებს ადამიანებთან. ამავე დროს, ასეთი ადამიანი ხშირად უფრო და უფრო მრავალფეროვან მიზნებს აყალიბებს, თუმცა, ერთი მათგანი ხდება მთავარი მიზანი - სრული თვითრეალიზაცია ახალ სოციალურ გარემოში. აქტიური ადაპტაციის მქონე პირის კომუნიკაციისა და ინტერესების წრე ფართოა. საბოლოო ჯამში, ამ დონის ადაპტაცია იწვევს ჰარმონიულ ერთიანობას ადამიანებთან, საკუთარ თავთან და სამყაროსთან.

ჩნდება კითხვა - რაში მდგომარეობს გართულებული ადაპტაციის მიზეზები და როგორ არის შესაძლებელი მათი პრევენცია?

ამ მიმართულებით არსებულმა სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ პირველკურსელები წარმატებით ვერ ართმევენ გარკვეულ პრობლემებს თავს არა იმიტომ, რომ საშუალო სკოლამ მათ ვერ მისცა სათანადო განათლება, არამედ იმიტომ რომ მათ არა აქვთ განვითარებული ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა დამოუკიდებელი სწავლის უნარი, ახალ ცოდნასთან მიმართებაში შემეცნებითი მოტივაცია, საკუთარი თავის კონტროლისა და შეფასების უნარი, დროის ეფექტურად განკარგვის უნარი და სხვ. აღნიშნული პრობლემა ასევე ვლინდება სალექციო კურსების არჩევისას, დამატებითი ცოდნის შეძენის თვალსაზრისით პირველწყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებისას, დიდი რაოდენობის ინფორმაციის ანალიზისას და საკუთარი არგუმენტირებული პოზიციების დაფიქსირებისას.

ისიც ცნობილია, რომ უნივერსიტეტის სწავლების მეთოდები მკვეთრად განსხვავდება სკოლისგან, ვინაიდან საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა სტრუქტურირებული, რომ იგი მუდმივად უბიძგებს მოსწავლეს სწავლისკენ, აიძულებს მას რეგულარულ და სისტემურ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს იჩენს დაბალი აკადემიური მოსწრება, რასაც მოჰყვება მშობლების და მასწავლებლების საყვედურები. გუშინდელი მოსწავლე ხვდება სკოლისგან მკვეთრად განსხვავებულ აკადემიურ გარემოში, სადაც არ არის აუცილებელი ყოველდღიური მეცადინეობა, პირიქით, აქ არის ყოველდღიური სიახლეები - განსხვავებული ლექციები, სხვადასხვა პედაგოგები და აუდიტორიების მუდმივი ცვლა. რაც შეეხება სემინარებს, აღმოჩნდება, რომ თურმე არც აქ არ არის დიდი აუცილებლობა, რომ ყოველთვის იყო მზად ანუ სტუდენტი, რეალურად ხვდება სხვა სივრცეში სხვა აკადემიური მოთხოვნებით და ამ დროს, შესაბამისად, ჩნდება განცდა, რომ უნივერსიტეტში სწავლა სულაც არ ყოფილა რთული და გამოცდამდე ყველაფრის სწავლას მოასწრებს. სამწუხაროდ, სიტუაცია რადიკალურად იცვლება შუალედური თუ ფინალური გამოცდების წინ, როდესაც სტუდენტს ნამდვილად ექმნება უკვე სერიოზული პრობლემები სწორედ სწავლისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო. ცალკე საკითხია ვერ ჩაბარებული გამოცდები, ვერ მოპოვებული კრედიტქულები და შესაბამისად, ფინანსური დავალიანება, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება სტუდენტის შრომისუნარიანობის, თვითორგანიზაციის, საკუთარი თავის რწმენისა და სწავლისადმი ინტერესის დაქვეითების წინაპირობა.

ამრიგად, გართულებული ადაპტაციის მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს:

- სასკოლო გარემოსთან და კლასელებთან დაშორების შედეგად გამოწვეული უარყოფითი განცდები;
- არასწორი მოლოდინები საუნივერსიტეტო სწავლებასთან მიმართებაში ;
- არჩეულ პროფესიასთან მიმართებაში მოტივაციის არარსებობა (სხვისი სურვილით არჩეული პროფესია) და მასთან მიმართებაში არასაკმარისი ფსიქოლოგიური მზაობა;
- დამოუკიდებელი ქცევისა და საქმიანობის ფსიქოლოგიური თვითრეგულირების დაბალი ხარისხი და ან საერთოდ არცოდნა;

- სწავლისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმის ძიება ახალ გარემოსა და ახალ პირობებში;
- წიგნთან და ციფრულ მედიასთან დამოუკიდებელი მუშაობის დაბალი ხარისხი(კონსპექტის ან ჩანაწერის გაკეთება; საძიებო სისტემაში საჭირო ინფორმაციის მოძიება, ბიბლიოთეკაში მუშაობის უნარების არარსებობა და ა.შ.);
- თანაკურსელების, ჯგუფელების და ავტორიტეტული პედაგოგების წინაშე საჯარო გამოსვლის შიში;
- სკოლის სასწავლო პროგრამის ცოდნის დაბალი ხარისხი.

პირველკურსელების სასწავლო ადაპტაციის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჯგუფელებთან ურთიერთობა, რაც თავის მხრივ, ითვალისწინებს ზოგადად ჯგუფისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს და ჯგუფის დინამიკის პროცესების გათვალისწინების აუცილებლობას, რომლებიც გვხვდება თითქმის ყველა სასწავლო ჯგუფში. განვიხილოთ ჯგუფის განვითარების ფაზები:

- **ორიენტაციის ეტაპი (ადაპტაცია)** - ეს არის ჯგუფის ფორმირების, ჯგუფის შექმნის პერიოდი, როდესაც თითოეული სტუდენტი ეძებს თავის ადგილს და სვამს გარკვეული ტიპის კითხვებს: როგორ დავიმკვიდრო თავი? როგორ წარმოვაჩინო ჩემი თავი? ვინ არიან ეს ადამიანები? ნეტავ როგორები არიან? ვინ მომწონს? მიმიღებენ თუ არა მე? ნეტავ დავმეგობრდებით და ა.შ. ვინაიდან სტუდენტები ჯერჯერობით ერთმანეთს არ იცნობენ, ცდილობენ ძალიან არ იაქტიურონ(თუმცა, ესეც ინდივიდუალურია), დააკვირდნენ ერთმანეთს და საერთო ინტერესების საფუძველზე შეძლონ სხვებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება.
- **კონფლიქტის ფაზა** (გააქტიურება, აქტიური დაძაბულობა) - ამ ფაზაში სტუდენტებს აინტერესებთ ისეთი კითხვები, როგორიცაა, შემიძლია თუ არა აქ მივიღო ის, რაც მსურს? როგორ შემიძლია მივიღო ეს? ვინ და რა ხარისხით მოქმედებს ჩემზე მეტნაკლებად და თუ მოქმედებს, როგორ აისახება ეს ჩემზე? ამავე დროს, ჯგუფში ფარულად ან ღიად, მიმდინარეობს პასუხისმგებლობების გადანაწილების პროცესი, რომელიც იწვევს ემოციურ სტრესს. სტუდენტები, როგორც წესი, ღიად არ ეთანხმებიან ერთმანეთს, ხდება თვალსაზრისების პოლარიზაცია და ამ დროს, ჯგუფი შეიძლება დაიყოს ორ ან მეტ ბანაკად.
- **ჯგუფის გაერთიანების(შეჭიდულობის) ფაზა** - უთანხმოების შემდეგ, ხდება ჯგუფის ენერგიის კონცენტრირება კონფლიქტების შემცირებაზე, იმ ნორმების ფიქსაცია, რომლებიც განსაზღვრავს ჯგუფში ქცევის წესებს. გაურკვევლობა კვლავ ჩნდება სხვადასხვა ტიპის განცხადებებში, როგორც საწყის ეტაპზე, თუმცა, ისინი უკვე ემსახურება სხვა მიზნებს - უთანხმოების ფორმის შეცვლას.
- **კონსენსუსის ან მხარდაჭერის ფაზა** - ჯგუფი უკვე ფუნქციონირებს როგორც ერთი სამუშაო ჯგუფი, არჩევენ და იღებენ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს, დისკუსიის გზით მიდიან საერთო აზრამდე ანუ იქცევიან ისე, როგორც ახასიათებს მაღალი შეჭიდულობის მქონე ჯგუფს, თუმცა, იგივე ჯგუფი არ თრგუნავს ნეგატიურ ემოციებს და ცდილობენ კონსენსუსის გზით მივიდნენ საერთო გადაწყვეტილებამდე.

თუ ჯგუფი ვერ მიაღწევს ერთიანობას, მაშინ ის შეიძლება შეჩერდეს პირველ ან მეორე ფაზაზე. შესაბამისად, ჯგუფთან ადაპტაციის პროცესს თან ახლავს:

- შფოთვის დონის მომატება;
- აგრესიული ქცევა;
- არასაიმედო ქცევა;
- მეტოქეობა ჯგუფში;
- ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პირველკურსელებთან მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ გუშინდელი სკოლის მოსწავლეების აქტიურ და წარმატებულ ადაპტაციას საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან:

- სტუდენტების მიერ სწორი წარმოდგენებისა და მოლოდინების ფორმირებას საუნივერსიტეტო განათლებასთან დაკავშირებით. აგრეთვე მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნას;
- სწავლის პირობების შეცვლას და პრაქტიკული სწავლების წილის ზრდას(სპეციალობების გათვალისწინებით);
- კურატორების ან ჯგუფის ხელმძღვანელის(ადმინისტრაციის წარმომადგენლის) დახმარებას აკადემიური ჯგუფის/ჯგუფების ორგანიზებაში;
- ლექტორებისა და მაღალი კურსის სტუდენტების მიერ გაწეულ დახმარებას, რათა მოხდეს პირველკურსელ სტუდენტთა ჩართვა საგანმანათლებლო, სოციალური და კვლევითი მუშაობის დაგეგმვა/განხორციელებაში.

საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან სტუდენტების წარმატებული სოციალური ადაპტაციის მაჩვენებლებია:

- **ჯგუფის დონეზე:** ჯგუფში გაწევრიანება, გარკვეული სოციალური სტატუსის მოპოვება და კორპორატიული კულტურის წესებისა და ნორმების მიღება (ჯგუფი, ფაკულტეტი, უნივერსიტეტი);
- **უნივერსიტეტის დონეზე:** ინფრასტრუქტურის ცოდნა (შენობები, საერთო საცხოვრებლები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური კავშირი, სპორტული ცენტრი, კვების ბლოკი, კულტურის ცენტრი და ა.შ.), უნივერსიტეტის რექტორის, პრორექტორის, ფაკულტეტის, კათედრისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების შესახებ საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის ცოდნა.

წარმატებული საგანმანათლებლო ადაპტაციის მაჩვენებლებია:

- ეფექტური ორიენტაცია სასწავლო გეგმაში, აუდიტორიების, შენობებისა და კორპუსების ცოდნა;
- ბიბლიოთეკის, ელექტრონული კატალოგის, ინფორმაციული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა;
- დამოუკიდებელი მუშაობის და თვითორგანიზაციის უნარები (ლიტერატურული წყაროების შერჩევა, მათი ანალიზი, დროის დაგეგმვის უნარი და ა.შ.).

რაც შეეხება, პირველკურსელი სტუდენტების რეალიზაციის ხარისხს თვითაქტუალიზაციისა და საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ის სასურველია შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

- **ჯგუფის დონეზე:**
  - ✓ სტუდენტების მობილობის (სხვა უნივერსიტეტში გადასვლის) დაბალი პროცენტი;
  - ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაღალი მაჩვენებელი;
  - ✓ აქტიური პიროვნებათშორისი ურთიერთობები ჯგუფში;
  - ✓ ჯგუფის შიგნით კონფლიქტების არარსებობა;
- **თითოეული სტუდენტის დონეზე:**
  - ✓ სამეცნიერო მიმართულების გარკვევა(პროფესიაში თვითგამორკვევა);
  - ✓ სალექციო კურსის თუ რეფერატის წარმატებით ჩაბარების ან შესრულებისთვის საჭირო აკადემიური უნარების ფორმირება;
  - ✓ ჯგუფის, ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის საქმეებში მონაწილეობა;
  - ✓ თვითპრეზენტაციის უნარების დაუფლება;

- ✓ საგანმანათლებლო თუ კარიერული ტრაექტორიის შეგნებულად და დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის უნარების ფორმირება.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირველკურსელი სტუდენტების საუნივერსიტეტო სწავლებასთან ადაპტაციის სირთულეები მოიცავს როგორც სოციალურ, ისე ფსიქოლოგიურ ასპექტებს. კერძოდ, ფიქსირდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა სტუდენტის სტატუსთან დაბალი ინტეგრაცია და სტუდენტური ასაკის ღირებულებების, ნორმებისა და ქცევის სტანდარტების მიუღებლობა, რაც თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს სტუდენტის პიროვნულ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე და მისი მოთხოვნილებების დინამიკაზე, რაც ასევე თავის მხრივ, იწვევს სტუდენტის შინაგან რეორიენტაციას და განსაზღვრავს სტუდენტის წარმატება/წარუმატებლობის ხარისხს. სტუდენტურ ცხოვრებასთან წარმატებულ ადაპტაციას თავის მხრივ, ასევე აბრკოლებს საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულების სასკოლო სტერეოტიპი, მშობლების მზრუნველობისგან სრული თავისუფლების განცდა, სტუდენტის უფლებებისა და პასუხისმგებლობის, უნივერსიტეტში სწავლისა და ქცევის წესების არცოდნა, დამოუკიდებელი სამუშაო უნარების არარსებობა და ახალ სოციუმთან ურთიერთობის ფორმატის არცოდნა.

დაბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულთან მიმართებაში ანუ პირველკურსელთა სასწავლო რეჟიმთან დეზადაპტაციის პრობლემების აღმოსაფხვრელად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრევენციულ/კორექციულ ღონისძიებად მიმაჩნია საუნივერსიტეტო სივრცეში ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის ამოქმედება, რომლის საქმიანობის შინაარსი მორგებული უნდა იყოს სტუდენტების სასწავლო პროცესთან და სტუდენტის სტატუსთან ჯანსაღ ადაპტაციაზე და ამ მიზნით აღნიშნულმა სამსახურმა, სასურველია განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ:

- ➢ სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ტრენინგების ჩატარება ურთიერთობის საწყის ეტაპზე სტუდენტთა ჯგუფების შეჭიდულობისა და ერთმანეთისადმი ნდობის ფორმირება/განმტკიცების მიზნით;
- ➢ საუნივერსიტეტო სისტემასთან სტუდენტთა ადაპტაციის ხარისხის დიაგნოსტიკა და ადაპტაციის პროცესის ძირითადი სირთულეების იდენტიფიცირება;
- ➢ საჭიროების შემთხვევაში, პიროვნების ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა პირადი მახასიათებლების დასადგენად;
- ➢ საგამოცდო სესიების დროს ფსიქოლოგიური სტრესისა და თვითრეგულირების მეთოდების სწავლება;
- ➢ კონფლიქტური სიტუაციების იდენტიფიცირება საგანმანათლებლო ჯგუფებში და კონფლიქტების პოტენციურ მონაწილეებთან პრევენციული ზომების განხორციელება.

უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური სამსახურის მიერ განხორციელებული აღნიშნული ქცევითი აქტივობები, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფსიქოკორექციულ გავლენას მოახდენს პირველკურსელთა ადაპტაციის ხარისხზე და ხელს შეუწყობს:

- ➢ ერთიანი ადაპტაციური გარემოს შექმნას;
- ➢ სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობის ოპტიმიზაციას;
- ➢ სტუდენტის პიროვნულ განვითარებას, მისი ინტელექტუალური და პიროვნული პოტენციალის გამოვლინებას და მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერას;
- ➢ ზოგადად, უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესება/ამაღლებას;
- ➢ პირველკურსელების მიზანმიმართულ ჩართვას სოციალური და ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესში;

- პირველკურსელთა ინფორმირებულობას სწავლების პირველ თვეებთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ და ემოციური კრიზისების დაძლევის უნარების ჩამოყალიბებას;
- პროფესიული არჩევანის გაცნობიერებას, არჩეულ პროფესიასთან „შეჩვევას“ და მის შეყვარებას;

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში, პირველკურსელი სტუდენტების საუნივერსიტეტო სწავლებასთან ადაპტაციის გარკვეული სირთულეები, შესაძლებელია დაძლეულ იქნეს საკმაოდ წარმატებულად, თუკი უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაობა ორინტირებული იქნება სტუდენტის პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მისი სოციალური კომპეტენციის ზრდას და ცხოვრებისეული სტრესების დაძლევის ეფექტურ პროცესს, ასევე ასწავლის მას შესაბამის უნარებსა და ტექნიკას, რაც ხელს შეუწყობს უფრო წარმატებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ადაპტაციას. გარდა ამისა, ახალგაზრდების პიროვნების ინტელექტუალური, ემოციურ-ნებელობითი და კომუნიკაციური მახასიათებლების კოორდინაცია იქნება იმის წინაპირობა, რომ მას ნაკლებად ექნება დესტრუქციული მიდრეკილებებისა და ჩვევების, ანტისოციალური ქცევის განხორციელების სურვილი და შესაბამისად, მოახდენს საუნივერსიტეტი ცხოვრებასთან სწრაფ და ჯანსაღ ადაპტაციას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Дормидонтов Роман Александрович ПСИХОЛОГО-ПЕДАГОГИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ ГАУДЕАМУС, Т. 16, № 2, 2017 СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ АДАПТАЦИЯ ПЕРВОКУРСНИКОВ К ОБУЧЕНИЮ В ВУЗЕ https://cyberleninka.ru/article/n/sotsialno-psihologicheskaya-adaptatsiya-pervokursnikov-k-obucheniyu-v--vuze/viewer
2. Савункина А.А. Международный журнал экспериментального образования. – 2014. – № 10 – С. 277-279 СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ АДАПТАЦИЯ СТУДЕНТОВ-ПЕРВОКУРСНИКОВ «Краснодарский муниципальный медицинский институт высшего сестринского образования» https://www.expeducation.ru/ru/article/view?id=6095
3. Коршаков Д.В., Проблемы социально-психологической адаптации студентов первого курса "Педагогический вестник Карелии" Электронная версия журнала https://kiro-karelia.ru/activity/journal/nomera/problemy-socialno-psihologicheskoj-adaptacii-studentov-pervogokursa


# რეზიუმე


ნაშრომში განხილულია პირველკურსელების სასწავლო პროცესთან ადაპტაციის სოციალურ--ფსიქოლოგიური მახასიათებლები. კერძოდ: რა გამოწვევების წინაშე დგას გუშინდელი სკოლის მოსწავლე, როგორ უნდა მოახდინოს და ვინ უნდა დაეხმაროს საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან წარმატებულ ადაპტაციაში? პირველკურსელის ფსიქო-სოციალური პრობლემები შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი სახით - სასწავლო რეჟიმთან შეგუება, პრობლემური ურთიერთობები ჯგუფელებთან, დასვენების რეჟიმის და სასწავლო პროცესის შეუთანხმებლობა, ტექნიკური პრობლემები ელექტრონულ სწავლებასთან ან მოსაძიებელ ლიტერატურასთან დაკავშირებით. ნაშრომში ასევე განხილულია პირველკურსელთა სასწავლო რეჟიმთან დეზადაპტაციის პრობ-

ლემების აღმოსაფხვრელად, ერთერთი მნიშვნელოვანი კორექციული ღონისძიება, რომელიც გულისხმობს საუნივერსიტეტო სივრცეში ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის ამოქმედება რაც სერიოზულ ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სწავლის ახალ რეჟიმთან ადაპტაციის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** პირველკურსელი, ახალი გარემო, პრობლემები, ადაპტაცია, დეზადაპტაცია, კორექცია, ფსიქოლოგიური სამსახური.

NANA GOGICHASHVILI
Professor of
Guram Tavartqiladze Teaching
University
Doctor of psychology
Georgia, Tbilisi

# ADAPTATION OF FRESHMEN TO THE LEARNING PROCESS SOCIO-PSYCHOLOGICAL CHARACTERISTICS

## Summary

The paper discusses the socio-psychological characteristics of first-year students' adaptation to the learning process. In particular: what are the challenges facing yesterday's schoolboy, how should he / she act and who should help him / her to successfully adapt to university life? The freshman psycho-social problems can be expressed as follows: adaptation to the learning regime, problematic relationships with groups, disagreement between the relaxation regime and the learning process, technical problems related to e-learning or search literature. The paper also discusses one of the most important corrective measures to eliminate the problems of maladaptation with the educational regime of freshmen, which is to launch a psychological assistance service in the university space, which will provide serious psychological assistance to students in adapting to the new regime.

**Keywords:** freshman, new environment, problems, adaptation, dis adaptation, correction, psychological service.

**ინეზა იამანიძე**
მათემატიკის
აკადემიური დოქტორი
საქართველოს განათლების
მეცნიერებათა აკადემიის წევრი
საქართველო, თბილისი

# უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც მიმდინარე პროცესებს თუ გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს პოზიციასა და ოპოზიციას შორის გამართული პოლიტიკური კომპლექტების ეპოქაა; ეს არის მიზეზი იმისა, რომ რთული გახდა ქვეყანაში პოლიტიკური და სამოქალაქო წესრიგის შენარჩუნება, რაც აუცილებელია სახელმწიფოს განვითარებისათვის, ამ პირობებში მიმდინარეობს განათლების რეფორმაც, რომლის ახალი ეტაპი საქართველოში 2004 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

რეფორმის პროექტის გამოქვეყნებისთანავე, ცხადი გახდა, რომ აშკარად დაირღვა მემკვიდრეობის პრინციპი განათლების ძველსა და ახალ სისტემებს შორის, რაც მოსალოდნელიც იყო, მაგრამ არა ამ ფორმითა და შინაარსით, რასაც მაშინვე უარყოფითად შეხვდა განათლების სისტემის მუშაკების პროგრესული ნაწილი, რომლებმაც გამოაქვეყნეს სტატია და შეფასებაში ჩაწერეს, რომ:

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავის ვებ–გვერდზე განთავსებული კანონ–პროექტით ისეთ მიმართულებებს გვთავაზობს, რომლებიც სრულიად არ მიესადაგება ქართულ გენს, ქართულ სულს". ვფიქრობ, აღნიშნულ კანონ–პროექტში გამიზნულად არის დამალული საქართველოს განათლების პოლიტიკის ორიენტირი, ვინ უნდა „გამოუშვას" ამ კანონით მომუშავე ქართულმა სკოლამ. არ ჩანს ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ეროვნულობის კონკრეტული შინაარსი, ასევე სრულიად არ არის განსაზღვრული სკოლის ერთ–ერთი უმთავრესი ფუნქცია – აღზრდა, აღზრდის უპირატესობა, აღზრდის მიზანი. კანონპროექტში უგულველყოფილია პედაგოგიური ხარისხის ნორმები: შემოქმედებითობა, „ნოვატორობა" და ა.შ. რა თქმა უნდა ჩვენი მოსაზრებანი გაუთვალისწინებელი დარჩა – კანონპროექტი ძალაში შევიდა და ამოქმედების დღიდანვე კანონმა გააუქმა არატიპური სკოლების (გიმნაზია, ლიცეუმი, საავტორო სკოლა) მემკვიდრეობითობა, მათი საავტორო უფლებები. ფაქტია, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში მომავლის ქართული სკოლა მოიაზრება, როგორც მკაცრად ცენტრალიზებული! ამ კანონით მომუშავე ქართული სკოლა, ვერ შეუწყობს ხელს მოზარდის ნიჭისა და უნარ–ჩვევების გამოვლენას, დაინტერესებულ მოსწავლესაც ვერ მისცემს ცოდნის მაქსიმუმს. ამას იწვევს სწავლებაში ხარისხის ნორმების არ არსებობა. რაც დადასტურებულია იმით, რომ – საქართველოს საკუთარი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა არა აქვს. ე.ი. ირღვევა პედაგოგიკის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი- მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება–შეფასება, რომელიც წარმოადგენს არა მარტო პედაგოგიური ხასიათის ღონისძიებას, არამედ სახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმასაც და ამდენად იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებაა. ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო ვეყრდნობით საერთაშორისო კვლევების შედეგებს, რომელსაც აწარმოებს მსოფლიო ასოციაციები: (PIRLS), (PISA), (TIMSS) და რომელთა შედეგების მიხედვით 3–4 წლის უკან ქართული სკოლების საბაზო საფეხურის მიღწევის დონე ვერ გადალახა მოსწავლეთა 48,7%, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ენაზე ნიშნავს საშუალოზე დაბალ და ზოგადად დაბალი

დონის განათლებას, რაც არავის უხარია, მაგრამ ამ ფაქტს ვერ ეგუებიან უმაღლესი სასწავლებლები, რადგან ანალოგიურია აბიტურიენტთა ცოდნის დონეც, რაც არის მსაზღვრელი უმაღლესი სასწავლებლების სწავლების ხარისხისა, რაც რთული შესაქმნელია, მით უფრო, როცა სტუდენტის საბაზისო განათლება ამის საშუალებას არ იძლევა.

ყველას მოგვისმენია, შაბლონად ქცეული ბრალდებები, როცა უმაღლესი სკოლა ბრალს დებს საშუალო სკოლას კურსდამთავრებულთა ცოდნის დაბალი დონის გამო, თუმცა რადგან სკოლაში სწავლებაში ხარისხს მათი აღზრდილი პედაგოგები ქმნიან წუნი ისევ მათთან, უმაღლეს სასწავლებლებში აისახება. გამოსავალი არსებობს, წლების განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სწავლების ხარისხის მაღალ დონეზე წარმოება შედეგს იძლევა ერთადერთ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი და საშუალო სკოლები შეთანხმდებიან თანამშრომლობაზე, საერთო პრობლემების, მათ შორის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში; ჩვენი დღევანდელობისათვის საჭირო და სასარგებლო იდეების წინა პლანზე წამოწევით. ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა, რაც დასტურდება იმით, რომ თვით - ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის რექტორად მუშაობის პერიოდში, პრაქტიკულად მონაწილეობდა პედაგოგთა კადრების მომზადებაში. იცოდა, რომ სხვა შემთხვევაში დაზარალდებოდა სკოლა, დაზარალდებოდა მოსწავლე, რაც მოუთმენელია!

მოუთმენელია ისიც, რომ სკოლას არა აქვს ხარისხიანი სახელმძღვანელო სასწავლო დისციპლინებში, მასწავლებელს არა აქვს დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის საგანში, რომელსაც ის ასწავლის, ასე შეიქმნება ქაოსი სწავლებაში, რომელიც მართული ვერავის მიერ ვერ იქნება, ანუ პრობლემა დადებითად სკოლის მიერ ვერ გადაწყდება.

ის, რომ სისტემა შექმნილია მუდმივი არსებობისთვის, ეს არ ნიშნავს, მისი განვითარება არ უნდა ხდებოდეს დროსთან ერთად. ფაქტია ერთიანი გააზრებული სისტემის ჩამოყალიბება არცთუ ადვილი საქმე აღმოჩნდა.

დიახ, ახალ ჟამს ახალ ეპოქას, ახალი ადამიანი სჭირდება, რისთვისაც აუცილებელია სწავლების შინაარსის შეცვლა, დღევანდელი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ჩვენი მომავალი თაობის სწავლა–სწავლებას, რის შედეგადაც მათ დაკარგეს სწავლის ინტერესი, რაც საგანგაშოა. მოსწავლის ინდივიდუალური პოტენცია მარტო მისი საკუთრება არ არის, ის ეკუთვნის საზოგადოებას და ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავკარგოთ ინდივიდი, არადა „მოსწავლემ მაშინ იცის, როდესაც ცოდნის გამოყენება შეუძლია“ ეს უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის სიტყვებია. ზუსტად ამას მოითხოვს დღევანდელობა, XXI საუკუნის მახასიათებლები აუცილებლად გასათვალისწინებელია – დაეუფლო დროს დიდი ფილოსოფოსების რჩევაა, რასაც გათვალისწინება სჭირდება.

საკითხის სერიოზულობაზე მიუთითებს ის, რომ საქართველოში XX საუკუნის 20–იან წლებში სახელმძღვანელოების საკითხს იხილავდა პედაგოგიური სექცია, რომლის თავმჯდომარედ ბრძანებით დაინიშნა მ. ორახელაშვილი, მაგრამ ფაქტიურად სექციას თავმჯდომარეობდა დიმიტრი უზნაძე; სხდომაზე ირჩეოდა სახელმძღვანელოების პროექტები, ინიშნებოდნენ რეცენზენტები და თავიანთი დასკვნებით, სათანადო რეკომენდაციებით გადაჰქონდათ სამეცნიერო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად. ამ საქმესაც მეცნიერები ედგნენ სათავეში და უმაღლესი სკოლა, განსხვავებით დღევანდელისაგან; დღეს გრიფის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის ხარისხზე მათ მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები მეტყველებს. აღმაშფოთებელია ის მეცნიერული შეცდომები, რომელიც არსებობს სახელმძღვანელოებში, უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება მეცნიერების საფუძვლების სწავლება შეცდომებით. უპატიებელი შეცდომაა ის, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოებშიც კი არის შემთხვევები, ახალი მასალის ტექსტში სახელდება საკითხი, რომელიც პროგრამის მიხედვით შემდეგაა შესასწავლი. არის ფაქტები, რო-

ცა ალგებრის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების შესწავლისას 20 საათის ნაცვლად მოცემულია 4 საათი. არის ასეთიც, მასალას ეთმობა 4 საათი პროგრამის მიხედვით, მაშინ, როცა ეთმობოდა 35 საათი და კიდევ მეტი იყო საჭირო; საკითხი ეხება – კვადრატული განტოლების სწავლებას. წარმოუდგენელია, ზემოთაღნიშნული შემთხვევების ფონზე არ ითქვას, ის რომ ეს ფაქტიურად დაუძლეველ პრობლემებს უქმნის სკოლას, პედაგოგს, სწავლებისას შედეგის მიღწევაში, ინტერესს უკარგავს მოსწავლეს საგნისადმი და მიზეზი ხდება კონფლიქტისა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის – რაც საყურადღებოა; კონფლიქტი სწავლა–სწავლების პროცესში დღემდე არსებითად შეუსწავლელია. დრო და არსებული ვითარება იწვევს იმის აუცილებლობას, რომ პედაგოგიურ ფაკულტეტებზე საჭიროა ისწავლებოდეს კონფლიქტოლოგია, რაც ნაცადი მეთოდია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

კონფლიქტის შესაძლებლობა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის არის ის მოცემულობა, როცა მეორეს მიერ პირველისადმი წაყენებული სასწავლო ხასიათის მოთხოვნის შესრულება სცილდება პირველის სიამოვნების ზღურბლს, იქვე იწყება მოსწავლის ჩამორჩენა, რის გამოც დროის მოკვლას ცდილობს შეუფერებელი საქციელით. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქვეყანას არ გააჩნია აღზრდის კონცეფცია, გამოსავალი ერთადერთია, მხოლოდ შემოქმედებით პედაგოგიურ კოლექტივს შეუძლია სკოლის სინამდვილეში შესძლოს სწავლების, აღზრდის ხარისხის სრულყოფა, შექმნას განწყობა, დააინტერესოს მოსწავლე, ისე მიაწოდოს მასალა. ამისათვის გამოიყენოს დიმიტრი უზნაძის კონცეფცია, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის, პირველ რიგში სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, რათა მოსწავლე ჩაერთოს აქტივობაში, რის შემდეგაც შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება, მაგრამ ვერც ასეთი სკოლა შესძლებს გადაჭრას პრობლემა, რომელსაც უხარისხო სახელმძღვანელო იწვევს. ეს არის სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის, მოსწავლის ჩამორჩენის, ვიმეორებ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის (არაგარეგნულად გამოხატული) მიზეზი, როცა მასწავლებელი უძლურია, მიაღწიოს შედეგს – ხარისხს სწავლებაში. ვფიქრობ, უნდა შესძლოს უმაღლესმა სკოლამ გაიაზროს ჩვენი გამოცდილება და ხელში აიღონ ინიციატივა საკითხის მოგვარების მიზნით.

ვიცნობ იმ განწყობასაც, რომელიც საზოგადოებაში არსებობს არა მხოლოდ სკოლისა და მასწავლებლის მიმართ, არამედ საერთოდ ქვეყნის განათლების სისტემის მიმართ, რომ დღეს ქვეყანაში განათლება გლობალური, ნაციონალური პრობლემაა; რა გვჭირდება მომავალში, ხვალ – ცოტა ვინმემ თუ იცის.

მეორე მხრივ იკარგება დრო, ქვეყანაში შექმნილი ვითარება არ იძლევა იმედს იმისას, რომ ჩვენ შევძლებთ შევქმნათ ქვეყნის საიმედო მომავალი.

სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის შეცვლა სწავლა–სწავლებით სერიოზული განხილვის თემად უნდა იქცეს. ამ ოთხი სიტყვიდან აღზრდის უარყოფა საფუძველს აცლის არა მხოლოდ ქართულ პედაგოგიკას, არამედ პედაგოგიკას და საერთოდ პედაგოგიკის როგორც მეცნიერების პრინციპების უარყოფის ტოლფასია. ეს იქვე იწვევს ადამიანურ ღირებულებათა გადაფასებას, რაც პრაქტიკულად აშკარაა. პარალელურად ამ პროცესებისა, მიმდინარეობს მასწავლებლის წამყვანი როლის უარყოფა. კნინდება მასწავლებლის როლი, თუ სწავლების პროცესში აღიარებ მეთოდებს, რომლითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასების აკრძალვა, რაც აშკარაა ასუსტებს ხარისხს სწავლებაში და იქვე მასწავლებელს ანიჭებ მეთვალყურის როლს; რა თქმა უნდა ეს მისი ფუნქციების შეზღუდვის მცდელობაა. მოსალოდნელი შედეგი კი სკოლის ცხოვრებაში უწესრიგობის, ანარქიისა და არევ-დარევის შეტანაა, რაც უკვე აისახა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რასაც მოულოდნელობას ვერ დავარქმევთ. სრულიად სამართლიანია უმაღლესი სასწავლებლების პრეტენზიები. იმის შესახებ, რომ მათ არ აკმაყოფილებთ აბიტურიენტთა მომზადების დონე, რათა მოამზადონ პროფესიას დაუფლებული ადამიანები, და რაშიც მართლები არიან, მაგ-

რამ ვის ძალუძს უკეთ აღმოაჩინოს ის მიზეზები, რაც იწვევს არამზა პროდუქტის შექმნას, ამისათვის პრობლემებია გადასაწყვეტი, რაშიც დახმარება სჭირდება სკოლას, საჭიროა სამინისტროს ჩართულობით საკითხების გადაწყვეტა. დავიწყოთ იქიდან, რომ კანონი „ზოგადი განათლების“ შესახებ კატეგორიულად კრძალავს მოსწავლესთან დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას, რის გარეშეც მოსწავლე მის ცოდნაში ხარვეზის ან ხარვეზების გამოსწორებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს. მას დახმარება სჭირდება, აუცილებელია განსაზღვრული დონის მქონე ინდივიდის წინსვლისთვის ხელის შეწყობა, უფრო მაღალი სტატუსის მისაღწევად, რითაც ის მომავალში საზოგადოების სოციალურ მობილობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს. ამ პროცესებს განათლების რეფორმა უნდა ითვალისწინებდეს. რეფორმა მხოლოდ რაღაც სეგმენტი არ უნდა გახდეს, პროცესები უწყვეტად უნდა განვითარდეს, უკეთესი განათლების მიღწევის მიზნით იგი შანსს უნდა იძლეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ შეიცვალა დრო, მოთხოვნები, განათლების სისტემა კი იგივე დარჩა. რა იგულისხმება ამაში? ის რაც დრომ გადააფასა არ შეიძლება დარჩეს უცვლელი. გადაფასდა მოსწავლის კვალიფიკაცია – „წარმატებული“ და „წარუმატებელი“ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებულები, ზოგჯერ ხელმოცარულები რჩებიან, წარუმატებლები უმკლავდებიან სირთულეებს და ქმნიან საკუთარ ან საზოგადო ეკონომიკას. ვინ უნდა მართოს პროცესები? – სკოლამ, რომლის შემოქმედების ნაყოფი საზღვრავს ქვეყნის მომავალს და ეს პროცესები ბოლოსდაბოლოს უნდა განხორციელდეს მასწავლებლის მიერ ანუ დროსთან მიმართებაში. საჭიროა გადამზადდეს მასწავლებელი არა რაღაც ფრონტალური სახით, არამედ წინასწარ შედგენილი მეცნიერულ დონეზე შექმნილი პროგრამით, რომლის მიზანი უნდა ემსახურებოდეს XXI საუკუნის გამოწვევებს; ცოდნის ახალი კატეგორიების შესწავლით და არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსწავლის განვითარება, შევწყვიტოთ საბაზისო ცოდნის მიღებისთანავე და არ გავაგრძელოთ მანამ, სანამ ცოდნას ვერ გამოიყენებს პრაქტიკულად, რის მიღწევაც ადვილი არაა. არ შეიძლება გვერდი აუარო აკრძალვებს, რაც კანონითაა გათვალისწინებული. სკოლას ხარისხი სწავლებაში არ მოეთხოვება, და რა თქმა უნდა ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება კი არა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ის ორგანიზაციები ებრძვიან ხარისხს განათლებაში, რომლებიც ხარისხის განვითარებაში უნდა მონაწილეობდნენ. ეს პროცესი არ არის სასარგებლო ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღისათვის.

დავფიქრდეთ, შეიძლება თუ არა ამდენი პრობლემის ფონზე განვითარდეს სკოლა მიმართებაში დროსთან, შეიძლება კი მოხდეს სასკოლო განათლებისა და საუმაღლესო სასწავლებლთა მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა, ანუ რა გზით შეიძლება დღევანდელი სკოლისაგან მიიღონ სრულყოფილი პროდუქტი, თეორიულად ეს შესაძლებელია თუ აბსოლუტური სიზუსტით მოახდენ სახელმწიფო სტანდარტის დაცვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერა და რატომ – სტანდარტიზაციის დროს უპირველესი სტანდარტია სასწავლო პროგრამები და მისი მაქსიმალური განხორციელება. ამ შემთხვევაში იგი არაფრის მომცემია, რადგან ეს პროგრამები არ პასუხობს დროის მოთხოვნებს, სტანდარტით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების შინაარსი შესაბამისობაშია სასწავლო პროგრამებთან, ანუ მასთან სინქრონიზირებულია, ამიტომ ხელს არ უწყობს ხარისხს სწავლებაში. პირიქით, მხოლოდ აზიანებს მას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის, რაღაც შუქჩრდილები ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მიზნით, მაგრამ ითხოვება, მხოლოდ შედეგი, როცა არავინ იცის, როგორ მიიღწევა იგი, არადა ამის გამოცდილება არსებობს მსოფლიოში და სწორედ ეს არის ბერკეტი განვითარებული ქვეყნების ეკონომიური წინსვლისა. ჩვენ კი ომს ვუცხადებთ განათლებას, როცა ვთანხმდებით იმას, რომ სკოლიდან წავიდნენ გამოცდილი, პრაქტიკულად საქმის მცოდნე მასწავლებლები და სამაგიეროდ მათ ადგილებზე ჩაენაცვლონ არა პედაგოგიური განათლების მქონე პირები; ეს ნიშნავს სკოლას დატოვებას უმასწავლებლოდ და რა გველის სამომავლოდ, ის რაც ხდებოდა მსოფ-

ლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ყოფილ კოლონიებში, სადაც იწვევდნენ მასწავლებლებს, ლექტორებს, უცხო ქვეყნებიდან, რომლებიც ასწავლიდნენ მათ, იმის გამო, რომ არ ჰყავდათ საკუთარი კადრები. ეს არ არის ფანტაზია, ასეთი ხანგრძლივი მივლინებები საზღვარგარეთ არცთუ ისე იშვიათი იყო XX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს არ უნდა მოხდეს, საქართველოში, სწავლების იმპორტი, საბოლოოდ ამოძირკვავს ქართულს, ეროვნულ, ტრადიციულს. ასე, რომ სისტემაში მექანიზმების ნაკლებობა ქმნის საშიშროებას, სკოლა იპოვის თუ არა იმ გზას, რომლითაც საზოგადოებისათვის სასურველი პიროვნება, – სისტემის სრულქმნილი პროდუქტი შეიქმნება. შეუძლებელია დიაგნოსტიკური ხასიათის კვლევების პროცესი სისტემატური მონიტორინგის გარეშე, შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს მთლიან სისტემაში – მათ შორის აღზრდაში მნიშვნელოვანი მომენტები. აღზრდის კონცეფციის არ არსებობა ნიშნავს პედაგოგიკის უარყოფას, რადგან პედაგოგიკის საგანს შეადგენს პიროვნების აღზრდა, ხოლო თვით სიტყვა პედაგოგიკა ქართულად ნიშნავს „ბავშვის ტარებას“, რასაც ჩვენ დღეს ვახორციელებთ ისე, რომ არ ვიცით რა გზით ვატარებთ მას, რადგან უარს ვამბობთ – გონებრივ, ზნეობრივ, შრომით, ესთეტიკურსა და ფიზიკური ჩვევების ფორმირებაზე. ამრიგად, გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა, სიტუაცია პრობლემურია, პოზიცია რთულია, თუმცა არ არსებობს საქმის მოგვარების არანაირი მცდელობა საზოგადოებაში, არამედ სისტემაშიც კი.

მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში – ამ შემთხვევაში იგი ფუნქციააყრილ ინსტიტუტად რჩება, რაც – პარადოქსია!!! ერთი რამ ცხადია, ჩვენ ისე აღარ უნდა ვასწავლოთ, როგორც ვასწავლიდით. თუ სკოლამ XXI საუკუნის გამოწვევებს ვერ უპასუხა ამ საგანმანათლებლო სივრცის გარეთ აღმოჩნდება.

შედეგი სახეზეა, მოსწავლეებში იმატა აგრესიამ, იქამდე, რომ იყო სადისტური ქმედებების ფაქტებიც კი, თანაც სასკოლო ასაკის ახალგაზრდებს შორის – ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია, ისიც ნათელია, რომ ძალადობრივ, უხამს გადაცემებზე და ფილმებზე აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის, ამ გარემოში ძალიან გაუჭირდება ქართულ სკოლას – აღზარდოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სრულფასოვანი მოქალაქე, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებს, დუმან რეფორმის „მამები“ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სამსახურები. დუმს საინფორმაციო საშუალებები, არ ხდება მსჯელობა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, პირიქით ამის სერიოზული მიზეზი არის ის პიარტექნოლოგიები, სადაც აპრობირებულია ახალი ტიპის ოკუპაცია ინტერნეტისა და საინფორმაციო საშუალებებით. ასეთ სირთულეებში ადვილი არ არის გზის გაკვლევა, ჩიხში მოემწყვდევა სკოლა, როგორ გამოიყვანოს მოზარდი ამ მდგომარეობიდან, როცა ვიღაცის სურვილია დაანგრიოს მასში ეროვნული ცნობიერება. ეს ისევ საინფორმაციო საშუალებების გადასაჭრელი ამოცანაა, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს ეროვნული სახელმწიფოების შემდგომი არსებობა და რაც ცუდი საწყისია ერის მომავლისათვის. ერთი, ვინც ქვეყანაში ამ ვითარების შემფასებლად მოგვევლინა ქვეყნის პატრიარქია, რომელმაც სააღდგომო ეპისტოლეში ჩაწერა – „იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე“ და საწინააღმდეგოდ ამისა, პატრიარქი ამავე ეპისტოლეში გვაწვდის აღზრდის ღირებულებათა მთელ სისტემას. ისიც ფაქტია, რომ ამ სიტუაციაში ერთადერთი ნდობით გამორჩეული პირი მასწავლებელია, რადგან „მასწავლებლის სიტყვა ყოველნაირ იარაღზე ძლიერია“–ო ბრძანებს დიდი ფილოსოფოსი სოკრატე, მაგრამ ვიცით ჩვენ დღეს რას უნდა ემსახურებოდეს განათლება, კონკრეტულად კი სკოლა?

ცხადია გზა უნდა გავაგრძელოთ, არ უნდა შევეგუოთ დაცემას, უნდა მოვძებნოთ ძალა გზის გასაგრძელებლად, ვიფიქროთ მათზე „გავუფრთხილდეთ ჩვენს ახალგაზრდებს, თუ გვინდა, რომ გვქონდეს მომავალი“, – ამბობდნენ დიდი ქართველები, ჩვენც მივყვეთ წარმატებით ნაცად ამ ისტორიულ გზას. ფაქტები ადასტურებენ, რომ ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, დიმიტრი

უზნაძე და სხვა გამორჩეული პროფესორები არა მარტო ლექციებს, არამედ სემინარებსაც კი უტარებდნენ სტუდენტებს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა განათლების სისტემის განვითარების საქმეში, რითაც გაამაგრეს ეროვნული განათლების ტრადიციები და ფესვები XX საუკუნის ოციან წლებში. იგივე მდგომარეობაა დღესაც. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა მეცნიერთა ჩარევის გარეშე შეუძლებელია, მხოლოდ ასე შეიძლება ნელ–ნელა წარმატების მიღწევა სწავლებაში, თუმცა არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ პანდემიის პირობებში, კოვიდ–19–სგან გამოწვეულმა ვითარებამ შეცვალა მსოფლიო. ჩვენი დედამიწის მოსახლეობა ისეთი პრობლემის წინაშე დადგა, რომ გაჩერდა სამყარო. მსოფლიოს 177 ქვეყანაში, 1.3 მილიარდი ბავშვი და სტუდენტი ვერ დადის სასწავლებლებში. იუნესკოს გენერალური დირექტორი ქ–ნი ოდრი აზულე აცხადებს, რომ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი გლობალური სისტემის ასეთი რღვევა, როგორიც განათლების სისტემაა და რაც გამოიწვია კოვიდ–19–მა.

გასაკვირია ის, რომ სერიოზული შეფერხების წინაშე აღმოჩნდა არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებიც, შეფერხებებისა და შეცდომების გზებით მოუხდათ სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლა. ამ გზას დაადგა საქართველოც. პრობლემათა ზოგადი სურათი ასეთია, ფაქტობრივად ყველა სკოლა და ოჯახი არ ფლობს ციფრულ საშუალებებს, ლეპტოპს ან ისეთ ტელეფონს, რომლებზედაც შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი პროგრამების ჩატვირთვა. ყველა ოჯახს არა აქვს წვდომა ინტერნეტთან. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს არა აქვს სტატისტიკა დისტანციურ სწავლებაში ჩართულ მოსწავლეთა თუ სტუდენტთა რაოდენობაზე. ისიც ცნობილია, რომ ქვეყნის რეგიონების 45% არ არის ჩართული სწავლებაში იმიტომ, რომ არ ხდება ტერიტორიის დაფარვა ინტერნეტით, გასაკვირი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში დარღვეულია განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვეულია „ბავშვთა კონვენცია" (მუხლი 28.1); სირთულეს ქმნის ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის პროფესორებს არ გაუვლიათ გადამზადების კურსები. მასწავლებელთა ინიციატივად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თავად იპოვეს გზა ციფრულ სწავლებაზე მორგების საუკეთესო ხერხებიც და გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე, რაც კარგია, მაგრამ იგი არ არის ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული.

ბუნებრივია დაისმის კითხვა რა ვქნათ? დაველოდოთ პანდემიის დასრულებას და შესაბამისად, სწავლების უკვე გამოცდილ კლასიკურ ფორმატზე დაბრუნებას, მანამდე კი შევეგუოთ ხარვეზებით მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს, თუ ახლავე დავიწყოთ მოქმედება, რათა: შევაგროვოთ დისტანციური სწავლებისათვის წარმატებული საგანმანათლებლო რესურსები და ყველა ჯგუფის ოჯახებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ისინი, მაშინ როცა არავინ იცის როდის დასრულდება პანდემია? პასუხი ასეთია, ამ ვითარებაშიც თანამედროვე გარემოში ისევ აუცილებელია უმაღლესი სკოლისა და საშუალო სკოლის პრობლემების მოგვარების მომავლის გეგმებზე შეთანხმება, რადგან წყვეტა სწავლებაში, გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს, რაც აისახება მოსწავლეთა ცოდნაში, ნებისმიერ სასწავლო დისციპლინაში, რის სწავლებაც სავალდებულოა ეროვნული სასწავლო გეგმით. ერთი ცხადია, არ შეიძლება მასწავლებელი მარტო დარჩეს ამ ბრძოლის ველზე, არ იგრძნობა სამინისტროს ხელმძღვანელი როლი, არ ქვეყნდება მათ საიტებზე მსოფლიოს გამოცდილება ამ საქმიანობაში, სისტემის მუშაკებს არა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოში შეიქმნა, უფასო აკადემია, ხანის სახელწოდებით, რომელიც გახდა მწარმოებელი დისტანციური სწავლებისა მსოფლიოში, რისთვისაც შექმნა ვიდეო მასალები, რომელთა გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მოსწავლესა და სტუდენტს.

არის ორგანიზაცია, რომელიც უმოკლეს დროში გვპირდება რომ შექმნის ინტერნეტ პორტალს ამ ეტაპზე ერთად მუშაობისთვის, იგულისხმება მსოფლიოს ქვეყნები, რადგან აუცილებელია შე-

იქმნას მდგრადი ადგილი, მუდმივი ფორუმი ინტერნეტ სამყაროში. მაგალითად, ინტერნეტ–პორტალი, რომელიც მნიშვნელოვანი საშუალება იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებსა და განათლების სპეციალისტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. იდეაში არაჩვეულებრივი ჩანაფიქრია, რადგან ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანას ნამდვილად გაუჭირდება შეძლოს გადაჭრას პანდემიის პერიოდში სწავლებაში არსებული პრობლემები, ამიტომ საჭიროა ინფორმაციების მოპოვება, უკეთესი ვარიანტების ძებნა, ინტერნეტის გამოყენებით, რაღაც საერთო გადაწყვეტილების მიღება, რასაც მართვა და ხელმძღვანელობა სჭირდება, რადგან მოსწავლე–ახალგაზრდობას არ შეეზღუდოს ხარისხიანი განათლების მიღება, რაც ქვეყნის მომავალი განვითარების მსაზღრელი არგუმენტია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დიმიტრი უზნაძე – შრომები, V ტ, თბილისი, "მეცნიერება" 1967.
2. დავით ლორთქიფანიძე – დიდაქტიკა. თსუ, თბილისი, 1981.
3. დ. გურგენიძე საქართველოში პედაგოგიური აზრის ისტორიიდან."განათლება" თბილისი 1981.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა. მოპოვებულია ვებ-გვერდიდან.
5. ვ. სლასტენინი – პედაგოგიური განათლება XXI საუკუნის ფონზე. მოსკოვი, 2010.
6. ლალი ბერძენიშვილი, ინეზა იამანიძე და სხვები. ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს. 2004. 01.08. გაზეთი,ლიტერატურული საქართველო".
7. ფ. კოტეტიშვილი – ნაშრომი უმაღლეს სასწავლებელში განათლების დონის ამღლებისთვის.

თბილისი, გამომცემლობა „განათლება", 2004.


# რეზიუმე


სტატიაში განხილულია ის საჭირბოროტო საკითხები, რომელთა პირისპირ დარჩა საშუალო სკოლა. სწავლებაში დაბალი ხარისხის მიუხედავად არ ტარდება მონიტორინგი აკადემიური ხარისხის შემოწმების მიზნით. მოუთმენელია ფაქტი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში არ არსებობს აღზრდის კონცეფცია, რაც ერთი მხრივ უგელებელყოფს პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას და მეორე მხრივ ხელს უშლის პიროვნების ფორმირებას, რისი უარყოფითი შედეგები სახეზეა. სტატიაში აღნიშნულია იმ სირთულეების შესახებ, რასაც იწვევს XXI საუკუნის გამოწვევები და ის პირობები რაც შექმნა კოვიდ–19–ის პანდემიამ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში.



**საკვანძო სიტყვები**: კონცეფცია, მასწავლებელი, მოსწავლე, აღზრდა, განათლება, სისტემა, პანდემია, გამოწვევა, მონიტორინგი.

INEZA IAMANIDZE
Doctor of Mathematics.Member
of Georgian Academy
of Education and Sciences
Georgia,Tbilisi

## HERITAGE AND MODERNITY OF HIGH SCHOOLS AND SECONDARY SCHOOLS

### Summary

The article discusses the issues that high school students face. Despite the low quality of the teaching, no monitoring is conducted to check the academic quality. It is impossible to tolerate that there is no concept of upbringing in the country, which on the one hand neglects pedagogy as a science and on the other hand prevents the formation of personality, the negative consequences of which are obvious.The article mentions the difficulties caused by the challenges of the XXI century and the conditions created by the Kovid-19 pandemic in the world and in our country.

**Keywords:** concept, teacher, student, upbringing, education, system pandemic; Challenge, monitoring.

**ნოდარ ბარამიძე**
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ემერიტუსი პროფესორი
საქართველო, ბათუმი

## სუბიექტივაცია, მოტივი და ნებელობითი ქცევა

წინამდებარე სტატიის დაწერის მიზეზი გახდა ი. იმედაძისა და ზ. ვახანიას ახალი ნაშრომები [10][11][6][7], რომლებშიც ავტორებისათვის ჩვეულ აკადემიურ სტილში, ორიგინალურადაა გააზრებული ნებისყოფის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. სტატიის მიზანია ამ ნაშრომების განხილვის კვალდაკვალ, ყოველგვარი პოლემიკური მიზანდასახულობის გარეშე, წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებებიც შესაბამის საკითხებზე.

ი. იმედაძე თავის ნაშრომში [10] ეხება უზნაძის შენიშვნების რვეულში 1949 წლის 5 იანვრის თარიღით გაკეთებულ ჩანაწერს: „ობიექტივაციისათვის, ე. ი. გარეგნულად ობიექტივაცია, ნამდვილად კი სუბიექტივაცია" [16] და გვთავაზობს სუბიექტივაციის უზნაძისეული გაგების არსს:

სუბიექტივაციის შემთხვევაში ადამიანს აქვს წინასწარი პოზიცია, რაღაც მოსაზრება, განწყობა და მის დადასტურებას, გამართლებას ცდილობს. ეს პროცესი გარეგნულად ჰგავს ობიექტი-

ვაციას. სუბიექტი დიდი ყურადღებით აკვირდება ვითარებას, აქაცაა „შეჩერების აქტი“, მაგრამ ფაქტობრივად ეს არის „დაკვირვება არა ობიექტური, არამედ უფრო სუბიექტური“. ამიტომაც იგი აღმოაჩენს არა რაიმე ახალს (ობიექტური ვითარების შესატყვისს - ნ. ბ.), არამედ უკვე შეწყნარებულს, დაადასტურებს მის მიერ წინასწარ მიღებულს. ნამდვილი ობიექტივაციის შემთხვევაში წინასწარ არაფერია შეწყნარებული. აქ კი ძიებაა იმისა, რაც უკვე შეწყნარებულია.

იმედაძის მართებული შეფასებით, სუბიექტივაცია კარგი ტერმინია, იგი არ უნდა დაიკარგოს. მისი აზრით, სუბიექტივაციის ტერმინი „ზედმიწევნით კარგად ერგება ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ნებისყოფის პროცესის მოტივაციური მხარის დახასიათებას [10,26]. იგი ასე მსჯელობს: რადგანაც უზნაძის მიხედვით, მოტივი არის ის, რაც ქცევას ფსიქოლოგიურ აზრსა და გამართლებას აძლევს, რაც, იმედაძის აზრით იმას ნიშნავს, რომ „მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულებაა“, „მაშინ მოტივაციის პროცესს, რომელშიც ქცევის სუბიექტური ღირებულების გამოვლენა ხდება, ზუსტად შეესაბამება ტერმინი „სუბიექტივაცია“. ამ ტერმინით შეიძლება აღინიშნოს ის მოტივაციური პროცესი, რომელიც ამზადებს გადაწყვეტილებას (იმის გარკვევა და შეწყნარება, თუ რომელ ქცევით ალტერნატივას აქვს მეტი ღირებულება სუბიექტისთვის). მაგრამ მოტივაციის პროცესი არ სრულდება გადაწყვეტილების მიღებით. ის მთელ ქცევას გასდევს. შესაბამისად, სუბიექტივაცია დინამიკური პროცესია, რომელიც იწყება ქცევის სუბიექტური ღირებულების გარკვევით და გრძელდება ამ ღირებულების შენარჩუნებაზე მიმართული აქტივობით, რომელსაც თანამედროვე ფსიქოლოგიაში თვითრეგულაციას უწოდებენ. სუბიექტი სხვადასხვა ხერხებს მიმართავს, რათა ქცევას არ დაეკარგოს მიმზიდველობა (ღირებულება), ბოლომდე იქნეს მიყვანილი და დასრულდეს“ [10,27-28].

ქცევის მიმზიდველობის შენარჩუნების ერთ-ერთ ხერხად იმედაძე ნებელობითი ქცევის განხორციელებაში ცნობიერების ჩართვას გულისხმობს. სუბიექტივაციის აქტების ჩართვის საჭიროებას ხედავს იგი შორეული მოტივაციური ქცევის მიმდინარეობაშიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ სუბიექტივაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითრეგულაციის მექანიზმები, თვითრეგულაცია კი თანამედროვე ფსიქოლოგიას კოგნიციურ პროცესებზე დაჰყავს, გასაგებია, რომ სუბიექტივაცია არსებითად კოგნიციური პროცესია.

რა შეიძლება ითქვას ნებელობით ქცევაში სუბიექტივაციის ადგილის იმედაძისეული გაგების შესახებ? ვფიქრობთ, ამ გაგებაში არის ჭეშმარიტება. მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის ძირითადი საფუძველია მკვლევარის აზრი, რომ მოტივი უზნაძისათვის არის ქცევის სუბიექტური ღირებულება, ჯერ ვნახოთ რამდენად ასახავს რეალურ ვითარებას ეს აზრი.

მაშასადამე, საკითხი ასე დგას: გამომდინარეობს თუ არა მოტივის შესახებ უზნაძის გამონათქვამებიდან, რომ ყველა შემთხვევაში და ყოველთვის „მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულებაა“. აი, რას და როგორ ამბობს დ. უზნაძე: მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის და ამ აზრით იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა. ფსიქოლოგიურ აზრსა და მნიშვნელობას ქცევას მოტივი აძლევს. სწორედ იგი ხდის ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას გარკვეულ ფსიქიკურ ქცევად. ნებისმიერი ქცევა არსებითად, მოტივის საფუძველზე ხდება შესაძლებელი. მოტივით განსაზღვრული ნებისყოფა ადამიანს ხშირად ისეთ ქცევას ჩაადენინებს, რომელიც სრულიად არ არის მისთვის მიმზიდველი... „ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი კი არ არის მოქმედების ან ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც მას“ [14,206]. ნებელობის ამოცანა იმაშია, ამბობს დ. უზნაძე, რომ „იმას, რაც ემოციურად სრულიად არ მოგწონს ამჟამად, არ გინდა - უნდა მიმართო“, ახალი ქცევა განახორციელო, „რომელიც არა აფექტური, არამედ ჭეშმარიტად ვოლიტური ქცევაა“. „ძნელი ის კი არაა, რომ აზროვნებით სწორი გადაწყვეტილება ჰპოვო, თუ როგორ სჯობს მოიქცე“, არამედ „ქცევის ცხოველური მექანიზმის“ დაძლევაა ძნელი [16,85-86].

ვფიქრობთ, ყველა ამ გამონათქვამში ერთმნიშვნელოვნად არ ჩანს, რომ მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულებაა, რომ ქცევის არჩევა ხდება მისი მომენტური სუბიექტური ღირებულების მიხედვით. უფრო პირიქით, არჩევანის საფუძველია ამა თუ იმ ქცევის უპირატესობის გაცნობიერება, რომლის კრიტერიუმია არა აქ და ამჟამად მოცემული ვითარება, ქცევის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობა, არამედ მომავალი გარემოება, რომელიც ერთნაირად შეიძლება ეხებოდეს ქცევის სუბიექტსაც, სხვასაც და საზოგადოებასაც. ტერმინი სუბიექტური კი ვიწროს, წარმავალს, პირადულს გამოხატავს. რომელიმე ქცევის ჩემთვის გამართლება და ფსიქოლოგიურად მიღება არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყოველთვის პასუხობს ჩემს აქტუალურ მოთხოვნილებებს, რომ მისი მოტივი ანუ აღმძვრელი ეს მოთხოვნილებებია. რეალურად მოტივი არის ის, რამაც მიმაღებინა ეს ქცევა. მაგრამ თუკი მე ამ ქცევას, მისი მომავალი შედეგების გათვალისწინებით, ვიწყნარებ და ახლა ვასრულებ, ეს უკვე აქტუალური მოთხოვნილებებისაგან სრულიად განსხვავებული პიროვნული მექანიზმების თუ ძალების ჩარევის შედეგია.

ძნელად გასაგებია, რანაირად შეიძლება აქტუალური მოთხოვნილებით აღძრული და მის დასაკმაყოფილებლად წარმართული ქცევის მოტივიც იყოს ამ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული სუბიექტური ღირებულება და მომავალში მოსალოდნელი (ჩემი თუ სხვისი) მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამიზნული ქცევის მოტივიც იყოს იგივე სუბიექტური ღირებულება. მართალია, მეორე შემთხვევაშიც ქცევა ფსიქოლოგიურად მიღებულია, მაგრამ მისი მიღება, მიმდინარეობა და მიზანი პირველი კატეგორიის ქცევისას სრულიადაც არ ჰგავს. ანდა, ქცევის მიღებისა და განხორციელების მექანიზმებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს განსხვავება ხომ ფენომენოლოგიაში აშკარად ჩანს: აქტუალური მოთხოვნილებით აღძრულ ქცევას სწორედ მისი ფენომენოლოგიური მხარე, მოთხოვნილებასთან უშუალოდ დაკავშირებული ემოციური მომენტი, ანუ სუბიექტური ღირებულება ამართლებს, მაშინ როცა მომავლისათვის მიმართული ქცევის მიღებისას გადამწყვეტია ობიექტური ღირებულება, ქცევის სუბიექტის ინტელექტუალურ-ვოლიტური მხარე. თვალსაჩინო მაგალითის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება ერთნაირი საქმის ვითარება იყოს იმ ადამიანის ქცევის მოტივიც, რომელიც, ვთქვათ, სიცხეში ზღვის პირზე ნებივრობს, კარგ ცივ ლუდს სვამს, განცხრომაშია და ალექსანდრე მაკედონელის გახმაურებული მოქმედების მოტივიც, როდესაც მან უდაბნოში მისთვის დიდი ჯაფით ნაშოვნი წყალი კი არ დალია, ჯარის თვალწინ გადაღვარა. ცხადია, ძნელად წარმოსადგენია ასეთი განსხვავებული ბუნებისა და მიმართულების აქტივობის, ანუ იმპულსური და ნებელობითი ქცევის მოტივი იყოს ერთი და იგივე „სუბიექტური ღირებულება“. მართალია, პირველ შემთხვევაში ქცევა სუბიექტისათვის ღირებულია სწორედ მისი პროცესუალური მხარის, მომენტური სუბიექტური ღირებულების გამო, მაგრამ მეორე შემთხვევაში ქცევას ღირებულებას აძლევს, მისაღებს ხდის და ამართლებს არა წუთიერი, არა მიმდინარე, არამედ სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა - ქცევის შედეგის, როგორც ობიექტური ღირებულების ცნობიერება. შესაბამისად, პირველი ქცევის მოტივია მისი სუბიექტური ღირებულება, მეორე ქცევისა - ობიექტური ღირებულება. ვფიქრობთ, დ. უზნაძესთანაც ასეთი აზრი იკვეთება, რასაც დამატებით ადასტურებს შრომის, როგორც ნებელობითი ქცევის მისეული დახასიათება:

„შრომის წარმოების აუცილებელ პირობას განზრახვის **<u>ობიექტური ღირებულების</u>** (ხაზგასმა უზნაძისაა - ნ. ბ.) ცნობა... შეადგენს“ [15,378]. ობიექტური ღირებულების ცნობიერება გულისხმობს იმის გაცნობიერებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგანს ან მოვლენას თავისთავად სუბიექტის მოთხოვნილებისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, შესაბამისად, უარყოფითისაგან თავშეკავებას და დადებითის მიხედვით მოქმედებას. ბავშვმა არ იცის რა საგანთა და მოვლენათა ნამდვილი, ობიექტური ღირებულება, იგი ხშირად „არა ობიექტური, არამედ სუბიექტური ღირებულების წონით ხელმძღვანელობს“ [15,378]. „შრომა ობიექტური აზრის, ობიექტური

მნიშვნელობის პროდუქტს ქმნის", რომელიც „აქტუალური მოთხოვნილების კონკრეტი განსაზღვრულობის ფარგლებს შორდება" [15,443]. უზნაძის მიხედვით, შრომის, როგორც ნებელობითი ქცევის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს „ზესუბიექტური" და „ზედროული" ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნის განზრახვა.

მოკლედ, ზემოაღნიშნულის მიხედვით, რომ არაფერი ვთქვათ ჩხარტიშვილის სისტემურ შეხედულებაზე [17][18][19], ნებელობითი ქცევის მოტივის როლში გამოდის არა სუბიექტური, არამედ ზესუბიექტური ღირებულება, სხვანაირად და უფრო ზუსტად - ობიექტური ღირებულების ცნობიერება. ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო დასაბუთებული იქნება ვილაპარაკოთ არა სუბიექტური ღირებულების სუბიექტივაციაზე, რომელიც ემოციის ფორმით იმთავითვე სუბიექტივირებულია აქტუალური მოთხოვნილებით აღძრულ იმპულსურ ქცევაში, არამედ ობიექტური ღირებულების, როგორც ნებელობითი ქცევის მოტივის სუბიექტივაციაზე, რომელშიც ინტელექტუალურ-volituri პროცესებია გადამწყვეტი. რაც შეეხება სუბიექტური ღირებულების (იმპულსური ქცევის მოტივის) სუბიექტივაციაზე მსჯელობას, როგორც ვთქვით, იგი წინააღმდეგობრივი ჩანს.

ახლა შევეხოთ უშუალოდ სუბიექტივაციის ადგილს ნებელობით ქცევაში. ი. იმედაძის აზრით, სუბიექტივაცია ნებელობითი ქცევის საწყისი, ანუ გადაწყვეტილებამდელი პუნქტია, თუმცა ის დინამიკური პროცესია და გასდევს მთელ ქცევას [10,11]. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, ოღონდ გარკვეული დაზუსტებით.

ჩვენი აზრით, სუბიექტივაცია ვერ იქნება ნებელობითი პროცესის საწყისი, გადაწყვეტილებამდელი პუნქტი. მომავალი ქცევის არჩევის და გადაწყვეტილების მიღების დროს სუბიექტი საკმაოდ რთულ ინტელექტუალურ აქტივობას მიმართავს. იგი ითვალისწინებს მოქმედების ყველა შესაძლებლობას, მსჯელობს ცივი გონებით, ცდილობს შეცდომა არ დაუშვას და გადაწყვეტილება მიიღოს ობიექტივაციის დონეზე, აირჩიოს მისთვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ქცევა. ამ ეტაპზე „ქცევის სუბიექტური ღირებულების გამოვლენა" კი არა, ობიექტური ღირებულების დადგენა ხდება. პიროვნებისათვის მისაღები ქცევის მოძებნის პროცესი პიროვნების ძირითადი ღირებულებების, მე-ს ცნობიერებისა და „მე უნდა" (ასე უნდა მოვიქცე, ასეა საჭირო) განცდის ფონზე მიმდინარეობს. გადაწყვეტილების მიღების (ნებისყოფის აქტის) საფუძველი ასეთი, ესეიგი ობიექტური ღირებულების მქონე, სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი მოტივია და „მე უნდა" განცდაც გადაწყვეტილების აქტში იჩენს თავს. ნებელობითი ქცევის პირველი პერიოდის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს.

რა ხდება სუბიექტივაციის დროს? უზნაძის ძირითად აზრს ჩვენ უკვე ვიცნობთ. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი სუბიექტივაცია ნებელობითი ქცევის საწყისი პუნქტია (პუნქტიცაა), თუკი იგი ქცევის დაწყებამდე მოტივის (ქცევის) არჩევა-გამართლებას ეხება, შეიძლება ისე მოხდეს და დიდი ალბათობით ასეც მოხდება, რომ სწორედ სუბიექტივაციის გამო ისეთი ქცევა ავირჩიოთ, ისეთი მოტივით გავამართლოთ ქცევა, ისეთი მოტივი მივიჩნიოთ ღირებულად და ქცევის საზრისად, რომელიც რეალურად, „ობიექტურად" არაა ღირებული, თუმცა სუბიექტურად, მომენტურად სუბიექტივაციამ, „პოზიციურმა აზროვნებამ" (შ. ნადირაშვილი) მოტივიც და ქცევაც ღირებულად შეგვაფასებინა. ასეთია, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნა, რომელიც, ვფიქრობთ, წინააღმდეგობაშია ნებისყოფის (მოტივის) უზნაძისეულ გაგებასთან.

რაც შეეხება სუბიექტივაციის მონაწილეობას ნებელობითი ქცევის მომდევნო ეტაპზე, ი. იმედაძის ეს თეზისი, უდავოდ მისაღებია, მით უფრო, რომ იგი ცდილობს სუბიექტივაციის ტერმინი დაუკავშიროს არა კოგნიციურ, არამედ წმინდა ცნობიერ მოტივაციურ აქტივობას. მართლაც, ქცევის მიმდინარეობისას, ვითარების შესაბამისად, საჭირო ხდება მისი სათანადო რეგულაცია, მოტივაციის გაძლიერება და ა. შ. ამას თანამედროვე ფსიქოლოგიაში თვითრეგულაციას უწოდებენ, რაც, არსებითად, რთული ნებელობითი ქცევის განხორციელებისას დროდადრო ცნობიერე-

ბის ჩართვას გულისხმობს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში მაინც ღიად რჩება საკითხი ცნობიერების მოტივაციურ ძალასთან დაკავშირებით.

ზ. ვახანია იზიარებს ნებელობით ქცევაში სუბიექტივაციის ადგილის იმედაძისეულ გაგებას. მისი შეფასებით, თანამედროვე კოგნიტივიზმში ნებელობას თვითრეგულაცია ეწოდა, რომელიც კოგნიციურ პროცესებზეა დამყარებული. მაგრამ კოგნიციურმა პროცესებმა ისევ მოთხოვნილებებში უნდა იპოვოს „ენერგიის წყარო" [5,67]. ესაა, მისი აზრით, სუბიექტივაციის არსი, ანუ გონებით არჩეული ქცევის პიროვნების მისწრაფებათა სისტემაში ჩართვის პროცესი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით ანალოგიური მექანიზმის შესახებ ვმსჯელობდით ჩვენ, როდასაც შესაბამის ნაშრომებში [2][3][4] ვიხილავდით ნებელობით ქცევაში „მე უნდა" განცდის „მე მინდა" განცდად ტრანსფორმაციისა და ამ განცდების განწყობასთან მიმართების საკითხს. მაგრამ ჩვენი აზრით, ქცევის სუბიექტივაცია, შეწყნარება თუ გათავისება ხდება გადაწყვეტილების მომდევნო პერიოდებში. კერძოდ, ობიექტური ვითარების გათვალისწინებით და „მე უნდა" (ასეა საჭირო) განცდის ფონზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩნდება ერთგვარი დადებითი მუხტი, თავისებური „მე მინდა" განცდა, სურვილი არჩეული (თუნდაც მძიმე) ქცევის განხორციელებისა. მართალია, ეს სურვილი შეიძლება შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალოს, მაგრამ ექსპერიმენტულად მრავალგზის დადასტურებულია, რომ დამოუკიდებელი და საფუძვლიანი გადაწყვეტილების მიღება თავისთავად განსაზღვრავს არჩეული ვარიანტისადმი დადებით დამოკიდებულებას და ცნობიერების მუშაობის სელექციურობას არჩევანის გამართლებისა და რეალიზაციის მიმართულებით [1][12][13][20].გადაწყვეტილების შემდგომი, მეორადი წარმოშობის „მე მინდა" განცდა ამბივალენტური ბუნებისაა. იგი ინტელექტუალური და ვოლიტური მუშაობის შედეგად ტრანსფორმირებული „მე უნდა" განცდაა - გადაზრდილი „მე მინდა"-ში. ვფიქრობთ, ეს თავისებური მდგომარეობა სრულად პასუხობს გადაწყვეტილების მომდევნო პერიოდის ემოციურ დახასიათებას.

მაგრამ „მე უნდა" განცდის „მე მინდა"-ში გადაზრდა, რომელიც შეიძლება იყოს მომენტალურიც და მეტ-ნაკლებად ხანიერიც, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შესაბამისი ქცევა განხორციელდება. მეორადი წარმოშობის „მე მინდა" განცდა, ქცევის სუბიექტზე სხვადასხვა მოტივაციური და სიტუაციური ფაქტორების ზემოქმედების გამო სისტემატურად იცვლება და შეიძლება აღიკვეთოს კიდეც. ამიტომ ქცევაც, შესაბამისად, ნებელობის ჩართვას, გზადაგზა ნებისყოფით ძალისხმევას მოითხოვს [2].

ასეთი ვითარება განსაკუთრებით კარგად იჩენს თავს შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის განხორციელების შემთხვევაში. შორეული მოტივაციური ქცევა, რომელიც შეიძლება დროში და სივრცეში ფართოდ გაშლილი, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებული მოქმედებების მთელი სისტემისაგან შედგებოდეს, შეუძლებელია წამატებით დასრულდეს ქცევის სუბიექტის ფსიქო-ფიზიკური ძალების სათანადო მობილიზების გარეშე, რაც უპირველესად ნებისყოფის საქმეა. მხოლოდ ცნობიერების ჩართვა აქ მდგომარეობას ვერ უშველის, რაც, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე კოგნიტივიზმის სერიოზული ნაკლია.

ზ. ვახანია თავის ნაშრომში [7] ეხება ნებელობით ქცევაში „მე მინდა" და „მე უნდა" განცდების ადგილის ჩვენეულ გაგებას და ფაქტობრივად იზიარებს მას, ოღონდ დაზუსტებით: მისი აზრით, მეორადი წარმოშობის „მე მინდა" განცდა არაა გარდაქმნილი „მე უნდა". ნებელობითი ქცევის მოტივაციის ორიგინალური ანალიზის საფუძველზე იგი მიდის დასკვნამდე, რომ მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედება ქმნის ამ ქცევის „სასიამოვნო ფონს და, შესაბამისად, მეორად „მე მინდა" განცდას... მაგრამ ნებელობით ქცევას იმავდროულად „მე უნდა" განცდაც ახლავს, ის არ იკარგება" [7,166]. ასეთი ემოციური მდგომარეობის შესახებ ვწერდით და ვწერთ ჩვენც. ამიტომ გასაგებია, რომ ნებელობითი ქცევის მოტივაციის და მასთან დაკავშირებული განცდების დახა-

სიათებისას ორივე ვიყენებთ მონათესავე - ამბიდენტობისა და ამბივალენტურობის ტერმინებს, რაც ნებისყოფის ფენომენოლოგიის საკითხის გაგებაში ჩვენი მოსაზრებების გარკვეული თანხვედრის მაჩვენებელიცაა (ფაქტის დადასტურების და რა გენეზისის თვალსაზრისით).

მაგრამ ვახანიასთვის მთავარი ისაა, რომ „მე უნდა" განცდა არსებითად დაიყვანება „მე მომინდება" განცდაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ინტელექტუალური მდგომარეობაა, ვიდრე ემოციური. „მე მომინდება" არის არა განცდა, არამედ აზრი, იდეა მომავალში მოსალოდნელი მოთხოვნილების შესახებ, რომელიც შ. ჩხარტიშვილის ცნობილი შეხედულების მიხედვით, ნებელობითი ქცევის ერთ-ერთი ინტელექტუალური წანამძღვარია. მეორე ინტელექტუალური წანამძღვარი არის მოთხოვნილების საგანი, რომელიც მოთხოვნილების იდეასთან მიმართებაში ობიექტური ღირებულების მქონე რეალობად ეძლევა ადამიანს. ჩვენ არ გავაგრძელებთ ამ მიმართულებით ავტორის მსჯელობას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნებელობითი ქცევა ყოველთვის მიმდინარეობს ობიექტურ ღირებულებათა პლანში. ასეთნაირად გაგებული ობიექტური ღირებულებაა (უფრო ზუსტად, ობიექტური ღირებულებისადმი დამოკიდებულებაა) ნებელობითი ქცევის მოტივი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვახანია არ იზიარებს ამას. მისთვის (და არა მხოლოდ) ყოველგვარი ქცევის მოტივი სუბიექტური ღირებულებაა. ვინაიდან სუბიექტური ღირებულება მაინც აქტუალურ მოთხოვნილებებთან და იმპულსურ ქცევასთანაა დაკავშირებული, რაც ნებისყოფასთან, მომავლის ქცევასთან მიმართებაში მისი ხელოვნური დაკავშირების შთაბეჭდილებას ტოვებს, ვახანია ფაქტობრივად ნებისყოფის ქმედითი ძალის კოგნიტური გაგებისკენ იხრება. მაგრამ არც ეს აკმაყოფილებს და ბოლოს მოულოდნელ დასკვნას აკეთებს, რომელსაც წინამდებარე სტატიის დასასრულს მოვიყვანთ.

თუკი ვახანიას მიხედვით „მე უნდა" განცდა დაიყვანება „მე მომინდება" განცდაზე, ი. იმედაძე ავითარებს სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას. იგი ფიქრობს: „იქნებ „მე უნდა" განცდა უბრალოდ იმ განცდის ერთ-ერთი მოდუსია, გამოვლენის თუ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც „მე ნამდვილად მინდა" განცდა ეწოდება" [9,139]. ჩვენი აზრი ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გამოთქმული გვაქვს სხვა ნაშრომში [4,93-95], ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით. ამრიგად, ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიასთან დაკავშირებით ქართულ ფსიქოლოგიაში გამოიკვეთა შემდეგი შეხედულებები:

1. ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებას გამოხატავს „მე მინდა" განცდა (უზნაძე).
2. ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებაზე მიუთითებს „მე უნდა" განცდა (ჩხარტიშვილი);
3. ნებელობით ქცევაში, ოღონდ მისი მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე, წარმოდგენილია როგორც „მე უნდა" განცდა, ისე „მე მინდა" განცდაც (ბარამიძე);
4. „მე უნდა" განცდა „მე ნამდვილად მინდა" განცდის თავისებური გამოვლენაა (იმედაძე);
5. „მე უნდა" განცდა ფაქტობრივად დაიყვანება „მე მომინდება" განცდაზე (ვახანია).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია (უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსია ზემოაღნიშნულ საკითხებზე ფაქტობრივად დაიწყო ჟ. „მაცნეში" 2007 წელს გამოქვეყნებული ჩვენი სტატიის შემდეგ [2]).

გრძნობენ რა სირთულეებს ნებისყოფის ტრადიციული და მარად აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბოლომდე არ აკმაყოფილებთ რა თანამედროვე მიდგომები და საკუთარი მოსაზრება-შეხედულებებიც, იმედაძე და ვახანია თითქმის ერთნაირი სულისკვეთებით სვამენ პასუხგაუცემელ კითხვებს:

მაგალითად, ი. იმედაძე, რომელსაც მე ქართული ფსიქოლოგიის გალაკტიონი ვუწოდე, კითხულობს: როგორ ხდება შესაძლებელი ისეთი ქცევის განხორციელება, რომლის შესრულების სურვილი სუბიექტს არ გააჩნია; როგორია ასეთი ქცევის მოტივაციური მექანიზმი; რანაირად წყდება

საკითხი „მინდა“-სა და „საჭირო“-ს („უნდა“-ს) შორის. სამწუხაროდ, ამ საკითხში გარკვეულობა არც თვითდეტერმინაციის თანამედროვე მოდელებს შეაქვს [11,133].

ზ. ვახანია, რომელმაც საკუთარი ორიგინალური ხელწერა შემოიტანა ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, უფრო შორს მიდის და ანალოგიური სულისკვეთებით კითხულობს: როგორაა შესაძლებელი, რომ მომავალში აქტუალიზებული მოთხოვნილება დღეს, ახლა „ფსიქიკური ენერგიის“ წყაროა? როგორაა შესაძლებელი, რომ წარმოსახული სიტუაცია და ხანგრძლივად გადავადებული კმაყოფილება აქტუალურზე არანაკლებ ქმედითია? (ვფიქრობ, დასმული კითხვებიდანაც ნათელია, რომ შეუძლებელია მოთხოვნილებით აღძრული იმპულსური ქცევისა და ნებელობითი ქცევის მოტივი იყოს ერთი და იგივე ვითარება - სუბიექტური ღირებულება).

ეს კითხვები, ვახანიას შეფასებით, ტოლფასია შეკითხვისა: „როგორაა შესაძლებელი რომ ადამიანს ნებისყოფა აქვს?“ ამ შეკითხვით მეცნიერებას კი არა, არამედ ღმერთსა და ბუნებას უნდა მივმართოთ [7,161].

რა თქმა უნდა, ნებისყოფის ფსიქოლოგიის არაერთი საკითხი ჩვენთვისაც ღიად რჩება, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ იმედაძე და ვახანია თითქოს კაპიტულაციას აცხადებენ ნებისყოფის „წყეული“ პრობლემების წინაშე. ეს სრულიად შეუთავსებელია მათ მრავალმხრივ ნაყოფიერ სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობასთან. ამიტომ (და არა მხოლოდ) ყოველივე აღნიშნული უფრო დიდაქტიკურ შეგონებად უნდა მივიჩნიოთ.

დასასრულ, შეჯამების სახით უნდა აღვნიშნოთ: ადამიანის ქცევისა და მისი მოტივის შესახებ უზნაძის შეხედულებიდან, ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვნად არ გამომდინარეობს, რომ ყოველთვის და ყველა შემთხვევაში მოტივი არის ქცევის სუბიექტური ღირებულება.

რაც შეეხება სუბიექტივაციის ადგილს ნებელობით ქცევაში, ჩვენი აზრით, მართალია, სუბიექტივაცია, როგორც დინამიკური პროცესი, ჩართულია ამ ქცევაში, მაგრამ არა მის საწყის, გადაწყვეტილებამდელ ეტაპზე. მომავალი ქცევის არჩევა და გადაწყვეტილების მიღება ხდება არა სუბიექტივაციის, არა უკვე შეწყნარებულის თუ ამის მცდელობის („პოზიციური აზროვნების“) მიხედვით, არამედ ნამდვილი ობიექტივაციის დონეზე, საჭიროების, „მე უნდა“-ს გათვალისწინებით. არჩეული ქცევის რეალიზაცია კი, ცხადია, ე.წ. სუბიექტივაციასაც მოითხოვს და სხვა ფსიქოლოგიურ მექანიზმებსაც.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბარამიძე ნ., 1995, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, გამომცემლობა. „აჭარა“, ბათუმი.
2. ბარამიძე ნ., 2007, „მე მინდა“ და „მე უნდა“ განცდების ადგილისათვის ნებისყოფის სტრუქტურაში, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, №1, გვ. 33-42.
3. ბარამიძე ნ., 2008, აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა, გამომც. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.
4. ბარამიძე ნ., 2019, ნებისყოფის ფსიქოლოგიის საკითხები, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.
5. ვახანია ზ., 2017, მოთხოვნილებისა და მოტივაციის ცნებები განწყობის თეორიაში, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, გვ. 56-104,თბილისი.
6. ვახანია ზ., 2017, ქცევის დისპოზიციური და სიტუაციური ფაქტორები, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, გვ. 13-55,თბილისი.
7. ვახანია ზ., 2019, სიამოვნების მოთხოვნილება, განმტკიცება და ჰედონიზმი, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, გვ. 135-178.

8. იმედაძე ი., 2016, ნებისყოფის ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემური საკითხი..., უზნაძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი, გვ. 92-101.
9. იმედაძე ი., 2018, კიდევ ერთხელ ნებელობის ფენომენოლოგიის შესახებ, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, ტ. X, ბათუმი, გვ. 132-143
10. იმედაძე ი., 2019, ობიექტივაცია და სუბიექტივაცია, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", გვ. 25-28,თბილისი.
11. იმედაძე ი., 2019, თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი მიმდინარეობის შესახებ, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", გვ. 113-134.
12. კეკელია მ., 2007, გადაწყვეტილების შემდგომი პერიოდის ცნობიერების სელექციურობა, ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", №1, გვ. 133-135,თბილისი.
13. ნორაკიძე ვლ., 1945, ფიქსირებული ტლანქი დინამიკური განწყობის ადამიანების ხასიათი, კრ. „ფსიქოლოგია", ტ. III, თბილისი.
14. უზნაძე დ., 1964, შრომები, ტ. III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია,
15. უზნაძე დ., 1967, შრომები, ტ. V, ბავშვის ფსიქოლოგია, საქ. მეცნ. აკად. გამომც., თბილისი.
16. უზნაძე დ., 1989, შენიშვნების რვეული, ჟ. „მაცნე", №1, თბილისი, გვ. 75-94.
17. ჩხარტიშვილი შ., 1958, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, გამომც. „ცოდნა", თბილისი.
18. ჩხარტიშვილი შ., 1974, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილ. უნ. გამომც., თბილისი.
19. Чхартишвили Ш., 1967, Проблема воли в психологии, «Вопросы психологии», №4.
20. Festinger L., 1964, Conflict, Decision and Dissonance, Stanford.

## რეზიუმე

ავტორის აზრით, ადამიანის ქცევისა და მისი მოტივის შესახებ უზნაძის შეხედულებიდან ერთმნიშვნელოვნად არ გამომდინარეობს, რომ ყველა სახის ქცევის მოტივია ამ ქცევის სუბიექტური ღირებულება. რაც შეეხება სუბიექტივაციის დინამიკურ პროცესს, მართალია, ეს პროცესი ჩართულია ნებელობით ქცევაში, მაგრამ არა მის საწყის, გადაწყვეტილებამდელ ეტაპზე. მომავალი ქცევის არჩევა და გადაწყვეტილების მიღება ხდება არა სუბიექტივაციის, არა უკვე შეწყნარებულის ან შეწყნარების მცდელობისა და წინასწარი პოზიციის ფონზე, არამედ ნამდვილი ობიექტივაციის დონეზე, საჭიროებისა და ვალდებულების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** სუბიექტივაცია, ობიექტივაცია, მოტივი, გადაწყვეტილება, თვითრეგულაცია, სუბიექტური და ობიექტური ღირებულება, ნებელობა.

NODAR BARAMIDZE
Doctor of Psychology,
Batumi Shota Rustaveli State University
Emeritus Professor
Georgia, Batumi

## SUBJECTIVITY, MOTIVE AND VOLITIONAL BEHAVIOR


### Summary

According to the author, it is not deduced from Uznadze's view on human behavior and its motive that the motive of all kinds of behavior is the subjective value of this behavior. As for the dynamic process of subjectivization, it is true that this process is involved in voluntary behavior, but not in its initial, pre-decision stage. The choice of future behavior and decision-making is made not against the background of subjectivity, not against a preconceived position, but at the level of true objectification, taking into account the need and obligation.


**Keywords:** subjectivization, objectification, motive, decision, self-regulation, subjective and objective value, willpower.

**ნათელა მაისურაძე**
ფილოსოფიისა და სამართლის დოქტორი
საქართველო, თბილისი

## განათლების ფილოსოფია - ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი

ყველა ცხოვრებისეული პრობლემა ადამიანის გარშემო იყრის თავს. სწორედ ადამიანი არის სიცოცხლის, არსებობისა და პროგრესული განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველი და უმაღლესი ღირებულება. ამ თვალსაზრისით, განათლების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი შესაბამისობა ერთი მხრივ, განათლების თეორიული სიღრმისა და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ-გამოყენებითი მოხერხებულობის პრიზმაში უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან თეორია და პრაქტიკა ის აუცილებელი ფაქტორებია, რომლებიც ადამიანის აღზრდისა და განათლების განუყრელი მნიშვნელობით უნდა გავიაზროთ.

განათლება თან ახლავს ადამიანის ცხოვრებას აზროვნებისა  და საქმიანობის თითქმის ყველა ეტაპზე. განათლება უწყვეტი პროცესია. იგი იწყება დაბადებიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სწავლების მთელი პროცესი განმსჭვალულია ცოდნის მიღების მიზანსწრაფულობით. თუ ადამიანი ჩათვლის, რომ მან უკვე ყველაფერი იცის, განათლების პროცესი წყდება და, სამწუხაროდ, ერთ ადგილზეც არ რჩება, არამედ  უკუსვლას იწყებს და ის ცოდნაც ქრება, რაც მას მანამდე ჰქონდა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, განათლების ფილოსოფიური ანალიზი, გააზრებული პიროვნების, საზოგადოებისა და სოციალური სტრუქტურის, მათი ურთიერთობების, ქმედებებისა და ზემოქმედებების მატრიცის სახით უნდა განვიხილოთ{3,10}.

ადამიანი, როგორც ჩემს ადრეულ ნაშრომებში აღვნიშნავდი, არის ცნობიერის, ქვეცნობიერ-ინტუიციურის, გრძნობადის, პოტენციალურისა და ფიზიკურის ერთობა, რასაც მისი სულიერებაც ემატება, **ანუ ადამიანი არის ადამიანურისა და ღვთაებრივის, როგორც ადამიანში ამოუცნობი ფენომენის ერთობა {1} .**იგი ერთდერთი არსებაა, რომელსაც ცოდნის მიღებისა და, მაშასადამე, სიახლეების შექმნისა და გათავისებისაკენ მისწრაფება გააჩნია. ნებისმიერი გამოწვევის საპასუხო ქმედება ყველა ეპოქაში, საჭიროებს ფიქრს, აზროვნებას, ქმედებას, განათლებას - იპოვო საუკეთესო გზა, ცხოვრებისეული გამოწვევების საპასუხოდ (4). ყოველივე ამის საფუძველი კი ფილოსოფიაში უნდა ვეძებოთ, რომლის მიმართ ადამიანს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. სწორედ ამიტომ არის, რომ ფილოსოფიური ხედვა გააჩნია ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი გააზრების საგანი - განათლების ფილოსოფიის სახით. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო რეალობა კი ჯერჯერობით, ადამიანის ცნობიერ, ეგზისტენციალურ და ინტუიციურ შესაძლებლობებს ცნობს. თუმცა, ჩემს ადრეულ ნაშრომებში უკვე მქონდა საუბარი პოტენციურ, რეალურ და ფარულ შესაძლებლობებზე, რომლებიც შესაბამისი სიტუაციების არსებობისას ვლინდება, როგორც „მეორე სუნთქვა" და ხელს უწყობს მთელი რიგი პრობლემების რაციონალურ, ეგზისტენციალურ და ინტუიციურ გადაწყვეტას.

ამასთან, განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე გვაყენებს დემოკრატიული გზით დამკვიდრებული გლობალიზაცია და პლურალიზმი, რომელიც ეხება ერთიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, მრავალმხრივი განათლების აუცილებლობას, რომელსაც პოსტმოდერნიზმის მიერ შემოთავაზებული თვითგანვითარების, თვითრეგულაციისა და თვითწარმოების საუძველზე დამყარებული ვიწრო ქვესისტემების შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებლობა იძლევა. ყოველივე ეს კი სცილდება პოსტმოდერნისტულ პრინციპებს და **ნეომოდერნისტულ სისტემად ყალიბდება,** რომელიც განაპირობებს ერთიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებასა და მრავალმხრივი განათლების სიფართოვესა და აუცილებლობას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, პოსტმოდერნიზმის მიერ შემოთავაზებული თვითგანვითარების, თვითრეგულაციისა და თვითწარმოების საუძველზე დამყარებული ვიწრო ქვესისტემების შექმნა და ფუნქციონირება განვითარებას მეტ სიღმეს ანიჭებს. ასეთი ერთიანობით ნეომოდერნისტული სისტემა თავისი ინტეგრალური მიდგომით ჯერ კიდევ ვერ ამბობს უარს მოდერნისტული ტიპის დიდ ნარატივებზე, სახელმწიფოებრიობასა და საზოგადოებრიობაზე და განათლების კრეატიულ მეთოდში მჟღავნდება{1,87}.

რაც შეეხება განათლების სისტემას, აქ პლურალიზმიც, გლობალიზმიცა და ნეომოდერნიზმიც **ფილომენური (სიცოცხლის მოყვარული) უნდა იყოს** . ყოველი პედაგოგიური მიდგომა უნდა გამოხატავდეს სტუდენტი- ახალგაზრდობის მიმართ სიყვარულსა და პასუხისმგებლობას, რაც ისევ და ისევ ადამიანის ინტერესების გარშემო უნდა ფუნქციონირებდეს და მის არსზე, არსებობაზე, აზროვნებასა და მრავალფეროვან შესაძლებლობებზე უნდა გადიოდეს.ადამიანი კი თავისი მოქმედების შედეგსა და შეფასებას საზოგადოებაში ეძიებს და პოულობს. ამიტომ განათლების ფილოსოფიის საკითხების კვლევისას **ფილომენური და თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მიდგომა** უფრო ეფექტურად მოჩანს{1,57}. ასეთ მიდგომას განაპირობებს თვით ადამიანის ამოუწურავი ბუნება. ამიტომ, ვერ დავეთანხმები თანამედროვეთა მოსაზრებას განათლების ვიწრო სპეციალიზაციასთან დაკავშირებით - მისი პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მოხერხებულად რეალიზაციის გასამართლებლად. ვიწრო განათლება - ვიწრო შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ადამიანის აზროვნების, შემეცნებითი პროცესების, ქვეცნობიერ-ინტუიციურის, ეგზისტენციის, ფსიქიკის, განწყობის, ღირებულებითი ორიენტაციისა და სხვა სულიერი ფაქტორების გააზრების გარეშე.

როგორც ცნობილია, განათლებაში რაციონალური უნარების მნიშვნელობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია თავისი კარგად გათვლილი, აწონილ-დაწონილი, შემოწმებული და ლოგიკური

თვალსაზრისით. ამიტომ იგი ერთმნიშვნელოვნად გასაგები და მისაღებია ყველასათვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური ფაქტორი საუკუნეების განმავლობაში შემეცნების ერთ-ერთი შეუცვლელი მნიშვნელობის საშუალება იყო, მის ღირებულებით შეფასებებში ეგზისტენციალისტებისა და მათი იდეური თანამიმდევრების (სიცოცხლის ფილოსოფიის, ფსიქოანალიზისა და ა.შ.) მიერ აბსტრაქტულ, ზოგად, მხოლოდ ცნებებზე დამყარებულ და ადამიანური მუნყოფიერებისაგან დაცლილ უნარად შეფასდა.მაგრამ, მიუხედავად ამ მტკიცებულებისა, რაციონალური ფაქტორი სამყაროში არსებული მოვლენების ადეკვატური გაცნობიერების საშუალებად და შეუცვლელ უნარად შეიძლება შევაფასოთ, ვინაიდან მის გარეშე ვერც ინტუიციურ და ვერც ეგზისტენციალურ არსებობასა და გააზრებაზე ვერაფერს ვიტყვით.რაციონალურის აუცილებლობა ყველაზე უფრო რეალურად ტექნიკისა და ტექნოლოგიების სისწრაფესა და ხელმისაწვდომობაში ვლინდება, რამაც მსოფლიო დააპატარავა და ადამიანებს კომუნიკაციის დღემდე არარსებული შესაძლებლობები მისცა.

რაციონალურის შედეგია აზროვნების სიღრმე და მრავალმხრივობა, რაც ადამიანის მოღვაწეობისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლინებას ფასდაუდებელი და წარუშლელი ღირებულებების სახეს აძლევს, რის შედეგადაც ისინი არასოდეს კარგავენ თავის მნიშვნელობას. ვგულისხმობ მეცნიერებაში საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მიღწევებსა და შემოქმედებაში მოპოვებულ შედევრებს. აქედან გამომდინარე, რაციონალური უმნიშვნელოვანესი უნარია ადამიანური განვითარების გზაზე.

გარდა რაციონალურისა, ადამიანის აღზრდისა და განათლებისა პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეგზისტენციალური ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ადამიანის ფსიქიკის, მისი ღრმა და მრავალფეროვანი „მე“-ობის სულიერი გამოხატულებაა, და რომელიც არსებობის განსხვავებულ წესს ემყარება (სამყაროში მიტოვებულობის, თავისუფლებით დაწყევლილობის, გაუცხოების, არჩევანის მიღების თვითმყოფადობისა და ამით გაზრდილი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით).

რაც შეეხება ინტუიციურს, როგორც არაცნობიერი ფაქტორების ქვეცნობიერის გავლის გზით გაცნობიერების პროცესი და როგორც საგანთა არსის უშუალოდ წვდომის პროცესი, საშუალებას აძლევს ადამიანს ქვეცნობიერის თვალით დაინახოს და მისი შინაგანი ხმით გააცნობიეროს ის ქვეტექსტი და ქვერეალობა, რომელიც ერთი შეხედვითა და ლოგიკური მონაცემებით არ ჩანს.

ჩემს ადრეულ შრომებში ჩამოყალიბებული ადამიანის სტრუქტურის ახლებური წარმოდგენით „მე“, „არა-მე“ და „სხვაი“ - ს ინტეგრალური ერთობიდან გამომდინარე, ადამიანის რთული და მრავალმხრივი სამყარო მოიცავს საზოგადოებასაც და გარე სამყაროსაც. ამიტომ განათლებაში დაშვებული ხარვეზების გამო ადამიანი, ერთი მხრივ, გარდა საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობისა, ასევე პასუხისმგებელია გარე სამყაროს,საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების, გარე სამყაროსა და სახელმწიფოებრიობის გავლენა მნიშვნელოვნად იკვეთება ადამიანის აზროვნებაზეც და მოქმედებაზეც. აქედან გამომდინარე, ადამიანი ან თავისუფალია, ან არ არის თავისუფალი, რაც, ჩემი აზრით, მისი განათლების მრავამხრივობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ნორმალური ფიზიკური კონსტიტუციის ერთობლიობის ან გათიშულობის შედეგია.

აღზრდისა და განათლების პრობლემებზე საუბრობდა პლატონი, რომელიც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შემოქმედებით ფაქტორებს, რაშიც ადამიანის უნარებისა და პოტენციების თავისუფალი და სიღრმისეული სულიერი არსი დღის სინათლეს პოულობს. ამ თვალსაზრისით, პლატონი მუსიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რამაც უნდა გააწონასწოროს მოზარდში არსებული ჭარბი ენერგიულობა და უამრავ შესაძლებლობებს შორის გონივრული შერჩევისა და გამოყენების უნარი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ფლეიტას, რომელსაც ყვე-

ლაზე მისაღებ ინსტრუმენტად აღიარებდა პლატონი, ადამიანის შინაგანი ეგზისტენცის ჟღერადობა ახასიათებს, და რომელიც დიდი სიფრთხილით, გულისყურითა და მონდომებით მიიკვლევს გზას ადამიანთა გულისა და გონებისაკენ.

აღზრდასა და განათლებაში მუსიკის მნიშვნელობაზე საუბრობდა კანტიც, რომელიც მუსიკას ახასიათებდა, როგორც უძლიერეს ზემოქმედებით ფაქტორს და აღნიშნავდა, რომ მუსიკა ადამიანის ყურადღებას იპყრობს ნებისმიერ სიტუაციაში, მიუხედავად მისი სურვილისა.

ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, კარგად აცნობიერებს აღზრდისა და განათლების მნიშვნელობას. ამაზე მეტყველებს ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა და ადამიანთმცოდნეობის თითქმის ყველა ინსტიტუტი{5}.

დღეს, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა მყარად დაიკავა ადამიანის ცნობიერი ფაქტორები, განათლებაში უპირატესობა პრაქტიკულ-გამოყენებითი უნარების გამომუშავებასა და შესწავლას მიენიჭა. მაგრამ, ისიც უდავოა, რომ პრაქტიკა თეორიისა და ფილოსოფიურ--ლოგიკური გააზრების გარეშე სპონტანურ და არცთუ იშვიათად შემთხვევებზე დამყარებულ ქმედებად ყალიბდება, რაც, თავის მხრივ, თუნდაც საბაზრო ეკონომიკაში შეცდომების საფუძველი შეიძლება გახდეს. ჩვენს საზოგადოებაში წარმოშობილმა ახალმა ფენამ - მცირე და საშუალო დონის მეწარმეებმა და ბიზნესმენებმა განათლების პრაქტიკულ-გამოყენებითი მხარის აუცილებელ მნიშვნელობაზე მიგვითითეს ბიზნესში მიღწეული წარმატებებით, თუმცა ისიც ცხადი გახდა, რომ მათი წარმატებები უფრო ეფექტური იქნებოდა, ამ სფეროში გარკვეული თეორიული ცოდნაც თუ ექნებოდათ.

ჩვენი თანამედროვეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევებით ადამიანის გონებრივმა შესაძლებლობებმა დაამტკიცა, რომ ადამიანი თუ ყოვლისშემძლე არა, მრავლისშემძლე ნამდვილად არის. ისიც რეალურია, რომ ადამიანის მიერ მიღებული თეორიული განათლების გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და საბოლოო მიზანი მისი სწრაფი, გონივრული და შემოქმედებითი პრაქტიკული რეალიზების უნარების გამომუშავებაა. მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების სისწრაფე, რომელსაც ჩვენი დღევანდელობა მოითხოვს განათლების სისტემაში აუცილებელი ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კერძოდ, მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლისას აუცილებელია გამოყენებითი მათემატიკის შედეგების უშუალოდ გაცნობა და არა მხოლოდ თეორიული საუბარი და ფორმულების გაზეპირებული ცოდნა. ქიმიის შესწავლისას ქიმიური პროცესების ლაბორატორიული ცდების გარდა, წარმოებაში არსებული მექანიზმების გაცნობა საწარმოებში და უშუალოდ გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, რაც ბევრად უფრო საინტერესოს და მრავლფეროვანს გახდის სწავლის პროცესს.

ჩვენმა დღევანდელობამ აუცილებელი გახადა, ერთი მხრივ, ეკონომიკური, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი განათლების მიღების აუცილებლობა.

ახალგაზრდა, რომელიც უმაღლესს ან, თუნდაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ამთავრებს, მას ზოგადად მაინც უნდა ჰქონდეს სამართალზე წარმოდგენა, თუნდაც იმისათვის, რომ ერკვეოდეს როგორი წყობისა და მმართველობის სახელმწიფოში ცხოვრობს; რისი თხოვნისა და რისი მოთხოვნის უფლებები აქვს; რატომ არ უდა იმოქმედოს გაუაზრებლად, სპონტანურად, და დანაშაულებრივად; როგორი ურთიერთობები შეიძლება ჰქონდეს სხვა ადამიანებთან და საზოგადოებასთან და რა ქმედებები იკრძალება; როგორ დაიცვას თავისი უფლებები, თავისუფლებები და შეასრულოს ეთიკურ-სამრთლებრივი და სამოქალაქო-პოლიტიკური მოვალეობები, როგორ მართოს თავისი ემოციები და სურვილები, რათა არ აღმოჩნდეს აფექტის მდგომარეობაში, რომელსაც სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს; როგორ იმოქმედოს აუცილებელი მოგერიების დროს, რათა თავისი სპონტანური ქმედებით არ დააზიანოს იმაზე უფრო მეტი სიკეთე, ვიდრე ის შეიძლება იცავდეს. როგორც სამეცნიერო კვლევებში მიუთითებენ, ერთიანი ცოდნა

ჭეშმარიტია, იგი ვერ იხსნება ვერც მხოლოდ მეცნიერებით და ვერც მხოლოდ რელიგიით, არამედ მხოლოდ მათი ერთობით, რასაც უნდა დაემატოს მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკური მომზადებაც და ჯანსაღი ცხოვრების წესიც.

ამრიგად, რწმენისა და გონივრულობის, შემოქმედებისა და შეფასებების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების, თეორიისა და პრაქტიკის, ეთიკურისა და სამართლებრივის, ფილოსოფიურისა და ფსიქოლოგიურის და ა.შ. თავისუფალი ვარირებითა და ინტეგრალური ერთობით არის შესაძლებელი განათლებისა და აღზრდის მეთოდების სრულყოფა (2).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მაისურაძე ნ. სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი.თბილისი, „იურისტთა სამყარო", 2014 .
2. მაისურაძე ნ. სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდები. თბილისი.," იურისტთა სამყარო", 2017.
3. Крашнева О. Е. Философия образования. Ростов-на-Дону. 2005.
4. https://www.google.com.radiotavisupleba.geh.
5. http://www.qwelly.com/group/philosophy/forum/topics/ganatlebis-filosofia.


# რეზიუმე


ნაშრომში განხილულია განათლების ფილოსოფიის პრობლემები, რომლებიც გადიან ცნობიერ, ქვეცნობიერ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრობლემის აქტიური და სწრაფი გადაჭრის მიღწევას, რაც ემყარება რაციონალურის, ეგზისტენციურისა და ინტუიციის ინტეგრაციულ ერთიანობას, აგრეთვე პიროვნების ლატენტურ, პოტენციურ და რეალურ გზებს. ავტორი აღნიშნავს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიური და სამართლებრივი განათლების აუცილებლობას, შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების აქტუალობას და განსაკუთრებით გამოყოფს ხელოვნებას და, კერძოდ, მუსიკას, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდის გადაჭარბებულ ენერგიასა და უამრავ შესაძლებლობებს შორის არსებული გონივრული შერჩევისა და გამოყენების უნარი გააწონასწოროს.

ავტორი მიუთითებს განათლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრალური ერთიანობის აუცილებლობას. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, შემოქმედებითი შეფასების უნარს, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების განვითარებას, როგორც კონკრეტული ადამიანის, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, რაც მას თუ ყოვლისშემძლედ თუ არა, მრავლისშემძლედ ნამდვილად აქცევს.



**საკვანძო სიტყვები:** ინტეგრალური განათლება, ფილომენოლოგიური(სიცოცხლის მოყვარული) მიდგომა. "მე", "არა-მე" და "სხვა", რაციონალური, ეგზისტენციალური და ინტუიციური, მრავლისშემძლე.

NATELA MAISURADZE
Doctor of Philosophy and Law
Georgia, Tbilisi

# EDUCATION PHILOSOPHY - MAXIMUM OF HUMAN ABILITIES

## Summary

The work discusses the problems of the philosophy of education that go beyond the conscious, subconscious and physical capabilities. The work pays special attention to achieving an active and rapid solution to the problem, which is based on the integrative unity of rational, existential and intuition, as well as latent, potential and real ways of personality. The author notes the need for philosophy, psychology, economic and legal education, the urgency of developing creative abilities, and especially singles out art and, in particular, music, which can balance the young man's excessive energy and ability to reasonably select and use the many possibilities.

The author points out the need for an integral unity of theory and practice in the education process. The author pays special attention to physical and spiritual health, creative assessment skills, development of technical and technological processes in the process of formation of a specific person, as well as a society and a state, what makes him, if not omnipotent, then multi -powerful - indeed.

**Keywords:** Integral education, philomtnological(Life-loving) approach. "I", "not-I" and "Zthern", rational, existential and intuitive, multi-powerful.

**ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველო, თბილისი

# ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ

კაცობრიობა მთელი ცივილიზაციის ისტორიის განმავლობაში არსებობისთვის იბრძოდა. მომხდურთან საომრად თუ საკვების მოსაპოვებლად გონებრივ განვითარებასთან ერთად ფიზიკური მომზადება იყო აუცილებელი. სწორედ, წრთობის საჭიროებამ დაუდო სათავე სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშებს. ფიზიკური თამაშობები და გართობის ტრადიციები მოზარდი თაობის მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებასაც ემსახურებოდა, გარკვეულ ცოდნას, შესაძლებლობებსა და ჩვევებს უყალიბებდა, ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ცნობილი ფილოსოფოსები და პედაგოგიკის კლასიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ფიზიკურ შრომასა და ფიზიკურ აღზრდას, რასაც დღევანდელი მოზარდები, ფაქტობრივად, მოკლებული არიან.

შვეიცარიელი პედაგოგის იოჰან ჰენრიხ პესტალოცის მიხედვით, ფიზიკური აღზრდა გულისხმობს მოზარდის ფიზიკური ძალებისა და შესაძლებლობების განვითარებასა და განმტკიცებას, რაც მოძრაობითაა შესაძლებელი.

ინგლისელმა პედაგოგმა და ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა ჯენტლმენის ფიზიკურ აღზრდაზე შეხედულებები ჩამოაყალიბა 1691 წელს დაწერილ წიგნში „ფიქრები აღზრდის შესახებ“ [11]. ფიზიკურ აღზრდას ის განიხილავდა, როგორც მიზანს ჯანსაღი სულის მისაღწევად ჯანსაღ სხეულში, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს, პირად ბედნიერებას ეწიოს. ამ თვალაზრისით საინტერესოა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი ფიზიკურ აღზრდას უკავია, რადგან, უპირველესად, მას უკავშირდება ადამიანის ბედნიერება და კეთილდღეობა. „სიყმაწვილეში ჯანმრთელობა გზას გვაძლევს ფხიზლადა და გონივრულად სიცოცხლისათვის მოვემზადოთ, - წერდა 1876 წელს „სასოფლო გაზეთი“. - სრულ ჰასაკობაში ღონეს გვაძლევს ჩვენი მოვალეობა და შრომა მხნეთა და გულდაჯერებით ავასრულოთ; სიბერეში გვაძლევს მშვიდსა და ნებიერ ცხოვრებას“ [10, #8]. იმავე გაზეთის ცნობით, ფიზიკურად ნაწრთობი ადამიანი „დიდი სწავლულიც რომ არ იყოს, მაინც ბევრს სარგებლობას მოუტანს ქვეყანასაცა და თავის თავსაც“ [9, #15].

1918-1922 წლებში საქართველოს სატანვარჯიშო ორგანიზაცია „შევარდენის“ მძლეოსანთა განწევრის უფროს გ. გიორგიძეს მიაჩნია, რომ „აქსიომათ უნდა მივიღოთ “Mens sana in corpore sano”. თუ კი ადამიანი ეცდება ყოველთვის ანავითაროს თავისი გონება, როგორ მოახერხებს ამას, თუ სხეულიც საღი არ ექნება“ [2, #1, 74].

გაზეთი „დროება“ განსაკუთრებით სასკოლო ფიზიკურ აღზრდაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელიც ისე უნდა წარიმართოს, რომ მისი დახმარებით ყმაწვილს „შეეთვისოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულება, რომ შემდეგ გახდეს ყოველისფრით სასარგებლო კაცი თავისი ქვეყნისთვის“ (3, #26). ბავშვის აღზრდაში ჰარმონია თუ ირღვევა, აღზრდის საერთო სისტემაში ფიზიკური აღზრდა თუ გაუფასურებულია, „მაშინ ამგვარი აღზრდა იქნება მავნებელი და უსარგებლო მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც“ [4, #8].

ადამიანის ფიზიკური აღზრდისათვის და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად განსაკუთრებით რეგულარული ტანვარჯიშის სასარგებლო გავლენაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამახვილებდნენ ყურადღებას. ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე ტანვარჯიშს ცხოვრების მოძრაობით საგანძურს უწოდებდა; ოლიმპიურ ჩემპიონსა და ფილოსოფოს პლატონს მიაჩნდა, რომ „ტანვარჯიში არის მედიცინის სამკურნალო ნაწილი“, ხოლო არისტოტელეს მიხედვით, „არაფერი ისე არ აუძლურებს და არღვევს ადამიანს, როგორც ხანგძლივი ფიზიკური უმოქმედობა“.

საქართველოში ტანვარჯიში განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან გახდა პოპულარული: „რომ მოძრაობამ სრულად სარგებლობა გვაჩვენოს, უნდა კაცმა ისეთი რიგიანი და ნამდვილი მოძრაობა მოიმოქმედოს, როგორც კუნთების მდგომარეობას შეშვენის სხეულში. იმ ხელოვნებას, რომელიც გვასწავლის ამისთანა კარგსა და სასარგებლო მოძრაობას, ჰქვიან ღიმნასტიკა“ [8, #5], - წერდა 1863 წელს ჟურნალი „ცისკარი“. „დიდად საჭიროა ღიმნასტიკური მოძრაობა იმ ბავშვებისთვის, რომელნიც თითქმის დილიდან სალამომდისინ თოხით მუშაობენ“, - ეს კი „დროების“ პუბლიკაციაა [5, #21].

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ხშირად უსვამდა ხაზს ფიზიკური აღზრდის როლსა და მნიშვნელობას პიროვნების ჰარმონიული განვითარების ერთიან სისტემაში. ილიას თქმით, სახალხო სკოლების სასწავლო პროგრამებმა „სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა.., საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკვაგონების განვითარებისა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ“ [1, 282].

იაკობ გოგებაშვილი მწვავედ აკრიტიკებდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის უგულებელყოფას. მისი აზრით, სემინარიელთა ნორმალური აღზდისათვის აუცილებელია „უვნებელ გართო-

ბათა მთელი სისტემა, რომელიც განამტკიცებს სემინარიელებში მხნე განწყობასა და აღზრდის მათში კეთილშობილურ გრძნობებს“ [6, 102].

ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდაზე ამგვარი ზრუნვა შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მოზარდი თაობა - ეს არის ხვალინდელი დღისა და მომავალი პერსპექტივის ადამიანური რესურსი, ამიტომ ცხოვრების ჯანსაღი წესი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მხოლოდ მოზარდებს არ ვგულისხმობთ - პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვან პრინციპს - ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ ვითვალისწინებთ . ეს მისაღებია ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის, მათ შორის - სტუდენტებისთვისაც.

მეცნიერთა გამოკვლევებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის ბევრი ჩვევა 10-დან 18 წლის ჩათვლით ყალიბდება, ამიტომ მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. განვითარებადი ორგანიზმის ფიზიოლოგიური კანონების მოთხოვნის შესაბამისად, თითოეული სტუდენტის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმა პირდაპირი გზაა არა მარტო ახალგაზრდების ჯანმრთელობის დონის ასამაღლებლად, არამედ - მთლიანად ერის გაჯანსაღების ფსიქოფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ბოლოდროინდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, პანდემიას არ ვგულისხმობთ, ახალგაზრდების ჯანმრთელობა წლიდან წლამდე უარესდება, ქრონიკული პათოლოგიები შესამჩნევად იზრდება. წლების წინათ საქართველოში ჩატარებულმა დისპანსერიზაციამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეთა, ფაქტობრივად, 80 პროცენტს სკოლიოზი აწუხებს, რაც სხადასხვა დაავადებათა სათავეა.

საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრმა 2013 წელს ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინტერესების, მოთხოვნილებების, მოტივაციის, ჩვევების, საქმიანობისა და თავისუფალი დროის განაწილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კვლევით დადასტურდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (70%-ზე მეტი) საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური აქტივობით, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ ადამიანთა ცნობიერება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ დაბალია.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ქართველ მოსწავლეებში. 2015 წლის ნოემბერში ჩატარებულმა მასშტაბურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართველ მოსწავლეთაგან 43 პროცენტი თამბაქოს მოიხმარს, ბიჭების 86 და გოგონების 83 პროცენტს მიუღია ალკოჰოლი, 11 პროცენტს - მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი), ხოლო 2 პროცენტს კოკაინი გაუსინჯავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ განსხვავებული ძალისხმევის გამოჩენა სპორტში ჩართულობის მიზნით, რაც მოზარდებს განარიდებს ქუჩას და მავნე ზეგავლენის გარემოს (თამბაქოს, ალკოჰოლს, ნარკოტიკების მოხმარებას და კრიმინალურ სამყაროს). იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი მოსწავლეები ხვალინდელი სტუდენტები არიან, სწორედ მათს ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებული დღევანდელი ნეგატური სისტემა კარდინალურ გარდაქმნებს მოითხოვს.

ბოლო წლებში ახალგაზრდების ფიზიკური ჯანმრთელობის დონე სისტემატურად იკლებს სწავლის მიმდინარეობის პროპორციულად. ქრონიკული პათოლოგიის სიხშირე, განსაკუთრებით - სტუდენტებს შორის, წლიდან წლამდე იზრდება და ეს, უპირველესად, ფუნქციური გადახრების დაავადებათა ქრონიკულ ფორმებში გადასვლით არის განპირობებული. იმის თქმა გვინდა, რომ დაავადებათა რაოდენობის ზრდა მომავალი პროფესიონალების ფიზიკური განვითარების დონის მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე ხდება, რასაც სახელმწიფო, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევს. არადა, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ფიზიკური კულტურა გავლენას ახდენს ადამიანის განვითარების ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე, რომლებიც მას გენეტიკურად გადა-

ეცემა. ფიზიკური ვარჯიში დადებითად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ეს კი ხელს უწყობს ტვინის მუშაობის გაუმჯობესებას, ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის ნორმალიზაციას.

სტუდენტები დღეს სულ უფრო მეტ დროს უთმობენ კომპიუტერთან მუშაობას. ასევე, არახელსაყრელი ფაქტორებია ცუდი ეკოლოგიური გარემო, ტექნიკური პროგრესისა და მავნე ჩვევების ზრდა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის ჯანმრთელობაზე - დაავადებებისადმი მიდრეკილებას ზრდის. ყოველივე ზემოაღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთი ეფექტური ფაქტორია ვარჯიში, ფიზიკური განტვირთვა. ამიტომ აუცილებელია, რადიკალურად შეიცვალოს სტუდენტების მოტივირება და შეხედულებები ფიზიკურ კულტურაზე.

საბჭოთა პერიოდის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურა სასწავლო დისციპლინას და პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა, აკადემიური საათების რაოდენობით ლამის სპეციალობასთან იყო გათანაბრებული. ამჟამად კი ის პროგრამებიდან ამოშლილია, რის გამოც ფიზიკურმა კულტურამ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტ- ახალგაზრდობაში, თავისი წონა დაკარგა. განსაკუთრებით 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელდა საკადრო ცვლილებები - შემცირდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროს სპეციალისტები, უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა ფიზაღზრდის კათედრები, მეტიც - 2007 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთეს. მისი აღდგენა, მთავრობის დადგენილებით, მხოლოდ 2013 წელს გახდა შესაძლებელი. ექვსწლიანმა ვაკუუმმა ის გამოიწვია, რომ დღეს საჯარო სკოლებში სპორტის მასწავლებლებად 70 პროცენტამდე არასპეციალისტი მუშაობს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნეგატიური მოვლენებიდან გამომდინარე, დღეს ახალგაზრდები საკუთარ ჯანმრთელობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. წლების განმავლობაში დაგროვებულმა პრობლემებმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამიტომაც შეიმჩნევა სტუდენტებში ჰიპოდინამია, სწრაფი დაღლილობა, შრომისუნარიანობის დაცემა თუ რესპირაციულ დაავადებათა მიმართ იმუნიტეტის დაქვეითება. სტუდენტური ცხოვრების წლები - ეს არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების გაფურჩქვნის უნიკალური ეტაპი, ამ დროს ხდება პიროვნების ინტენსიური სოციალიზაცია და საკუთარი შესაძლებლობების გააზრება. ახალ პირობებში საკუთარი თავის საპოვნელად ახალგაზრდობას აუცილებლად სჭირდება არა მარტო ფაქტებისა და ინფორმაციების დამოუკიდებლად და კრიტიკულად გააზრების შედეგად მიღებული ინტელექტუალური ცოდნა, არამედ გამოყენებითი უნარების ათვისება, რომლებიც საზოგადოებაში პრობლემების გადასაჭრელად არის გამიზნული.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა, როგორც საგანი, ზემოთაც აღვნიშნეთ, რამდენიმე წელიწადია, გაუქმდა. მათი უწინდელი ფორმით აღდგენა კი ძალიან გვეეჭვება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ სფეროში მოწინავე დასავლური ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. მაგალითად, ამერიკელ სპეციალისტებს მოძრაობითი აქტივობა პრიორიტეტულ მიმართულებად და ადამიანის განვითარებაში სოციალური ადაპტაციის პროცესის ინსტრუმენტად მიაჩნიათ. მათი აზრით, ფიზიკური აღზრდა მოსწავლე ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა თავად აიღონ და გააუმჯობესონ ის, აკონტროლონ ფსიქოემოციური სფერო, ადეკვატურად იქცეოდნენ საზოგადოებაში. დღეს ამერიკის უმაღლესი სკოლის კონტინგენტის დაახლოებით 60 % ფიზიკური კულტურით არის დაინტერესებული. მიგვაჩნია, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებშიც მიზანშეწონილია მოდერნიზებული ფიზიკური აღზრდა არა დაძალების, არამედ ცხოვრების ჯანსაღ წესში სტუდენტთა ფართო მიზიდვით. ამ საქმეში კი უდიდესი როლის შესრულება სპორტის ჟურნალისტიკას შეუძლია: აუცილებელია ფიზიკური კულტურისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის, მასობრივი სასპორტო ღონისძიებების ფართო მასშტაბით პროპაგანდა-აგიტაცია და პოპულარიზაცია.

დღეს ჩვენს ქვეყანაში ახალი სოციალურ-კულტურული სიტუაცია დამკვიდრდა. მოსახლეობის ცვალებადი მენტალიტეტის პირობებში ფიზიკური კულტურის ტრადიციული ფორმების ტრანსფორმაცია გარდაუვალია. სასპორტო ჟურნალ-გაზეთები, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ასახავენ ამ გარდაქმნებს, რადგან მათ, ეკონომიკური მოსაზრებით, უფრო პროფესიული სპორტი აინტერესებთ.

გვესმის, რომ სამოქალაქო საზოგადოება მზარდი ფენომენია - ახლებურად ყალიბდება, იხვეწება, ვითარდება და, შესაბამისად, თანამედროვე მასმედია მასზე მორგებას მოითხოვს. როგორიცაა საზოგადოების დაკვეთა, მიწოდებაც სათანადო უნდა იყოს, რადგან ურთიერთობა ორმხრივი პროცესია. სასპორტო მედიის ფუნქციური დანიშნულება განწირულია, თუ მკითხველი არ ეყოლება. გულშემატკივარი კი საინფორმაციო საშუალებებს კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს - უპირველესად, ეს არის მაღალი მიღწევების სპორტისა და სენსაციური ამბების გაშუქება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად შესაბამის ორგანიზაციებს სასპორტო მედიისგან აქტიური დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება. უპირველესად, ეს არის ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სტუდენტთა პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადება მათი მომავალი შრომითი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სასპორტო პრესამ ახალ სოციოლოგიურ სინამდვილეში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილისა და როლის ანალიზი, ასევე, მოტივირებული საგანმანათლებლო სამუშაოს განვითარება აქტუალურ ამოცანად უნდა მიიჩნიოს. კეთილი საქმე კი უკვალოდ არასდროს ჩაივლის.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბალანჩივაძე რ., ასათიანი ვ., პედაგოგიკის საფუძვლები, თბ., 1997, გვ. 282.
2. გიორგიძე გ., ჟურნალი „შევარდენი“, 1922, #1, გვ.74.
3. „დროება“, 1866, #26.
4. „დროება“, 1870, #8.
5. „დროება“,1872; #21.
6. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტომი II, „განათლება“, თბ., 1977, გვ. 102.
7. ვასაძე ნ., პედაგოგიკა , თბ., 2000.
8. ჟურნალი „ცისკარი“, 1863, #5.
9. „სასოფლო გაზეთი“, 1869, #15.
10. „სასოფლო გაზეთი“, 1876, #8.
11. პედაგოგიკის ისტორია აკადემიკოს ნათელა ვასაძის რედაქციით, თბ.,1998
12. Локк Дж. Сочинения в трёх томах: Т. 3. (Мысли о воспитании,1691), М.: Мысль, 1988,– 668 с.].
13. Физическое воспитание студентов и учащихся. Под ред. Н.Я. Петрова, В.Я.Соколова. Минск 1988 г.

## რეზიუმე

სტატიის აქტუალობა იმით არის გამოწვეული, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ამჟამინდელი სისტემა ვერ უმკლავდება სტუდენტების ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესების პრობლემებს. ამიტომ თანამედროვე ახალგაზრდების უმრავლესობის ფიზიკური განვითარების დონე და ფუნქციური მზაობა არ შეესაბამება ოპტიმალურ პარამეტრებს.

გაანალიზებულია მოსწავლე ახალგაზრდებში ფიზიკური აღზრდის სწავლების საკითხები. ყურადღებაა გამახვილებული მწვავე პრობლემებსა და იმაზე, თუ როგორ აფასებდნენ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები, პედაგოგიკის კლასიკოსები, ქართველი საზოგადო მოღვაწეები ფიზიკურ კულტურასა თუ ფიზიკური აღზრდის სწავლებას და როგორი მდგომარეობაა დღევანდელ უმაღლეს სკოლაში. ასევე, განხილულია სპორტის ჟურნალისტიკის როლი ფიზიკური აღზრდის სწავლების საკითხთა პროპაგანდა-აგიტაციისა და პოპულარიზაციის საქმეში.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ თითოეული სტუდენტის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმა, როგორც ამას ითხოვს განვითარებადი ორგანიზმის ფიზიოლოგიური კანონები - პირდაპირი გზაა არა მარტო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ - ერის გასაჯანსაღებლადაც ფსიქოფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური კულტურა, ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, უმაღლესი სკოლა, სპორტი.

VAJA DANELIA
Doctor of Social Sciences
Georgia, Tbilisi

# HIGH SCHOOL PHYSICAL EDUCATION MODERN PROBLEMS AND SPORTS JOURNALISM

## Summary

The urgency of the article is due to the fact that the current system of physical education of student youth can not cope with the problems of deteriorating physical health of students. Therefore, the level of physical development and functional readiness of most modern youth does not correspond to the optimal parameters.

Issues of teaching physical education to young students are analyzed. The focus is on the acute problems and how the philosophers of antiquity, the classics of pedagogy, Georgian public figures valued the teaching of physical culture or physical education and the situation in today's high school. The role of sports journalism in propaganda-agitation and popularization of physical education issues is also discussed.

The article emphasizes that the involvement of each student in physical culture and sports, as required by the physiological laws of the developing organism - is a direct way not only to improve their health, but also to make the nation healthier psychophysically and socio-economically.

**Keywords:** Student physical education, physical culture, health, healthy lifestyle, high school, sports.

**БЕЖЕНАРУ ЛЮДМИЛА ЕФИМОВНА,**
Доктор филологических наук,
Ясский университет «Ал.И.Куза»,
Румыния, Яссы

# ЛИЧНОСТЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ УЧИТЕЛЯ В КОНТЕКСТЕ ВЛАДЕНИЯ НАВЫКАМИ XXI ВЕКА

**Аннотация.** В статье идет речь о роли и личности учителя в формировании навыков XXI века. Процесс обучения и воспитания становится не только технологичным; он приобретает «личностный» характер, когда общий уровень *профессиональной компетентности* учителя дополняется *способностями его личности к системному мышлению, к эмпатии и лидерству, к межкультурной и межязыковой коммуникации*. *Личностные навыки* важны для человека уже сейчас и останутся востребованными в будущем. Учитель сам должен обладать этими навыками и формировать их у своих учеников. Широкие профессиональные компетенции, дополненные «гибкими» навыками, не связанные с профессиональной деятельностью, но необходимые для успешной работы, с умением находить нестандартные решения задач и проблем, с навыками коллективной работы и критического мышления дополняют *интегральную образовательную парадигму*, которая непрерывна и предполагает обучение для всех людей в течение всей жизни. Ученые и работники сферы образования называют ее «подлинной новой фундаментальностью».

**Ключевые слова:** учитель, мягкие навыки (soft skills),твёрдые навыки/знания (hard skills), критическое мышление, творчество, креативность, цифровая грамотность, навыки XXI века,

УЧИТЕЛЬ – это слово, которое в странах Востока пишут с большой буквы. Наверно потому, что Учитель – это призвание, которое требует от человека всех его сил и способностей без остатка. Потому, что это служение *на* и *во* благо процветания страны, образования и науки, которое не знает каникул и школьных перемен. Деятельность Учителя удивительно сочетает в себе молодость души и мудрость *Слова,* каждодневный нелегкий труд и ежедневный праздник победы знаний. Нет для Учителя большего счастья, чем успехи бывших наставников, которые его знают и ценят за преданность делу.

Испокон веков его называют *учителем.* Синонимами являются слова «преподаватель», «педагог», а в содержание профессии учителя, которая появилась еще в VI веке до н.э, входит «воспитание и обучение следующих поколений». Еще Конфуций определял главную задачу учителя: открывать новую перспективу размышлениям ученика.[1] Впервые слово «педагог» стали использовать в Древней Греции, именуя этим термином раба, который воспитывал и занимался людьми, передавал им свои практические и теоретические знания. Учителями считались старейшины общины или определенные группы людей, от которых новички набирались опыта. Ключевой целью первых педагогов было повышение морального и нравственного уровня последующих поколений.

Быть учителем – сложнейшая задача, ведь один человек должен объединять в себе педагога, психолога, научного работника, оратора, актера, организатора, друга, наставника, партнера. Сегодня современная школа и образование в целом называют его «фасилитатором учения», (Д. Дьюи), «помощником» (М.Монтессори), «гуманным и ответственным человеком» (А.С.Макаренко), «субъектом педагогического управления» (В.В.Молчановский), «участником процесса обучения» и «транслятором знаний» (Ю.Ковалева). Учитель сегодня – консультант, помощник, организатор процесса обучения, сотрудничающий с учеником, который должен соответствовать быстро меняющимся требованиям

1 Коджаспирова Г. М. История образования и педагогической мысли: таблицы, схемы, опорные конспекты. М., 2003, стр. 16,

современного общества и идти в ногу со стремительным проникновением в жизнь человека XXI века информационных технологий.

Каким же должен быть современный учитель? Какие требования предъявляет общество к человеку, работающему учителем, и какие требования предъявляет к учителю информационный век? Какие личностные, индивидуальные способности и качества должен воспитывать и развивать учитель в своих подопечных в XXI веке?

Деятельность и личность преподавателя всегда привлекала исследователей. Должность учителя почётна и ответственна, как никакая другая, «выше которой ничего не может быть под солнцем», – писал великий педагог Я. А. Коменский. А. С. Макаренко, самый влиятельный теоретик образования в Советском Союзе, создал педагогическую систему, которая повлияла на духовном росте своих потомков, нравственном воспитании детей, интеллектуальном развитии, подготовке к жизни в социуме. Роли учителя А. С. Макаренко уделял особое внимание в своей педагогической практике и пытался её теоретически обобщить. На протяжении всей своей творческой деятельности стремился осмыслить вопрос о сущности педагогического таланта и о взаимоотношениях личных дарований и методической вооружённости в деле подготовки полноценного учителя-воспитателя.[2] Он отмечал, что педагог обязан подходить к «человеку с оптимистической гипотезой, пусть даже с некоторым риском ошибиться<…> как можно больше требования к человеку и как можно больше уважения к нему». *Учитель должен смотреть на воспитанника не как на объект изучения, а как на объект воспитания*. «Хорошее в человеке приходится всегда проектировать, и педагог обязан это делать».[3] Ещё одно требование, предъявляемое к личности учителя по А. С. Макаренко, это наличие и *постоянное накопление педагогического опыта*, постоянная переработка его в отношениях с детьми. Учитель должен быть *гуманным и ответственным человеком*, воспринимающим детей с позитивной стороны. Идеи А. С. Макаренко о роли учителя, педагогической цели, отношениях педагогов и воспитанников, самостоятельной работе педагога, педагогическом мастерстве в полной мере могут быть и сегодня рекомендованы будущим учителям.

Мария Монтессори – выдающийся педагог-гуманист из Италии, разработала уникальную и действенную педагогическую систему свободного воспитания, в которой отводит взрослому *роль помощника*, но не воспитателя. Обязательными постулатами данной системы развития является *отношение к ребенку как к самостоятельной и уникальной личности со своими предпочтениями*. Автор методики считала, что в каждом ребенке заложен потенциал от природы, необходимо просто помочь ребенку, создавая вокруг него полезную атмосферу и позволить ему самому выбрать чем, когда и как долго он хочет заниматься. Данная программа развития *отрицает порицание детей*, так же как и поощрения, сравнение детей между собой. Система Монтессори до сих пор используется во многих государственных и частных школах по всему миру.

